დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

წიგნი I

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

წიგნი I

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

მე, როგორც ამ წიგნის ავტორს, მსურს განვაცხადო, რომ ამ წიგნს არა აქვს პრეტენზია თავი აიმაღლოს უკვე არსებულ და ჯერ არ არსებულ ნაწარმოებებთან, სამეცნიერო შრომებთან ან რელიგიურ წმინდა წერილებთან მიმართებაში. ის არის ის, რაც არის და ამბობს იმას, რასაც ამბობს.

ერთ-ერთი ჭეშმარიტი ღირსება, რაც გააჩნია ამ წიგნს გახლავთ ის, რომ მასში აღიარებულია თავდაპირველი, საწყისი ცნობიერების სულიერი აღქმის სიღრმის უპირატესობა, აღიარებულია არსებულის დამაარსებელი, როგორც პიროვნება და მატერიალური სამყაროს უმნიშვნელობა სულიერ სამყაროსთან შედარებით.

აგრეთვე, ამ წიგნის ღირსებად მიმაჩნია ის, რომ ყოველივე წმინდისა და ღირებულის გადმოცემის მცდელობა მასში ჩადებულია ამ კონკრეტული ეპოქისთვის აღქმულ, მისთვის ჩვეულ, ერთგვარად სპეციფიკურ ენაზე.

დიდი მადლობა მას, ვინც კორექტულად და კომპეტენტურად შეეცდება ამ წიგნთან და ფაქტიურად ჩემს პიროვნებასთან კონტაქტს.

© დ. ყანდაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-732-8

ავტორისაგან

„ზღვარს მიღმა“-ში ანუ უსაზღვროებაში, **სამ-ოთხე-ში** ვნების მოდუსიდან გასვლა და სათნოების მოდუსში გადასვლა სტრატეგიული რეალობის გადასახედიდან – ეს არის ჩემი არსებობის, ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი ჩემთვის და, რაღაც მნიშვნელობის მოვლენა, თვით სამყაროსა და მისი დამაარსებლისთვისაც კი, როგორც, მილიონ, მილიარდ და ტრილიარდ ცოცხალ არსებათა წარმომადგენლობიდან, ერთი ცოცხალი არსების მხრიდან, ერთადერთი სწორი მიზნისკენ სვლის მცდელობა, ამ უდიადესი მიზნისთვის შესატყვისი ე. წ. წესების ე. ი. ეთიკის კანონების დაცვის მცდელობით. მათი დაცვა კი, მხოლოდ მათში შეძლებისდაგვარად სრულფასოვნად წვდომით არის შესაძლებელი.

შეცდომებისაგან, რომლებმაც ათასობით წლების განმავლობაში სამყაროს რომელიმე შავ ორმოში შეიძლება მომისროლონ, დამიცავს ***ოთხი პრინციპი:***

1. *სრულყოფილებისაკენ სწრაფვის მცდელობა.* მ.ს.
   მორჩილი თაყვანისცემა. ქ.ს.
   (უფრო მაღალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში).
2. *სიყვარულის გაცემის მცდელობა.* მ.ს.
   საკუთარი არსის გამჭვირვალობა და გაცემა,
   უშუალობა, непосредственность, გულწრფელობა,
   искренность. ქ.ს.
   (თანასწორ ეთიკურ დონესთან მიმართებაში).
3. *არაძალადობრივი მიდგომის მცდელობა.* მ.ს.
   ზომიერი თანამიმდევრულობა. ქ.ს.
   (უფრო დაბალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში,
   რომლის ინერციის ხაზი ზესვლისკენ, უკეთესად
   გახდომის მცდელობისაკენ, ამაღლებისაკენ არის
   მიმართული).
4. *თვითკმარი მყუდროება.* მ.ს.
   ნებაყოფილობითობის დაცვის მცდელობა. ქ.ს.
   (უფრო დაბალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში,
   რომლის ინერციის ხაზი ქვემოთ სვლისკენ,
   დაცემისკენ არის მიმართული).

(მ.ს. – მამაკაცური საწყისი, ქ.ს. – ქალური საწყისი)

ამ წიგნის ჩონჩხიც სწორედ ამ ოთხ პრინციპზე აიგება და მოიცავს ყოველივეს მაქსიმალურად ლოკალური, ლაკონური ფორმით, რამდენადაც ეს ჩემს შესაძლებლობებს შეესაბამება. იგი დაიყოფა ოთხ ტოლ ნაწილად და თითოეულს თავის მეოთხედში მიეცემა ძირითადი კვანძების გახსნის საშუალება, რის შედეგადაც მე მივალ იქამდე, რაც, ჩემი ვარაუდით, მაქსიმალურად შესაძლებელია დედამიწაზე ცოცხალი არსების ადამიანად არსებობის პირობებში. ჩემი სიცოცხლე, ანუ ჩემი ყველა ინკარნაცია ამ ინკარნაციამდე, და ჩემი მომავალი სიცოცხლეც, ანუ ჩემი დარჩენილი არსებობა ამ სხეულში დედამიწაზე ყოფნისას და ამ სხეულის დატოვების შემდგომ, ძირეულად იქნება დამოკიდებული ამ წიგნზე, ისე რომ თუ როდესმე ვინმეს ექნება მასთან შეხება, უბრალოდ მინდა ოდნავ მაინც წარმოიდგინოს, რამხელა მნიშვნელობას ვანიჭებ მე, ამ ნაწერის ავტორი, მას პირადად საკუთარი თავისთვის.

აუცილებლად ვთვლი საჭიროდ ერთი მნიშვნელოვანი რამ აღვნიშნო: ვინც ამ ოთხი პრინციპიდან ერთს მაინც დაარღვევს, ის ავტომატურად ყველას დაარღვევს, მაგრამ ვინც მხოლოდ ერთს, ორს ან სამს ამ ოთხიდან დაიცავს, ის ოთხივეს დაცვას ვერ შეძლებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 7

თავი I – (ჭკუა) 9
- დრო 17
- სივრცე 25
- კოსმიური გამოვლინება (მატერია) 33
- ინტერესები 38

თავი II – (გრძნობა) 44
- გრძნობათა სამეფო 44
- ქაოსების თეორიის არსი 51
- ოჯახი 54
- I ოჯახური მაკეტი 55
- II ოჯახური მაკეტი 56
- III ოჯახური მაკეტი 60
- IV ოჯახური მაკეტი 71
- შვილები 75

თავი III – (გონება) 85
- შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალნი მათნი 85
- საზოგადოება და ურთიერთობები 92
- I საზოგადოებრივი მაკეტი 92
- II საზოგადოებრივი მაკეტი 102
- III საზოგადოებრივი მაკეტი 109
- VI საზოგადოებრივი მაკეტი 115

თავი IV – (ამბიცია – ემოცია) 126
- შესაძლებლობები და მოთხოვნილებები 134
- უფლება და მოვალეობა 137
- მიზეზი, მიზანი, საშუალება, შედეგი 140
- შიში 144
- სირცხვილი, სინდისი, ღირსება, თავისუფლება 147
- თვითრეალიზაციის ცნობიერი არსი 155
- ფარდობითობის შედეგად წარმოქმნილ სისტემათა მწვერვალი 159

თავი V – (ეთერი) 165
ადამიანად მოვლინების მიზეზი 165
მთავარი მიზნისკენ სვლის პროცესი 171
ევოლუცირებისკენ, ჰარმონიზირებისკენ, ტრანსის
მდგომარეობაში მოხვედრისკენ სვლის პროცესი..... 176
ფილოსოფია და ფსიქოლოგია 181
ევოლუცია, მეცნიერება, სარწმუნოება, კულტურა
ცივილიზაცია და ჰარმონია 183
სახელმწიფო 191

შესავალი

სრულყოფილებისაკენ სწრაფვის სურვილის რაობა

ცოცხალი არსება თუ არ ცდილობს გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის არის, ე. ი. თუ არ აღიარებს იმას, რომ ის იმაზე უარესია, ვიდრე ეს შესაძლებელი და სასურველია, მაშინ მისი არსებობა ბუნებრივი კანონზომიერების, ობიექტური რეალობის მმართავის გადასახედიდან, აზრს კარგავს. იმ წამიდან, როდესაც ცოცხალი არსება, ნებით თუ უნებლიეთ, ცდილობს არ გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის არის, ე. ი. უცვლელობის, მოპოვებულის შენარჩუნების, საკუთარი მრწამსის უზენაესობის პრინციპები დააკანონოს, ის ფაქტიურად ნელ-ნელა იწყებს ჩაქრობას, გაქვავებას და გადადის სხვა გარდამავალ მდგომარეობაში, რომელსაც გარდაცვალებას და, ცალსახად სხეულის მოტრფიალენი კი, სიკვდილს ეძახიან.

ვინც ეძებს საკუთარი ცნობიერების სრულყოფას, რომლის ვაკანტური ადგილიც არასრულყოფილებას (სრულყოფილებად მონათლულს) უკავია, მას იპოვის. ვინც აღარ ეძებს, ის შეცნობილის შენარჩუნებაზე ფიქრობს, ვინც შენარჩუნებაზე ფიქრობს, ის შეცნობილსაც კარგავს და არასრულყოფილებაც მატებას იწყებს. აი, ამიტომ ერევა მიწიერ ცხოვრებაში აბსოლუტური სრულყოფილება ავადმყოფობების, უსიამოვნებების, კატასტროფების, ანომალიური თუ მოსალოდნელი ე. წ. უბედურებების სახით და ბოლოს მატერიალური გარსიდან ცოცხალი არსების მოცილების, მათი ურთიერთდაშორების, გარდასახვის, გარდაცვალების, ე. წ. სიკვდილის სახით. მაშინ გამოდის, რომ ადამიანის მიერ ოფიციალურად აღიარებული მტრები, სულაც არ ყოფილან მტრები. თუ მეგობრები არიან, რატომ გვტკენენ, რატომ არ გვიშვებენ ვაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვინდა და როგორც ჩვენ გვინდა?

მე ერთხელ მქონდა ასეთი უცნაური შემთხვევა როდესაც გოგონას, რომელიც მე შვილად მივიღე და შვილივით გავზარდე, მიაჩნდა, რომ ვზღუდავდი მის თავისუფლებას. ამიტომ გადაწყვიტა საზოგადოებრივი აზრით დამპირისპირებოდა, ანუ ადამიანთა სიმრავლით დაემტკიცებინა ეს. მე მისი მეგობრები იმაზე მეტად ახლოს მოვუშვი, ვიდრე ეს საჭირო იყო და აი, ყველაზე მამაცი, ალალი და მოურიდებელი მეგობარი შეეცადა მის დაცვას, უფრო სწორედ, მათი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას. მაშინ მე ამ მეგობარს ვკითხე – შენი შვილი, ან ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელზეც გარკვეული სახის პასუხისმგებლობა გაკისრია, რომ შეეცა-

დოს შიშველი ხელებით დენს შეეხოს იმიტომ, რომ ეს უნდა და თავისი უფლების გამოხატულების საშუალებად მიაჩნია და თუ აუხსენი, რომ ეს მომაკვდინებელია, მოფერებით თუ ჩხუბით, თუ ცემითაც კი და მაინც არაფერმა გაჭრა, მაშინ რას იზამდი-მეთქი. მან არაფერი მიპასუხა იმის გარდა, რომ არ გაუშვებდა, მაგრამ მისი ბუნებიდან გამომდინარე, ის იმ ადგილას, სადაც თითებს შეხების სურვილი გაუჩნდათ, დენს შეხებოდნენ, მას გააუქმებდა, მაგრამ სად არის გარანტია, რომ სხვა ადგილზე არ მოუნდება შეეხოს ამ დენს და უფრო მეტიც, გარანტია სწორედ იქეთაა, რომ აუცილებლად მოუნდება. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე რომ ამ მეგობარს, ჩვენი საუბრის შემდეგ, ისე შეეცვალა აზრი ამ თემაზე, რომ ცხოვრების სტილიც კი შეიცვალა.

პასუხი, ვფიქრობ, ტექსტში იკითხება, ჩვენ უმეცარი ბავშვები ვართ და ჩვენზე მზრუნველებს იგნორირებას ვუკეთებთ. პრობლემა კი, ფრიად მარტივ რაიმეზე დაიყვანება. არსებობს ინდივიდუალური სული, რომელსაც თვითგამოვლინებისათვის ეძლევა ერთჯერადი ტანის(ს)ამოსი, ანუ ადამიანური სხეული (ადამიანის შემთხვევაში) და ამ ტანისამოსის არსებობის პერიოდი გამოცხადდა უზენაეს ფასეულობად, ანუ ადამიანური სიცოცხლე გახდა თვითმიზანი, ადამიანური სხეულიდან გამომდინარე მიჯაჭვულობები კი სიყვარულის უზენაესი გამოხატულების გრძნობებად მოინათლა და ა. შ. და ა. შ. რაღა თქმა უნდა, ეს ინერციის ხაზი ქვემოთ, უფრო ქვემოთ და ქვემოთ ჩამოიყვანდა კაცობრიობის მსოფლმხედველობას და არც აქ დაუხანებია. ოღონდ, შავ ფერებს და პესიმიზმს ნუ მიაწერთ ამას.

იცით, ერთ საკმაოდ ჭკვიან მსუბუქი ყოფაქცევისაკენ მისწრაფებულ ახალგაზრდა გოგონასთან მქონდა უცნაური დიალოგი იმის შესახებ, რომ ყველანი ვთამაშობთ და მივეჩვიეთ ამას, რომ ეს საკუთარი თავის ილუზიაში მყოფებაა. მან მკითხა, აბა რეალობაში რომ მოინდომო ყოფნა, ამაში რაა უკეთესი, ან ნორმალურად როგორ დარჩებიო. ყოველ შემთხვევაში მან აღიარა მაინც, ბევრ სხვათა და მრავალთაგან განსხვავებით, რომ საკუთარ თავს შეგნებულად ამყოფებდა ტყუილში. მე არც არავისი განსჯა მაქვს განზრახული და არც რეცეპტების წერა, უბრალოდ, ჩემს შეხედულებებს გამოვთქვამ, რომლებიც კომფლიქტისმოყვარული ადამიანებისათვის განსჯად და რეცეპტებად აღიქმება, ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვდი მათ, ვისაც ეს ნაწერი გააღიზიანებთ, ნუ წაიკითხავთ!!!

თავი I

Коль маленькое что-то уловил
Не убегай открыть тому дорогу,
Да, может этим всех бы удивил
Но этим самым послужил льбы Богу!

სრულყოფილებისკენ სწრაფვის, იმაზე უკეთესად გახდომის მცდელობა, ვიდრე ვარ და მისი გამოვლინების რაობა. მორჩილი თაყვანისცემა უფრო მაღალი ეთიკური დონის წინაშე

ეთიკური დონე ორი ძირითადი პარამეტრით განისაზღვრება. ესენია: ჭეშმარიტი ცოდნა და ჭეშმარიტი გრძნობა. თუ ეს ორი პარამეტრი ერთნაირი რაოდენობით არის შეზავებული, ძალიან მაღალ ეთიკურ დონეს მივიღებთ. თუ ერთი პარამეტრი მეორეს ძალიან ჩამორჩება, ძალიან დაბალ ეთიკურ დონეს მივიღებთ. ჭეშმარიტი ცოდნა – სინათლეა, რომელიც რეალურად გამოვლენილი ძალის, პრობლემების ძლევის უნარის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ჭეშმარიტი გრძნობა კი, სითბოა, რომელიც რეალურად გამოვლენილი სიმდიდრის, ენერგიის გამოვლინების უნარის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ერთის საშუალებით, მეორის გარეშე, ჭეშმარიტი სიყვარულის მიღწევის მცდელობა სრულიად ფუჭი საქმიანობაა. რაც შეეხება დედამიწაზე გამოვლენილი სიყვარულის რაობას, ის ერთი წამით გაიელვებს ხოლმე და ისიც მაშინ, როდესაც ერთი პარამეტრი მეორეს დაეწევა და, ვინაიდან დედამიწაზე ცოცხალი არსებები ამ ორი რეჟიმის დაცვით ვერ ცხოვრობენ, წამიერი თანხვედრის შემდეგ ინერციააკრეფილი პარამეტრი ზევით ავარდება, ჩამოიტოვებს ქვემოთ მეორე პარამეტრს და, სანაცვლოდ, სხვათა მეხსიერებაში დარჩება ის წამი თანხვედრისა და აი, გამოცხვა კიდეც ლეგენდა ზღაპრულად ლამაზ სიყვარულზე, გახდა იგი საოცნებო მრავალთათვის და ა. შ.

ე. ი. მაღალი ეთიკური დონე ეს არის ჭეშმარიტი სიყვარულის მაღალი დონე, ხოლო უმაღლესი ეთიკური დონე კი ჭეშმარიტი სიყვარულის უმაღლესი მუდმივად ხანგრძლივი დონე.

უფრო გამარტივების შემთხვევაში ცოდნა და გრძნობა რომ ავხსნათ, ასეთ რაღაცას მივიღებთ – მეშინია იმისა, რაც არ ვიცი და შიშით ვემორჩილები მას, ვინც იცის ის, რაც არ ვიცი მე, ე. ი. ჭეშმა-

რიტი ცოდნის შეძენა დამაძლევინებს ჩემში ჩაბუდებულ შიშს. **რაც შეეხება გრძნობას** – ძალადობას, დაშინებას ვიყენებ იმის მიმართ ან იმათ მიმართ, რასაც ან ვისაც ვერ შევიგრძნობ, რის ან ვის მიმართაც უბრალოდ გულგრილი ვარ (ან არაობიექტურად ტენდენციური ვარ ერთის გულისთვის მეორის მიმართ). ე. ი. ჭეშმარიტი გრძნობის შეძენა დამაძლევინებს ჩემში ჩაბუდებულ სისასტიკეს, ძალადობის გამოვლინების მცდელობას. როგორც ხედავთ, წრე შეიკრა. ამ ორი პარამეტრის ერთმანეთის გათვალისწინების, ურთიერთშეთვისების, ერთდროულად ზრდის მცდელობის გარეშე, ნებისმიერი ცოცხალი არსება ჩიხში შედის, რაც მისი მეხსიერების დაბლოკვის აუცილებლობას იწვევს (თუ რატომ, ვგონებ, ისედაც გასაგებია და აღარ დავწვრილმანდები), ეს კი ე. წ. სიკვდილის საშუალებით ხდება. შემდგომ ცოცხალი არსების გადასვლა ხდება იმ გარემოში, რომელიც მისი სურვილების შესაფერისია და აი, ასე უსასრულოდ გრძელდება ეს გზა, ვიდრე... მაგრამ ეს შემდეგისთვის გადავდოთ. გამოდის ძალიან მარტივი და ძალიან სერიოზული დასკვნა: ყველა მატერიალიზებული ცოცხალი არსება საკუთარი სურვილების ტყვეობაში ამყოფებს საკუთარ თავს, ხოლო საკუთარი მატერიალური გარსი და მატერიალური შიგნეული თავის ერთადერთ ძვირფასეულობად მიაჩნია. აქედან გამოსვლა ფაქტიურად შეუძლებელია, ვიდრე საკუთარი სურვილების რეალურ რაობას არ ჩაუღრმავდება ფარდობითობის სისტემის გამოყენებით, შედარებითობით ჭეშმარიტ ფასეულობათა გამასთან და ამ ფასეულობის მქონეთა სურვილების რაობასთან. ვინაიდან ეს თავი სრულყოფილებისკენ სწრაფვას ეხება, მოდით, აქედან შევხედოთ ყველაფერს. სრულყოფის მცდელობა აუცილებლად კრახს განიცდის თუ საკუთარ „მე“-ში მუდმივობის სისტემას არ ავაწყობთ. დიახ, ეს არის პერპეტუმობილეს ფორმირება საკუთარ არსში. ორი ვექტორი ჭეშმარიტებისკენ, ცოდნისკენ, განათლებისკენ სწრაფვა და მგრძნობიარობისკენ, ობიექტურობისკენ, შეგრძნებადობის უნარისკენ სწრაფვა ერთნაირად თანაბრად და ზომიერად უნდა მიიწევდნენ წინ ერთმანეთის გადაკვეთის მცდელობით. გრძნობა უამრავი რაოდენობისა არსებობს, მაგრამ მისი საზომი ერთეული სიყვარულია. ცოდნაც უამრავი რაოდენობისაა, მაგრამ მისი საზომი ერთეული ჭეშმარიტებაა. აი, მწვერვალში, ანუ სრულყოფილების მაქსიმუმში, მათი გადაკვეთა ზუსტად მათი საზომი ერთეულებით არის გამოხატული. ეს არის ჭეშმარიტი სიყვარული. ნუ გგონიათ, რომ იცით რა არის სიყვარული. ეს მხოლოდ იქ არის ნაღდი

ფორმით, სადაც აბსოლუტური სრულყოფილებაა და მხოლოდ მან იცის, ვინც აბსოლუტურ სრულყოფილებას მიაღწია. აი, ეს არის ის ცნება, რაც უნდა იყოს მიზანი სრულყოფილებისკენ სწრაფვის მცდელობის დროს, ხოლო ვინც იმას ფიქრობს, რომ მათთვის ეს ზედმეტია და საჭირო არ არის, მე ვეტყოდი, თუ ცოცხალი არსება ამას არ ცდილობს, მისი ყოფნა ნებისმიერი სახით ნებისმიერ ადგილას ზედმეტია და უაზრობაა და ის აბსოლუტური სრულყოფილებისათვის და ჭეშმარიტი სიყვარულისათვის ზედმეტია და საჭირო არ არის და ნუ გაგიკვირდებათ, რომ თქვენ აღარავის ეყვარებით. მაგრამ ყურებს ნუ ჩამოყრით, თქვენ მოკვდებით, ხოლო შემდგომ, ხელახლა დაიბადებით და იქამდე იცხოვრებთ, ვიდრე ჭეშმარიტი სიყვარულის ძიება თქვენთვის ზედმეტი და არასაჭირო არ გახდება.

ეს დონე, რომელზეც ახლა ვწერ, ძალიან მაღალია და მისი მიღწევა ზეციდან თანდაყოლილი მადლითა და მამა ღმერთის კურთხევით თუ მიიღწევა. მამა ღმერთი უძლეველია, მაგრამ მასაც აქვს „სუსტი“ ადგილი და მისი „დაძლევაც“ შეიძლება. მე გაგიმხელთ ამ საიდუმლოს, რა არის ასეთი ძლიერი იარაღი. ეს არის გულწრფელი, ნაპერწკლებით სავსე სიყვარული და სითბო მის მიმართ. ის გაზიარებთ ჭეშმარიტ ცოდნას, როდესაც გამოგცდით და დარწმუნდება თქვენი სიყვარულის ჭეშმარიტ გულწრფელობაში, დაუოკებელ სითბოში და ურყევ მდგრადობაში და მოგცემთ ყველაზე დიდ ძალას, რასაც ჭეშმარიტი ცოდნა ჰქვია და ძლევამოსილებას, რასაც ღვთის სამსახური ჰქვია. ვერავინ მიაღწევს ამას თუ არა მამა ღმერთის გულწრფელი სიყვარულით, რაც იმაში იქნება გამოხატული, რომ თქვენ მას ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე დაემორჩილებით. მოჩვენებითი თაყვანისცემა საზიზღრობაა, როცა ერთნი საკუთარ თავსაც ატყუებენ და მეორესაც. თუ ეჭვი გაგიელვებთ, ე. ი. არ გიყვართ, თუ აწონ-დაწონვა დაიწყეთ, ე. ი. არ გიყვართ, თუ პირში დაეთანხმეთ, პირს უკან კი განსჯა დაიწყეთ, თქვენ მშიშარა მლიქვნელი ყოფილხართ. მამა ღმერთი ყოველთვის, ყველგან დაგინახავთ და მოგისმენთ, როგორც გარედან ისე შიგნიდან, ამიტომ ნუ ეცდებით მოატყუოთ იგი, ის მაინც ჰქენით, რომ ის იყოთ, რაც ხართ. ხომ ხედავთ რა ძნელი ყოფილა სრულყოფილებისკენ სვლა.

ერთი რამ კი დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, ჭეშმარიტი ცოდნის მიღწევა არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ვიდრე თქვენში ნამდვილი, გულწრფელი სიყვარული იარსებებს, ცოდნის მიღება

ზეციდან, კოსმოსიდან არ შეგიწყდებათ და როდესაც არსებული ეპოქისთვის შესაბამის, დედამიწისეული დონის ჭეშმარიტ ცოდნას ჩასწვდებით, სიხარული, ბედნიერება და მატერიალური კეთილდღეობა არ შემოგაკლდებათ იქამდე, ვიდრე დედამიწაზე თქვენი მატერიალური სხეულის ცხოვრებით სიცოცხლეს არ დაამთავრებთ.

და კიდევ ერთი რამ – ხდება თუ არა საბოლოო ჯამში გრძნობისა და ცოდნის აბსოლუტური შერწყმა ანუ გადაკვეთა ერთ წერტილში? დიახ, ეს ხდება აბსოლუტური სრულყოფილების შემთხვევაში და ეს ახალ სინთეზურ ცნებას აყალიბებს. ეს არის ჰარმონიულობა ე. ი.

ჭეშმარიტება + სიყვარული = ჰარმონიულობას.



უკუსვლის შემთხვევაში კი, ჭეშმარიტება სიმცდარედ გადაიქცევა, ხოლო სიყვარული კი – შიშად. ეს იმპროვიზირებული თვითრეალიზაციის შემთხვევაში ხდება, როდესაც ცოცხალი არსების სურვილები და მათი ასრულების მცდელობები, რბილად რომ ვთქვათ, არ ემთხვევა სამყაროსა და კოსმოსის სურვილებს, მათ ინტერესებს და მათი ასრულების მცდელობებს, „ოქროს სპირალის“ მიმართულებასა და ტრაექტორიას. მარტივად რომ ვთქვათ, ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ჩემი სხეულის ნებისმიერმა ნაწილმა, მაგალითად, თითმა გადაწყვიტოს ცენტრალური ნერვული სისტემის მმართველ ორგანოს, ტვინს აღარ დაემორჩილოს და თავისი შეხედულებების შესაბამისად იმოქმედოს.

თვითრეალიზაციის პროცესს ამ წიგნის მეორე და მესამე თავებში განვიხილავ დაწვრილებით. ამჯერად კი, მოდით, ამ მოკლე მონახაზით შემოვიფარგლოთ.

სიყვარულისა და ჭეშმარიტების გადასახედიდან თუ შევხედავთ, კაცობრიობის მიერ ერთხმად და უცილობლად აღიარებული ფასეულობების ძირეული გადაფასება ხდება. აი, ახლა გეტყვით თუ რაში გამოიხატება ეს. შეცოდება ოფიციალურად და გამართულად ხმამაღლა აღიარებული ძვირფასი განძია კაცობრიობის დღევანდელი გაგებისა და შეხედულების გადასახედიდან. მე კი ამას

ასე გავშლიდი. თუ რაიმე ან ვინმე მეცოდება, ვთვლი, რომ ის რაღაც ან ვიღაც უსამართლობის ანუ დაუმსახურებლად განხორციელებულის ან დამსახურებულის არ განხორციელებულობის მსხვერპლი გახდა. მაგრამ ვინაიდან ყოველივეს ჭეშმარიტების კანონები და ამ კანონების ცოდნით „შეიარაღებული“ უფალი ღმერთი, უშუალოდ თუ ვინმეს ან რაიმეს საშუალებით, თავად განაგებს, უსამართლობის არსებობაზე ფიქრი, ლაპარაკი და ქმედებაში არსებობა უბრალოდ სისულელემდე დადის, ანუ უსამართლობა რეალურად არ არსებობს. მე კი, სხეულის ინტერესების გატარების მცდელობით გატაცებული, საკუთარ შეხედულებებს ჭეშმარიტებად ვასაღებ და საკუთარი გრძნობებით დაბრმავებული ყველაფერს, რაც არ მომეწონება უსამართლობას ვარქმევ. მე, რომელმაც ისიც კი არ ვიცი როგორ მოვაგვარო ურთიერთობები ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანებთან, რომ მათთან თუნდაც მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით სითბო, სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევდეს, ჩემს თავს იმ არსების გაკრიტიკების უფლებას ვაძლევ, რომელმაც ადამიანს არსებობის დასაბამიდან უპატრონა და წარმართა, რომელიც ყოველთვის ადამიანის არსებობის ჟამისა – წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც ასულდგმულებს და არჩენს უკლებლივ ყველა ადამიანს და ყველა ცოცხალ არსებას, რომლებიც მის კომპეტენციაში შედიან. თითქოს რა უბრალო რამ არის ეს შეცოდება და სადამდე კი მივყავართ. თვითონ სიტყვაც გელაპარაკებათ თუ მოუსმენთ, შ ე მ ე ც ო დ (ვ) ა , მე ამას კომენტარს აღარ გავუკეთებ.

მაშ ასე, შეცოდების შეგრძნების შესაბამისი რაოდენობის მცდარი ცოდნა ძევს ცოცხალ არსებაში. ჭეშმარიტი ცოდნის მომატების შემდეგ შეცოდების შეგრძნებაც მცირდება. ეს უკვე დიდი უპირატესობაა და თუ ცოცხალი არსება ამ უპირატესობის მატერიალიზაციის მცდელობით დაკავდება, სხვა ცოცხალ არსებათა სხეულების გამანდაგურებელი გახდება ყოველგვარი შინაგანი დისკომფორტის შეგრძნების გარეშე არც სხეულის განადგურებამდე, არც მისი განადგურების დროს და არც ამ განადგურების შემდეგ. ნუ შეგაძრწუნებთ ეს. ეს ემართება ცოცხალ არსებას, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის მიღებისთვის მზად არ არის. თუ ის თვითკმარი არ არის, ანუ არ კმარობს იმას, რაც ეძლევა, სავალალო დღეში ვარდება. იყავით კმაყოფილი იმით, რაც გაქვთ, იკმარეთ ის, რაც გეძლევათ და თუ თქვენ ჭეშმარიტი ცოდნის მიღების სურვილი გაგაჩნიათ, მერწმუნეთ, მიიღებთ მას. მისი მიღების შემდეგ კი

მოერიეთ საკუთარ მნიშვნელოვნების გრძნობას, დაიოკეთ თქვენი სურვილები, უარი თქვით იმპროვიზაციულ თვითრეალიზაციაზე და შემოიფარგლეთ იმის რეალიზაციით, რასაც გარემო გთხოვთ, ეს ღმერთის მიერ თქვენთვის მოცემული უფლებაცაა და ღმერთის მიერვე თქვენზე დაკისრებული მოვალეობაც. თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ გირჩევთ ჭეშმარიტების ძიებაში კირკიტს თავი დაანებოთ. თუ თქვენ საკუთარ ტვინში თუ გულში უსამართლობის გრძნობას ატარებთ, თქვენ მზად არა ხართ უფრო სრულყოფილი გახდეთ, ვიდრე ხართ. როგორც კი თქვენს თავს უფლებას მისცემთ ღმერთს თავი გაუტოლოთ, ველარაფერი გიხსნით გარდა სიკვდილისა, რათა გათავისუფლდეთ საკუთარ თავში მოძალებული არაეთიკური, ეგოისტური, ანგარებითი სურვილებისაგან. თქვენ თქვენი მიზნების მისაღწევად ჩადენილი ქმედებებისას ხომ უკვე ველარც გრძნობთ, როგორ სტკენთ სხვა თქვენნაირ არსებებს, ვის ხარჯზეც ეს თქვენი მატერიალური სურვილები გინდათ დაიკმაყოფილოთ. თუ მოინდომებთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას და აღიარებთ იმას, რომ თქვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ხართ სრულყოფილებისაგან და გააღვიძებთ სრულყოფისკენ სწრაფვის სურვილს, სურვილს – გახდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე ხართ, მთელი ეს კოშმარი დამთავრდება, რასაც თქვენ გარშემო ატრიალებთ. თქვენი სურვილი, თქვენი ძალაუფლების ქვეშ ამყოფოთ სხვები, არასწორია, რამეთუ ეს ამ სხვების კეთილი ნების იგნორირების ხარჯზე გსურთ. და თუ თქვენ მართლა უფრო მაღალი დონის (ჭეშმარიტი ცოდნის რაოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით) არსებად მიგაჩნიათ თავი, ვიდრე თქვენი გარშემო მყოფი არსებები არიან, მაშინ აბა სცადეთ და ისე მიაღწიეთ მათი მხრიდან თქვენს აღიარებას, რომ ამისათვის არანაირი აშკარა და შენიღბული ძალადობა არ გამოიყენოთ, ეცადეთ მართლა გახდეთ ისეთი იდეალურები, რისკენაც მართლა მიისწრაფვიან ცოცხალი არსებები. თქვენ არ ხართ ლოგიკას მოკლებული ადამიანი, თუნდაც იმიტომ რომ ამ ნაწერს კითხულობთ და მაშინ მარტივი ლოგიკის მიხედვით უნდა დამეთანხმოთ, რომ თქვენ მეტისმეტად აჩქარდით, როდესაც თავი ღმერთს გაუტოლეთ და თქვენს მიერ დაგეგმილ ყველანაირ მეცადინეობას სჯობს ახლავე, აქვე თავი დაანებოთ და ეცადოთ იმის უფლება მოიპოვოთ პირადად მამა ღმერთის მიერ იქნათ მის მსახურად აღიარებული. შემდგომში არავინ უწყის ვინ სადამდე მიაღწევს ამ მსახურების პროცესში, მაგრამ მე გეტყვით იმას, რომ მამა ღმერთის მხრიდან, თქვენ იდეალებთან, ჭეშმარიტებასთან, სიყვა-

რულთან და ჰარმონიულობასთან მეტნაკლები მიახლოების აღიარება, ერთადერთი გარანტიაა სრულყოფილებასთან მეტნაკლებად რეალური მიახლოებისა.

მაგრამ ეს ყოველივე მორალის კითხვას რომ არ დაემსგავსოს, კოსმიური კანონების კოდექსის ძირითად ნაწილებად დაყოფას ვცდი, რომლებიც უზენაესია თვით კოდექსის, კანონების შემქმნელის ჩათვლითაც კი. ჩემი შეხედულებით, ისინი სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს.

I კანონების დარღვეული ნაწილით ცხოვრების დროს მომქმედი კანონმდებლობის მოქმედების შემთხვევა, რომლის გარეგნულ რეალურ გამოხატულებასაც მთელ მატერიალურ სამყაროში გამოვლენილი ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც ცდილობს მოქმედი კონსტანტური კანონების იმპროვიზაციულად ალტერნატიული კანონებით შეცვლას. ამას ძირითადად მოაზროვნე ცოცხალი არსებები ახდენენ (რომელთა ერთ-ერთ სახეობასაც ადამიანი წარმოადგენს) საკუთარი აზრებით ანუ შეხედულებებით ვნების, დაზიანების მოტანის საშუალებებით, საკუთარი აზრებისა და შეხედულებების უპირატესობის დასამტკიცებლად არსებულ მომქმედ ბუნებრივ კანონებთან და აზრებთან შედარებით. ეს ალბათ ერთადერთი საშუალებაა ევოლუციის სწორ მიმართულებაზე დაბრუნებისთვის იმ ცოცხალ არსებათათვის ანუ ინდივიდუალურ სულთათვის, რომელთაც საკუთარი შეხედულების უპირატესობის შეგრძნების „ჭია“ შეუჯდათ.

II კოსმიური კანონების დოგმირებული ნაწილის დაცვა და არ დარღვევის მცდელობით ცხოვრება. ეს ყველა ცოცხალ არსებას შეიძლება ეხებოდეს, ადამიანისა ანუ მოაზროვნე ცოცხალი არსებების ჩათვლით. იმ განსხვავებით, რომ არამოაზროვნე ცოცხალი არსებები ანუ ჭამის, უსაფრთხოების ძიებასა და გამრავლების სურვილს მიჯაჭვული ცოცხალი არსებები ინსტიქტებით, უპირობო რეფლექსებით ინსტიქტურად იცავენ კოსმიურ კანონებს, ხოლო მოაზროვნენი, ანუ ამ სამი ჩამოთვლილის იქით გასული არსებები, საკუთარი შეხედულებების მიერ შექმნილი სპეკულაციური აზრების კოსმიურ კანონებთან შეთავსებას და მათზე დაქვემდებარებას ცდილობენ პირობითი რეფლექსების მოცილების საშუალებით. ერთი საკუთარ თავში მყარად ჩაბუდებული ჩვევაც რომ შეცვალოს მოაზროვნე ცოცხალმა არსებამ, პირობითი რეფლექსები აუცილებლად განიცდის ცვლილებას. პირობითი რეფლექსების სრულად მოხსნის შემთხვევაში, მოაზროვნე ცოცხალი არსება

სრულად გათავისუფლდება საკუთარი აზრებისა და შეხედულებების მიერ დათესილი ვნებისაგან ანუ ზიანის მოტანისაგან გარემოსთვის (ანუ საკუთარი თავისთვის).

III კოსმიური კანონების იმ ნაწილის შესწავლა და იმ ნაწილით ცხოვრება, რამაც ჩამოუყალიბა ცოცხალ არსებას ანუ ინდივიდუალურ სულს უპირობო რეფლექსები. ეს ეხება ძირითადად მოაზროვნე ინდივიდუალურ სულებს, რომლებიც ევოლუციის გზის ჭეშმარიტად სწორი მიმართულების გაყოლას შეძლებენ, აგრეთვე არამოაზროვნე ინდივიდუალური სულების ევოლუციის გზის რაობას, სადაც ევოლუცია ანუ სრულყოფა საკუთარი ნების გამოვლინებითა და დაფიქსირებით კი არ ხდება, არამედ მოვლენების ბუნებრივი სვლის საშუალებით, რომელსაც თავად კანონშემომქმედი და კანონაღმასრულებელი უძღვებიან. მოაზროვნეთა შემთხვევაში კი აზრით ვნება საკუთარი თავის შემეცნების („მე“-ს შეცნობის) პროცესით იცვლება და ეს იქამდე გრძელდება, ვიდრე ეთიკური დონე ჰარმონიულობის პარამეტრს არ დააკმაყოფილებს.

ყოველივე ამის შემდეგ ცოცხალი არსება უფლებამოსილია შინ სულიერ სამყაროში დაბრუნდეს და იქ განაგრძოს თავისი ცხოვრება, მაგრამ თუ მისი მხრიდან იქნება სურვილი ჭეშმარიტების ცოდნის გაღრმავებისა, მაშინ ეს პროცესი ხელახლა განმეორდება. სხვათაშორის ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები სრული 100%-ით არის დაცული. სამყაროს კანონები ყველაფერს ზედმიწევნით მოიცავს. სულიერ სამყაროში ვერავინ შევა, თუ ეთიკური დონე ჰარმონიული არ არის, ხოლო ჭეშმარიტი ცოდნა ვერ გაიზრდება, თუ ცოცხალი არსება მატერიალურ ან სულიერ სამყაროში არ რეალიზდება საკუთარი შეხედულებების ცოცხალ გარემოში შესაფასებლად. ნებისმიერი სურვილი თვითრეალიზაციის მცდელობას წარმოადგენს. თუ ყველაფერი მაკმაყოფილებს, სურვილიც არ გამიჩნდება და სულიერ სამყაროში თუ გამიჩნდა რაიმე სურვილი ე. ი. მინდა განსხვავებული სხვა რამ, ვიდრე სულიერი სამყაროს განმგებლისა და სულიერი სამყაროს კანონების შესაბამისად მეძლევა. თუ ეს სურვილი ვერ დავიკმაყოფილე (თუ ის სულიერი სამყაროსთვის მიუღებელია), ჩნდება შინაგანი პროტესტის, დაპირისპირების, უსამართლობის შეგრძნება და აი, ამ სურვილის განსახორციელებლად, ამავე სურვილის შესაბამის გარემოში ხდება ინდივიდუალური სულის წარგზავნა. ვინაიდან გარემო პირობებს ყოველთვის სჭირდება ამ გარემოსთან ადაპტირებადი გარე სხეული, ცოცხალ არსებას ეძლევა მატერიალური სხეული, რო-

მელშიც ის ცხოვრობს, ვიდრე სხეული არ განადგურდება. ეს რაღაცით კოსმოსურ კამუფლიაჟს, სპეცტანსაცმელს მაგონებს. ინდივიდუალური სული ჩაკრალური ცენტრების საშუალებით მართავს მას. მაგრამ ეს უნიკალური მოწყობილობაა, რომელსაც გარკვეულ საზღვრებამდე ზრდა, განვითარება, რეგენერაცია შეუძლია. ინდივიდუალური სული ლაპარაკობს, დადის, წევს და ა. შ.. მხოლოდ სხეულის, მატერიალური სხეულის საშუალებით ხდება ეს ყოველივე და 99,9%-ის შემთხვევაში სხეული აღიქმება „მე"-დ, ანუ საკუთარ თავად და მისი ინტერესები ხდება წამყვანი, რომლებიც შედეგად პირობით რეფლექსებს ქმნიან, ხოლო მიზეზი მოვლინებისა, სხეულის შეძენისა, სულის ინტერესები, ანუ ე. წ. უპირობო რეფლექსები, მეორე პლანზე გადადის და ძალიან, ძალიან ხშირ შემთხვევაში კი, საბოლოოდ იკარგება.

დრო
დროის პარამეტრის ასახვა ჩემს სიღრმეში

რა ფასეულობებს მოიცავს ე. წ. წარსულად, აწმყოდ და მომავლად მონათლული დროის ვექტორები და როგორ შევძლო ამ ილუზიური წარმოსახვის სწორი მიმართულებით მართვა?

დიახ, მე ვფიქრობ, აქ არის გასაღები აბსოლუტურად ყველა დაკეტილი კარებისა, რომელიც ცოცხალი არსების ანუ ინდივიდუალური სულების უპირობო რეფლექსების სახით ახდენს გამოვლინებას. ამრიგად თავი დავანებოთ პრობლემებს, რომელსაც თავად უქმნის თავის თავს ინდივიდუალური სული სხეულში „ჩასახლების" შემდეგ, სხეულზე მიჯაჭვების შედეგად (ეგრეთ წოდებულ ხელოვნურ პრობლემებს) და, მოდით, პირდაპირ ბუნებრივ პრობლემებს მივხედოთ, რომელთა გამოც მიეცა კონკრეტულ მატერიალურ პლანეტაზე კონკრეტულ მატერიალურ სხეულში „ჩასახლების" შესაძლებლობა. მოდით, კიდევ ერთხელ გავმეორდები – თუ ინდივიდუალურ სულს მიაჩნია, რომ მას ეს ცალსახად მხოლოდ მატერიალური თვითრეალიზაციისთვის მიეცა და არავითარი სულიერი წინსვლის გამოსაყენებლად, რაღა თქმა უნდა, მასთან რაიმე ბუნებრივ პრობლემებზე ლაპარაკი უბრალოდ უაზრობაა, ისე რომ, დიდი რაოდენობის მკითხველთა სკეპტიციზმი და, ალბათ ცინიზმიც კი, სრულიად ბუნებრივი იქნება.

<u>რა არის დრო?</u>

ზოგიერთისათვის დრო საათის მოძრაობის მაჩვენებელია და ისინი საათის მეშვეობით ორიენტირდებიან და ცხოვრებასაც საა-

თის ციფერბლატზე ამოტვიფრული ციფრების მიხედვით აწყობენ, დროს ანაწილებენ და ძალიან ხშირად გაიგონებთ მათგან, რომ დრო არ ჰყოფნით. სინამდვილეში საათია დროის მოქმედების მაჩვენებელი და ამ შემთხვევაში დრო უძვირფასესი რამ ხდება.

ზოგიერთისთვის დრო დღე-ღამის ურთიერთცვალებადობის ამსახველი პარამეტრია, მაგრამ დღე ხომ მხოლოდ იმიტომ დგება, რომ დედამიწის ის ნაწილია მზისკენ მოქცეული, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და ღამე კი მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწის ის ნაწილი მზისგან მოფარებულია თავისივე ნახევარსფეროთი, სადაც ჩვენ ვართ. მათთვის, ვინც ამით ხელმძღვანელობს, დრო ყოველთვის ზედმეტი რჩება და ყოველთვის ერთი პრობლემა უდგათ, რაში „მოკლან“ იგი. მათ ერთი წამითაც რომ წარმოიდგინონ, რა იქნებოდა რომ დედამიწის მაგიერ მზეზე ყოფილიყვნენ, მაშინ მიხვდებოდნენ, რომ იქ ღამე ვერ იქნება. ან პლანეტა ურანზე რომ მოხვედრილიყვნენ, რომლის ერთ ნაწილში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზე ვერ ატანს, ნახავდნენ, რომ დღე არ არსებობს.

ზოგიერთისთვის კი – დრო მატერიალური სხეულის ზრდით, ზრდასრულობის მიღწევით, ზრდის უკუპროცესით, სიბერითა და სიკვდილით იზომება, მაგრამ აქაც არაერთგვაროვანი შემთხვევებია, როდესაც ვიღაც უფრო მალე იზრდება, ვიღაც კი უფრო ნელა, ვიღაც უფრო მალე ბერდება, ვიღაც კი გაცილებით უფრო გვიან, ვიღაც ავადმყოფობითა და უბედური შემთხვევებით კვდება, ვიღაც კი სრულიად ჯანმრთელი და ბედნიერი ამთავრებს ამქვეყნიურ დედამიწისეულ სიცოცხლეს. თუ მოინდომებს ადამიანი მიხვდება, რომ დროის საზომ ერთეულად და ორიენტირად ადამიანის ასაკობრივი პარამეტრი ვერ გამოდგება. თუმც უნდა ითქვას, რომ წინა ორ შემთხვევას ბევრად აღემატება, რამეთუ ხელმძღვანელობა ხდება ინდივიდუალური სულის გარე გარსის, კოსმიური „კოსტუმის“ მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ თუ ინდივიდუალური სული მთელს თავის ყურადღებას „კოსტუმის“ მდგომარეობაზე გადაიტანს (რა ტენდენციაც არის დღესდღეისობით აშკარად და დაუფარავად), საკუთარი თავის რაობა დაავიწყდება და ამ „კოსმიურ კოსტუმს“ დაარქმევს თავის თავს. სინამდვილეში ეს ე. წ. „კოსმიური კოსტუმის“ ანუ მატერიალური სხეულის მდგომარეობა ინდივიდუალური სულის რეალურ მდგომარეობას გამოხატავს არაინდივიდუალურ ანუ ზოგად, მთლიან კოსმიურ ორგანიზმთან მიმართებაში და „კოსმიური კოსტუმის“ ხელოვნური გადაკეთება ვერაფერი ბედენაა და ვერ დაეხმარება ინდივიდუალური სულის არასწორ

ორიენტაციას, რომ აღარა ვთქვათ ის, რომ ინდივიდუალური სულის სიჯიუტე, რომელიც მიენიშნება სხეულის ე. წ. ანომალიებით და ერთგვარ დასჯად აღიქმება სუბიექტური აზროვნების მხრიდან, თითქოს ერთგვარ დაიმედებას, გამართლებას და ინერციის არასწორობაში არ გამოტეხვის შანსს პოულობს, კოსმოსის მიერ მინიშნებულის ხელოვნური გზით აღდგენით, ანუ ამ ნიშნების წაშლით და ფაქტიურად კოსმოსის იგნორირებით, პოზიციით – „არაფერი არ მესმის და ვერაფერს ვერ ვამჩნევ, ყველაფერი გადასარევადაა ხა-ხა-ხა“, წარმოშობს და აღაზევებს ცინიზმს.

მაშ, რითი უნდა იზომებოდეს დრო და მართლაც, რა არის დრო? დედამიწისეული საზომებით დრო იყოფა სამ ფაზად: წარსული, აწმყო და მომავალი. სინამდვილეში ეს მხოლოდ მატერიალიზებული ცოცხალი არსების ილუზიაა და დრო ერთი მთლიანია. რა თქმა უნდა, თუ მას გავამთლიანებთ. ინდივიდუალური სული მხოლოდ იმიტომ მატერიალიზირდება, რომ გარკვეული ფასეულობების გამა არასწორად აქვს შეფასებული და მას ინდივიდუალურად რეალიზაციის შესაძლებლობა ეძლევა ყველა ფასეულობის სწორად შეფასებული გამის მქონე ცოცხალი არსების მიერ. მატერიაზაციის შემდეგ კი ყველა სხვა დანარჩენი ფასეულობის შესახებ (სწორად აღქმულის შესახებ) ცოდნა ერთმევა დროებით დავიწყების საშუალებით, რამეთუ ჭეშმარიტი ცოდნა დიდი ძალაა და არ არის სასურველი მცდარი შეხედულებების რეალიზაციის მცდელობაში თავისი ძალა გამოიყენოს. მატერიალიზირდება ისეთ გარემოში, სადაც დაახლოებით ისეთივე შეხედულებების ცოცხალი არსებები არიან მატერიალიზირებულნი. ამ ტერიტორიაზე ყოველთვის არსებობს დოგმები და მორალური კანონები, რომელთა მიყოლის და შეგრძნების საშუალებით სრულიად შესაძლებელი იქნებოდა გამრუდებული შეხედულებების გასწორება და, რაღა თქმა უნდა, არსებობს ამ დოგმების და კანონების ალტერნატიული უამრავი ვარიაციები, რომლებიც კოსმოსიდან ჩამოტანილი შეხედულებების რეალიზაციის სერიოზულ პროვოცირებას იწვევს. მაგრამ, ხანდახან არსებობს პროვოცირება, რომელიც ყველა ფასეულობების სწორად შეფასებული გამის მქონე ცოცხალი არსების მიერ ეძლევა მატერიალიზებულ ინდივიდუალურ სულს. ეს ძირითადად მათ, ვინც დოგმებსა და მორალურ კანონებს სერიოზულად უდგება, როგორც ცხოვრების სტილს, ისე მიჰყვება და თუკი ეჯაჭვება, პროვოცირება აუცილებელი ხდება.

უპირობო რეფლექსები არის ცოცხალ არსებაში არსებული ფასეულობების იმ რაოდენობის შესაბამისი, რომლებიც არასწორად არიან შეფასებულნი. პირობითი რეფლექსები არის ცოცხალი არსებების მიერ მატერიალიზაციის შემდეგ შექმნილი არასწორად გადაფასებული ფასეულობების შესაბამისი რაოდენობისა, რომლებიც კოსმოსიდან ჩამოტანილი არასწორად შეფასებული ფასეულობების საფუძველზე შეიქმნენ.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცოცხალი არსებების მატერიალიზაციის სტრატეგიულად გადამწყვეტი აზრი და მიზანი უნდა იყოს იმ ფასეულობათა გადაფასება ანუ გადახედვა და სწორად შეფასება, რომლებიც უპირობო რეფლექსების სახით ავლენენ თავის თავს... მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, საჭიროა არასწორი ორიენტაციის რაიმენაირი სახით კონტროლი, რათა ინდივიდუალურმა სულმა ის ერთადერთი სწორი მიმართულება იპოვოს და არა სხვა რაოდენობის არასწორს გაჰყვეს. ამისათვის მასში კოდირებულია სირცხვილის გრძნობა, როგორც შუქნიშანი ან ლაკმუსის ქაღალდი. ეს გრძნობა სინდისის ინსტრუმენტია. სინდისის არ წაბილწვა კი სწორი მიმართულების პოვნამდე დოგმებისა და მორალური კანონების დაცვის საშუალებითაა მხოლოდ შესაძლებელი. ანუ, რანაირი პროვოცირებაც ან ხიბლიც არ უნდა შეგვიჯდეს, არაფრის გულისთვის არ უნდა დაირღვეს ისინი. სადაც დოგმები და მორალური კანონები ირღვევა, ხდება სინდისის იგნორირება, სირცხვილის დაკარგვა და ერთგვარ უსირცხვილობაში გადასვლა, რომელიც ჩასახავს შიშს. ხოლო სწორი გზის მიგნების შემთხვევაში კი, ხდება ერთგვარი ნათელის მოფენა გონებაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება დოგმების არსის და რაობის ახსნა ე.ი. არასწორად შეფასებულ ფასეულობათა გასწორება, შემდგომ კი ხდება სირცხვილის მოცილება მისი საჭიროების აღარ ქონის გამო. მის ნაცვლად ადგილს იკავებს ბუნებრივი უშუალობის შეგრძნება, ხოლო ამ დიაპაზონში სინდისის ნაცვლად ადგილს იკავებს გულწრფელი სიყვარული, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.

რანაირად აისახება ეს ყოველივე დროში? მოვიყვან ძალიან უხეშ შედარებას. წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ მოინდომოს საათის ისეთი მექანიზმის აწყობა, რომელიც სხვა სიხშირით, სისწრაფითა და ინტენსივობით მუშაობდეს ან ისრები საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდნენ, აეწყოს ამ სვლაზე და აწ არსებულის იგნორირებას შეეცადოს და სხვასაც შესთავაზოს (ან უფრო უარესი –

აიძულოს ასე ქნას). აი, დაახლოებით ასე გამოიყურება ნებისმიერი ცოცხალი არსება და ინდივიდუალური სული, რომელიც მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესებს (ევოლუციის უზენაესობას) ჯერ აღარ აფასებს, შემდეგ – აღარ უსმენს, შემდეგ – მის იგნორირებას იწყებს და ბოლოს – საკუთარი შეხედულებების შესაბამისად მათ გადასხვაფერებასა და ალტერნატივებით ჩანაცვლებას ცდილობს. არის სამი დროის ფორმა: მომავალი, აწმყო და წარსული.

<u>რა არის მომავალი?</u> აი, სწორედ ეს არის ევოლუციის, უკეთესობისკენ სწრაფვის უზენაესობის, იდეალიზმისკენ სწრაფვის ამსახველი ცნება, ასე ვთქვათ, დროის ენაზე. სწორედ ის წარმოადგენს მიზანს ცოცხალი არსებების აღქმაში და სწორედ ის ხდება საბაბი მატერიალური სამყაროს გამოვლინების შექმნის აუცილებლობისა, რამეთუ ცოცხალი არსებების ის ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტად საუკეთესო წინსვლის ვარიანტს არ ეთანხმება, საჭირო ხდება მისთვის თვითგამოვლინების მიცემის საშუალება პარალელურად, მხოლოდ ძირითადთან უშუალოდ არ შეხებაში ყოფნით. როგორც ხვდებით ეს ნაწილი საკმაოდ დიდია და საკმაოდ მრავალფეროვანი. ალტერნატივები ხომ ბევრია, ძირითადი კი მხოლოდ ერთი.

<u>რა არის აწმყო?</u> დროის ენაზე ეს არის საკუთარი შეხედულებების რეალიზაციის ამსახველი ცნება. ის წარმოადგენს მიზეზს ყველაფერი იმისა, რისთვისაც ხდება, რისთვისაც იხარჯება ყველა ცოცხალი არსება. ეს რაღაცით ჰგავს რაღაცა სახით ერთგვარი გამოცდის ჩაბარებას, რისთვისაც დიდი ხანი ხდებოდა მზადება. თუ მზადებისას არასწორი სახელმძღვანელოებით ხელმძღვანელობთ, გამოცდაზეც ხომ მის არსს გადმოსცემთ, მაგრამ ამ მზადების პროცესში ეს ცნობიერება იმდენად ერთადერთ ჭეშამრიტ ვარიანტად აღიქმება, რომ ეჭვის შეპარვა მის არასწორობაში ვინმეს მხრიდან უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს. აწმყო რეალობას უნდა გადმოსცემდეს. მაგრამ ეს მხოლოდ სულიერ სამყაროში ხდება, სადაც „სახელმძღვანელოები“ საუკუთესო ვარიანტებზეა აგებული, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ სამყაროს აქ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მთელი გამოვლენილი აწმყო ილუზიურია და მატერიალური სამყაროს წარმომადგენელთა მხრიდან აბსოლუტურ რეალობად საღდება, მაგრამ ის რეალური შედეგია ალტერნატიული შეხედულებებისა სრულყოფილებისკენ, უკეთესობისკენ სწრაფვის შესახებ. ძირითადად განსხვავება, ვფიქრობ, ერთი ფასეულობით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, ილუზი-

ურში ანუ აბსოლუტურობის ენაზე რომ არ ვილაპარაკოთ, შედარებით უფრო ილუზიურში, რომელიც მატერიალურ სამყაროში სჭარბობს, უფრო მეტი რომანტიზმის ფონი აქვს სასურველ მომავალს მიცემული, ვიდრე გაცილებით უფრო მცირე ილუზიურ რეალობაში, რომელიც სულიერ სამყაროში არსებობს და რომანტიზმიც იქ გაცილებით უფრო მეტად სუფევს, ვიდრე მატერიალურ სამყაროში. სურვილი, სასურველი ოცნება შეახამო რეალურ შესაძლო გამოვლინებასთან, დიდ წინდახედულობასა და სიღრმეს მოითხოვს, რომელიც, ვგონებ, მხოლოდ მოთმინებით შეიარაღებულ ცოცხალ არსებას შეუძლია განახორციელოს. სულსწრაფები მოთმინებით ვერ გამოირჩევიან, ეს უფრო სულგრძელებს ახასიათებთ. ასე რომ, ზემოთხსენებული ფასეულობა, როგორც საზომი, გამოდის <u>მოთმინება</u>.

და ბოლოს, <u>რა არის წარსული</u>? ეს არის საშუალება იმისა, რის მიხედვითაც არის შესაძლებელი წინდახედულობა და სიღრმეში ჩაწვდომა. ეს არის რეალური ბაზისი იმისა, რაზეც უნდა აიგოს მომავალი. რაც უფრო დაუმახინჯებელი და არასუბიექტურია (რეალურია) წარსულის აღქმა, მით უფრო დიდია ალბათობა და შესაძლებლობა მომავლის სწორი მიმართულებით წარმართვისა. წარსული არის რაიმეს უკვე გამოვლინებულის გამოხატულების აღმნიშვნელი დროის ფორმა და პრინციპში, შეიძლება ითქვას (უხეშად თუ შევხედავთ), მატერიალიზმის ცნების გამოვლინებას წარმოადგენს. სულიერ სამყაროში მატერიალიზმი გამოვლინდება წარსულის ცოდნის, მეხსიერების სიღრმით, ინტელექტუალიზმის სახით. რაც უფრო დიდია და ღრმაა წარსულში წვდომის უნარი, მით უფრო დიდი და ღრმაა მომავალში წვდომის უნარი. ასე ვთქვათ, დროის სამივე ფორმა ერთდროულად ერთ წერტილში იყრის თავს და დროის განშტოება საჭირო აღარ არის. მატერიალური სამყაროს ენაზე რომ ვთქვათ, დრო აღარ არსებობს, რამეთუ მასში დროის გამოვლინება მატერიალური ინდივიდუალური სხეულის დაბადება-სიკვდილის პარამეტრებით არ იანგარიშება. რაც შეეხება მატერიალურ სამყაროში წარსულის რაობას, ინდივიდუალურ სულებს ძირითადად ისეთი ეპიზოდების თუ მოვლენების მეხსიერული აღქმა ეძლევათ, რომელთა შესაბამისი ფასეულობებიც აქვთ გასასწორებელი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სულის მიერ მატერიალურ ცხოვრებაში განვლილი წარსული მოვლენების ინტელექტუალური გადაფასება (ანუ ფასეულობების

ენაზე – დაკომპლექტებული და მოვლინებამდე მცდარად აღქმულის ჭეშმარიტებად გადაქცეული ცოდნა) არის ერთადერთი ჭეშმარიტი მატერიალური სიმდიდრე, რომელსაც იგი თან წაიღებს სხეულის დატოვების შემდეგ. ხოლო ვერაღქმის ან ერთი მცდარი ვარიანტიდან მეორე მცდარ ვარიანტზე მიწებების შემთხვევაში კი ხდება უბრალოდ მეხსიერების დაბლოკვა, დახშობა, შეზღუდვა, რასაც, ვგონებ, ე. წ. „სკლეროზს“ უწოდებენ ადამიანები.

რაც შეეხება პლანეტა დედამიწაზე არსებობის პერიოდს. ეს არის მიკრომაკეტი საკუთარი თავის გამოსაცდელად. ადამიანის შემთხვევაში, ვინც დედამიწისეული დონისთვის ჭეშმარიტების სიღრმეს ვერ ჩასწვდება, იმ ინდივიდუალური სულისათვის ძალიან ძნელი იქნება სულიერ სამყაროში გადასვლაზე ფიქრი. მე ვფიქრობ, მკითხველისთვის ეს სასაცილოდ გაისმება, მაგრამ მაქვს იმედი რომ მოვა დრო, როცა ამის წაკითხვაზე აღარ გაიცინებენ.

ვინც სულიერადაა მდიდარი მხოლოდ მისთვის შეიძლება მატერიალური სიმდიდრის კანონიერად მინიჭება და წარსულის, მეხსიერებისა და ინტელექტუალიზმის როლი ნამდვილად გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

აი, ძალიან მოკლედ, შეიძლება ითქვას, დროის ფაქტორის ახსნის მცდელობა, რომელშიც ყველა დაკეტილი კარების გასაღები ინახება.

რაც შეეხება დროის გამოვლინებას იქ, სადაც ასე ვთქვათ, ეს დრო თავისი ყველანაირი ფორმით იქმნება, ანუ სულიერ სამყაროში, იქ არ არის ფარდობითობა დროის უფრო მაღალ პარამეტრალურ განზომილებებთან. იქ არ არის ინფორმაციული შიმშილი და თვითგამოვლინების წყურვილი, იქ არ არის საკუთარი მნიშვნელოვნების როგორღაც გამოვლინებაზე დარდი და საკუთარი უპირატესობის გამოვლინებით გამოწვეული ეიფორია (ილუზია), იქ არ არის საკუთარი ძალადობით და თავზე მოხვევის მცდელობით გამოწვეული სიბერე და საკუთარი სიჯიუტითა და გართობის მცდელობით (დროის მოკვლის მცდელობით) გამოწვეული სიკვდილი. იქ არის ის, რაც ყოველთვის იყო, არის და იქნება. იქ არის ის, რასაც სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სიწმინდე, სარწმუნოება, მყუდროება და მოთმინება მოიცავენ.

წმინდათაწმინდების ავტორიტეტული შეხედულებები დროის შესახებ

იესო ქრისტეს მხრიდან გაცხადება იმისა, რომ ის სოლომონის, დავითის და უსასრულოდ საწყისი დროიდან იყო, არის და იქნება უკუნითი უკუნისამდე.

ბუდას მეხსიერების შესახებ

ყველა წინადაბადებები გავიდნენ საკუთარი თვალების წინ, როდესაც მან გაიხსენა ისინი: დაბადებების ადგილი, სახელი და ასე ყველა დაბადება მის ბოლო დაბადებამდე. მან იცოდა ყველა თავისი დაბადება და ყველა თავისი სიკვდილი – ასობით, ათასობით და ა. შ.

აშვაგხაშა. ბუდას ცხოვრება

ბჰაგავატ-გიტას მეოთხე თავში კრშნა ამცნობს არჯუნას, რომ ისიც და არჯუნაც მრავალჯერ გამოჩენილან მატერიალურ სამყაროში, მაგრამ ყველა ამგვარი მოქმედება – წარსულში, აწმყოში და მომავალში მხოლოდ მას ახსოვს.

იმისათვის, რომ მიიღო ჭეშმარიტი ცოდნა, საჭიროა დაინახო ღვთის მიერ განჭვრეტილი მომავალი. იმისათვის, რომ დაინახო მომავალი, საჭიროა დაინახო საკუთარი წარსული ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ დაინახო წარსული, საჭიროა მიიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა, შეიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება.

I თავის მეორე ნაწილი

შეცნობილი ჭეშმარიტებისა და შეგრძნობილი
სიყვარულის განხორციელება საკუთარი მატერიალური
სხეულის არსებობის პერიოდში

სივრცე
სივრცის პარამეტრის ასახვა ჩემს სიღრმეში

რას მოიაზრებს ე. წ. აღმოსავლეთად, დასავლეთად, ჩრდილოეთად და სამხრეთად მონათლული სივრცის განმსაზღვრელი პარამეტრები. სივრცის ცნებასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ აქ არის ყველასათვის საჭირო კარებები, რომელთაც უნდა მოვარგოთ ზემოთხსენებული გასაღები, თუ ვიპოვით მას. გასაღების საბოლოო დანიშნულება ხომ საკეტის გახსნაა, რომელიც კარებს გაღების ან დაკეტვის საშუალებას აძლევს.

სივრცე, ვიზუალური თვალთახედვით, ბირთვული ბუნებისაა და არა სიბრყტულად წრიული ბუნების. ეს იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჩვეულებრივად აღქმული კომპასური ცნობიერება, მე პირადად, არ მიმაჩნია რეალურად და მართებულად. რეალური მდგომარეობა, ჩემი სუბიექტური შეხედულებით, დაახლოებით ასეთი სახისაა, სადაც ზევით, ქვევით, მაღლა და დაბლა, ან მარჯვნივ და მარცხნივ რეალურად ცალსახად არ არსებობს და ეს ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ სივრცის რომელიმე წერტილიდან გამომდინარე იძენს აზრს.

<u>რა არის სივრცე?</u>

მოდით სივრცის ბიბლიისეული ახსნა ვნახოთ: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულებზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ...

...ასეთი იყო ცისა და მიწის დაბადება მათი შექმნისას, როცა ქმნიდა უფალი ღმერთი მიწას და ცას“.

ანუ ვიდრე არ არსებობს რაიმე იდეა, ვერ იარსებებს იდეის განხორციელების სურვილიც, ე. ი. ადგილი არა აქვს არანაირ შიდა ქმედებას. ამ პირობებში სივრცე უცილობლად არსებობს, მაგრამ

ამ სივრცის საზღვრებში არ არსებობს „სიცოცხლე“, ანუ ფარდობითობის, შედარებითობის ენაზე რომ ვთქვათ, „არაფერი არ არსებობს“. საკუთარი არსებობის შესახებ იცის მხოლოდ სივრცემ, როგორც ერთიანმა „მე“-მ და სივრცის ცნობიერებაზე უფრო მაღალი ცნობიერების მქონე სუბიექტებმა. სწორედ ამ სუბიექტების მხრიდან ხდება საკუთარ თავში „ჩაკეტილი“ სივრცის პროვოცირება რაიმენაირი სიამოვნების მონდომებინების სახით, რაც მიზნად სივრცის მიერ გაიდეალიზირებული ცნობიერების უკეთესობისკენ სწრაფვის მცდელობით შეცვლას ისახავს. აუცილებლად ვთვლი აღინიშნოს ის, რომ მაპროვოცირებელი სუბიექტი იმ ცოდნას, რომლის შეწვდომის მონდომებინებასაც ცდილობს, თვითონაც მხოლოდ თეორიულ ანუ წარმოსახვით დონეზე ფლობს. მაშასადამე, ინიციატივა დროის განმგებლის მხრიდან მომდინარეობს. სივრცის განმგებლის მხრიდან კი ინერტულობა მომდინარეობს, ასე ვთქვათ, შენარჩუნების, უფრო უმოქმედობისაკენ სწრაფვის მცდელობა. ისინი ისე ავსებენ ერთმანეთს, როგორც რძე და თაფლი (გონება და გრძნობა). ფიზიკის ენაზე რომ გამოვხატოთ, ასეთი რამ იქნება: ინიციატივა, დროითი პარამეტრის განმგებლის მხრიდან, სივრცის ახალი, აქამდე უცნობი ორბიტების შეცნობისკენაა მიდრეკილი და ურთიერთქმედების შემდეგ შეცნობილი თეორიული



ცოდნის განხორციელებას ახდენს პრაქტიკულ მატერიალიზირებულ დონეზე, ხოლო სივრცის განმგებელი მხარე ამ თეორიული ცოდნის წარმოჩინებამდე არსებული ჰარმონიულობის არ დარღვევაზე ზრუნავს. ანუ თუ რაიმე უნდა შეიცვალოს სივრცის შეცნობილი ნაწილის ყველა მცირე თუ დიდმა შემდგენელმა სუბსტანციამ, ნებაყოფილობით უნდა მოინდომოს ეს. აი, ეს არის მიზეზი ინერტულობისა. აი, ასე წარმოიქმნება ის ტრაექტორია, რომელსაც ოქროს სპირალი დაერქვა, ანუ ევოლუციის იდეალური ბუნებრივი სვლის რეალური ვიზუალური ტრაექტორია.

Кто переоценивает достигнутое зорожается страстю, которую тшательно стремится скрывать.

стыд-страх

Кто недооценивает достигнутое заражается умазрительностю, которую страстно стремится навязать.

совесть-
сомнение

Недооценивающий и переоценивающий слившись в унисон полностю могут достичь абсолютную гармонию.

Чтобы достичь желаемое надо дооценивать достигнутое.

Кто не переоценивает достигнутое, становится желаемим для всех и для всего.

რატომ რუსულად? იმიტომ, რომ ასე ღრმად და ლაკონურად ქართულად ვერ გამოვხატავდი იმას, რაც აქ ჩაეტია.

Переоценка – ზედმეტად გადაფასება ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ წარსულში მომხდარ ანუ უკვე შედეგობრივ მატერიალურ ფასეულობებს მომავალში მოსახდენ მოვლენებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ. მოკლედ – ემოცია.

Недооценка – ჯეროვნად არ შეფასება, მომავალში მოსალოდნელი მოვლენებისთვის უპირატესობის მინიჭება, წარსულში მომხდარის არ გათვალისწინებით, ერთგვარი იგნორირებით, დავიწყებით. მოკლედ – ამბიცია.

<u>რა არის აღმოსავლეთი</u>? მე შევეცდები ამ ცნობიერების არა ავტომატური მიმართულებითი ხედვით დანახვას, არამედ მისი შიდა არსობრივი, ფუნქციონალური არსის წვდომას. ამ სიტყვის დატვირთვა ჩემს აღქმაში ზევით (არა ვერტიკალურად არამედ დახრილ ზედაპირზე) აღმართზე, აღმა სავლეთს, აღმა სასიარულო გზას მოიცავს. ალბათ არ იქნება არასწორად ან ძნელად აღსაქმელი თუ ვიტყვი, რომ ეს სიტყვა პირდაპირ შეესატყვისება მამაკაცური საწყისის ფუნქციონალურ ასპექტს, ანუ იმას, თუ რა ფუნქციონალური დატვირთვა აკისრია რეალურად მამრ სქესად მოვლინებულ ცოცხალ არსებებს. თითქოს მეორდებასავით ის, რაც მომავალის ცნობიერ განხილვაში იყო მოყვანილი. დიახ, წინსვლის ტენდენცია ნამდვილად მეორდება, მაგრამ ერთი სერიოზული განსხვავებით – იქ ყველაფერი თეორიული, წარმოსახული, მხოლოდ საკუთარ თავში არსებული, არარეალიზებული სახით არის. აქ კი, აღმოსავლეთის ცნებაში თეორიულის, წარმოსახულის, ჯერ არ არსებულის რეალიზაციის შესაძლებლობების მცდელობაა, როგორც საკუთარი შრომის ფასად მოპოვებული უფლება და როგორც დაკისრებული მოვალეობა შედეგის წინაშე, რომელსაც მოიტანს ეს რეალიზაცია. ეს არის ყოველი არსებულის „მამა“ (გადატანითი მნიშვნელობით). როგორც თესლი ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს, რის შემდეგაც ხდება ნაყოფის, მატერიალური სახის შედეგის მიღება, ასევე ყოველივე მომავალში, რომელიც აწმყოდ უნდა გადაიქცეს, აღმოსავლეთში შემოტანილი ცნობიერებით ინერგება და იზრდება. და

ის, თუ რამდენად ღრმა და ღირებული იყო რეალიზაციამდე ჩატარებული შიდა სამუშაო, უკვე გაზრდილი ნაყოფით და თვითონ თავისი მხრიდან გამოტანილი ნაყოფით შეიძლება ვიმსჯელოთ.

მარტივი ენით რომ ავხსნათ, ასეთი სახის ფორმულას მივიღებთ – ნებისმიერი საზოგადოება რაღაცა ზოგადი ცნობიერების გარშემო შეკრებილ ცოცხალ არსებათა ერთობლიობას, ზოგადი ცნობიერების ჩონჩხზე აგებულ სხეულს მოიაზრებს. ზოგადი ცნობიერება არის საყრდენი ყოველივე არსებულისა და ინდივიდი, რომელიც ზოგადი ცნობიერების გაუკეთესებაზე ფიქრობს, აღმართზე მიმავალ კაცს ჰგავს. სწორ ის მიიწევს ღმერთისაკენ სიახლოვეში, რამეთუ ღმერთი ზოგადი ცნობიერების საფუძვლებს აყალიბებს და თქვენ წარმოიდგინეთ, მუდმივად აუმჯობესებს. არავის არ უნდა შეექმნას ილუზია, რომ ზოგადი ცნობიერების აბსოლუტური აღქმის საფუძვლებს ჩასწვდა, მაგრამ თუ არა ზესვლის სურვილი, არსებობას აზრი დაეკარგება.

<u>რა არის დასავლეთი</u>? არც აქ მივუდგები მიღებული ჩვეული შტამპით. ამ სიტყვის არსი ჩემს აღქმაში ქვევით (არა ვერტიკალურ, არამედ დახრილ ზედაპირზე) დაღმართზე, დაღმა სავლეთს, დაღმა სასიარულო გზას მოიცავს.

ჩემი შეხედულებით ეს სიტყვა პირდაპირ შეესატყვისება დედაკაცური, ქალური საწყისის ფუნქციონალურ ასპექტს. ანუ იმას თუ რა ფუნქციონალური დატვირთვა აკისრია რეალურად მდედრ სქესად მოვლინებულ ცოცხალ არსებებს.

დასავლეთი ეს არის აღმოსავლეთში, ზოგად ცნობიერებაში შეტანილი ცვლილებების მატერიალური სახის გამოვლინება. როგორც განაყოფიერებული, დაორსულებული ქალი შობს ბავშვს, რომელშიც ისეთივე ინდივიდუალური სულია, როგორც მისი სხეულის ჩამსახველსა და საკუთარი სხეულის შიგნით მკვებავსა და გამჩენში. დასავლეთს უფრო აწმყო დროს თუ შევუხამებთ, მსგავსებასაც დავინახავთ და განსხვავებასაც. მსგავსება ის არის, რომ ორივე ცნება მატერიალიზებულ დონეზე რეალიზაციის გაგებას მოიცავს. განსხვავება კი ის არის, რომ თუ აწმყოს გაგება ჩასახულის გაჩენას და გამოვლენილ მდგომარეობაში ხორცშესხმას ნიშნავს, დასავლეთის გაგება გამოვლინებულის ინდივიდუალურ განხილვას მოიაზრებს დამოუკიდებლად გამომვლინებლებისაგან. ზოგადი ცნობიერების თვალთახედვიდან თუ გადავხედავთ, დასავლეთი გამოვა საშუალება იმისა, რომ დანახულ იქნას ზოგად ცნობიერებაში აღმოსავლეთის მხრიდან შეტანილი ცვლილებებით მი-

ღებული შედეგები, თუ საკუთარი შეხედულებების დამკვიდრების მცდელობა (ხე, რომელიც დაირგა) რა ნაყოფს გამოიღებს. ნაყოფს არ ევალება განსჯა და მსჯელობა, რამეთუ ის ისეთია, როგორიც შექმნეს. მიდრეკილება კი უფრო საკუთარი სურვილების შესრულებისკენ აქვს. რაც შეეხება სურვილებს, ისინი ისეთები არიან, როგორიც ახლად გაჩენილი ზოგადი ცნობიერებაა, უფრო სწორად, მისი შესატყვისია, მისგან გამომდინარეა. ვგონებ, სრულიად გასაგები ხდება ის, რომ რამდენადაც ღირებული იქნება ცვლილება, როგორც უპირობო რეფლექსების რაღაცა ნაწილის ჭეშმარიტად შეცნობის საშუალება, როგორც სახელმძღვანელო, იმდენად ღირსეული იქნება ცვლილების მატერიალიზირებული შედეგი.

და ბოლოს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთი არის მიდრეკილი უპირობო რეფლექსების ცვლილებებისკენ. ხოლო დასავლეთი უპირობო რეფლექსებში შეტანილი ცვლილებების მატერიალიზაციისკენ, არსებული ჩვეულებებისა და წესების დანგრევისაკენ.

<u>რა არის ჩრდილოეთი</u>? ჩემი შეხედულებით, ამ სიტყვის არსობრივი დატვირთვა უძრაობას, უმოქმედობას, ასე ვთქვათ, ჩრდილში ყოფნას მოიცავს. იგი შეესატყვისება მამაკაცური საწყისის ვიზუალურ ასპექტს. ანუ იმას თუ რა ვიზუალური დატვირთვა აკისრია რეალურად მამრ სქესად მოვლინებულ ცოცხალ არსებას.

დროითი პარამეტრის თანხვედრაზე თუ ვილაპარაკებთ, ის უფრო წარსული დროის კონგრუენტულ ფასეულობად შეიძლება აღვიქვათ, რა თქმა უნდა, საკმაოდ უხეში შედარებითობის გამოყენებით. თანხვედრა ამ ორი ცნებისა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანი უკვე განვლილზე, ისტორიულზე, გამოვლინებულ მატერიალურ ბაზისზე ბაზირდება, მაგრამ განსხვავება კი ერთობ მნიშვნელოვანია. თუ დროითი პარამეტრის მცდელობა და ინტერესი განვლილი მოვლინების ობიექტური ასახვისკენ არის მიმართული, რამეთუ ის არის მომავალში წარმოსაჩენი და გამოსავლინებელი ჭეშმარიტების ბაზა, ჩრდილოეთის ცნობიერებაში აშკარა ტენდენციალიზმი და სუბიექტივიზმი იჩენს თავს, ჩრდილად, უმნიშვნელოდ გადაქცეულის მნიშვნელოვნად წარმოსახვის მცდელობის გამო. სწორედ აქ იდებს ბუდეს ცალსახა კონსერვატიზმი, არაფრის არ შეცვლის, არსებულის შენარჩუნების სურვილი. შემოდის ბრმა დოგმები, რომლის გაშიფვრის მცდელობაც კი ბოროტებად, მკრეხელობად, ღვთისმგმობლობად და ა. შ. ითვლება. ცხოვრება ამ ნა-

წილში მყოფთათვის უალტერნატივოდ პირობითი რეფლექსების საზღვრებში ყოფნით განისაზღვრება.

ზოგადი ცნობიერების თვალთახედვით კი მასში, ანუ ზოგად ცნობიერებაში, რაიმე ცვლილება საშინელ ცოდვად, საზოგადოების მტრობად და კანონდარღვევად მოიაზრება. ძირითადად აპელირება ხდება წარსულში მომხდარ ისტორიულ მოვლენებზე, ტრადიციებზე, კულტურულ ჩვეულებებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ყოველთვის გამრუდებული სახით არის გადმოცემული და ეს სრულიად გასაგებია, რამეთუ ფუნქციონალურ არსს მოკლებული ვიზუალური ასპექტი თავად ასაღებს თავს ფუნქციონალურად.

თუ ამ ყოველივეს ჩვენს რეალურ დროსთან დავაკავშირებთ, დღეს, როცა რეალურად დედამიწაზე გლობალიზაცია ანუ დედამიწაზე არსებული ყველა ზოგადი ცნობიერების გაერთიანება დაიწყო, უკვე თვალნათელი გახდა ყველასთვის ის, რომ ფუნქციონალურ არსს მოწყვეტილი საზოგადოებები სამუზეუმო ექსპონატების როლში დარჩებიან, თუკი საკუთარი მნიშვნელოვნებით (ვითომ მნიშვნელობით) სპეკულაციას თავს არ დაანებებენ და კუდაბზიკობისთვის შეცვლილ წარსულს რეალურ, ჭეშმარიტ სახეს არ დაუბრუნებენ.

<u>რა არის სამხრეთი</u>? ჩემი შეხედულებით, ამ სიტყვის არსობრივი დატვირთვა მოიცავს მოძრაობას უძრაობაში, ყველასთან და ყველაფერთან მიდგომა და ნებისმიერი მოქმედება განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერი არის საკუთარი „ეგო“-ს საშუალებად მორგებული და როგორც ადამიანი მიმართავს მძლავრკუნთა ხარს საითაც უნდა, ისევე ამ შემთხვევაში „ეგო“-ს უნდა გარემოს მიმართვა საითაც მოეპრიანება, სამწუხაროდ, გარემოს ინტერესების სრული იგნორირებით. მეტაფორული თვალთახედვით, პირადად ჩემთვის, ეს არის სამეხრე-თი, სადაც ყველას თვითონ უნდა იყოს მეხრე, ხოლო გარემო კი ხარი. იგი შეესატყვისება ქალური საწყისის ვიზუალურ ასპექტს, ანუ იმას, თუ რა ვიზუალური დატვირთვაა რეალიზებული მატერიალურ სამყაროში მდედრ სქესად მოვლინებულ ცოცხალ არსებებში.

დროითი ღირებულების რომელიმე პარამეტრთან თუ მოვიყვანთ რაიმე შესაბამისობაში სამხრეთის ცნობიერ გაგებას, ეს პარამეტრი იქნება ამ წამისეული, მყისეული ხედვა, რომელსაც არც წარსულის გათვალისწინების სურვილი აქვს და, ავტომატურად, არც მომავალში მოსალოდნელი ქმედების შედეგებისა. მსგავსება

ამ ორი ცნებისა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მყისეული, ამწამისეული, სპონტანური სურვილების რეალიზაციის მცდელობითაა დაკავებული, მაგრამ განსხვავება ფრიად დიდია. დროითი პარამეტრის შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობა გულით ხდება და გარემოსთვის სიამოვნების მინიჭების მცდელობისკენ არის მიმართული, სივრცობრივი გაგების სამხრეთული პარამეტრის შემთხვევაში ხელმძღვანელობა ტვინით ხდება და გარემოსგან თვითდაკმაყოფილების მიღების მცდელობისკენ არის მიმართული.

ზოგადი ცნობიერების თვალსაზრისით სამხრეთის ცნება ცალმხრივად პირად ინდივიდუალურ ცნობიერებას ეყრდნობა და ფაქტობრივად მიდრეკილია ზოგადი ცნობიერების სრული იგნორირებისაკენ. ამ დონეზე „ეგო"-ს, დაპირისპირების, გაუცხოვებისა და უნდობლობის რეალური აღქმა უსაშველოდ იზრდება და შესაბამისად „მე"-ს ცნება უკიდურესად მცირდება საკუთარი სხეულით შემოსაზღვრის დონემდე. შეიძლება უცნაურად ჩანდეს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ეს მეტწილად შედეგია ჩრდილოეთის ცნობიერებაში წარსულში მომხდარი მოვლენების თვითნებურად შეცვლისა, რაც თავად არის შედეგი დასავლეთში აწმყოში მიღებული შედეგის ზედმეტად შეფასებისა ანუ წარსულისთვის უპირატესობის მინიჭებისა მომავალთან შედარებით, რაც თავისთავად არის უკვე შედეგი აღმოსავლეთში მომავალში მისაღები შედეგის გაზვიადებისა, ანუ მომავლისთვის უპირატესობის მინიჭებისა წარსულთან შედარებით.

რაც შეეხება სამხრეთის იდენტიფიკაციას რეფლექსუალურ დონესთან, ვგონებ, აქ ადვილად იკითხება კონცეფცია პირობითი რეფლექსების გაიდეალიზირების მცდელობისა. მაგრამ პირობითი რეფლექსები უკვე სხვა ფორმით ვლინდება (განსხვავებულად ჩრდილოეთისაგან). მხოლოდ ის ნაწილი რჩება მოქმედი, რომელთა საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენებაა შესაძლებელი. სასარგებლოს კი აქ ეძახიან მხოლოდ იმას, რაც ხელს უწყობს საკუთარი სურვილის, საკუთარი თავის უფლების გამოვლინებას. არასაჭიროდ და უსარგებლოდ კი ცხადდება ის, რაც ხელს უშლის, წინ ეღობება საკუთარი სურვილების განხორციელებას და მოითხოვს საკუთარ თავზე მოვალეობების დაკისრებას.

ალბათ ისეთი შეგრძნება დარჩება ძალიან, ძალიან ბევრს, რომ ყველაფერი მეტისმეტად მოკლედ, ძუნწად არის გადმოცემული. მაგრამ ამ თემების გაშლას სიამოვნებით დავუთმობდი მათ, ვისაც ამის სურვილი ექნება. საქმე იმაშია, რომ ერთ თემასაც რომ ღრმად

გავყვე, დანარჩენი უბრალოდ დაიკეტება ჩემთვის, მთავარია არც ერთს არ მივეწებო, მე მირჩევნია მიზნამდე ყოველგვარი მიხვევ-მოხვევის გარეშე, არა ტეხილებით, არამედ სწორი პირდაპირი ვექ-ტორული გზით ვიარო. ხოლო რაც შეეხება ჩაღრმავებას, მე კარ-გად ვიცი, აქ არის მოხსენიებული ისეთი თემები, რომლებსაც (შე-იძლება ერთი გვერდი აქვს დათმობილი) ამ ქვეყნად არსებული მთელი ქაღალდი არ ეყოფოდა. მაგრამ თუ დამიჯერებთ, სიტყვებ-ში არ არის სიმართლე. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია რას ვგრძნობთ, რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკე-თებთ. აი, ცოტა ლირიული გადახვევასავით გამომივიდა, მაგრამ მინდოდა ოდნავ მაინც ამეხსნა – რატომ არის ამ წიგნში მოტანილი ინფორმაცია მექანიკური საათის დასაქოქ მოწყობილობაში ჩამონ-ტაჟებული ზამბარასავით მაქსიმალურად მკაცრად შეკუმშული, დიახ, სწორედ იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისი არსებო-ბის მანძილზე ფაქტიურად მხოლოდ ერთხელ „ქოქავს“ თავის „სა-ათს“ და რაც უფრო კარგად იქნება ზამბარა დაჭიმული, მით უფრო სწორად, დიდხანს და მიზანდასახულად იმუშავებს იგი. ხოლო რაც შეეხება იმათ, ვინც თავისი არსებობის მანძილზე მეორადაც მოინ-დომებს და გააკეთებს ამას, ღვთის ძემ, რომელიც იესო ქრისტედ მოევლინა დედამიწას, ამას ხელახლა დაბადება უწოდა.

მორიდებულობასა და თავმდაბლობას ამ შემთხვევაში თავს დავანებებ და ვიტყვი, რომ ეს წიგნი, ფაქტიურად, სწორედ მათ-თვის არის და იქნება ვინც საკუთარი „საათის“ ისრების ასამოძრა-ველად მეორედ გადაქოქავს ამ ისრების მამოძრავებელ მოწყობი-ლობას.

მაშ ასე, ამ თავში ეს ადგილი იქნება გარდამავალი მატერია-ლური თვალისთვის უხილავი სუბსტანციებიდან ხილული სუბ-სტანციებისკენ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დანახვის მცდე-ლობა იქნება უხილავის თვალთახედვით ანუ იმ შეფასებებით, რა-საც სიცოცხლის განმავლობაში მატერიალური სხეულის ინტერე-სები არ მოიცავენ (უფრო სწორად კი – არ ითვალისწინებენ).

დროისა და სივრცის ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება კოსმიური გამოვლინება და იგია რეალურად მატერიალური, ყო-ველ შემთხვევაში, თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილში. მეც სწორედ ამ ნაწილზე ვაპირებ ახლა შეჩერებას. ეს არის მატერია. მისი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრები ჩემი აზრით არიან:

მოცულობა, ფორმა, წონა (მასა) და მანძილი (ნომინალური ზომა, პერსპექტივა).

კოსმიური გამოვლინება (მატერია)



<u>რა არის მატერია</u>? ***მატერია არის რეალური შედეგი იდეალური მიმართულებიდან გადახრისა***. რას ნიშნავს ეს? შევეცდები ავხსნა მარტივი ფორმით. თუ წმინდა ნერილებიდან ვიხელმძღვანელებთ, ბჰაგავატგიტაში მატერიასთან დაკავშირებით განმარტება შემდეგნაირად ჟღერს: „უფალი ღმერთი ზესულის ნაწილობრივი განსახიერებით თავად შევიდა მატერიალურ კოსმიურ გამოვლინებაში“.

პლანეტა მზე და პლანეტა დედამიწა ორივე მატერიას წარმოადგენს. ისინი სივრცეში არიან განლაგებულნი, მოძრაობენ და რატომღაც ერთმანეთს არ ეცემიან. აი, აქ შეიძლება მატერიის არსის ყველაზე მარტივი ფორმით დანახვაცა და გაგებაც. ჩვენი მატერიალური თვალისთვის ხილული მზე და დედამიწა წარმოუდგენლად დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან და სინამდვილეში კი მათი არამატერიალური, თვალისთვის უხილავი გარსები ერთმანეთს ეხებიან და ფაქტიურად წრიულად გორავენ ერთმანეთზე. ამ პრინციპის სიღრმისეული განხილვა ცალკე თემაა და დიდი მეცნიერებაა, რომელსაც აქ ნამდვილად ვერ შევეხები, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის, ვფიქრობ, ნათელი უნდა შეიქნას ის შეხედულება, რისი დანახვებაც მინდოდა. თუ ამ ყოველივეს საყრდენად მივიღებ, მაშინ აქსიომატურ ცნებამდე დადის ის, რომ მატერიის ერთადერთი რეალურად სწორი მიდრეკილება იდეალურობისკენ სწრაფვა, სრულყოფის მცდელობა უნდა იყოს. იმასთან შედარებით, ვიდრე იგი არის მოცემულ მომენტში, რამეთუ ***სწორედ მატერიაა, ხილული მატერიალური ნაწილია რეალური „ეგო“***. მატერია დროისა და სივრცის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება. ურთიერთქმედების წარმომქმნელი არის იდეა, რომელიც დროის განმგებლობითი პარამეტრიდან მომდინარეობს და სივრცე რაღაცა ნაწილში იდეას ერთიანად, მთლიანად ვერანაირად ვერ ღებულობს და ვერ ითავისებს. აი, ზუსტად იმხელა იქნება წარმოქმნილი მატერიის მოცულობა და ფორმა, რამხელაზეც არ იქნება მიღებული იდეა. შემდეგ თვითონ წარმოქმნილი მატერიის მხრიდან ხდება ათასგვარი ალტერნატიული იდეების წამოყენება, რაც, თავის

მხრივ, წარმოქმნის სხვადასხვა იდეოლოგიებს, რომლებიც თავისთავად ე. წ. ჭარბ წონაში ანუ მატერიის მიერ მატერიის შექმნაში და ფარდობითობის ახალი სისტემების შექმნაში (მანძილში, ნომინალურ ზომაში), ილუზიის მიერ ილუზიის შექმნაში გამოიხატება. შედეგად რეალური მთლიანი „მე“ არარეალურად და მეორეხარისხოვნად ცხადდება, ხოლო გაეგოებული, მატერიალური „მე“ ერთადერთ რეალურ და პირველხარისხოვან „მე“-დ. ასე ვთქვათ მშობლების ურთიერთგაუგებრობის შედეგად წარმოქმნილი შვილები საკუთარი თავის მეტს ვეღარაფერსა და ვეღარავის ხედავენ, რაც შეიძლება ითქვას, მშობლებისთვის ძლიერი სტიმულია, რათა ერთმანეთში არსებული უთანხმოებისა და გაუცხოების მთლიანად გაქრობისკენ იყვნენ ორიენტირებულნი. სხვანაირად შვილები ვერასოდეს შეძლებენ თავისუფლებისა და ბედნიერების მიღწევას.

<u>რა არის მოცულობა მატერიაში</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს დროის პარამეტრის მიერ სფეროს პარამეტრის არ დაკმაყოფილებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რაც სფერომ არ გაიზიარა, არ მიიღო და ერთგვარად შემოტანილი იდეა განსახილველ საკითხად გადადო თავის პიროვნებაში. მატერიის მოცულობა საკუთარი ინდივიდუალურობის გამოვლინების ბაზისია. ის, რასაც მოიცავს ჩემი ინდივიდუალური მატერიალიზირებული სხეული, იმხელა არის ჩემი ეგოცენტრული „მე“-ს შინაარსი ანუ არსობრივი დატვირთვა. მატერიის აუცილებელ სასიცოცხლო, საარსებო, ფუნქციონალურ საჭიროებას წარმოადგენს ინფორმაციის ცნება. ინფორმაცია არის მოცულობის, არსის ცვლილებით ფორმის ცვლილება. საკვები, გართობა, განათლება, ჩაცმულობა (მოდა) და ა. შ. ეს ყველაფერი არის ინფორმაციის მიღება-გაცემის ფორმები სხვადასხვაგვარად გამოვლენილი. ინფორმაციის ტრანსფორმაციას ორი მიმართულება გააჩნია. ერთი – ჩემსკენ და მეორე – ჩემგან, ანუ მიღება და გაცემა. ინფორმაციის ხარისხსაც ორი მიმართულება გააჩნია ერთი – გაფართოვება (თავისი მაქსიმალური დონით იმ სიღრმემდე, რომელიც საწყისს თავდაპირველს მოიცავს, ანუ იმას თუ საიდან დაიწყო ყოველივე და რატომ) და მეორე – შეკუმშვა (თავისი მინიმალური დონით იმ სიღრმემდე, რომელიც შედეგობრივს მოიცავს ანუ იმას თუ რა მოთხოვნილებები აქვს ჩემს ფიზიოლოგიურ, ცხოველურ „მე“-ს და როგორ უზრუნველვყო ისინი).

<u>რა არის ფორმა მატერიაში</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს სფეროს პარამეტრის მიერ დროის პარამეტრის არ დაკმაყოფილებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რაც დროის გადასახედიდან აუცილე-

ბელ ცვლილებას, რეფორმას (ერთ მთლიან ფორმაში სფეროში გამთლიანებას) ექვემდებარება, როგორც მრავალი მილიარდი ფორმიდან, ინდივიდუალობიდან ერთი მთლიანი ფორმის ინდივიდის ფორმირება. ფორმის აუცილებელ სასიცოცხლო ფუნქციონალურ საჭიროებას წარმოადგენს ინფორმაციის რეალიზაციის ცნება. ინფორმაციის რეალიზაცია არის ფორმის ცვლილებით მოცულობის არსის დამკვიდრება. ჭამა, სიამოვნება, სწავლება, შემოსვა და ა. შ. ეს ყველაფერი არის ინფორმაციის რეალიზაციის სხვადასხვაგვარად გამოვლინების ფორმები. ინფორმაციის რეალიზაციას ორი მიმართულება გააჩნია ერთი – რეალიზაცია ხდება ჩემზე (ჩემში) და მეორე – ჩემს მიერ. ინფორმაციის რეალიზაციის ხარისხსაც ორი მიმართულება გააჩნია. ერთი – ყველასთვის საჭიროებისა და საკეთებლის კეთება (სიკეთის ქმნა, როდესაც რეალიზაციის დროს ხელმძღვანელობა ხდება სასურველი, მაქსიმალურად მაღალი დონიდან ერთი მთლიანის საწყისის ინდივიდუალური რეკომენდაციებითა და, ყველაზე საუკეთესოა, უშუალო მიმართვით) და მეორე – მხოლოდ ჩემთვის საჭიროსა და არსაკეთებლის კეთება (ბოროტმოქმედება, თავისი მაქსიმალური დონით ცალსახად ჩემი ფიზიოლოგიური, ცხოველური სურვილების ასრულების მცდელობა ნებისმიერი საშუალებით).

<u>რა არის მასა (წონა) მატერიაში</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს მატერიის მიერ ინფორმაციის რეალიზაციის საშუალებით მატერიის შექმნას. ცოცხალ არსებაში ეს გამოვლინდება როგორც ფორმის ცვლილება მოცულობის უცვლელობით. ერთგვარ ინფორმაციულ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, სადაც ფორმა ცდილობს თავისი ყოფიერება ერთგვარ გრაფიკულ ჩარჩოში ჩასვას და ერთგვარად გამომუშავებული ჩვევებით იხელმძღვანელოს. ფაქტიურად ნებისმიერი ქმედებაც, რომელიც ინფორმაციულ რეალიზაციას ასახავს ერთფეროვანი და ფორმალური ხდება. სინამდვილეში კი ინფორმაციის ფუნქციონალური არსი ნელ-ნელა კვდება, ხოლო რეალიზაციის პროცესი კი დაპროგრამებული მანქანის საქმიანობას მოგვაგონებს. ინფორმაციულ საკვებს მოწყურებული მატერია ცალსახად ხილულ „საკვებზე“ გადადის ყველაფერთან მიმართებაში (ჭამაში, სიამოვნების მიღებაში, თუ გაცემაში, სწავლაში თუ ჩაცმაში). ვიზუალურადაც წონადობაში იმატებს და უსასრულოდ ჰქმნის მატერიას რაშიც განვითარების, არსებობისა და ევოლუციის ერთადერთ აზრს ხედავს. ფაქტიურად, მოცულობის ცნება ფიზიოლოგიურ „მე“-მდეა შეკუმშული და ცხოველური მოთხოვნილე-

ბების დაკმაყოფილება სიცოცხლის ერთადერთ არსად არის აღიარებული, ხოლო ფორმის ცნება დაბადებიდან არსებულ „მე“-ზე ზემოთ იწევს, მაგრამ უმნიშვნელოდ.

<u>რა არის მანძილი (ზომა) მატერიაში</u>? ეს ცნება კი თავის თავში მოიაზრებს მატერიის მიერ ინფორმაციის ტრანსფორმირების საშუალებით ახალი ფარდობითობის სისტემების შექმნას. ცოცხალ არსებაში ეს გამოვლინდება როგორც მოცულობის ცვლილება ფორმის უცვლელობით. აქ კი ერთგვარ ფორმაციულ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, სადაც მოცულობა ცდილობს ყველა არსებული ჩარჩოების დანგრევას და გამომუშავებული ჩვევების, კულტების, დოგმების მოსპობას. ფაქტიურად ნებისმიერი ქმედება, რომელიც არსებულ ფორმაში არსებული ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გაშლას მოჰყვება სპონტანურობის და ძალისმიერების დემონსტრირებაა. საბოლოოდ ფორმის ფუნქციონალური არსი და დანიშნულება ნელ-ნელა კვდება, ხოლო მოვლენები აბსოლუტურად წინდაუხედავი და ამოუცნობი ხდება გაუთვალისწინებელი შედეგებით. ასეთი ინფორაციული საკვებით გადამაძღარებული მატერია ცალსახად მის გადმოფრქვევაზე გადადის, საკუთარი გავლენის სფეროს ზრდის მიზნით. ეს ფენომენი სურდოს ვირუსის პრინციპით ვრცელდება და არათუ გამავრცელებლის გავლენის სფეროს ზრდის, არამედ მისნაირი გაგების მქონეებს ამრავლებს, რომლებიც, თავის მხრივ, საკუთარი ადგილის ძიებას იწყებენ და საკუთარ „მასწავლებლებს“ უპირისპირდებიან და ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავენ. ფაქტიურად დასკვნის სახით – ფორმის ცნება არანაირად არ იცვლება, ხოლო მოცულობითი ცნება ფიზიოლოგიურ „მე“-ზე დაბლა ეცემა და საკუთარ „მე“-ში გაჩენილი სურვილების ასრულება ნებისმიერი საშუალებით გამართლებულადაა მიჩნეული. თუ მატერიის დასკვნით შეფასებას გავაკეთებ, მისი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრების ერთიან მთლიანობაში შეფასებით, ასეთი რამ მიიღება: 4. მანძილის (ზომის) პარამეტრი იწვევს ყველასი და ყველაფრის ზომვის (და როდესაც რეალიზებული რეალობა მატერიის გაზომილ დაგეგმარებულობას არ ემთხვევა განკითხვის) მიდრეკილებას საკუთარი ფორმაციული გადასახედიდან, სადაც ეს ფორმაცია კონსტანტურ მუდმივად არის გამოცხადებული, რომელიც აღარანაირ ცვლილებას აღარ უნდა რომ ექვემდებარებოდეს და რეალურ უმოქმედობას ახალი ფარდობითობის სისტემების შექმნით ავსებს. 3. ეს ყოველივე კი შედეგია იმისა, რომ არსებული „ფორმა“ ანუ ფორმირე-

ბული, ჩამოყალიბებული გონება გაზრდისკენ არის მიდრეკილი. ამისთვის საჭირო „მოცულობას“ ანუ ინფორმაციას, რომელიც პოტენციურად დელტა ფორმაციად, დელტა გონებად უნდა გადაიქცეს, უბრალოდ არ ეძებს, ან სასოებით არის დაკავებული, რომ ამ დელტა ფორმაციას ვინმე უწყალობებს, ან თვლის, რომ მისი გონების გაზრდაზე „ზებუნებრივმა“, მასზე მაღლა მდგომმა ფორმაციებმა, ღმერთმა უნდა იჭყლიტოს ტვინი, საკუთარი ძალისხმევის გარეშე. თვითონ კი მთელ თავის პოტენციურ ენერგიას მისი რეალური მყოფადობის სფეროში არსებული საჭირო პასუხისმგებლობის დაცვასა და შენარჩუნებას ახმარს. 2. ეს კი, თავის მხრივ, შედეგია მთლიანი კოსმიური „ფორმის“, სფეროს არასრულყოფილი მიდრეკილებისა თავისზე უფრო მაღლა მდგომი ფარდობითობის სისტემისკენ, სადაც ფარდობითობა უფრო მცირეა. ***ფორმისა და მოცულობის ერთიანობა მაშინ ხდება, როდესაც ფორმა მოცულობას ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე ემორჩილება.*** ანუ ფორმაში ხდება ინფორმაციის რეალიზაცია და თუ ეს ინფორმაცია ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის ფარდობითობის სისტემიდან მომდინარეობს, ფორმაში მიკროფორმები ვერ შეიქმნება და სფეროც ერთი მთლიანი მონოლითური იქნება, მაგრამ როდესაც ფორმა ხარისხობრივად უფრო დაბალი დონის ფარდობითობის სისტემიდან მომდინარე ინფორმაციის რეალიზაციას ახდენს, ვიდრე თვითონ არის თავისი მაქსიმალური ზღვრული პასუხისმგებლობრივი დონით, ფორმაში მიკროფორმები ჩნდებიან. ასე ხდება მთელი კოსმიური გამოვლინება, ფორმა, სფერო მატერიის დედად, მაგრამ ძირითადი ტენდენცია არის ის, რომ მოცულობის, ინფორმაციის რეალიზაციით ხდება ფორმის ანუ ფორმირებული, ჩამოყალიბებული გონების ცვლილება, ძირითადად გაზრდა, მაგრამ ხანდახან ერთგვარი მუტაციაც (გონების ნაწილის ფუნქციონალური და ვიზუალური გადაგვარება). აი, ამ მუტირებული ფორმის გამოვლინებაა ყველანაირი არსებული მატერია. 1. ეს კი, თავის მხრივ, შედეგია მთლიანი მოცულობის, ყველაზე უფრო მცირე ფარდობითობის მქონე, მთელი კოსმიური ფორმის ინფორმაციის წყაროს არასრულყოფილი მიდრეკილებისა აბსოლუტურად არაფარდობითობის სისტემისაკენ, სადაც ფარდობითობა, შედარებითობა რეალურად საერთოდ არ არსებობს. მოცულობა თავისში ჩაღრმავების მსურველ კოსმიურ გამოვლინებულ სფეროს სიამოვნებით აწვდის ინფორმაციას, რითაც უცილობლად უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს მას. ეს ურთიერთობა სიყვარულის გამოვლინების უმაღლესი

ფორმაა, სადაც სფერო, დაახლოებით რომ შევადაროთ, ხანგრძლივი ორგაზმის, ნეტარების მდგომარეობაში იმყოფება, მოცულობა კი იმითაა კმაყოფილი, რომ სფეროს ასეთ სიამოვნებას ანიჭებს. მაგრამ... თუ მოხდა თუნდაც მცირედი პორციით სფეროზე, კოსმიურ გამოვლინებაზე მიჯაჭვება, რაც იმაში იქნება გამოხატული, რომ მოცულობას თვითონ მოუნდება სფეროდან სიამოვნების მიღება, სფერო ტრანსიდან ამ ორგაზმული ზმანებიდან, ნეტარებიდან გამოვა და საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას დაიწყებს, რის შემდეგაც მოხდება ერთგვარი გათანასწორების ილუზია სფეროში და ინფორმაციის წყაროს ილუზიური თვითლიკვიდაცია მოცულობაში, იქამდე, ვიდრე მოცულობა სიამოვნების მიღების მცდელობისგან არ გათავისუფლდება, ხოლო სფერო კი ინდივიდუალურად თვითდაკმაყოფილების მცდელობაზე არ იტყვის უარს. აი, ამ „ურთიერთგაუგებრობის“ შუალედში ჩნდება მატერიალური სამყარო.

ძალიან ხშირად გაიგონებთ განსწავლული ადამიანების მხრიდან ყოველივე არსებულის სამი პარამეტრითი ჩამონათვალით წარმოსახვას, რომლებსაც ასევე სამ განზომილებად მოიხსენიებენ ხოლმე. ესენია: დრო, სივრცე და მატერია (კოსმიური გამოვლინება). მე პირადად დავამატებდი კიდევ ერთ პარამეტრს, რომელიც თავისი მართლაც სერიოზული მნიშვნელოვნების გამო, ვფიქრობ, იმსახურებს იმის უფლებას, რომ ამ უდიდესი სამი ცნების გვერდში დავაყენო, თუმც არც ისეთი ცოცხლად ხილული და ხელშესახებია, როგორც ისინი, მაგრამ უდიდეს გავლენას ახდენს უკლებლივ ყველაზე და ყველაფერზე და ისევე, როგორც ამ ზედა სამის შემთხვევაში, მას ვერაფერი გამოვლინებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის თუნდაც ძალიან უმნიშვნელო თვისება აქვს, გვერდს ვერ აუვლის. ***ეს არის ინტერესები.*** მისი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრები ჩემის აზრით არიან: ორიენტაცია (მიმართულება), ადაპტაცია, ინერცია და იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია.

ინტერესები

<u>რა არის ინტერესები</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს იმას, რისი დაკმაყოფილების მცდელობის გამოც არსებობს და უსასრულოდ მიმდინარეობს ურთიერთობები, n რაოდენობის სხვადასხვა ფარდობითობის სისტემათა ერთმანეთთან შეთავსების მცდელობები, რაღაც, უფრო მსხვილი, მაღალი ხარისხის ფარდობითობის

სისტემის მისაღებად, უფრო დაბალი ხარისხის ფარდობითობის სისტემების მატარებელი სუბიექტები ურთიერთობის შედეგად გაერთიანდებიან საკუთარი ინტერესების სერიოზულად გადახედვის და მათში სერიოზული ცვლილებების შეტანის შემდგომ. Отношения – взаимо контакт отличных друг от друга систем относительностей, имеющих в себе столько количественного сходство на сколько они понимают друг друга и на сколько им нравится портнер для любого желаемого контакта (на сколько по тому нраву, нравственности, в себе признанному порядку которого он обоготворяет, принимает за суть Божественного, наивысочайшего среди всего возможного).

ურთიერთობები – ინდივიდუალურ სულთა ერთიმეორესთან კავშირი ერთი სისტემის მისაღებად, გასაერთიანებლად და ინდივიდუალურობის გამოვლინების შემოსასაზღვრად, ყველა კონტაქტში არსებული, ინდივიდისათვის საჭირო და მისაღები არაინდივიდუალიზმის, ზოგადი ცნობიერების გამოხატულების ფარგლებში, რის შედეგადაც და რის საფუძველზეც ყალიბდება საზოგადოება (ზოგადი ცნობიერების ჩონჩხზე აგებული სხეული).

ინტერესის არ არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალურობის, დამოუკიდებლად არსებობის ცნება აზრს კარგავს. რა სუბიექტსაც ინტერესი არ გააჩნია, ის აღარ არსებობს არანაირი სახით, ის უფრო „მსხვილი“ სუბიექტის შემადგენელი ნაწილი ხდება საკუთარი ინდივიდუალურობის სრული დაკარგვით საკუთარი ნებით თუ უნებლიეთ (საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ).

ვინც საკუთარი ნებით არაინდივიდუალიზმის გაზრდას ეცდება არასოდეს დაკარგავს და გაიზრდება, ხოლო ვინც ინდივიუალიზმის იდეაფიქსურ გაზრდას ეცდება, ის შემცირდება და გაქრება როგორც ინდივიდი.

↑სრულყოფილებისკენ სწრაფვა – წამყვანი ↑
↑მორჩილი თაყვანისცემა – მიმყოლი ↑

რა არის ორიენტაცია (მიმართულება)? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს იმას, რის საფუძველზე დაყრდნობითაც ხდება ნებისმიერი რამ, ჩემში ან ჩემს გარშემო, ეს არის ის, რასაც რწმენას ეძახიან და როცა მის შესმენაზე დაქვემდებარებით ვმოქმედებ, საკუთარ თავში დარწმუნებული, უშუალო და ბუნებრივი ვარ. საკმარისია მისი მცირეოდენი შეცვლის კონცეფცია ამოტივტივდეს და საკუთარ თავში დარწმუნებულობა სადღაც ქრება და რაღაცნაირი

შიში, ბუნდოვანება, ეჭვიანობა, გაორება იკავებს მის ადგილს. უშუალობა ურთიერთობებში ნაძალადევი სერიოზულობით, დაძაბულობით, „ნიღბის“ ტარებით ჩანაცვლდება, ხოლო ბუნებრივობა კი ხელოვნურობით.

რა მოხდა? სრულიად უბრალო რამ, ახალი ორიენტაციის პარამეტრების შემოტანის შედეგად ძველი ორიენტაცია დრომოჭმულად და არასაჭიროდ გამოცხადდა, მაგრამ ძველ ორიენტაციაზე აწყობილი მთელი რეფლექსური სისტემა გინდათ გადაერთოს სხვა სისტემაზე, უფრო სწორედ, ეს უნდა თქვენს ინდივიდუალურ სულს, მაგრამ თუ ეს ინდივიდუალური სული მიმართულების კურსს უკეთესობის, ევოლუციის მიმართულებით არ შეცვლის, „ეკიპაჟი“ მას უბრალოდ არ გაჰყვება და მოხდება შიდა დაპირისპირება „გემზე“. მყუდროება, მშვიდობა და ურთიერთსიყვარული კი მაშინ დაისადგურებს, როდესაც „ეკიპაჟის“ ყველა წევრი კმაყოფილი იქნება, ე. ი. ორიენტაცია – ჰარმონიისკენ. ვგონებ, ეს არის ამ „ეკიპაჟის“ სურვილი და მოთხოვნილება. თუკი ინდივიდუალური სული არაინდივიდუალურობისკენ (ზოგადი ცნობიერების შეცნობისკენ) აიღებს კურსს, ხოლო პიროვნულ ხილულ ორიენტირად კი არაინდივიუალიზმის ინდივიდუალურ სულს (ზოგადი ცნობიერების ავტორს) ამოირჩევს, ჩემი შეხედულებით, თვითონაც უსაზღვროდ ბედნიერი იქნება და მთელი მისი „ეკიპაჟი“ „გემზე“ არსებული სიტუაციით, ყოფითკმარები დარჩებიან. აქ უმთავრესი აუცილებლობა და საჭიროება არის ორიენტაციის კოორდინაცია.

↓სიყვარულის გაცემა – წამყვანი↓
↑გულწრფელობა – მიმყოლი↑

<u>რა არის ადაპტაცია</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს ნებისმიერი სიტუაციის და მდგომარეობის მიღების, აღქმის უნარს მისი ობიექტურ რეალობად მიღებით. საკუთარი ინდივიდუალურობის გამოვლინება მხოლოდ იმ დონეზე, რა დონეზეც მართლა მაქვს შეცნობილი მოწოდებული ზოგადი ცნობიერება ანუ რამხელაც ჭეშმარიტი რწმენა გამაჩნია. იმ ნაწილში, სადაც ხდება ადაპტაციის გავლა სამართლიანობის, ობიექტურობის შეგრძნება სუფევს და ეს ნაწილი ერთგვარ ორგაზმში, ტრანსში, ნეტარებაში იმყოფება. მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ადაპტაციას ვერ გადის – უსამართლობის, სუბიექტურობის შეგრძნება ისადგურებს, იწყება გაუცხოვება, იკარგება ნდობა და იწყება ინდივიდუალიზმის თვითრეალიზაციის პროცესი, ვერ აღქმული ზოგადი ცნობიერების ნაწილის

ადაპტაციისათვის. უკვე დამოუკიდებლად იქმნება ორგანიზმები, ნატვრები, ოცნებები, ფაქტიურად, ეს ნაწილი თავისი ცხოვრებით, მიზნებით, მსოფლმხედველობით იწყებს ცხოვრებას, ვიდრე მისი დამაარსებელი თავად არ დარწმუნდება გამოვლინებული ორიენტაციის სიმცდარეში და ვიდრე, მისივე თხოვნით, მისი დამკვალიანებელი და ბედნიერებაში მყოფებელი არ ჩაერევა და საერთო მცდელობით მცდარ ორიენტაციაზე დაფუძვნებული მიკროსამყარო არ გაჯანსაღდება. ამ მიკროსამყაროს ერთ პატარა ციცქნა ნაწილს მოიცავს ჩვენი მზის სისტემა და დედამიწა. აქ უმთავრესი აუცილებლობა და საჭიროება არის გულწრფელობა.

↓არაძალადობა – წამყვანი →←

↑ზომიერი თანამიმდევრულობა – მიმყოლი

<u>რა არის ინერცია</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის მატერიალური ნაწილის ცხოვრების წესს. თუ არ ჩავთვლით ძირეულ, გარდამავალ, ეპოქალურ მომენტებს მატერიალურ სამყაროში (რომლებიც ძირითადად მისთვის მიწოდებული ზოგადი ცნობიერების პორციის მთლიანად ადაპტირების შემდეგ დგება და ზოგადი ცნობიერების ახალი პორციის შეტანა ხდება აუცილებელი), მატერიალური ნაწილის (სხეულის) ინერცია, ანუ ცხოვრების წესი, როგორც ინდივიდუალიზმის მატერიალური ფორმით გამოვლინება, მატერიალურ სამყაროში დამკვიდრებულ არაინდივიდუალურ ცნობიერებას (ზოგად მატერიალურ ცნობიერებას) უნდა ექვემდებარებოდეს, როგორც დროისა და სივრცის (ადგილის) მიერ გამოვლინებული მატერიალიზირებული გარემოს მიმდინარე რეალობასთან ნებაყოფილობით შერწყმის აუცილებლობის აღიარება.

ზოგადი მატერიალური ცნობიერება ძირითადად ორ საყრდენზეა აღმოცენებული. 1) რელიგიაზე, სარწმუნოების ფუნქციონალურ ნაწილზე, როგორც მატერიალური საზოგადოების ეთიკისა და მორალის საფუძველზე. 2) კულტურაზე, ცივილიზაციის ფუნქციონალურ ნაწილზე, როგორც მატერიალური საზოგადოების ესთეტიკისა და ზნეობის საფუძვლებზე.

ზოგადი მატერიალური ცნობიერების ჩარჩოების გარღვევა ორი მიმდინარეობის შემოტანით ხდება. 1) მეცნიერებით, რომელიც ზებუნებრივი მოვლენების ვიზუალური არაფუნქციონალური მატერიალური ნაწილის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ახსნის მცდელობით, ნებით თუ უნებლიეთ, ანგრევს ეთიკურ და მო-

რალურ საფუძვლებს. 2) ხელოვნებით, რომელიც მატერიალური ბუნებრივობის ხელოვნურობით ჩანაცვლებისაკენ, ვიზუალური (არაფუნქციონალური) იმიტაციისკენ არის მისწრაფებული და, ნებით თუ უნებლიეთ, ესთეტიკის და ზნეობის საფუძვლებს ანგრევს.

თუკი მეცნიერება ზებუნებრივი მოვლენების ფუნქციონალური, სულიერი ნაწილის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, ჭეშმარიტების ახსნის მცდელობით დაკავდებოდა, მაშინ ეთიკისა და მორალის გაზრდის სამსახურში ჩადგებოდა და ასევე, თუკი ხელოვნება ბუნებრივობის ფუქნციონალურ, სულიერ იმიტაციას ეცდებოდა, მაშინ ის ესთეტიკისა და ზნეობის გაზრდის სამსახურს შეძლებდა. ამ ნაწილში აუცილებელი და საჭიროა არაძალადობა და ზომიერი თანმიმდევრულობა.

↓ნებაყოფილობითობა – მიმყოლი ↓
↓თვითკმარი მყუდროება – წამყვანი↓

<u>რა არის იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს არსებული ზოგადი ცნობიერების მიერ შემოსაზღვრული შეხედულებებისაგან განსხვავებული შეხედულებების გამოვლინებას ნებისმიერი ფორმით. ფაქტიურად ეს არის მიზეზი მატერიალური სამყაროს შექმნისა და, ალბათ, არც თუ ისე ძნელი მისახვედრია ის, რომ სწორედ ის ბრძანდება მიზეზიც იდეალური ორიენტაციიდან გადახვევისა, „უღმერთოებისა“, ის არის ის, რასაც უნდა მოერიოს თავის თავში ნებისმიერი მატერიალიზირებული სული. მატერიალურ სამყაროში იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია საუკეთესო სულიერი ფორმით ორ ძირითად ღირებულებაზე ბაზირდება: 1) ლიტურგია ეკლესიური – რელიგიის (სარწმუნოების ვიზუალური მხარე) სახეობა, რომელიც ზოგადი ცნობიერების ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას გადმოსცემს და, როგორც უზენაესი მორალური კანონმდებლობა, თავისი ცნობიერების გავრცელების დიაპაზონში არსებულ საზოგადოებას თავის დაქვემდებარებაში ამყოფებს. 2) ეთნოსი – სამშობლო+ეროვნულობა, როგორც კულტურის (ცივილიზაციის ვუზუალური მხარე, სახეობა), რომელიც მატერიალური სხეულის ზოგადი შესაძლებლობების ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას გადმოსცემს ყველანაირი საშუალებით და, როგორც ესთეტიკისა და ზნეობის უზენაესი შემფასებელი, თავისი გავლენის გავრცელების დიაპაზონში არსებულ საზოგადოებაში საკუთარ ცენზურას ამკვიდრებს.

მატერიალურ სამყაროში დამკვიდრებული იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის გარღვევა სულიერი სამყაროს მიმართულებით ორი მიმდინარეობით ხდება – 1. შემეცნებით (საკუთარი „მე“-ს შეცნობით), მეცნიერების სახეობით, რომელიც უმეცრებისაგან, „ეგოცენტრიზმისგან“ გათავისუფლების ერთადერთი გზაა. 2) შემოქმედებითი გაზიარება – ხელოვნების სახეობა, რომელიც სექსუალური ვნებისგან, აზროვნებისგან გათავისუფლების ერთადერთი გზაა. ამ თავში უმთავრესი და აუცილებელი პრიორიტეტია თვითკმარი მყუდროება და ნებაყოფილობითობა.

თავი II
გრძნობათა სამეფო
ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინების რაობა

იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება შევძლო საჭიროა ჭეშმარიტი ცოდნა მივიღო. იმისათვის, რომ ეს ცოდნა მივიღო, საჭიროა უფალი ღმერთის მიერ განჭვრეტილი მომავალი დავინახო. იმისათვის, რომ ეს მომავალი დავინახო, საჭიროა ჩემი საკუთარი წარსული დავინახო ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ ეს წარსული დავინახო, საჭიროა მივიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა, შევიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება.

Признание надо заслужить,
А не насилием дабываться.
Да, лучше уж не чем не быть,
Чем из-за славы убиваться.

და საერთოდაც... რა არის თვითგამოვლინების მცდელობა იმ ნაწილში, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინებას არ ემსახურება?! თვითგამოვლინების ერთადერთი საღი აზრი ხომ კეთილის შობაშია.

Если могу видеть что я хочу, теряет смысла, если не вижу то, что должен. Если я пожелаю и захочу увидеть то, что должен, я прозрею.

როგორც წიგნის დასაწყისში არის მითითებული, ეს არის ურთიერთობის ფორმა თანასწორ ეთიკურ დონესთან მიმართებაში. ესე იგი ცოცხალი არსების, ინდივიდუალური სულის ურთიერთობა ზედმიწევნით თავის მსგავს ინდივიდუალურ სულთან ან ძალიან ახლოს მყოფი ეთიკური დონის ცოცხალ არსებასთან. ეს ძალიან წააგავს ურთიერთობას ფაქტიურად საკუთარ თავთან, მხოლოდ სხვა გარეგნულ ფორმაში და ინდივიდუალურ გამოვლინებაში გამოხატულთან. მაშინ მართლაც შეიძლება ითქვას, რომ აქ გულწრფელობის გამოვლინება ანუ საკუთარი თავის მთლიანად გახსნა, ყოველგვარი შებოჭილობისაგან და ხელოვნურობისაგან შესაძლებელიცაა და სასურველიც.

მაგრამ... სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში მატერიალიზებული ნაწილის ასპექტს საერთოდ ეკარგება აზრი და ურთიერთობა დედამიწის პირობებშიც კი ნირვანას ემსგავსება. ეს მშვენიერი და შესანიშნავია სულიერ სამყაროში. მაგრამ მატერიალურ სამ-

ყაროში გაერთიანებული ძალისხმევით ან ზემოთა და ქვემოთა ეთიკურ დონეებთან მუშაობით დაკავდებიან, ან მათი საუბარი საკუთარ თავთან ლაპარაკს დაემსგავსება. აქ ლაპარაკი არის „მამაკაცთა“ (მამაკაცი და მამაკაცი) ან „ქალთა“ ურთიერთობებზე. სქემატურად ეს ნახატზე ასე გამოიყურება. რეალურად ეს ეთიკურად აბსოლუტურად თანასწორი დონეებია, მაგრამ ურთიერთობების სიღრმისეული ინტერესები აშკარად გამოკვეთილია. ეს ორი მონათესავე ინდივიდუალური სულია, რომელთაც მართლა შეუძლიათ, გინდათ ფუნქციონალური თვალსაზრისით და გინდათ ვიზუალური თვალსაზრისით, ერთმანეთი სრულყოფილად შეავსონ და ერთმანეთისთვის თავის თავში არსებული საუკეთესო ნაწილების ურთიერთგაცვლით ერთ მთლიან ჰარმონიად იქცნენ.



ჩემთვის პირადად ეს არის სიყვარულის გამოვლინების ფენომენი მატერიალურ სამყაროში და ამას ფაქტიურად ალტერნატივა არ გააჩნია. მაშ ასე, ალბათ, როგორც მიხვდით უკვე, ეს თავი მიეძღვნება მამაკაცისა და ქალის, როგორც ურთიერთშემავსებელის, ოჯახის ფენომენს, იმას თუ რაზე უნდა იდგეს ოჯახი და როგორ შეძლოს გააკეთოს ის, რაც მართლა უნდა აკეთოს.

ამაში იმალება მიზეზი ზოგადად ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვისა. არ არსებობს მამაკაცი, რომლისთვისაც შესაბამისად პარამეტრალურად ეთიკურად შესაფერისი ქალი არ არსებობდეს და რაღა თქმა უნდა – პირიქით, ეს, ვგონებ, ავტომატურად იგულისხმება.

მაგრამ საბაბმა, რომელიც მიზეზის სამსახურში უნდა მდგარიყო, არათუ მიზეზი დათრგუნა, უფრო მეტიც, გარკვეულწილად მიზნადაც კი გადაიქცა და მთელი საუკეთესო ნაწილის საშუალებად გამოყენება დაიწყო. ეს არის ვნება, სქესობრივი ურთიერთობების სექსუალურ ასპექტში გადაყვანის მცდელობა ცალსახად (სურვილი „ეგო“-სთან შერწყმისა).

იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის ჭეშმარიტად საჭირო მიმართულებით გამოვლინების არსობრივ რაობაში გავერკვე, გვონებ, მეტი სხვა არჩევანი არც არსებობს გარდა ერთისა – გრძნობათა სამეფოში უნდა ვიმოგზაურო. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც კეთილშობილება (სიკეთის შობა) თავისთავად, უშუალოდ, ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი ძალისხმევის გარეშე ვლინდება თავისი ბუნებრივი, რეალური სახით. ამ ჩემს მოგზაურობასაც ამ სულისკვეთებითა და სურვილით მოვახდენ, სურვი-

ლით – ვისწავლო, შევიგრძნო, შევითვისო და გავითავისო სიკეთის, ჭეშმარიტად საკეთებლის კეთების რაობა. ამ გზაზე დახარჯულ შრომას მივუძღვნი ჩემი გაკეთილშობილების სურვილს. რამეთუ ნებისმიერ მოქმედებას სჭირდება მიზანი, აი ეს იქნება ჩემი მიზანი ამ მოგზაურობის პროცესში და, ვფიქრობ, ოდნავი მატებაც კი ამ ასპექტისა ჩემში, უზარმაზარი წარმატება და წინსვლა იქნება.

გრძნობათა სამეფო, თავისი მუდმივი და უცვლელი სახით ყოველგვარი ფარდობითობებისა და შედარებითობების საზღვრებს იქით იმყოფება. რეალურად ის არის საყრდენი, რის მიხედვითაც და რასთან შედარებითობის შედეგადაც ახდენს გამოვლინებას სხვა ნებისმიერი სუბსტანცია: დროც, სივრცეც, კოსმიური გამოვლინებაც, მატერიაც და ნებისმიერი სხვა რამ, რაც გამოუვლინებელ მდგომარეობაში იმყოფება. მასთან შედარებითობის შედეგადაა გამოუვლინებელი ისიც, რაც გამოუვლინებელ მდგომარეობაში იმყოფება. გრძნობათა სამეფოს შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების მქონის სტატუსი მივანიჭოთ, მაგრამ თავად მას აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელობის დარქმევის არც პრეტენზია აქვს და არც სურვილი. ის არის ის, რაც არის და ყოველგვარ შედარებითობებსა და ფარდობითობებზე მაღლა დგას. იქ არის ის, რაც არის და მხოლოდ ის ცოცხალი არსება შეძლებს იქ მოხვედრას, რომელსაც ექნება ის, რაც არის იქ. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, თვით მამა ღმერთიც კი მთელი თავისი უზარმაზარი ენერგიებითა და უზარმაზარი ცოდნით მიზანდასახულად მიისწრაფვის ამ სამეფოსკენ. სწორად რომ ვიყო გაგებული, მამა ღმერთის მოღვაწეობის თემასთან, ვფიქრობ, აუცილებელი იქნება, რომ გავჩერდე ორიოდ წუთით (როგორც ძირითადი თემიდან გადახვევასთან ამ შემთხვევაში).

მამა ღმერთის, როგორც ინდივიდუალური ცოცხალი არსების რეალობა სრულიად არაფარდობითია ყველა დანარჩენ არსებულ ინდივიდუალურ ცოცხალ არსებებთან მიმართებაში. მამა ღმერთის, როგორც მამა ღმერთის, რეალობა დაიწყო იქ, სადაც დამთავრდა ფარდობითობა, შეფარდებითობა მისი სხვა ცოცხალ არსებებთან მიმართებაში. სხვა ყველაფერი სამყაროში ფარდობითია რაღაცასთან მიმართებაში, მაგრამ ის რაღაცაც ფარდობითია სხვა რაღაცასთან მიმართებაში და ა. შ. მაგრამ არსებობს რაღაცაც, რომელიც არ არის ფარდობითი და რომელიც იყო საწყისი, ვიდრე დაიწყებოდა ამ ფარდობითობის მარათონი. მამა ღმერთიც კი თვითონ არის ფარდობითი იმ რაღაცასთან მიმართებაში. ის არის მი-

ზეზი იმისა, რისთვისაც დაიწყო ეს ფარდობითობის, შედარებითობის მარათონი. ის არის ყველაზე უფრო მყარი, მდგრადი და სარწმუნო, ვიდრე მისკენ მიმავალი და მისგან გამომდინარე სხვა ყველა შედარებითი და ფარდობითი რეალობები.

აქვე, იძულებული ვარ გავაფართხილო ნებისმიერი, ვისაც ამის წაკითხვისა და გააზრების უნარი გააჩნია, ვისთვისაც ამის წაკითხვის შემდეგ მამა ღმერთის ავტორიტეტი და, თუ გნებავთ, შიშიც კი (რამეთუ იმხელა სიყვარული, რამხელაც მისი პერსონისთვისაა საჭირო მხოლოდ ე. წ. რჩეულთა ხვედრია) ოდნავ მაინც შემცირდება, იმდენითვე შემცირდება მისი ჭეშმარიტების შეცნობის, წვდომის უნარი, მისი სულიერი ჭუჭყი მყისეულად ზრდას დაიწყებს და დანარჩენს უკვე თქვენს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები გადაგითარგმნიან თქვენივე სხეულისეულ დონეზე. მამა ღმერთი უზენაესი პიროვნებაა ყველა არსებულ ცოცხალ არსებებს შორის. ხოლო ვისაც პოზიტიურის დანახვა უნდა, მათ ვეტყვი: თუ უზენაესი ცოცხალი არსება, მამა ღმერთი მუდმივად ზრუნავს თავისი ინდივიდუალური სულის წინსვლაზე, თქვენ, უბრალო, რიგით ცოცხალ არსებებს როგორ შეგიძლიათ იფიქროთ ის, რომ რაღაც სულიერ დონეზე ჩაღრმავების შემდეგ იმ დონეს მიაღწიეთ, რომ სულიერი განწმენდა აღარ გესაჭიროებათ და თავს იმის უფლება შეგიძლიათ მისცეთ, რომ სხვა ცოცხალ არსებებს თქვენი შეცნობილი „აბსოლუტური ჭეშმარიტებით“ ტვინი უბურღოთ, მეტწილად მათი ნება-სურვილის წინააღმდეგაც კი. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ იძულებული ვარ ეს ე. წ. რეკომენდაცია მივაწერო, ვგონებ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო. ვინც გაბრაზდება ან გაკრიტიკებას დაიწყებს, დაბეჯითებით ვარწმუნებ, რომ ეს მას ეხება, რაც ამ რეკომენდაციაშია. არჩევანი თქვენზეა. გირჩევთ ცხრაჯერ გაზომოთ, ვიდრე გადაჭრით.

მოდით, მთავარ თემას დავუბრუნდები. მაშ ასე, იმისათვის, რომ გრძნობათა სამეფოში მოგზაურობის უფლება (ვიზა) მივიღო, ელემენტარული ტესტი უნდა გავიარო, რომელიც ამ სამეფოში შეშვებისათვის არის აუცილებელი. პირველი და აუცილებელი პირობაა, პასუხი გავცე კითხვას, თუ <u>რა არის გრძნობა</u>? რა თქმა უნდა, ეს არ არის ის, რაც დედამიწაზე აღქმულ ფასეულობებში მოიაზრება, მაგრამ ის დედამიწის პირობებშიც კი არსებობს და არის ის, რასაც ამ პლანეტაზე ყველაზე ნაკლებად აფასებენ. ეს არის რეალურად, ჭეშმარიტად რეალური, არაფარდობითი, არაშედარებითი რეალობის აღქმა, ანუ მთელი ყველაფერი არსებულის, რო-

გორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, ინტერესების ამსახველი ფასეულობა. აქ, დედამიწაზე ადამიანები თავისი პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენ, სხვა ადამიანების ინტერესების არგათვალისწინებით, ამიტომ ამ ინტერესების ამსახველ შეგრძნებით ფასეულობას უფრო ემოციის დარქმევა შეესაბამება, ვიდრე გრძნობა. ამიტომ, მოდით შევთანხმდეთ, რომ ადამიანი იბრალებს გრძნობადობას და ცხოვრებაში ერთი-ორჯერ კანტი-კუნტად თუ მართლა იგრძნობს ხოლმე რამეს. რასაც გრძნობა მოიცავს, ბედნიერებისგან იფურჩქნება და იწვის.

ალბათ, გაგონილი გექნებათ, რომ ადამიანის ორგანიზმში პატარა ცოცხალი არსებები ბინადრობენ. მაგალითად, ავიღოთ ჭიები, რომლებსაც ბავშვობაში აღმოუჩენენ ხოლმე. თქვენ ჭამთ საჭმელს, ის ხვდება ნაწლავებში და კუჭში. ნაწლავები ადამიანს დაახლოებით 10-12 მეტრის სიგრძის აქვს. ისე რომ, ჭიები, ელოდებიან რა თავის ულუფას, საჭმლის მათთან მოხვედრისთანავე სიამოვნებით შეექცევიან. მაგრამ რამდენად შედის ჭიის ინტერესებში, უფრო სწორედ, რამდენად ზრუნავს ის გაუფრთხილდეს თქვენს ორგანიზმს, როგორც მყუდრო სახლს, რომლის არც აშენებაზე უფიქრია, არც კლიმატური პირობების შექმნაზე? არც უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე და არც საკვების შოვნაზე. ფაქტიურად ყველაფერი სრულიად გაუნძრევლად, თავისთავად ეძლევა და არც თავისნაირ ჭიებთან იკლებს განცხრომასა და დროსტარებას, ოჯახდება, ჰყავს შვილები, მაგრამ როგორც კი საჭმელი დაუგვიანდება ან მის შვილებს შემოაკლდებათ, გამწარებული, უკმაყოფილო ასეთი ჩვენი უსაქციელობით, პირდაპირ ნაწლავის კედლების წიწკვნას იწყებს. სწორედ ეს წიწკვნაა, იმ მწარე ტკივილს რომ ანიჭებს ჭიების მატარებელ ადამიანს. აი, ამდენს იმიტომ ვწერ, რომ შევძლო დაგანახოთ, რა არის გრძნობა, როცა პიროვნება იმ ინტერესების აღსრულებას ცდილობს, რომლებიც სხვათა ინტერესების შელახვის, სამყაროს კანონების დარღვევის ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს. რითია ის ადამიანი უკეთესი 10 მეტრიანი ნაწლავის რომელიღაც წერტილში მოთავსებულ ჭიაზე? მე ვიტყოდი – გაცილებით უარესია, რამეთუ ადამიანმა ადამიანობის პატივი დაკარგა და ჭიად გადაიქცა.

მაშასადამე, გრძნობა არის სიღრმის, შეგნების, პასუხისმგებლობის შინაგანად აღქმის ამსახველი ფასეულობა. გრძნობის ამსახველი საშუალებებიც მრავალია და ისინიც კოლექტიურად ერთმანეთის შევსებითა და ერთმანეთის გათვალისწინებით მოქმედე-

ბენ. დღესდღეობით აღიარებულია ადამიანთა მიერ ხუთი გრძნობის რაობა: ხედვა, გემოს შეგრძნება, სმენა, ყნოსვა და შეხება. მე ამ ზედაპირულ ჩამონათვალს დავუმატებდი კიდევ სამს: შინაგან შეგრძნებას, ანუ შეხებას გარეგანი ფიზიკური შეხების გარეშე, თვითგამოვლინების შეგრძნებას, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას მეტყველება წარმოადგენს და წარმოსახვის უნარს, თუნდაც ფიქრის საშუალებით. აი, ამ რვა გრძნობის უნარის ურთიერთშეზავებით ისეთი კოქტეილი შეიძლება მომზადდეს, რომელიც შეგვაძლებინებს გრძნობათა სამეფოში მოგზაურობის უფლება და შესაძლებლობა მივიღოთ. ეს ჩამონათვალი თუ რაღაცნაირად არ დაკომპლექტდება, ვგონებ, ძალიან ჩახლართულ ლაბირინთს დაემსგავსება. მოდით, კლასიფიცირება მოვახდინოთ, შევქმნათ ერთგვარი ანბანი. ამისთვის ყველასთვის ნაცნობ ადამიანურ ორგანოებს გამოვიყენებ. ესენია: თვალები, ენა, ყურები და ცხვირი (ეს ორგანოები გენიტალიების, სწორი ნაწლავის და მთელი ორგანიზმის ჰარმონიული ურთიერთშეზავების წარმომადგენლობითი შედეგობრივი მაჩვენებლები არიან).

	სასურველისკენ ანუ არჩ(ვ)ევანისკენ სწრაფვა	**რჩ(ვ)ევების მიხედ-ვით სასუველი ზომვა**	**სასურველის გან-ხილვა განზოგადება**	**სასურველის აღსრუ-ლების უზრუნველ-ყოფა**
	ემოცია რომანტიზმი	**ამბიცია მატერიალიზმი**	**გონება იდეალიზმი**	**გრძნობა რეალიზმი**
	თვალები	**ენა**	**ყურები**	**ცხვირი**
ემოცია	ცდუნება გართობა მიბაძვა ვნება	განკითხვა-შთაგონება დოგმატურობა მნიშვნელოვნება	განხიბლვა – გადასხვაფერება აღშფოთება ოცნება	აღფრთოვანება – მოხიბლვა ილუზია შეცოდ(ვ)ება
ამბიცია	ხედვა – შიში მოუთმენლობა სასოწარკვეთა	გემოვნება ეჭვიანობა ტრაბახი	სმენა ცნობისმოყვარეობა ფანტაზია	ყნოსვა განცდა ეიფორია
გონება	სქესობრივი ლტოლვა – მონანიება სირცხვილი	ტემპერამენტი – აღსარება სინდისი	წარმოსახვა – ღვთისნიერება საკუთარი „მე“-ს შეგრძნება	ინტუიცია – სიმშვიდე უშუალობა
ჭკუა	შეხებით შეგრძნება – სიამოვნება	გულწრფელობა – გაზიარება მოთმინება	შექმნა, წარმოქმნა – შეგნება, ცოდნა, წესრიგი	**შინაგანი შეგრძნება – ощущение**
გრძნობა	სულიერი ლტოლვა მადლიერება – მყუდროება ნათელმხილველობა	გულწრფელობა – გაზიარება მოთმინება	ნეტარება – განათლება ჭეშმარიტება	თანაგრძნობა – კეთილშობილება ჰარმონიულობა რეალობა

ეს მხოლოდ იმის დემონსტრირებისათვის არ არის, რომ გამოჩნდეს გრძნობებთან და მის გადმომცემ ორგანოებთან რა საშინლად

ძუნწი მიდგომა აქვს ადამიანს, თუმც ვგონებ, ეს არ შეიძლება არ დაინახოს და არ გაიგოს სიღრმეში შესვლის მსურველმა. აი, ეს შეფერადებული მართკუთხედია იმ შინაარსის მომცველი, რასაც ის გრძნობა მოიაზრებს, რომლის დანახვებას, გაგონებას, გამოთქმას და შეგრძნებასაც ამდენი ხანი ვცდილობ. მთელი ეს ლაბირინთი რომ არ ჩამომეწერა, ამას ვერ მოვახერხებდი. ეს იმდენად ერთი მთლიანი მონოლითური ორგანიზმია, რომ ქვედა საფეხურების ავლის გარეშე ზევით ვერავინ ვერ მოხვდება.

აი, ახლა უკვე შეიძლება გრძნობათა სამყაროში შევიხედოთ, თუ რა ხდება იქ და როგორ არის ყოველივე აწყობილი.

<u>პირველი</u>, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ აქ სრულყოფილად არის დაცული ობიექტურობა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, არავისა და არაფრის გულისათვის არასოდეს არავისი მხრიდან არ ირღვევა აქ არსებული კანონების უზენაესობა. თვითონ ეს კანონები კი არ არის ჩახლართული, გართულებული და სრულიად მარტივი აღსაქმელია ნებისმიერისათვის და ყველასათვის.

<u>მეორე</u> არის ის, რომ აბსოლუტურად ყველა თანასწორია არსებული მოქმედი კანონის წინაშე. არავის არ ეძლევა არავითარი შეღავათი სხვასთან მიმართებაში თავისი მდგომარეობის გამო და უფრო მაღალი იერარქიის წარმომადგენელი ცოცხალი არსებები უფრო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან. სხვათა შორის, სწორედ ამის მიხედვით მიიღწევა აქ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, ანუ წარმატება.

<u>მესამე</u> არის ის, რომ აბსოლუტურად ყველა იზიარებს ერთმმართველობის იდეას, ანუ ერთი, ყველაზე ღირსეული და ყველაზე კომპეტენტური ცოცხალი არსება, მეფე მართავს სამეფოს სტრატეგიულ მიმართულებას და არასდროს არავის არ უჩნდება სურვილი დაუპირისპირდეს, არ დაემორჩილოს, ანდა აუჯანყდეს მას, რამეთუ ყველა უკლებლივ აღიარებს მის უპირატესობას. მეფე კი თავად არის ცოცხალი მაგალითი, უზენაესი კანონების განუხრელი შემსრულებელი.

<u>მეოთხე</u> არის ერთიანობის, ერთ „მე“-დ არსებობის აღქმის იდეა, ანუ არ არსებობენ ე. წ. სხვები. ერთის შევიწროვების ხარჯზე მეორის გაფართოვება აქ უაზრო გაგებამდე დადის, რამეთუ ერთის ტკივილი ყველას ტკივილია, ერთის სიხარული ყველას სიხარულია. აქ ყველა ცოცხალი არსება ერთმანეთის მოყვასია. ***<u>მათ კი მოყვასი ისე უყვართ, ვითარცა თავი თვისი.</u>***

ამგვარად, როგორც ჩანს სტიმულირებულია საკუთარ თავში პასუხისმგებლობის ამაღლების მცდელობა, რამეთუ ეს წარმატების უცილობელი საწინდარია. პასუხისმგებლობის ცნებაში უფლებებისა და მოვალეობების თანასწორობას ვგულისხმობ. მაგრამ ცალსახად ერთის აწევა ხელოვნური გზით შეუძლებელია და სწორედ ეს არის ხოლმე მიზეზი მატერიალურ სამყაროში ჩამოვარდნისა. იმას ნურავინ დაიდებს მოვალეობად, რისი აწევის უნარიც არ გააჩნია. მოდით, უფრო თვალნათელი რომ გახდეს, რა არის ეს ყოველივე, ჩემეული შეხედულებით ჩამოყალიბებულ ქაოსების თეორიის არსს გაგაცნობთ, რომელიც სწორედ რომ წარმატების ზედმეტ მცდელობას მოსდევს.

ქაოსების თეორიის არსი

ამ თეორიის არსი მოვლენათა ბუნებრივი (საჭირო) სვლის გაუთვალისწინებლობაში (უგულვებელყოფაში) მდგომარეობს.

მოდით, მხოლოდ ორი ძირითადი ასპექტი განვიხილოთ, რა თქმა უნდა, დაწვრილებითი განხილვისას ისინი მილიონებია, მაგრამ აქ, ვფიქრობ, ეს სრულიად ზედმეტი იქნება.

<u>პირველი ასპექტი</u>: (თვითგაკერპება, პრაგმატიზმი) საკუთარი თავისთვის წამყვანობის უფლების მინიჭების ან უბრალოდ უფლების მოვალეობაზე უპირატესობის შემთხვევაში წამყვანის არასრულყოფილებაა აქ თვალში საცემი. მიმდინარეობს ამა თუ იმ მოვლენის, სიტუაციის მართვა-გაძღოლა, სადაც, ნებით თუ უნებლიეთ, ხდება წინასწარ გათვალისწინება, დაგეგმვა ამა თუ იმ მოვლენის, თუ სიტუაციების, რომლებიც უნდა მოხდეს. ძირითად პრობლემას წამყვანის ტაქტიკურ საკითხებში შეძვრომა წარმოშობს. მისი არაეთიკურობის განმსაზღვრელი პარამეტრი არის ტრაბახი.

ტრაბახი: ა) შემოსაზღვრის სურვილი; ბ) თავზე მოხვევის სურვილი; გ) აკრძალვის სურვილი; დ) იძულების სურვილი.

<u>მეორე ასპექტი</u>: (კერპთაყვანისმცემლობა, ფანატიზმი) საკუთარი თავისთვის იმაზე მეტი მოვალეობის დაკისრების მცდელობა, ვიდრე საკუთარი უფლებების რაოდენობაა.

სამართავში (იმაში, ვისაც მიუძღვება წამყვანი) დიდი ხნის მოთმენის შემდეგ აუცილებლად იბუდებს უკმარისობის გრძნობა. მოუთმენლობა, აკრძალულის გასინჯვის სურვილი, რომელიც შემდგომში ხორციელდება მალულად, ქურდულად, არ გამოთქმულის, ჩაგროვებულის დაგროვების ხარჯზე, იქამდე, ვიდრე ეს ჩაგროვი-

ლი იმაზე დიდი არ გახდება, ვიდრე ბუნებრივი შიში შეუცნობელის, „ზებუნებრივის“ წინაშე. ძირითად პრობლემას სამართავის სტრატეგიულ საკითხებში შეძვრომა წარმოშობს. მისი არაეთიკურობის განმსაზღვრელი პარამეტრი არის ცნობისმოყვარეობა.

ცნობისმოყვარეობა: ა) „საზღვარს“ გარეთ გასვლის სურვილი; ბ) განუკითხაობის სურვილი; გ) აკრძალულის გასინჯვის სურვილი; დ) დამოუკიდებლობის სურვილი.

ამ ორი ასპექტის თანაარსებობის შედეგად ხდება ერთგვარი პროვოკაცია (ამა, თუ იმ მიღებული, დამკვიდრებული ფასეულობების რადიკალურად საპირისპირო რამ), აფეთქება, რევოლუცია (ევოლუციის რევერსი, უკუპროცესი), რომელიც აიძულებს მათ, ვისაც მართავდნენ, უფრო დაწვრილებით შეიცნონ ბუნებრივი სვლის, ევოლუციის კანონები, ხოლო მათ, ვინც მართავდა სიტუაციას, შეიმეცნონ საკუთარი არასრულყოფილება.

აი, ასე ხორციელდება ქაოსი, რაც შედეგად იძლევა საკუთარი არაეთიკური სურვილების შეცნობის შესაძლებლობის დიდ პორციას და ორივე „დაპირსპირებული“ მხრიდან ჩნდება ქაოსის ჩაქრობის, „მოთვინიერების“ სურვილი, მისი საყოველთაო მყუდროებაში გადაყვანის მცდელობა, დაკარგული ურთიერთნდობის აღდგენის მცდელობით, მაქსიმალური გამჭვირვალობის შემოტანით, მაქსიმალური ურთიერთგაგებით (რაც შეუძლიათ) და უკვე ორივე მხრიდან მომდინარეობს მაქსიმალური ძალისხმევა ძალადობის შემცირებისათვის მის ყველანაირ გამოვლინებაში, პასუხისმგებლობის აწევით და მთავარ თეზისად შემოდის ნებაყოფილობითობის ცნება.

შემდეგ იწყება ამ ახლადჩამოყალიბებული ეთიკის ნორმების შეთვისება, ვიდრე იგი არ ჩამოყალიბდება სტაბილურ დოქტრინებში, კულტებში, ფასეულობების გადაფასებებში და ვიდრე არ შექმნის მთელ იდეოლოგიას (კულტურას, წეს-ჩვეულებებს, რელიგიას, ცივილიზაციის ფორმებს და ა. შ.).

მაგრამ, როდესაც ქაოსის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგიის პორცია შეთვისებულ ცოდნად გარდაიქმნება, მაშინ შეთვისებული ეთიკის ნორმების შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერება ფორმალობად გადაიქცევა და ჩვეულებრივ, ჩვევებში გადაიზრდება (რიტუალად, ტრადიციად ან ლიტურგიად, როგორც ფიტული ცოცხალი ორგანიზმის გარეშე), მაშინ აუცილებლად წამოვა სიტუაციის გამოცოცხლების ახალი ტალღა, ახალი მცდელობა.

ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ წამყვანი მატერიალურ სამყაროში ყოველთვის მიისწრაფვის კონსერვატიზმისაკენ (ცხოვრების სტილისაკენ, რომელსაც უკვე მიეჩვია), ხოლო ის, ვისაც მართავენ, მიისწრაფვის სიტუაციის შეცვლისაკენ, რეფორმებისაკენ ნებისმიერი საშუალებებით და რაიმეს ფორმალური ცვლილებაც კი აძლევს და უკმაყოფილებს საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას და უკვე მერე ფიქრდება იმაზე, თუ რა მოიტანეს ამ ცვლილებებმა.

ქაოსი→მყუდროება→წესრიგი→ქაოსი→მყუდროება→... და ა. შ.
აი, ეს არის ქაოსების თეორიის არსი.

როგორ შეიძლება ქაოსიდან გამოსვლა ინდივიდუალურ დონეზე მატერიალურ სამყაროში? შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა. რამეთუ მატერიალურ სამყაროში სრულყოფილად ეს, ფაქტიურად, შეუძლებელია.

სასურველია არაფერი არ განვჭვრიტო წინასწარ, არ ვგეგმო ტაქტიკურ, მატერიალურ ნაწილში, ვიცხოვრო აწმყოთი, აი, ამ წამით, რაც ახლაა. ამ დონის მიღწევა დედამიწაზე რეალურად შეუძლებელია, რამეთუ გარემო და ელემანტარული ფიზიოლგიური, ცხოველური მოთხოვნილებები ამის საშუალებას არ მომცემენ, მაგრამ მივისწრაფვოდე ამისკენ, ეს ნამდვილად და რეალურად სავსებით შესაძლებელია. ეს მიდგომა მაზიარებს ე. წ. „ოქროს შუალედს“, ღმერთს, ჭეშმარიტ ცოდნას, აი, ამის მეტნაკლებად მიღწევის შემდგომ, როცა ჩემი შესაძლებლობის ზღვარი მეტს ვეღარ აიტანს, უკვე თვითრეალიზაციაზეც შეიძლება ფიქრი. ეს ჩემი მდგომარეობა ეთიკური საზომებით ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის იქნება, ვიდრე იყო „ოქროს შუალედთან“ მეტნაკლებად ზიარებამდე.

უკვე, როგორც მომქმედი წამყვანი, ყოველთვის უნდა მივისწრაფვოდე სულიერი ევოლუცირებისკენ, განვითარებისაკენ ტრანსცენდენტული საშუალებებით, ჯერ უნდა ვფიქრობდე იმაზე, თუ რას მოიტანენ ესა თუ ის ცვლილებები და შემდეგ ვახორციელებდე (ასე ვთქვათ, ცხრაჯერ უნდა ვზომო და ერთხელ ვჭრა). ხოლო როგორც წასაყვანი, სამართავი უნდა მივისწრაფვოდე ტრანსცენდენციის შეგრძნების მიღწევისკენ, სადაც რაიმე სულიერი წინსვლა არ დამაკარგვინებს უფრო ზემოთ, უფრო ღრმად განათლების, ჭეშმარიტი ცოდნის წვდომის სურვილს. უნდა შევძლო გა-

ვუმკლავდე საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას და ჩემი წამყვანის მნიშვნელობა და მნიშვნელოვნება არ დამავიწყდეს არასოდეს და დამოუკიდებლად მოქმედება წამყვანთან შეთანხმებითა და წამყვანის კურთხევით მოვახდინო.

ვგონებ, ამ თეორიაშიც მშვენივრად ჩანს მატერიალური სამყაროს მანკიერი ბუნება და სულიერი სამყაროს ჭეშმარიტი უმანკო ბუნება. სხვათაშორის, აქაც ჩანს გრძნობათა სამეფოს მოწყობის სისტემა და არსი წმინდა სახელმწიფოებრივი გადასახედიდან. მაგრამ, განა სახელმწიფო უამრავ, მრავალ ოჯახთა ერთობლიობა არ არის? ანდა ოჯახი ნუთუ თვითონ სახელმწიფო არ არის, სახელმწიფოს პატარა და უფრო თვალნათლივი მაკეტი, ვიდრე თვითონ სახელმწიფო, უზარმაზარ მასშტაბებში დამალული თუ არ დამალული რაღაც-რაღაცეებით.

მე მსურს ახლა ამ თავის საკვანძო საკითხს შევეხო. მიზეზთა მიზანს ყოველივესი, რაც არის, იმას, რისკენაც არის მიმართული მიზნები, უნდა ვინმეს ეს, თუ არა.

ოჯახი

ნებისმიერი სიღრმისა და სიმაღლის ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულის ანუ ინდივიდუალურობის გამოვლინებას, აბსოლუტურად იდეალური ევოლუციური ტრაექტორიით სვლის შემთხვევაშიც კი, აქვს ზღვარი. ინდივიდუალურობის, სრულყოფილებისკენ სწრაფვა ხომ რეალურად საკუთარი თავის, ანუ ინდივიდუალურობის შემცირებისკენ ორიენტაციაში არის გამოხატული. რაღაც გარკვეულ დონემდე მიღწევის შემდეგ ინდივიდუალური სული „დასასვენებლად ჩერდება“, ანუ ინტერესდება იმით, თუ რა შედეგი მოიტანა მისმა მეცადინეობამ, რომელსაც ამდენი ხანი აწარმოებდა, იწყება ხედვა უკან ანუ წარსულში. ფაქტიურად, საკუთარი განვლილი გზის დანახვის მცდელობა უკვე თვითრეალიზებულობის პროცესის დანახვის სურვილია და რა სიღრმისეული დონიდანაც აქვს ეს სურვილი თვითრეალიზირებულ ცოცხალ არსებას იმ სიღრმის დონეზე მყოფ სხვა ცოცხალი არსების ინდივიდუალურ სულთან ამყარებს ურთიერთობას, რის მეშვეობითაც რეალურად შეძლებს საკუთარი სურვილის დაკმაყოფილებას, მაგრამ კონტაქტის შემდგომ თვითონ ხდება მისი მეგზური, მოძღვარი და სულიერი მეგობარი, თვითონ მისთვის კი, ეს კონტაქტორი ინდივიდუალური სული თანდათან უფრო ძვირფასი ხდება იმდენად, რამდენადაც

იგი ვიზუალურად ეხმარება საკუთარი ინდივიდუალური სულის განვლილი გზის დანახვაში. ეს ორი ინდივიდუალური სული ამ ურთიერთობების შედეგად ქმნიან იმ ინსტიტუციურ ცნებას, რასაც ჰქვია ო ჯ ა ხ ი . ამ ურთიერთობების ოთხ ძირითად კლასიფიკაციურ ნაირსახეობას გამოვყოფდი.

I ოჯახური მაკეტი

I. ეთიკურ-ჰარმონიული საზომი პარამეტრალური მონაცემებით უფრო დაბლა მდგომი ინდივიდუალური სულის მხრიდან მომდინარე ინიციატივით თავდაუზოგავი სწრაფვა უფრო მაღალ ეთიკურ-ჰარმონიულ დონეზე მყოფი ინდივიდუალური სულისაკენ მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით, მაშინ როცა ინდივიდუალური სული, რომლისკენაც სწრაფვაა მიმართული, ცალსახად სრულყოფილების სწრაფვითაა დაკავებული. ამ ურთიერთობებზე აწყობილი ოჯახი კრისტალური სულიერი სისპეტაკითა და იდეალური, ევოლუციური გადასახედიდან ეტალონური, ანუ იდეალური შეფასებით ხასიათდება. ურთიერთობა აწყობილია ცალმხრივ სულიერ ლტოლვაზე (ქვემოდან ზემოთ) და კონტაქტი ზემოდან ქვემოთ, მორჩილი თაყვანისცემისა და ინდივიდუალური სულის რეალური კოსმიური ადგილ-მდებარეობის შესაბამისი ცოდნის მიწოდებით განისაზღვრება. სხვა ტიპის სულიერი და, მით უმეტეს, ვიზუალური კონტაქი რეალურად აქ არ შეიძლება არსებობდეს. ამ ურთიერთობის შედეგად, ურთიერთობებში მონაწილე შედარებით უფრო დაბლა მდგომი ინდივიდუალური სული, მორჩილებისა და თაყვანისცემის სულისკვეთების მეშვეობით, ზრდის თავისი გრძნობადობის პარამეტრს, რომელიც ჩანაცვლებული იყო ამბიციურობის (საკუთარი მოსაზრებების შედეგად გრძნობის იგნორირების) პარამეტრით, ხოლო „ზემოდან“ მოწოდებული ცოდნის მეშვეობით ზრდის გონების პარამეტრს, რომელიც ჩანაცვლებული იყო ემოციურობის (საკუთარი თვითრეალიზაციის შედეგად იგნორირებული ჭეშმარიტების, გონების იგნორირების) პარამეტრით. აქ ორი დამხმარე პარამეტრია კიდევ – სინდისი და სირცხვილი, რომელსაც შემდგომ ცალკე შევეხები. ვნახოთ, რას ღებულობს ამ ურთიერობებში მონაწილე შედარებით უფრო მაღლა მდგომი ინდივიდუალური სული ასეთი ტიპის ურთიერთობის შედეგად. მისი გადასახედიდან, მასზედ მიჯაჭვული ინდივიდუალური სულის მეცადინეობა არის თვითგამორკვევისა და თვითაღზრდის პროცესი, რომლის მიმდინარეობის დროსაც თვითონ მხოლოდ ინდივიდუალური სულისთვის ძნელადგასავლელ კრიტიკულ მომენტებში ერ-

თვება და ისიც იმით გამოიხატება, რომ შეძლებისდაგვარად მცირედ, „ძუნწად“ აძლევს ორიენტირებს „გაჭედილი“ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ლიტერატურული ენით რომ ვთქვათ, სურს მის მიერ აწყობილი ველოსიპედი დამოუკიდებლად რომ „გამოაგონებინოს“ და ააწყობინოს, რამეთუ ამ ძალიან სერიოზული და საკმაოდ რთული მუშაობის შემდეგ ამ „ველოსიპედს“ უპასუხისმგებლოდ აღარ მოეპყრას და არავისა და არაფრის გულისათვის მისი იგნორირება აღარ მოიწადინოს. ხოლო ის, თუ პირადად თვითონ რას ღებულობს ამისაგან, ჩემი შეხედულებით, ღებულობს იმხელა ესთეტიკურ და ეთიკურ სიამოვნებას, რომელ სიამოვნებაზე დიდიც, რეალურად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და კიდევ, ეს არის უზარმაზარი სტიმული პირადად მისთვის, როგორც ინდივიდუალური სულისთვის მომავალში წინსვლისათვის სრულყოფილებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით. როგორც რეზიუმე მსურს ერთი ციტატა მოვიყვანო ინდუიზმის რელიგიური, უფრო სწორად, ზოგადცნობიერული სწავლებიდან: „როდესაც საყვარელი საყვარელს ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე ემორჩილება, ამას ერთიანობა ჰქვია“. ანუ ეს პირველი ვარიანტი არის ორი ზედმიწევნით ჰარმონიული, მაგრამ სიღრმისეულად განსხავავებული ინდივიდუალური სულის ურთიერთობა. |I| და |II|. II და II.

II ოჯახური მაკეტი

II. ეთიკურ-ჰარმონიული საზომი პარამეტრალური მონაცემებით ორი აბსოლუტურად თანასწორი ინდივიდუალური სულის ურ-



თიერთობა, სადაც სიღრმისეული ინტერესები აშკარად განსხვავებულია. ეს ორი მონათესავე ინდივიდუალური სულია (Родственные души), რომელთაც ჭეშმარიტად შეუძლიათ ერთმანეთის საუკეთესო ნაწილების „ურთიერთგაცვლით“ ერთ მთლიან ჰარმონიად იქცნენ. ამ თავის დასაწყისში აღვნიშნე, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, მისი უზარმაზარი მნიშვნელობის გამო – ეს არის სიყვარულის, ჭეშმარიტი სიყვარულის ფენომენი მატერიალურ სამყაროში და ამას ჭეშმარიტად არ გააჩნია ალტერნატივა. მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ინდივიდუალური სული ვერანაირად ვერ იქნება ჰარმონიული, ანუ გრძნობისა და გონების პარამეტრები ვერ იქნებიან საჭიროდ იდეალურად პროპორციულნი ერთმანეთისა, ამიტომ I ვარიანტის რეალურ განხორციელებაზე უბრალოდ ლაპარაკიც არ შეიძლება, ის მატერიალურ სამყაროში პატრიარქალური მიმდინარეობის დაცვის სარჩულით უბრალოდ ტირანიაში, დიქტატორულ გა-

მოვლინებაში გადაიზრდება. ეს ფენომენი მხოლოდ სულიერი სამყაროსთვის არის შესაძლებელი, სასურველი და მისაღები. მაგრამ მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებს პირველი ვარიანტის გამოყენება არათუ შეუძლიათ, არამედ სასურველიც არის და თუ გნებავთ, აუცილებელიც, მხოლოდ არა ოჯახის შექმნის მაკეტისთვის, არამედ საკუთარი თავის მომართვისათვის უფალთან მიმართებაში. ესეც ერთგვარი ოჯახური კავშირი იქნება და, თუ ამას შეძლებს მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული, ის მიიღებს ყველაზე დიდ წოდებას, რაც კი არის შესაძლებელი – ღვთის ძის წოდებას, ხოლო მატერიალური სამყაროდან გასვლის შედგომ, უფალი ღმერთის ხილვის ღირსი გახდება, თუ მთელს თავის ცხოვრებას, მატერიალურად არსებობის პერიოდს, შეგნებულად და გულმოდგინებით I ვარიანტში მოყვანილ გზას დაუთმობს. ეს არის გზა სულიერი წარმატებისა და ევოლუციერებისა.

„ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

ნეტარ იყვნენ წმინდანი გულით, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.“

ახლა კი მოდით, ისევ II ვარიანტს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, მასთან მიმართებაში ეს მატერიალურ სამყაროში ყველა შესაძლო ვარიანტებიდან საუკეთესო, სასურველი და, არ შემეშინდება ამის თქმა, იდეალურიც კია, მატერიალური სამყაროს ერთადერთი რეალური, შეიძლება ითქვას – უპირატესობა, რაც არსებობს, სულიერ სამყაროსთან შედარებით. ამ ყოველივეს იმიტომ ვწერ, რომ დავანახო, გადმოვცე მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ცოცხალი არსება რეალურ ცხოვრებაში რას უნდა აყენებდეს ევოლუციერების შემდგომ პირველ ადგილზე. ამიტომაც მას ვრცელი ამპლიტუდური მონახაზით შემოვუვლი. შემოდის ადამიანთა ერთმანეთისგან ფუნქციონალურადაც და ვიზუალურადაც (რელიეფურადაც, ფორმითაც) განმასხვავებელი, ერთადერთი ჭეშმარიტად განმასხვავებელი ცნობიერების ცნება, სქესის ცნება. შემოდის მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების, უკლებლივ ყველას მამრ და მდედრ სქესად მოვლინებულობის ფენომენი. ადამიანის შემთხვევაში კი ესენი არიან კაცი (მამაკაცი) და ქალი (დედაკაცი). მოდით, ძველი აღთქმის ბიბლიურ მითოლოგიაში გადავინაცვლოთ. ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი კაცი და უკვე შემდგომად ამისა კაცისაგან ამოღებული ნეკნით შეჰქმნა მეორე ადამიანი ქალი, ისინი ორივე ადამიანებად იწოდებიან, მაგრამ ვგონებ, უდა-

ვოა, ის, რომ მათ შორის სერიოზული განსხვავებები არსებობს. გვონებ, ის აზრიც თავისთავად ითხოვს გამოჩინებას, რომ ამ ორ, ერთი და იგივე ზოგადი კატეგორიის, ადამიანის წარმომადგენელს სერიოზულად განსხვავებული ფუნქცია აკისრიათ, როგორც სულიერ ისე მატერიალურ ასპექტში. აი, სწორედ ადამიანური კომპეტენციის გადასახედიდან თუ შევხედავთ, სრულიად საკმარისი იქნებოდა ამ ფუნქციათა განსაზღვრება და დაწვრილებით ჩამოყალიბება და განზოგადება, რის შემდეგაც საჭირო იქნებოდა მათი ზედმიწევნით შემეცნება-შეგრძნება და მამაკაცი და დედაკაცი ერთი-მეორის ურთიერთშერწყმით ფუნქციონალურ ასპექტში ერთ მთლიან ჰარმონიულ „მე“-დ გარდაიქმნებოდნენ და იცხოვრებდნენ სიტკბოებასა და სიყვარულში, ვიდრე მათი არასრულყოფილებიდან არაფერი დარჩებოდა და ა. შ. სწორედ ეს მიმაჩნია ერთადერთ რეალურ უპირატესობად მატერიალური სამყაროსი სულიერ სამყაროსთან შედარებით. ეს არის საშუალება ერთდროულად ორი უმთავრესი ორიენტირის სრულყოფილად დაკმაყოფილებისა. ეს ორი ორიენტირი არის ევოლუცია და ჰარმონიზაცია. ანუ მამაკაცი უნდა იყოს მამა ღმერთის მორჩილი, ერთგული და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელი და შემგრძნობელი, ხოლო ქალი კი სულიწმიდის მორჩილი, ერთგული და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელი და შემგრძნობელი. ორივე უნდა მოერიდოს ყოველგვარ გადახვევას პროვოკაციული, ინდივიდუალურად იმპროვიზაციული საშუალებებით. მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის მიერ აღქმული ე. წ. თავისუფლების, თვითგამოვლინების შეზღუდვა სინამდვილეში აბსოლუტურად უადგილო სპეკულაციური ავანტიურაა და ეს ე. წ. თავისუფლების დემონსტრაცია მხოლოდ და მხოლოდ ენით აუწერელი ბედნიერების ხელის შემშლელი ფაქტორია და მეტი ვერაფერი. და აქვე არ შემიძლია გავუძლო ცდუნებას და არ შევეხო მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულების მატერიალურ სხეულისეულ ფაქტორს, რამეთუ ზემოთ აღწერილი ყველაფერი ინდივიდუალურ სულებსა და მათ ურთიერთობებს ეხებათ სხეულისაგან დამოუკიდებლად. მამაკაცისა და ქალის სხეულები, ისევე როგორც მთელი კოსმიური გამოვლინების მატერიალური ნაწილი, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მხოლოდშობილი ძის მორჩილნი, ერთგულნი და მისი რეკომენდაციების შემმეცნებელნი და შემგრძნობელნი უნდა იყვნენ. როგორც ამ ნაწერიდან გამოდის, მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული ყველა თავისი არსებული კომპონენტით სრულად უნდა იყოს დამოკიდე-

ბული სამ ძირითად უკვე ჩამოყალიბებულ ცნობიერებაზე, რა თქმა უნდა, საკუთარი ნებით ანუ ნებაყოფილობითობით, რათა: ა) საკუთარი ზოგადი ცნობიერების მოცულობა გაზარდოს. ბ) გაზრდილი ზოგადი ცნობიერება გააწონასწოროს. გ) მატერიალური სხეულის არსებობის განმავლობაში და მატერიალურ სხეულში ყოფნისას, ვიდრე არ გამოვა იქიდან, ჭეშმარიტად ბედნიერი იყოს თვითონაც და ბედნიერებაში ამყოფოს სხვა სხეულში მყოფი ინდივიდუალური სულიც.

ვისაც ეს დამოკიდებულება მონობად მოეჩვენება, ვერც ცნობიერების მოცულობის გაზრდას შეძლებს, ვერც უკვე არსებული ცნობიერების გაწონასწორებას და ვერც ბედნიერებას შეიგრძნობს. საკუთარი ნებით, საკუთარ კეთილისმყოფელთა მზრუნველობიდან გასვლით, ის მთელი ცხოვრება, ანუ სხეულის არსებობის განმავლობაში, ამ სხეულის უზრუნველყოფისა და დაკმაყოფილების სურვილებსა და შესაძლებლობებს ვერ გადალახავს, ხოლო მისი სულიერი პოტენციური შესაძლებლობები კი უბრალოდ სქესობრივ ლტოლვად, შიმშილისა და წყურვილის გრძნობად, გართობასა და დარდში თვითრეალიზაციად და საკუთარი ინდივიდუალური სულის კერპად გამოცხადების ან კერპთმსახურების დაკმაყოფილების საშუალებად გადაიქცევა.

ამ მეორე ვარიანტში აღწერილი გზა, ბოლო აბზაცის გამოკლებით, არის ჭეშმარიტი სიყვარულის გაცემის გზა, ჭეშმარიტად სიკეთის ქმნა, რამეთუ სიკეთე სხვა არაფერია თუ არა ჭეშმარიტად საჭიროს, საკეთებლის კეთება. სადაც სიკეთე არ არის, იქ ვერც სიყვარული იქნება, ვერც გაცემული და ვერც მინიჭებული.

მოვიყვანდი რამდენიმე ციტატას ინდუიზმის ფილოსოფიიდან:

„სპეკულაციური ცოდნით დაინტერესებულ პირთა მცდელობა ფუჭად გაწეული შრომაა, მსგავსად იმ პიროვნებისა, რომელიც ბრინჯის ბზას ცეხვავს და რაღაცის მიღებას ცდილობს. ბრინჯის გარჩევა საღერღი ბორბლით შეიძლება, მაგრამ ბრინჯი თუ უკვე გატარებულია საღერღ ბორბალში, მაშინ რაღა აზრი აქვს მის ხელახლა დაცეხვას? ეს შრომა ამაოა“.

ეს კი მამა ღერთსაც, ღვთის ძესაც და სულიწმიდასაც ეხება ამ თავში მოყვანილი შეხედულებებისდა შესაბამისად, მაგრამ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თავისი წარმოშობით ეს მამა ღმერთის მიმართ არის ნათქვამი, ისიც უხეში ფორმატით რომ ავიღოთ: „შენი თვისებების, საქმიანობებისა და სხეულის შეცნობა მატერია-

ლურ სამყაროში არავის ძალუძს. მხოლოდ შენი წყალობით შეუძლია ადამიანს რამდენადმე გაიგოს შენი ვინაობა“.

III ოჯახური მაკეტი

III. მეორე ნაწილში თუ იყო, ასე ვთქვათ, რეალური ურთიერთობების დაწყებითი შესამზადებელი სტადიის ახსნა, ანუ ის, თუ რეალურად რა ფუნდამენტზე უნდა იქნას აგებული ეს ჭეშმარიტად დიდებული „ნაგებობა“, რასაც ოჯახი ჰქვია, ამ თავში იქნება ამ ურთიერთობათა განხორციელების პროცესუალური და მიზან-შედეგობრივი ასპექტები. მეორე თავის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ, საჭიროდ მომზადებულობის გარეშე, ვერც მამაკაცი და ვერც ქალი ნამდვილ ოჯახს ვერ შეჰქმნიან და მათი ერთიანობაც ბუტაფორიული იქნება და ბუტაფორიული იქნება მათი ოჯახიც. არსებობს ასეთი სიტყვა „არამზადა“, რომლის საკუთარ თავზე მიღებაზეც უკლებლივ ყველა წყობიდან გამოდის და მის შეურაცხმყოფელს მთელი, თავის პიროვნებაში არსებული, აგრესიულობით უპირისპირდება. რეალურად კი ის ზემოთ მოხსენიებული მამაკაციცა და ქალიც, რომელთაც წინასწარ საჭიროდ მომზადების გარეშე შეჰქმნეს ფსევდოერთობა ნამდვილი არამზადები არიან, რამეთუ ისინი მზად არ არიან ერთურთში გაერთიანებისათვის და უფრო მეტიც, საკუთარი სხეულებისთვის სიამოვნების მინიჭებაზე ზრუნავენ და არა სიამოვნების მინიჭებაზე არჩეული მეწყვილის სულისათვის, მე აქ არ მსურს ბუტაფორიებს და გადახრებს შევეხო. მოდით, გავყვეთ იმ ხაზს, თუ რა უნდა იყოს ეს კავშირი რეალურად მზადმყოფადობისა და ნამდვილი სრული ერთიანობის მონახაზში.

პირველი (და ალბათ ყველა ამ ნაწერის მკითხველისთვის აბსოლუტურად მიუღებელი და, რბილად რომ ვთქვათ, ძნელად აღსაქმელი) არის ის, რომ როგორც მამაკაცი, ისე ქალი არ უნდა გრძნობდნენ სურვილს არანაირი გამოვლინებით ერთურთის საშუალებით ფიზიკური სიამოვნება მიიღონ. თითოეულის ბუნებრივი სურვილი ერთურთისთვის სიამოვნების მინიჭება უნდა იყოს. მაქვს პატივი მოვიხსენიო გენიალური პოეტისა და ფილოსოფოსის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი ნაწარმოები, რომელშიც აბსოლუტურად ყველაფერი პირველი ასოდან ბოლო წერტილამდე სწორედ რომ ამ მიმართებაზე ანუ სიამოვნების მიღებაზე უარის თქმაზე და მხოლოდ და კატეგორიულად სიამოვნების გაცემაზე არის აგებული. ციტატის მოყვანა რომც მოვინდომო ალბათ ნებისმიერ ნაწილს ამ ნაწარმოებისა ვაწყენინებდი, მაგრამ მაინც ერ-

თხაზიან ციტატას მოვიტან, რაც მთელს წიგნს გასდევს და მოიცავს:

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

მაგრამ ეს უნდა იყოს შედეგი ურთიერთობებისა, როგორც შინაგანი რწმენა ორი ინდივიდუალიზმის ჭეშმარიტი ერთიანობისა და „საწვავი“ ანუ ენერგია მარადიულობისა და მუდმივობისა, რეალური უბერებლობისა და უკვდავებისა.

ეს მესამე თავის მიზანია. ახლა კი ვნახოთ, როგორ უნდა მიიღწეს ეს. კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა წინასწარმომზადებულობის უზარმაზარ მნიშვნელობას, პერიოდს, რომლის დროსაც ხდება საკუთარი ინდივიდუალური სულების აღზრდა და დაქვემდებარებაში მოქცევა მამაკაცის მხრივ მამა ღმერთთან მიმართებაში და ქალის მხრივ სულიწმიდასთან მიმართებაში. ფაქტიურად, ეს ურთიერთობები უნდა იყოს მაქსიმალურად სასურველად მსგავსი მამა ღმერთისა და სულიწმიდის ურთიერთობებისა. მამაკაცში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ქალის მამა ღმერთზე ზემოთ დაყენება, თუ ეს მოხდება და ქალს ზედმეტ ფასს დაადებს, გადააფასებს, მაშინ სქესობრივი ლტოლვის დაუძლეველ სურვილს იგრძნობს, რომელსაც ვეღარ მოერევა და ქალის სხეულს მიეჯაჭვება, როგორც სიამოვნების მიღების საშუალებას. ამ შემთხვევაში ქალი მისთვის სქესობრივი ვნების საშუალება გახდება, რათა თავისი სხეულისეული სურვილი დაიცხროს. ქალში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მამაკაცის სულიწმიდაზე ზემოთ დაყენება. თუ ეს მოხდება და მამაკაცს ზედმეტ ფასს დაადებს, გადააფასებს, მაშინ საკუთარი უფლებების მოთხოვნების დაუძლეველ სურვილს იგრძნობს, რომელსაც ვეღარ მოერევა, რამეთუ მამაკაცის სულს მიეჯაჭვება, როგორც კმაყოფილების (ნატვრის, სურვილის ასრულების) მიღების საშუალებას. ამ შემთხვევაში მამაკაცი მისთვის მოთხოვნილებების შესრულების საშუალება გახდება, რათა თავის სულისმიერი სურვილები დაიცხროს. ვინაიდან პოლუსები შეიცვალა და მამაკაცის მმართველობითი, მაორიენტირებელი ფუნქცია ქალზე გადავიდა, მოთხოვნილებები გაცილებით მალე იზრდება, ვიდრე შესაძლებლობები და ქალი ძალაუფლების აღებისკენ მიდრეკილი ხდება.

თუ მამაკაცი არა ქალისაგან მიჯაჭვულობის მიზეზით, არამედ თავის სულიერი მიდრეკილებით მამა ღმერთზე მაღლა დააყენებს თავის თავს, მაშინ ის ქალს არსებულზე ნაკლებ ფასს დაადებს, ჯეროვნად არ შეაფასებს. ამ შემთხვევაშიც სქესობრივი ვნების დაუძ-

ლეველი სურვილი იღვიძებს, რომელსაც მამაკაცი უკვე ქალის დაკმაყოფილებით კი არ აღწევს, არამედ უხეში ფიზიკური ძალის, იძულების, კომპრომენტაციის, შანტაჟის და ამგვარი სახის საშუალებებით.

თუ ქალი არა მამაკაცისაგან მიჯაჭვულობის მიზეზით, არამედ თავისი სხეულისეული მიდრეკილებით სულიწმიდაზე მაღლა დააყენებს თავის თავს, მაშინ ის მამაკაცს არსებულ რეალობაზე უფრო ნაკლებ ფასს დაადებს, ჯეროვნად არ შეაფასებს. ამ შემთხვევაშიც საკუთარი მოთხოვნილებების დაუძლეველი სურვილი იღვიძებს, რომლებსაც ქალი მამაკაცისთვის სქესობრივი სიამოვნების მინიჭებით კი არ აღწევს, არამედ თვალთმაქცობით, ტყუილით, მომხიბვლელობით, ვაჭრობით, ღალატით და ამგვარი სახის საშუალებებით.

ადამიანთა ეს კატეგორია (სამწუხაროდ აბსოლუტური უმრავლესობა), რომლებიც ამ ნაწილში შედიან, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მხრიდან, ფაქტიურად საკუთარი ნებით, მოწყვეტილნი არიან. ისინი ღვთის-ძის განმგებლობის ქვეშ იმყოფებიან და მკაცრად განსაზღვრულად განიგება მათი ბედი, როგორც ფიზიკური სხეულის პირობებში, ისე ფიზიკური სხეულიდან გასვლის შემდგომ. ეს სხვა თემაა და თუ ვინმეს ეს სერიოზულად დააინტერესებს ვურჩევდი ბუდიზმისა და ტიბეტური ლამაიზმის მოძღვრებებს მიაპყროს თავისი ყურადღება.

ეს იყო ჩამონათვალი იმისა, თუ რა არ უნდა ქნას მამაკაცმა და ქალმა. ვფიქრობ, ეს ნამდვილად ყურადსაღებია, მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, რაც რეალურად არსებობდა ბიბლიური მითოლოგიის მიხედვით იქამდე, ვიდრე ადამი და ევა ცოდვას ჩაიდენდნენ. მართლაც, ვგონებ, მართლა საჭიროდ და, თუ გსურთ, აუცილებლადაც საინტერესოა – რა უნდა ყოფილიყო ამ არასწორი ნაბიჯის ნაცვლად.

მაგრამ, ვიდრე ამ ახალი, აშკარად ევოლუცირებული საფეხურის გარშემო დავკონკრეტდები, იძულებული ვარ ისევ უკან დავბრუნდე, რამეთუ კატეგორიულად აუცილებლად მიმაჩნია, ასე ვთქვათ, შენიშვნის (უფრო კონკრეტული გაშიფრულობისა და წინამდებარე საფეხურების ახსნის) შემოტანა.

1. ის თუ რატომ ხდება მამაკაცის მიერ ქალზე (დედაკაცზე) მიჯაჭვა, ქალისადმი არაეთიკური ინტერესების გაღვივება. საკუთარი ინდივიდუალური სულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული

ინტერესების დაკმაყოფილება საბოლოო ჯამში ქალის (დედა კაცის) საკუთარი ინდივიდუალური სხეულისთვის კერპად, მიზნად, „ღმერთად“ გადაქცევით.

ეს კი ხდება იმიტომ, რომ მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценил) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელოვნებით (საკუთარი სიჭკვიანის დემონსტრირების სურვილით) დაავადდა, რის გამოც თვითრეალიზაციის დაუოკებელი სურვილით შეიპყრობა. ხოლო სულიწმიდის (დედა ღმერთის) ზედმეტად გადაფასება (переоценил) მოახდინა და საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მიერ საკეთებლისგან განზე განდგომით, ამის ვინმეს მხრებზე გადადების მცდელობით) ფანატიზმით დაავადდება, რის გამოც ჰარმონიზირება ავტომატურად წყდება და უკვე მიღწეულში კი გართობის (დროის მოკვლის), განცხრომის ანუ ვნების (ავხორცობის) სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ზედმიწევნით, გულდაგულ (тщательно) ცდილობს დამალოს.

2. ის თუ რატომ ხდება ქალის მიერ მამაკაცზე მიჯაჭვა, მამაკაცისადმი არაეთიკური სურვილების გაღვივება, საკუთარი ინდივიდუალური სხეულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება, საბოლოო ჯამში, მამაკაცის საკუთარი ინდივიდუალური სულისთვის კერპად, მიზნად, „ღმერთად“ გადაქცევით.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქალმა (დედა კაცმა) (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ სულიწმიდის, დედა ღმერთის მიმბაძველმა), სულიწმიდის, დედა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценила) და საკუთარი ინდივიდუალური სხეული მნიშვნელოვნებით (საკუთარი ემოციურობის დემონსტრირების სურვილით) დაავადდა, რის გამოც გამოჩინებულობის, აღიარებულობის დაუოკებელი სურვილით შეიპყრობა, ხოლო მამა ღმერთის ზედმეტად გადაფასება (переоценила) მოახდინა და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის მიერ საკეთებლისგან განზე განდგომით, ამის ვინმეს მხრებზე გადადების მცდელობით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ევოლუცირება, სრულყოფილებისკენ სწრაფვის მცდელობა ავტომატურად წყდება და ევოლუციის ბუტაფორიად გარდა-

იქმნება, მატერიალური კეთილდღეობის ზრდის გაუმაძღრობით ანუ სიხარბის სურვილით შეიპყრობა. სულიერი წინსვლის აუცილებლობის ინსტინქტი, უპირობო რეფლექსი მუშაობს მასში, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გადაგვარებული, მუტირებული ფორმით. ეს ქალში იმპროვიზაციულად ჩასახული სურვილების დაკმაყოფილებაა. ხოლო მამაკაცი კი ამ სურვილების დაკმაყოფილების საშუალებაა ქალისთვის. აი, რატომ ხდება ქალის მამაკაცზე მიჯაჭვა.

3. ის, თუ რატომ ხდება მამაკაცის მიერ საკუთარ ინდივიდუალურ სხეულზე მიჯაჭვა, მამა ღმერთისადმი არაეთიკური სურვილების გაღვივება. საკუთარი ინდივიდუალური სხეულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება, საბოლოო ჯამში, საკუთარი ინდივიდუალური სულის კერპად, „ღმერთად“ გადაქცევით, თვითგაკერპებით.

ეს იმიტომ ხდება, რომ მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ზედმეტად გადაფასება მოახდინა (переоценил) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის საკეთებელზე დამოკიდებული გახდა სხვებისთვის ამ საკეთებლის უხეში დაძალების მცდელობით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ჰარმონიზირების კეთების პროცესმა სახე შეიცვალა და ჰარმონიზირების ბუტაფორიად გადაიქცა, დისჰარმონიის კეთებად, კონკრეტულად თუ გნებავთ, ანუ ბოროტების სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ყველანაირად ცდილობს.

რაც შეეხება სულიწმიდასთან მიმართებას, აქ მამაკაცმა სულიწმიდის (დედა ღმერთის) ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценил) და საკუთარი ინდივიდუალური სხეული მნიშვნელოვნებით (საკუთარი ინდივიდუალი სხეულის, „მე“-ს მატერიალური ნაწილის მთელს არსებულ მატერიაზე უპირატესობის მიღების მცდელობით) დაავადდა, რის გამოც ძალმომრეობის, უპირატესობის მოპოვების, ყველასა და ყველაფრის თავის სხეულზე დაქვემდებარების სურვილით შეიპყრობა, ანუ პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეიმოსა.

4. ის, თუ რატომ ხდება ქალის (დედაკაცის) მიერ საკუთარ ინდივიდუალურ სულზე მიჯაჭვა, სულიწმიდისადმი არაეთიკური ინტერესების გაღვივება, ინდივიდუალური სულის დაზიანების ხარ-

ჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება. საბოლოო ჯამში, საკუთარი ინდივიდუალური სხეულის კერპად, „ღმერთად“ გადაქცევით, კერპთაყვანისმცემლობა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქალმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად სულიწმიდის (დედა ღმერთის) მიმბაძველმა) სულიწმიდის ზედმეტად გადაფასება მოახდინა (переоценила) და საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალი სხეულის მიერ საკეთებელზე დამოკიდებული გახდა გარემოს მიერ ამ საკეთებლის არ ქმნისას, ყველასა და ყველაფრის განკითხვით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ევოლუცირების პროცესმა სახე შიეცვალა და მისი საპირისპირო ანუ ინვოლუციის სახე მიიღო. ანუ ობიექტური რეალობის უსამართლობად მონათვლის სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ყველანაირი გზებით ცდილობს.

ამ ქალმა მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценила) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელოვნებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის მიერ, საკუთარი „მე“-ს ინდივიდუალური სულიერი ნაწილის მიერ მთელს არსებულს სულიერებაზე უპირატესობის მიღების მცდელობით) დაავადდა. რის გამოც თვალთმაქცობით, მლიქვნელობით, ეგოცენტრული უგულობით, მაამებლობით და ყველასი და ყველაფრის საკუთარ ინდივიდუალურ სულზე დაქვემდებარების სურვილით შეიპყრობა, ანუ დაზარალებულობის, პატივაყრილობისა და მონური მდგომარეობის დანახვების სურვილით შეიმოსა.

აი, ამ ე. წ. შენიშვნების გათვალისწინებით, როგორც მამაკაცის, ისე ქალის (დედაკაცის) პირობებში, სრულიად საკმარისია ადამიანად მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული სრულიად გათავისუფლდეს თავისში არსებული უპირობო რეფლექსებისაგან და საკუთარი „მე“-ს გადაგვარებული მუტირებული ნაწილი ღვთიურ ბუნებას დაუბრუნოს. ამ ადგილიდან უკვე დაიწყება იმის ჩამოყალიბება, თუ რა უნდა აკეთოს ადამიანად მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ, როგორც მამაკაცის, ისე ქალის შემთხვევაში. მოდით, შევხედოთ ამ ქმედების, როგორც პროცესუალური აქტის, კონსტიტუციურ მხარეს. სამყაროს კონსტიტუციაში უზენაეს ფასეულობად მოიაზრება უფალი ღმერთი, მამა ღმერთი, ამ სამყაროში შემავალი ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის დაწესებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშანწყალი გააჩნია. ეს თვით სულიწმიდასაც (დედა ღმერთსაც) და მათ შვილსაც

ღვთის ძესაც კი ეხებათ უცილობლად. ის ცნების სახით ასე ჟღერს: ***გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.***

და, აქვე, ამ უზენაესი ფასეულობისგან არა განდგომილად, მასზედ და მისი გაგრძელებულობის სრულად ასახულ გამოვლინებად მოიაზრება სულიწმიდა, დედა ღმერთი, ამ სამყაროში შემავალი ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის დაწესებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშანწყალი გააჩნია. ეს ეხება უკლებლივ ყველას, გარდა მამა ღმერთისა, რამეთუ სულიწმიდა დედაა აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრისა ღვთის ძის ჩათვლით, მაშინ როცა მამა ღმერთისთვის, ადამიანური ტერმინოლოგიით, ის მეუღლეა, ცოლია მისი. სულიწმიდის როგორც ღვთიური დედის ინტერესი საკუთარ „შვილებს“ შორის უთანხმოებისა და დაპირისპირების აღმოფხვრაა და ცნების სახით კონსტიტუციური მუხლის კონსტატაცია, გადმოცემა და დაფიქსირება შემდეგნაირია:

გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი.

აი, ახლა კი შესაძლებელი ხდება ჩამოყალიბება – რა უნდა აკეთოს მამაკაცმა (ქალისგან განსხვავებულად) და ქალმა (მამაკაცისგან განსხვავებულად).

1. მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება უნდა შეძლოს (должен дооценить), მისი როგორც ჭეშმარიტად უზენაესის მნიშვნელობა უნდა შეიგრძნოს, იმ მდგომარეობამდე უნდა მივიდეს მამა ღმერთთან მიმართებაში, რაც აქვს ცოცხალ არსებას, ვიდრე შეფასებას დაიწყებს და გულისხმიერს, გრძნობისმიერს მიჰყვება, ანუ მამა ღმერთის რიამენაირ შეფასებაზე აბსოლუტურად უარი უნდა თქვას და მთელი თავისი არსებით უნდა მიენდოს მას. ამის ქმნის შემდგომ საკუთარი სიჭკვიანის დემონსტრირების, ყველანაირი სახის თვითრეალიზაციის სურვილი სრულიად გაუქრება მამაკაცის ინდივიდუალურ სულს (***ვინაიდან გზის რაობაზე და საზომ და დამკვალიანებელ ღირებულებებზეა ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ ამის გამოა გამოყენებული რადიკალური ზღვრის დაფიქსირება საბოლოო შედეგობრივი რაობის დასანახვებლად***) და იმ შინაგან მდგომარეობას დაიმკვიდრებს, რაც სუფევს რწმენის ხილულ წარმოჩინებამდე და რის საფუძველზეც ყალიბდება ჭეშმარიტი, სარწმუნო, ღვთიური რწმენა.

მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად სულიწმიდისთვის (დედა ღმერთისთვის) სიამოვნების მიმნი-

ჭეშელმა, საჭირო და აუცილებელი მოქმედებების, საკეთებლის კეთების, სიკეთის მქმნელმა) სულიწმიდის ზედმეტად გადაფასება არ უნდა მოახდინოს (должен не переоценить), საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობა, ჭეშმარიტი მნიშვნელობა უნდა აღიქვას (საკუთარი ინდივიდუალური სხეულის საკეთებლის ვინმეს მხრებზე გადადებას არც უნდა ღებულობდეს თუნდაც წამიერი ფიქრის გაელვებაში, რომ ეს დასაშვებია მისთვის) და შემდგომ ამისა აღქმულით და აღთქმულით უნდა იხელმძღვანელოს მატერიალურ გარემოსთან მიმართებაში. ამის ქმნით, უკვე, ნებით თუ უნებლიეთ, გარემოს ჰარმონიზაცია მამაკაცის მხრიდან ავტომატურად მოხდება და გარემოს მიერ უკვე მიღწეულ დონეს ევოლუცირების თვალსაზრისით წინ წაიყვანს. ***ვინც შეძლებს ზედმეტად არ გადაფასებას, ის სასურველი იქნება ყველასთვის და ყველაფრისთვის, მთელი მატერიალური გარემოსთვის***. ეს იქნება მამა ღმერთის ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცევის ფენომენი, რაც მამაკაცისთვის თავისთავად თვითრეალიზაციის, თვითგამოვლინების საუკეთესო (შეიძლება თავისუფლად ითქვას – მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის იდეალურ) ფორმასა და ვარიაციას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი, იმ გარეგან (გარემოს თვალებით დანახვას თუ ვეცდებით) მდგომარეობას დაიმკვიდრებს, რაც სუფევს რწმენის „ხილულად“ წარმოჩინების შემდგომ და რის საფუძველზეც ყალიბდება ზოგადი ცნობიერება, ჭეშმარიტი ზოგადი ცნობიერება ყოველგვარი პირადი ინდივიდუალური, იმპროვიზირებული ინტერპრეტაციების გარეშე. ეს არის მამა ღმერთისა და სულიწმიდის ჭეშმარიტად მსახურების უმაღლესი ზედმიწევნითი ფორმა მამაკაცის მხრიდან, მათი ნების გამოვლინება მამაკაცის მიერ მათთვის ყველაზე მისაღები სახით და მათი მხრიდან ჩნდება სურვილი აქ მოყვანილი ე. წ. თვითრეალიზაციის რეალურ ცხოვრებაში განხორციელებისა. უკვე მათი მხრიდან ხდება კურთხევა ანუ ყველანაირი დახმარება ამ ქმედებათა ჩარჩოებში არსებულ გამოვლინებაში უშუალოდ დახმარებისა და ყველანაირად ხელის შეწყობისა. თუ მამაკაცი აღიარებს რეალურად თავის „მე“-ში მათ ერთადერთ მამად და დედად, ისინი აღიარებენ მას თავის ღვიძლ შვილად. ნებისმიერი მატერიალიზირებული, ან თუნდაც არამატერიალიზირებული, ცოცხალი არსებისთვის ამაზე დიდი პატივი და ბედნიერება არ არსებობს. თუმც, ამ დონის მიღწევა ძალიან, ძალიან ძნელია.

2. ქალმა, დედაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონ-სტიტუციურად სულიწმიდის მიმბაძველმა) სულიწმიდის, დედა ღმერთის ჯეროვნად დაფასება უნდა შეძლოს (должна дооценить) მისი, როგორც ჭეშმარიტად უზენაესის, შემოქმედების „ხორცშემ-სხმელის“, გამომვლინებლის მნიშვნელობა უნდა შეიგრძნოს. იმ მდგომარეობამდე უნდა მივიდეს სულიწმიდასთან მიმართებაში, რაც აქვს ცოცხალ არსებას, ვიდრე საკუთარი თვალსაწიერის ფარ-გლებში არსებული, მიღებული ვიზუალური ინფორმაციით დაიწ-ყებს ყველაფრის შეფასებას, საკუთარი აღქმის ფარდობითობის სისტემის დამთავრებულ სრულყოფილ ფორმად გამოცხადებას. ამით ქალი საკუთარი ფიზიკური ორგანიზმის შიგნიდან მომავალ აუცილებელ მოთხოვნილებას, შიგნიდან მომავალ „ხმას“, გონებას მიჰყვება, ანუ სულიწმიდის რაიმენაირ შეფასებაზე აბსოლუტუ-რად უარი უნდა თქვას და მთელი თავისი არსებით უნდა მიენდოს მას. ამის ქმნის შემდგომ საკუთარი ემოციების დემონსტრირების, ყველანაირი თვითგამოჩინების, ეგოცენტრულობის, გარემოს მხრიდან ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი სრულიად გაუქ-რება ქალის ინდივიდუალურ სხეულს და იმ შინაგან მდგომარეობას დაიმკვიდრებს, რაც შეესაბამება მის გარემოში არსებული ჭეშმა-რიტი ზოგადი ცნობიერების საფუძველზე დამყარებულ რწმენას ე. წ. რელიგიურ პრინციპებს. სრული მორჩილებითა და თაყვანისცე-მით ანუ თავმდაბლობით, ჭეშმარიტი სიმდაბლითა და კდემამოსი-ლებით.

ქალმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად მა-მა ღმერთის დამკმაყოფილებელმა და, ბუნებრივად და სიამოვნე-ბით, მამა ღმერთის სწავლების, მითითებებისა თუ რჩევა-დარიგე-ბების ყურად მღებმა) მამა ღმერთის ზედმეტად გადაფასება არ უნ-და მოახდინოს (должна не переоценить), საკუთარი ინდივიდუალუ-რი სულის ჭეშმარიტი მნიშვნელობა უნდა აღიქვას (საკუთარ ინდი-ვიდუალურ სხეულთან შედარებით უპირველესობა და უპირატესო-ბა თუნდაც წამიერი ფიქრის თუ შეგრძნების გაელვებაში არ უნდა ავიწყდებოდეს, ცნობიერების კონტროლის პერიოდში) და შემდგომ ამისა, მატერიალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში იგი თავისდა უნებურად ამ გარემოში არსებული სულიერი ნაწილის ძი-ებითა და პოვნის მცდელობით დაკავდება. ამის ქმნით კი, უკვე ნე-ბით თუ უნებლიეთ, საკუთარი „მე“-ს ევოლუცია ავტომატურად მოხდება ქალში და მატერიალურ გარემოს უკვე ევოლუცირებულ ნაწილთან ჰარმონიულად და სრულიად უშუალოდ შეერწყმება.

ვინც ჯეროვნად შეაფასებს სულიწმიდასა და ზედმეტად არ გადააფასებს მამა ღმერთს, მას ყველა სურვილი შეუსრულდება.

ეს იქნება სულიწმიდის ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცევის ფენომენი, რაც ქალისთვის (დედაკაცისთვის) თავისთავად თვითრეალიზაციის, თვითგამოვლინების საუკეთესო (შეიძლება თავისუფლად ითქვას – იდეალურ) ფორმას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი, საკუთარ „მე“-ში ურწმუნოებას აღმოფხვრის, მამა ღმერთთან მიმართებაში და „ხილვადი“, დასანახი და შემჩნევადი („შეუიარაღებელი“ უმეცარი თვალისთვისაც კი) რწმენის დამკვიდრებას შეძლებს საკუთარ არსში ემოციურობის გონებისმიერად გადაქცევით. ეს არის სულიწმიდისა და მამა ღმერთის ჭეშმარიტად მსახურების უმაღლესი ზედმიწევნითი ფორმა ქალის მხრიდან, მათი ნების გამოვლინება, ქალის მიერ მათთვის ყველაზე მისაღები სახით და მათი მხრიდან ჩნდება სურვილი აქ მოყვანილი თვითრეალიზაციის საკუთარ „მე“-ში განხორციელებისა. უკვე მათი მხრიდან ხდება კურთხევა, ანუ ყველანაირი დახმარება ამ განათლების მიღწევის პროცესში უშუალოდ დახმარებითა და ყველანაირად ხელის შეწყობით. თუ ქალი (დედაკაცი) აღიარებს რეალურად თავის „მე“-ში მათ ერთადერთ მამად და დედად, ისინი აღიარებენ მას თავის ღვიძლ შვილად, რაც ყველაზე დიდი პატივი და ნეტარებაა.

დასკვნის სახით საჭიროდ სნორი მართებული გზით სიარულის შედეგები მამაკაცის ანუ მამაკაცური საწყისის შემთხვევისათვის:

ვინც ჯეროვნად დააფასებს (дооценить) მამა ღმერთს, ხოლო სულიწმიდას, დედა ღმერთს ზედმეტად არ გადააფასებს (не переоценить), სასურველი იქნება ყველასთვის და ყველაფრისთვის ჩვენი ცნობიერებისთვის არსებულ და არ არსებულ საზღვრებში.

ქალის (დედაკაცის) ანუ ქალური საწყისის შემთხვევისათვის:

ვინც ჯეროვნად დააფასებს (дооценить) სულიწმიდას, დედა ღმერთს და ზედმეტად არ გადააფასებს (не переоценить) მამა ღმერთს მისი ყველა და ნებისმიერი სურვილი შესრულდება მატერიალურ სამყაროში მატერიალურ სხეულში ყოფნის პერიოდშიც.

მამაკაცური და ქალური საწყისების ერთ მთლიან გაერთიანებულ სისტემად, ერთგვარი ფარდობითობის სისტემად ჩამოყალიბებულობის შემთხვევაში ამ ზემოთაღწერილი ინფორმაციიდან შეიძლება როგორც ერთი მთლიანი სისტემის ფუნქციონალური და ვიზუალური ასპექტებისთვის საჭირო და აუცილებელი (კიდევ ვიმეორებ, ამ ფარდობითობის სისტემის ზოგადცნობიერული კონ-

სტიტუციური წყობილების დაცვისთვის) ოთხი პრინციპის ჩამონათვალის შედგენა:

1. ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულის მამა ღმერთზე მინდობა;
2. ცოცხალი არსების ინდივიდუალური სხეულის სულიწმიდაზე მინდობა;
3. ინდივიდუალური სხეულის მამა ღმერთის ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცევა. საკუთარი ინდივიდუალურობის ჰარმონიზირება გარემოს არაინდივიდუალურობის ევოლუცირებით;
4. ინდივიდუალური სულის სულიწმიდის ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცევა. საკუთარი ინდივიდუალურობის ევოლუცირება გარემოს არაინდივიდუალურობის ჰარმონიზირებით;

ვინაიდან ცოცხალი არსების მატერიალურ სხეულში ჩასახლების ერთადერთი მიზეზი ამ ორიდან ერთ-ერთი საწყისის გააქტიურებაა, მეორის პასიურ მდგომარეობაში გადაყვანით, მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისგან ძალიან ძნელი მოსათხოვია ორივე საწყისისთვის ეთიკურად და ესთეტიკურად (ფუნქციონალურად და ვიზუალურად) საჭირო მიმართულებით სვლა, რამეთუ ერთი საწყისისთვის ამის შესრულება უკიდურესად ძნელია მატერიალური სამყაროს რეალობაში (რეალურ ილუზიაში) მოხვედრის შემდგომ. ამდენად, არც ისე რთულია იმის გაგება, თუ რაოდენ დიდი, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მამაკაცური საწყისგამააქტივიზირებელი ცოცხალი არსების ურთიერთობას ქალური საწყისის გამააქტივიზირებელ ცოცხალ არსებასთან. ნება მიბოძეთ ნუმერაციის მიხედვით დავყო ისინი: მამაკაცური საწყისის სასურველი გზის ამსახველია 1 და 3, ქალური საწყისის სასურველი გზის ამსახველი კი – 2 და 4.

სულ გაკვრით პირველად შევეხები „მე“-ს შემადგენელ ოთხ კომპონენტს, რომლის ახსნასაც აქ აზრი არა აქვს. უბრალოდ, ვფიქრობ, აუცილებელია მოვიხსენიო, რათა ამ ფარდობითობის სისტემის არსობრივ-ფასეულობრივი დატვირთვა გადმოვცე. ამ ოთხი კომპონენტის სინთეზი წარმოქმნის „მე“-ს.



მატერიალიზირებული ცოცხალი არსების უმეცრების („მე“-ს ვერ აღქმის) არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთს ან უკეთეს შემთხვევაში ორს ან სამს ეძახის ე. წ. თავის თავს ანუ „მე“-ს და დანარჩენ კომპონენტებს კი ბოროტი დედინაცვალივით ექცევა. აი, სულ ეს არის და ეს უმეცრების, ვნების (საკუთარი ცხოველური ნების ანუ უპირობო რეფლექსების ბრმა მორჩილების) ან თუნდაც სათნოების (სათნო ვნების ანუ უხეშად რომ ვთქვათ ბრმა სიკეთისკენ მიდრეკილების) მიზეზიცა და საბაბიც. მხოლოდ და მხოლოდ ის შეიცნობს რეალობას ანუ ჭეშმარიტებასა და მხოლოდ ის შეძლებს ჭეშმარიტად საკეთებლის (სიკეთის) კეთებას, ვინც საკუთარ „მე“-ს სრულყოფილად აღიქვამს. მაშინ მასში აღდგება მეხსიერება უსასრულოდ ე. წ. წარსულიდან მოყოლებული უსასრულოდ ე. წ. მომავლით დამთავრებული. ეს არის ჭეშმარიტი ნიშანი ღვთიური ბუნების დაბრუნებისა საკუთარ არსში და გადაგვარებული, დემონური, მუტირებული ბუნების სრულიად აღმოფხვრისა. ვგონებ, ეს ყველაფერი კარგად დაანახებს ოჯახის, როგორც ერთი მთლიანი „მე“-ს, ჩამოყალიბების საჭიროებასა და აუცილებლობას მატერიალიზირებული ინდივიდუალობის მიერ მათივე საკუთარი უზენაესი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად. თუ მამაკაცი და ქალი ოჯახად დასახლების შემდეგ საკუთარ „მე“-დ არ აღიქვამენ ერთურთს, ცალსახად შეიძლება ითქვას, ეს შენაერთი, როგორც ოჯახი ვერ შედგება ჭეშმარიტი ფუნქციონალური და ვიზუალური არსით.

IV ოჯახური მაკეტი

IV. მესამე თავში თუ იდეალში არსებული იდეის ხორცშესხმის სურვილის რეალიზაციის მცდელობა იკვეთება, მეოთხე თავში საკუთარი რეალური შინაარსიდან (შიდა არსიდან) წარმოქმნილი ურთიერთობები იწყებენ გამოვლინებას, რამეთუ იდეალურობა მატერიალურ სამყაროში რეალურად არარეალურია თავისი სრული, აბსოლუტური მაჩვენებლის საზომი შკალით. როგორც ხის დამწიფებული ნაყოფი თუ არ მოიწყვიტება და არ გამოიყენება, უბრალოდ გადამწიფდება და ხეზევე დალპება, ასევეა ინდივიდი, რომელიც ამ სტადიამდე მიდის გულის კარნახითა თუ ობიექტური რეალობის წვდომით, ის რასაც მისწვდა ამ ეტაპამდე სვლისას. საკუთარ თავს ვერავინ გადაახტება. ამ სტადიაში შიდა არსის ცვლილების მცდელობა უნდა შეწყდეს და მიღწეულის რეალიზაციის მცდელობა უნდა იცადოს. ეს მეოთხე თავი გახლავთ ოჯახის ფენომენის პრაქტიკული გამოვლინების ამსახველი მატერიალურ სამყაროში ან თუნ-

დაც სულიერ სამყაროში. რა თქმა უნდა, ყოველ ინდივიდს ამ ეტაპზე გადასვლისთანავე საკუთარი თავი ყველაზე სრულყოფილი და სწორი ჰგონია, მაგრამ... მოდით, ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ეს წარმოდგენა რეალობას.

რამდენადაც მამაკაცი სიამოვნების გაცემით არ ცდილობს სიამოვნების მიღებას თავისი მეორე ნახევრისაგან ანუ ქალისაგან, იმდენად ეს უკანასკნელი მამაკაცის დაკმაყოფილებით, კმაყოფილების გაცემით კმაყოფილების მიღებას თავს დაანებებს და საკუთარი ინდივიდუალური სულის დაკმაყოფილების მცდელობით დაკავდება ჯერ ამ მამაკაცის (მეუღლის) საშუალებად გამოყენებითა და სასურველის არ მიღების) ან გაზრდილი მოთხოვნების ვეღარ დაკმაყოფილების) შემთხვევაში გარემოსა და გარემოში არსებული ნებისმიერი ვინმეს ან რამეს საშუალებით მოახერხებს ამას. ეს ყოველივე კი უბრალო და თითქოს უწყინარი რაღაცის გამო მიიღება, კერძოდ, მამაკაცმა სიამოვნების მიღება მოინდომა ქალის სხეულის საშუალებით.

რა თქმა უნდა, უტოპიად მოგეჩვენებათ მამაკაცში ამის დაძლევა საკუთარ თავში, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრის ჭეშმარიტ სიმყარეს, რომ მატერიალურ სამყაროს იდეალურობის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს ანუ მთავარი მაორიენტირებელი ხაზი მატერიალური სამყაროსთვის სრულყოფილებისკენ სწრაფვის მცდელობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მატერიალური სამყაროს ფუნქციონალური არსი ჭეშმარიტად იკარგება. მაგრამ მოდით, ოჯახს დავუბრუნდეთ.

ვთქვათ და მართლაც მოინდომა მამაკაცმა საკუთარ არსში არსებული სიამოვნების მიღების სურვილს მოერიოს (ნაგულისხმევია არა სიამოვნების გაცემის, არამედ კმაყოფილების გაცემის ფასად). მაშინ აუცილებელი ხდება იმის გამოკვლევა თუ რა იწვევს ამ სურვილებს, რათა ეს მონდომება ქარის წისქვილთან ომს არ დაემსგავსოს. თუ ავადმყოფობისას დიაგნოზს არ დასვამს ექიმი, ვგონებ, მკურნალობა შეუძლებელია. მაშ ასე, რა იქნება სქესობრივი ლტოლვის სურვილის გამომწვევი მიზეზი მამაკაცში, იმ სქესობრივი ლტოლვისა, რომელიც სიამოვნების მიღებისაკენ უბიძგებს ჭეშარიტების დარღვევის ფასად. დიახ, როგორც ხვდებით ალბათ, პასუხი უკვე იკითხება. ეს მიზეზი გახლავთ ის მცდარი ცნობიერება, რომელიც მამაკაცს საკუთარ აღქმაში ჭეშმარიტ ცნობიერებად აქვს მიჩნეული და რომლის რეალიზაციის მცდელობითაც ის არის დაკავებული. აი, ეს არის და ეს. ანუ რომელ მამაკაცსაც სურს თა-

ვისში, ასე ვთქვათ, უღმერთოების ანუ არასრულყოფილების სიღრმე და ხარისხობრივ-რაოდენობრივი სიგრძე-სიგანე შეიტყოს, სრულიად საკმარისია საკუთარ „მე“-ში არსებულ სიამოვნების მიღების სურვილებს ჩაუღრმავდეს. ისინი სრულად აღუწერენ და აჩვენებენ საკუთარ მცდარობასა და ცდომილებებს ისე, როგორც სარკეში ჩახედვისას ხდება ხოლმე. აი, ეს სარკე გახლავთ მამაკაცისთვის მისი მეუღლე ანუ ქალი, რომელიც მის მეორე ნახევრად არის აღქმული. რასაც საკუთარ სიღრმისეულ „მე“-ში ვერ ხედავს ან არ ხედავს სრულიად საკმარისია ქალის გარეთ გამოტანილ აფიშირებულ, ან ნახევრად აფიშირებულ სურვილებს ჩასწვდეს, რომ მიხვდება თავის ნამდვილ სახეს, რომელსაც თვითონ ვეღარ ხედავს და აღიქვამს. ე. ი. როგორიც არის მამაკაცი შიგნით, სიღრმეში, ქვეცნობიერში (მატერიალური გამოვლინებული ნაწილის ინდივიდუალურობის პროპორციულ ნაწილში), ზუსტად ისეთი იქნება მის მეორე ნახევრად, მეუღლედ აღიარებული ქალი გარეთ, ზედაპირზე, ცნობიერში (ეს არის სარკის ანარეკლის ეფექტით მიღებული გამოსახულება, რომელიც ჭეშმარიტად ზუსტად ასახავს ცდომილების სურათს).

ახლა მოდით ქალს მივუბრუნდეთ. ვთქვათ და მოინდომა ქალმა დაკმაყოფილების სურვილს მოერიოს (ნაგულისხმევია არა კმაყოფილების გაცემის, არამედ სიამოვნების გაცემის ფასად), მაშინ ავტომატურად აქაც „დიაგნოზის“ დასმა ხდება საჭირო, თუ რა იწვევს ამ სურვილებს. მაშ ასე, რა იქნება საკუთარი ინდივიდუალური სულის დაუკმაყოფილებლობის, ყოფით არ კმარობის გამომწვევი მიზეზი ქალში, იმ დაუკმაყოფილებლობისა, რომელიც კმაყოფილების მიღებისკენ უბიძგებს სხვა ინდივიდუალურ სულთა ინტერესების იგნორირების ფასად.

და აქაც პასუხი რეალურად უკვე იკითხება. ეს მიზეზი არის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის, უპირატესობის შეგრძნება, რომელიც ქალს თავის აღქმაში ბუნებრივად აქვს მიჩნეული და რომლის გამოვლინების მცდელობითაც არის დაკავებული. აი, სულ ეს არის. ანუ რომელ ქალსაც სურს თავისში ეგოცენტრიზმის მოცულობისა და ფორმების შეტყობა სრულიად საკმარისია საკუთარ „მე“-ში არსებული კმაყოფილების მიღების სურვილებს ჩაუღრმავდეს. ისინი სრულად აღუწერენ და აჩვენებენ საკუთარ ეგოიზმს ზუსტად ისე, როგორც სარკეში ხედვის დროს. აი, ეს სარკე გახლავთ ქალისთვის მისი მეუღლე ანუ მამაკაცი, რომელიც მის მეორე ნახევრად არის აღიარებული და აღქმული. რასაც საკუთარ

სიღრმისეულ „მე“-ში ვერ ან არ ხედავს, სრულიად საკმარისია მამაკაცის მიერ გარეთ გამოტანილ აფიშირებულ ან ნაკლებად აფიშირებულ სურვილებს ჩასწვდეს, რომ მიხვდეს თავის ნამდვილ სახეს (არსს), რომელსაც ვერც თავად ხედავს და ვერც აღიქვამს, ე. ი. როგორიც არის ქალი შიგნით, სიღრმეში, ქვეცნობიერში, ზუსტად ისეთი იქნება მის მეორე ნახევრად, მეუღლედ აღიარებული მამაკაცი გარეთ, ზედაპირზე, ცნობიერში (რაც, სხვათა შორის, ქალის საშინლად გაღიზიანებას იწვევს ხოლმე).

მაშასადამე, ერთმანეთის დახმარებით მამაკაცსა და ქალს, რომლებმაც „სწავლის“ პროცესი დასრულებულად ჩათვალეს, რომლებიც ერთმანეთს შეესაბამებიან (ყოველ შემთხვევაში მაქსიმალურად) და თანაცხოვრებით დაკავდებიან, შეუძლიათ უზარმაზარი სამსახური გაუწიონ ერთურთს მინიმუმ – საკუთარი თავის დანახვის საქმეში და მაქსიმუმ – ძირითადად საკუთარ თავებზე ერთობლივი ძალისხმევით შემდგომი სულიერი წინსვლის საქმეში.

ხოლო როდესაც ეს პროცესიც მათ ცხოვრებაში პიკს მიაღწევს ანუ დამთავრდება და ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად დამთავრდება, მათ ცხოვრებაში შემოვა ახალი, სულიერების საქმეში წინსვლის (თუმც ყველაზე სუსტი და პასიური) საშუალება, სხვა ინდივიდუალური სული, რომელსაც ადამიანები შვილს ეძახიან, ანუ, როდესაც მამაკაცური და ქალური საწყისის წარმომადგენელი ორი ინდივიდუალური სულის ურთიერთობა სულიერი წინსვლის სამსახურს აღარ მოემსახურება, მათ ცხოვრებაში გამოჩნდება მესამე ინდივიდუალური სული, რომელზეც ორივე ზემოთხსენებული ინდივიდუალური სული მიჯაჭვული იქნება როგორც მათგან გამომდინარებულზე. ესეც, დამეთანხმებით ალბათ, ერთობ საინტერესო ფენომენია. სულიერი თვითშეგრძნებითი შემოქმედების შემდგომ, ფაქტობრივად შეიქმნა მატერიალური თვითშეგონებითი შემოქმედების ანალოგიური რამ, როგორც ხელოვნების (ხილული შემოქმედების) ნიმუში. ის, თუ რა საწყისის (მამაკაცურისა თუ ქალურის) ინდივიდის შემოსვლა მოხდება მათ მიწიერ ცხოვრებაში, მთლიანად არის დამოკიდებული იმ სულიერ ურთიერთობრივ პლატფორმაზე, რომელზეც შეჩერდა ეს ორი ინდივიდუალური სული.

ვფიქრობ, ფრიად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხია ფუნქციონალური და ვიზუალური ასპექტების განსაზღვრა მესამე ინდივიდუალური სულის გარშემო, როგორც სიტუაციაში მომქმედი ორი თავდაპირველი ინდივიდუალური სულის მხრიდან (აი, ამ მესამე ინდივიდუალურ სულთან მიმართებაში, ისე ამ მესამე ინდი-

ვიდუალური სულის მხრიდან ორ მასზე ადრე მოქმედ ინდივიდუალურ სულთან). ვფიქრობ, ღირს ეს საკითხი ცალკე განყენებულ საკითხად იქნას განხილული. ეს ჭეშმარიტად ღირსეული საკითხია იმისთვის, რომ ეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთა ნუსხაში იქნას შეტანილი.

შვილები

V. <u>შვილები, როგორც ოჯახის, ცოლ-ქმრის (მამისა და დედის) შედეგობრივ-მაჩვენებლობრივი ფენომენი, როგორც სულიერად სტატიკური სიტუაციის დამკვიდრებულობიდან გამოსვლის საშუალება. ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტების საკმაოდ აქტიური ჩარევა უპირველესი პრინციპის – ევოლუციის აუცილებლობის გაცოცხლებისთვის.</u>

ეს თავი არის დამამთავრებელი, დამასრულებელი სტადია იმ ინდივიდუალურ სულთათვის, რომელთა ცხოვრებაშიც შედის მესამე ინდივიდუალური სული ზემოთხსენებული შვილის სახით და ერთგვარი დაწყებითი სტადია ამ მესამე ინდივიდუალური სულისათვის. ის აგრძელებს (ყოველ შემთხვევაში ფუნქციონალური გადასახედიდან უნდა გააგრძელოს) სულიერ წინსვლას იქედან, სადაც გაჩერდნენ მშობლები ანუ ისინი, ვისი საშუალებითაც მოხდა მისი დაბადება, გაჩენა, შობა მატერიალურ სამყაროში მატერიალური, სხეულისეული სახით. აუცილებლად მიმაჩნია ჩასახვის პროცესის უფრო დაწვრილებითი აღწერა. მატერიალური სახით – არსებული ორი ინდივიდუალური სულის ურთიერთობათა პარალალურად არსებობს არამატერიალური სახით არსებული ერთი ან რამდენიმე ინდივიდუალური სული, რომლებიც მათ შეხედულებებს, მათ ფასეულობრივ შეფასებებს იზიარებენ, ზოგნი უფრო მეტად, ზოგნი კი უფრო მცირედ, მაგრამ თანაკვეთა ამ შეხედულებათა თანხვედრისა ძალიან, ძალიან დიდია. რა თქმა უნდა, არსებობს არათანკვეთილი ნაწილიც, მაგრამ ორ სხვადასხვა განზომილებაში არსებობის გამო (მატერიალიზირებულობისა და არამატერიალურობის) ამ პერიოდში მათი მხრიდან მაინც ისეთი სერიოზული მიდგომა არ ხდება, რაც ერთ განზომილებაში ყოფნის პერიოდში იქნებოდა. მე ვიტყოდი, მიდგომა ამ არათანხვედრილის მიმართ მაინც ზედაპირულია და სათანადო ყურადღება არ ექცევა, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. ძირითადი გადამწყვეტი მნიშვნელობა კი სქესობრივ აქტზე, მის ესთეტიკურ და ეთიკურ ხარისხზე გადადის,

რამეთუ მესამე ინდივიდუალური სულის მატერიალიზაცია სწორედ ამ აქტის საშუალებით ხდება. თუნდაც ზიგმუნდ ფროიდისა და იუნგის შრომებს დავესესხები ამ საკითხებში, ისინი ხომ სწორედ ამ საკითხზეა მთლიანად აგებული, მაგრამ თუ არ მივუმატებ სულიერ, მატერიალური თვალისთვის უხილავ, ასპექტს, უბრალოდ პერიფრაზი გამომივა და მეტი ვერაფერი. იუნგი თავად აღიარებდა იმას, რომ ევროპული, უფრო სწორედ, დასავლური ფსიქოლოგიური აღქმა (ქვეცნობიერში წვდომის სიღრმე) ბევრად ჩამოუვარდება ტიბეტურ, ჩინურ და ა. შ. ანუ აღმოსავლურ ფსიქოლოგიურ აღქმას და მისი სამაგიდო წიგნი იყო ტიბეტელი ლამების მიერ აღწერილი მდგომარეობა სხეულის გარდაცვალების შემდგომ, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ეს წიგნი არის სიმბოლო იმისა, რომ ე. წ. სიკვდილი არის არა დასასრული, არამედ ერთი ძალიან გრძელი ციკლის ნაწილი, ე. ი. ადამიანი თავის ძირითად გადამწყვეტ ნაწილში არა სხეული, არამედ სულია, რომელიც დროის რაღაც პერიოდში ამ სხეულში იმყოფებოდა.

მოდით, დავუბრუნდეთ ჩასახვის პროცესის ასპექტებს. რამდენადაც მამაკაცი და ქალი (ავიღოთ ერთმანეთის შესაბამისი წყვილი) ეთიკურად მაღალი ხარისხისანი იქნებიან, მით მეტი იქნება მათი სულიერი გაერთიანების ხარისხი, ანუ მით ნაკლები იქნება მათში მატერიალური შერწყმის სურვილი. მატერიალიზირებულ სხეულს აქვს დიაპაზონი, რომელშიც მატერიალური შერწყმის პირობებშიც კი არ არღვევს ეთიკას და უფრო მეტსაც გეტყვით, მატერიალური შერწყმის ნდომის იგნორირებით (ნაძალადევით, რა თქმა უნდა) ხდება მის მიერ ეთიკის დარღვევა. აი, რამდენადაც ახლოსაა ზემოთხსენებული წყვილი ამ ეთიკურად მაღალი ხარისხის დონესთან, მით უფრო ეთიკურად მაღალი დონის ინდივიდუალური სული ინტერესდება მათი საშუალებით მატერიალიზირდეს (ანალოგიურად ხდება პირიქით შემთხვევაშიც).

ძირითადი ფაქტორები სქესობრივი აქტის დროს: ა) მამაკაცის მხრიდან არის სიამოვნების მიღების ფაქტორი სიამოვნების მინიჭების საშუალებით და რაც უფრო მეტი იქნება ეს, მით მაღალი იქნება მამაკაცის ეთიკური დონე და რაც ნაკლები, მით მეტი იქნება ეგოიზმი თავისი ყველაზე ცუდი გამოვლინებით ქალთან მიმართებაში. ბ) ქალის მხრიდან არის კმაყოფილების მიღების ფაქტორი კმაყოფილების მინიჭების საშუალებით და რაც უფრო მეტი იქნება ეს მასში, მით მაღალი იქნება ქალის ეთიკური დონე და რაც ნაკლე-

ბი, მით მეტი იქნება ამბიციურობა თავისი ყველაზე ცუდი გამოვლინებით მამაკაცთან მიმართებაში.

უპირატესად, მამაკაცური საწყისის ორიენტირებულობის მქონე მესამე ინდივიდუალური სული, რომელიც ახდენს საკუთარი სურვილით მატერიალიზაციას აქტის ეთიკურად სუფთა ნაწილში, მამაკაცად მოვლინებულ ინდივიდუალურ სულს, თავის მატერიალიზირებულ მამას თაყვანისცემით და მორჩილებით ეპყრობა, ხოლო ქალად მოვლინებულ ინდივიდუალურ სულს თავის მატერიალიზირებულ დედას გულწრფელი სიყვარულით უდგება. აქტის ეთიკურად ჭუჭყიან, ბინძურ ნაწილში მამაკაცად მოვლინებული ინდივიდუალური სული თავის მატერიალურ მამას დაუმორჩილებლობასა და დაპირისპირების სურვილით ეპყრობა, ხოლო ქალად მოვლინებულ ინდივიდუალურ სულს, თავის მატერიალიზირებულ დედას გულში ჩახვეულობითა და მოსალოდნელია ბრმა სიძულვილით (ეჭვით გამოვლენილი).

უპირატესად ქალური საწყისის ორიენტირებულობის მქონე მესამე ინდივიდუალური სული, რომელიც ახდენს საკუთარი სურვილით მატერიალიზაციას, ზუსტად ისევე მგრძნობიარედ აღიქვამს ყოველივეს იმ განსხვავებით, რომ ზემოთხსენებული ინდივიდუალური სული როგორც ეპყრობა მამას, ეს ინდივიდუალური სული ისე ეპყრობა დედას და როგორც ის ეპყრობა დედას, ისე ეპყრობა მამას.

და კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი. მატერიალური გარსის, სხეულის შეძენისთვის სქესობრივი აქტის დროს საშვილოსნოში ადგილის დაკავების მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია, შეიძლება ითქვას – ერთგვარი კონკურენციაა. ისე, რომ ვიდრე ერთნი არგუმენტების აწონ-დაწონვით არიან დაკავებულნი, მეორენი ყოველგვარი ფიქრის გარეშე იბრძვიან შვილად, ადამიანად გადასაქცევად და საბოლოოდ მატერიალიზირდება ის, რომელიც მშობლებს ღებულობს ისეთად, როგორებიც არიან ისინი, ანუ ძირითადში ღებულობს მათ და ქალის მუცელში იდებს ბინას, ვიდრე გარემოსთვის საჭირო ადაპტირების სხეულს მიიღებს. ეთიკური დონის ქვედა შკალის დაცვა გარანტირებულია. ქვედა შკალად მშობლების რეალური ეთიკური დონის რაობაა მოხსენიებული.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორი მიდგომა აქვთ მამაკაცისა და ქალის დაწყვილებულ გაერთიანებას პოტენციური მესამე ინდივიდუალური სულის მიმართ, რომელსაც მათი შვილი ერქმევა. სქესობრივი აქტის პროცესში, ვიდრე იგი სექსუალური ეგოცენტრუ-

ლი სიამოვნების მიღების სტადიაში გადავიდოდეს, თავისთავად ბუნებრივად ამოტივტივდება თითოეულში პოტენციური შედეგი ამ აქტისა, ანუ მესამე ახალი ინდივიდუალური სულის ჩასახვის, მატერიალიზირების ალბათობის შეგრძნება. თუ კონცენტრაცია სიამოვნების ან ამ აქტის ფასად საკუთარი მატერიალური სურვილების დაკმაყოფილებაზეა გამახვილებული, ახალი სუბიექტის შემოსვლის არასასურველობა იმდენად დომინირებს, რომ ჩასახვის შემთხვევაში ნეგატივი გაცილებით მძაფრად იქნება გამოვლენილი მოვლინებულში, ვინდრე პოზიტივი. ამ შემთხვევაში ჩასახულის მიზანი, ცალსახად, მატერიალიზაცია იქნება და არა რაიმე სულიერი წინსვლის შეტანა უკვე არსებულ ზოგად ცნობიერებაში.

თუ კონცენტრაცია სიამოვნების მინიჭებაზე იქნება მხოლოდ გამახვილებული მამაკაცის მხრიდან საკუთარი სიამოვნების იგნორირების ფასად, ხოლო ქალის მხრიდან კი მამაკაცის დაკმაყოფილების მცდელობით იქნება აქტი დამუხტული, რომელიც ქალს არავითარ სიამოვნებას, უფრო სწორედ კი, კმაყოფილებას არ მიანიჭებს, მაშინ მათი მხრიდან სქესობრივი აქტის ჩატარება ყოველგვარ მატერიალურ რეალობას მოკლებული რამ იქნება და ერთადერთი, რითაც ისინი ამ პროცესს გაამართლებენ მესამე ინდივიდუალური სულის შექმნა იქნება და შვილი იდეაფიქსის დონეზე დგება. თუ ამ შემთხვევაში ჩასახვა მოხდება, ჩასახულის მიზანი ცალსახად სულიერების მსახურება იქნება, მე ვიტყოდი, ძალიან გამძაფრებული დოზით, სადაც მატერიალური, ობიექტური რეალობა მისი მხრიდან იგნორირდება. მისი ერთადერთი მიზანი არსებული ზოგადი ცნობიერების ჭეშმარიტებასთან, ღვთიურ ცნობიერებასთან დაახლოების, უფრო ახლოს მიტანის მცდელობა იქნება.

პირველ მოყვანილ შემთხვევაში მშობლები შვილების მიმართ გულგრილები, ცივები არიან და დიდად არ აღელვებთ ისინი, რაც ავტომატურად ამ უყურადღებოდ დატოვებულ ინდივიდ სულებს ფაქტიურად იძულებულს ხდის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი შეიძინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობის საშუალებას ვერ მიიღებენ და იწყებენ ნამდვილ ბრძოლას არსებობისათვის, მათ საკუთარი თავის უზრუნველყოფა დაბადებიდან პრობლემად უდგათ, ისე რომ მათ სხვათა გაგებას ტყუილად ნუ მოვთხოვთ. ისინი ეთიკური ხარისხის მაღალი მაჩვენებლის მქონენი რომ ყოფილიყვნენ, ასეთი სქესობრივი აქტით დაკავებული მამაკაცისა და ქალის საშუალებით მატერიალიზაციას არც კი ეცდებოდნენ. ეს ნაწილი გამოირჩევა მატე-

რიალური მოთხოვნებით, სადაც სულიერი აუცილებელი მოთხოვ-ნილებები უბრალოდ იგნორირებულნი არიან.

მეორე მოყვანილ შემთხვევაში მშობლები შვილების მიმართ ზედმიწევნით მიჯაჭვულები, ასე ვთქვათ ზედმეტად ყურადღებიანნი არიან, მათ შვილის თითოეული ამოსუნთქვა, ფეხის წაბარბაცება ან სულ უმნიშვნელო რამ საშინელი უბედურებისაგან დაცვის რანგში ჰყავთ აყვანილი. ფაქტიურად, ამ მიკროსკოპის ქვეშ მოხვედრილი ინდივიდი სრული დამოუკიდებელი მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს ვერ იძენს. ამის გამოვლინების ნებისმიერი მცდელობა სათავეშივე იმხელა წნეხით ითრგუნება, რომ ინდივიდუალური სული (მიღებული ნორმატივების არ დაცვის გამო, შერცხვენით, ნამუსზე შეგდებით, თუ აგრესიული ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მის მიმართ) იძულებული ხდება უკან დაიხიოს და თანდათან არასრულყოფილების კომპლექსით პროგრამირდება, რაც საკუთარი თავის რწმენით მოქმედების უნარს ქვევით და ქვევით სწევს. მას უნდა ყველასა და ყველაფერს გაუგოს, ფეხი აუწყოს, დაემორჩილოს, მაგრამ სამწუხაროდ საკუთარი თავის გაგებისა და დაცვის უნარი არ გააჩნია და ეს არააგრესიულობა გარემოსთან მიმართებაში საკუთარ თავთან მიმართებაში აგრესიულობაში გადადის. ამ ტიპის ინდივიდუალური სულები ეთიკური ხარისხის მაჩვენებლის მქონენი ნამდვილად არიან, მაგრამ, განურჩევლად დამსახურებლობისა, იმდენად არიან სიკეთის გაკეთების სურვილით დამუხტულნი, რომ თავისდაუნებურად ღმერთთან დაპირისპირებულნი ხდებიან (მთელის სამების დონეზე), რაღაც უსამართლობის აღმოფხვრის სურვილზე კონცენტრირებულნი ან სიტუაციის გაუმჯობესების, გაჯანსაღების დაჩქარების იდეით გატაცებულნი. ეს ნაწილი გამოირჩევა სულიერი მოთხოვნებით, სადაც მატერიალური აუცილებელი მოთხოვნილებები უბრალოდ იგნორირებულნი არიან.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალურ სამყაროში ობიექტური რეალობის დონეზე არსებობს მოთხოვნილება, რომელიც ინდივიდუალური სულების მიერ უნდა იქნას დაკმაყოფილებული და იგი შედგება სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებებისაგან. რეალურ მატერიალურ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი, ჩემის შეხედულებით, ძალიან სერიოზული ასპექტი, რომ პირველ შემთხვევაში მოყვანილი სქესობრივი აქტის ე. წ. შედეგობრივი, ინდივიდუალური სულები თუ ფაქტიურად ვერ მივლენ ამ ოქროს შუალედურ რგოლთან სიახლოვეში

და ამაზე ცდა და მეცადინეობა თუ მატერიალურ სხეულში არსებობის განმავლობაში ფუჭი მცდელობაა, მეორე შემთხვევაში მოყვანილი სქესობრივი აქტის ე. წ. შედეგობრივ ინდივიდუალურ სულებს ამ ოქროს შუალედურ რგოლთან სიახლოვეში და თვით ოქროს შუალედურ რგოლში მოხვედრის ძალიან დიდი, უზარმაზარი პოტენციალი გააჩნიათ. მატერიალურ სხეულში არსებობის პერიოდი, როგორც პირველადი დანიშნულების მიზანდასახულობა, სწორედ ამ ოქროს შუალედურ რგოლში მოხვედრას უნდა მიეძღვნას, და თუ ეს რაიმენაირად მოხერხდება, რაც აუცილებლად იქნება მინიშნებული და დაფიქსირებული ზეცის მიერ, მეორადი დანიშნულების მიზანდასახულობა, უკვე სხვათა მეგზურობა იქნება. მხოლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნდა განისაზღვროს ვის უმეგზურო და ვის არ მოჰკიდო ხელი. ეს არათუ ხელწამოსაკრავი, არამედ, მე ვფიქრობ, მატერიალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი საკითხია: „ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებს და ნურც ძაღლებს აჯიჯგნინებთ სიწმინდეებს“ – ასე თქვა ღვთის ძემ იესო ქრისტედ მოვლინებულობის პერიოდში.

ახლა კი ურთიერთობრივ ცდომილებებზე, რომლებიც სუფევს უკლებლივ ყველა მშობლის მიერ საკუთარი შვილების მიმართ. მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ციტატა:

მაშინ თქვა იესომ: „გადიდებ შენ მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო, რადგან დაუფარე ეს ბრძენთა და გონიერთ და განუცხადე ჩვილებს. ჰეი, მამაო! ვინაიდან ასეთი იყო შენი ნება-სურვილი. ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე და არავინ იცნობს ძეს, გარდა მამისა. არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა, და იმისა, ვისაც ძეს სურს, განუცხადოს“.

საკუთარ მიწიერ მატერიალურ ცნობიერებას მიჯაჭვული ინდივიდუალური სულები, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მათი მხრიდან სხვა ახალი ინდივიდუალური სულის მატერიალიზირება ხდება, ახლადმოვლინებულის სულიერი ცნობიერების არსებობის რაობის მთლიანად იგნორირებით სხეულზე და გენიოლოგიაზე ახოხოლავებული მოძღვრებებით გაბღინძულნი, მატერიალურად უსუსურ ჩვილს უმეცარ (როგორც ერთმა მითხრა ჯერ არაფრის მცოდნე, დებილ) არსებად მოიაზრებენ. ვფიქრობ, ეს არის უმთავრესი და უდიდესი შეცდომა მშობლის მიერ ჩადენილი შობილთან მიმართებაში. რეალურად კი ვნახოთ რა ხდება.

რა ხდება რეალურად? მშობლისა და შვილის რეალური ცოდნა, რასაც შეიძლება ცოდნა ეწოდოს აბსოლუტურად ერთმანეთის ტო-

ლია და უფრო მეტსაც ვიტყოდი, ამ ცოდნათა ტოლობის პირობებში თუკი მშობლის ორიენტაცია მატერიალიზმისკენ, დაცემისკენ არის მიმართული, შვილის ორიენტაცია სულიერებისკენ, იდეალიზმისკენ, ზესვლისკენ არის მიმართული. უპირობოდ საკუთარი შეხედულებით ხელმძღვენლობით, შვილის შეხედულებათა სერიოზულად არ აღქმითა და იგნორირებით, მშობელი უცერემონიოდ არღვევს არაძალადობისა და ნებაყოფილობითობის პრინციპებს, რითაც საკუთარ დაცემას უწყობს ხელს და ევოლუციას ებრძვის. ამავდროულად საკუთარ შვილში დაპირისპირებისა და უნდობლობის კერას აჩენს და ზრდის, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად აფეთქდება. ერთი ის არის კიდევ ძალიან ცუდი, რომ შვილში დაბადების დღიდანვე მშობლების ხელით საშინელი სისწრაფით ნადგურდება სულიერებისკენ, იდეალიზმისკენ, ზესვლისკენ სწრაფვის სურვილი და ამის ჩანაცვლება არსებობისთვის ბრძოლის მექანიზმებით ზომბირების მცდელობით ხდება. ისე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ამბავი, როდესაც ძე ღვთისა აცხადებს, რომ მამა ღმერთს სრულყოფილებად იცნობს, ანუ ისინი ტოლები არიან კოსმიური, ეთიკურად სიღრმისეული ცოდნის თვალსაზრისით, მაგრამ ამავდროულად განსხვავდებიან ორიენტაციული მიმართულებებით. მამა ღმერთს თუ ამ ეტაპზე ჯერ სურს არსებული მატერიალური სამყარო ჰარმონიულობის საჭირო ზღვრამდე მიიყვანოს, ხოლო ღვთის ძეს თუ ამ ეტაპზე სურს სულიერი ზესვლა მოახდინოს მატერიალური სამყაროსი, აქაჩოს სულიერი სამყაროსთვის საჭირო დონემდე და შემდეგ მოახდინოს ჰარმონიზირება მატერიალური სამყაროსი მთელ არსებულ გარემოსთან, ეს მათ არა უთანხმოებას, არამედ თანამშრომლობასა და ურთიერთდაფასებას, ჯეროვნად ურთიერთშეფასებას ნიშნავს და მეტს არაფერს. ანუ არ არის აუცილებელი მშობელი და შვილი ერთი ინდივიდივით, ერთი მიზნით იყვნენ დამუხტულნი. ისედაც ნებისმიერი საღად მოაზროვნე, ლოგიკის მქონე ადამიანი, ვგონებ, ადვილად დამეთანხმება, რომ სტრატეგიულად მათ სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულება აკისრიათ ნებისმიერ რეალობაში, რამეთუ ერთი „მიზეზია“ და „შედეგს“ ღებულობს, მეორე კი „შედეგია“ და რაღაცა ახლის „მიზეზი“ ხდება. სხვაგვარად ამ ყველაფერს აზრი უბრალოდ დაეკარგებოდა.

ფრიად საინტერესოდ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ აღზრდის პროცესის აუცილებლობას, რომელიც მშობელს ავტომატურად ევალება შვილთან მიმართებაში. თუ ის თავის

აღსაზრდელს თავის ტოლად და სწორად აღიქვამს და უფრო მეტიც, თუ მისი ორიენტაცია აღსაზრდელთან შედარებით მკვეთრად არასწორია, მაშინ როგორ უნდა ხდებოდეს ეს ურთულესი საქმე, რომელიც, ჩემი აღქმით, ერთადერთი ფუნქციონალური დანიშნულებაა ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშან-წყალი გააჩნია. და თქვენ წარმოიდგინეთ არც აქ არის რაიმე ისეთი პრობლემატური რომ ვერ გადაწყდეს. მესამე ინდივიდუალური სულის (შვილის) შემოსვლას მამაკაცური და ქალური საწყისის მქონე ინდივიდუალური ორი სული თუ აბსოლუტური ჭეშმარიტების მხრიდან იმის შეხსენების ნიშნად აღიქვამენ, რომ უმთავრესი და უპირველესი პრინციპი ევოლუცირება, უკეთესობისკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვა უნდა გააცოცხლონ თავისში, მაშინ ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგება. გვერდიდან (როგორც აქსიომა ისე თუ მიიღებთ) ალბათ, უკეთესად ჩანს ვიდრე საკუთარ თავში. შვილი სწორედ რომ გვერდიდან შეხედვის საშუალებას იძლევა საკუთარ თავზე. მამაკაცი თუ ქალის არაპირდაპირი სარკეა, ისევე, როგორც ქალი მამაკაცისა, შვილი სრულიად პირდაპირი სარკეა ყოველგვარი ქვეცნობიერების, ქვეტექსტებისა და გართულებების გარეშე. აი, რამხელაზე დიდი პლიუსი იქნება, თუ მშობელი შეძლებს და თავის შვილს თავის ტოლად და სწორად აღიქვამს და ზევიდან არ დაუწყებს ყურებას, რამეთუ დაბადებიდან ის არ ლაპარაკობს და არ შოულობს ფულსა და ქონებას. ამ სარკეში შვილის ცდომილებების დანახვის შემდგომ მშობელს უნდა გაუჩნდეს სურვილი მასში მათი აღმოფხვრისა, მაგრამ ვიდრე სხვას ეტყვი, თვალიდან „ბეწვი ამოიღეო“, ჯერ უნდა იფიქრო, იქნებ თავად გაქვს ისეთივე ბეწვი ამოსაღები. მოკლედ, ყოველგვარი თავის მოტყუების გარეშე, მშობელმა უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა და აღიაროს, რომ შვილში ნაპოვნი, ასე ვთქვათ ცდომილება, მასშიც ძევს იმავე რაოდენობითა და ხარისხით. შემდგომ ამისა შვილი ხდება თვითაღზრდის კატალიზატორი (შეგნებული მოსიყვარულე მშობლის შემთხვევაში) მამა საკუთარ თავში ზოგად ცნობიერულ, ღრმა ფასეულ დონეზე ამას გაასწორებს, ვიზუალური კონტაქტის პირობებში ეს ყოველივე ავტომატურად გადავა დედაზე, რომელიც მეუღლის მიერ ე. წ. თეორიული, აბსტრაქტული, წარმოსახული ცვლილებების რეალიზაციას მოახდენს ურთიერთობრივ, ხილულ ცხოვრებისეულ დონეზე და, იდეალურად ხავერდოვანი გადასვლის შემთხვევაში, შვილი თავად შეცვლის ამ ცდომილებით დიაპაზონს საკუთარ თავში იმხელაზე, რამხელაზეც

ეს გადამუშავებული იქნება მამის მიერ და მიღებული დედის მიერ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მესამე რგოლია იმპულსური გადასვლისა, შეიძლება ეს იმპულსი შვილში საკმარისი არ იყოს და დედის მხრიდან უფრო დიდი უკმარისი იმპულსის შემთხვევაში კი მამის მხრიდან ჩარევა დასჭირდეს იმისათვის, რომ უკვე დამკვიდრებულ ჩვევას ძლიოს და ეს კონკრეტული ცდომილება დაძლეულ იქნება მთელი ოჯახის მიერ. ე. ი. აღზრდის პროცესი კომპლექსურ სახეს მიიღებს და ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრავს ოჯახის ყველა წევრის, როგორც ფუნქციონალურ, ისე ვიზუალურ დანიშნულებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, თუკი ოჯახის ყველა წევრი აღქმული ჭეშმარიტების დაცვაზე და ჯერ კიდევ ვერ აღქმული ჭეშმარიტების წვდომაზე იქნება კონცენტრირებული და ყველაფერი დანარჩენი ამის შემდგომი მნიშვნელობის საკითხად იქნება ჩათვლილი, ჭეშმარიტად საჭირო მიმართულებიდან გადახვევა უბრალოდ ვერ მოხდება. არ მოხდება რომელიმე ინდივიდისთვის ანუ სუბიექტისთვის (საკუთარი ინდივიდის ჩათვლით) ობიექტურობის და ამა თუ იმ ეპოქალური მომენტისთვის შესაბამისი რეალობის ანუ ობიექტური რეალობის დარღვევა. ძირითად პოსტულატად და კანონადაც კი შემდეგი ფორმულირება შეიძლება მივიღოთ:

1. ***არ არსებობს ისეთი სიამოვნება ან კმაყოფილების მდგომარეობა, რომელთა გამოც ჭეშმარიტების დარღვევა ღირდეს.***

და აქვე მეორე პრინციპიალურ კანონსაც მივაყოლებდი:

2. ***არ არსებობს ისეთი სიღრმის ჭეშმარიტება, რომლის აღქმის შემდგომაც ჭეშმარიტების ძიება და წვდომა უნდა შეწყდეს და საკუთარი შეცნობილობა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გამოცხადდეს, რამეთუ ვიდრე ცოცხალ არსებას ინდივიდუალიზმის თუნდაც ნამცეცი გააჩნია, იგი ვალდებულია სულიერი წინსვლისკენ, იდეალიზმისკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვისკენ იყოს მიდრეკილი და ამაზე წინ არასოდეს არავინ და არაფერი არ დააყენოს***. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ეს მეორე კანონი ძირითადად და უპირატესად მამაკაცური საწყისით აქტივიზირებულ ინდივიდუალურ სულებს ეხებათ და ის ავტომატურად მოიცავს პირველ კანონს. ხოლო პირველი კანონი ძირითადად და უპირატესად ქალური საწყისით აქტივიზირებულ ინდივიდუალურ სულებს ეხებათ და მისი შესრულება მათთვის სრულიად საკმარისი იქნება.

ოჯახი, რომელიც სიწმინდეს, სისპეტაკეს, სიყვარულს ემსახურება წმინდა და ერთგული სამსახურით, თვითონაც წმინდა და სპე-

ტაკი იქნება და ყოველი წამის შემდეგ უფრო განიწმინდება და გასპეტაკდება. მასში შიგნით არ იქნება ისეთი უთანხმოება და გაუგებრობა, რომელიც ოჯახის წევრებს ერთიმეორესთან დააპირისპირებდა რაიმენაირი აგრესიული სახით. ძალიან დიდ სისულელედ მიმაჩნია, ოჯახს გარეთ ეძებო იმის გარკვევა, რაც ოჯახის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. ვინც ამ ელემენტარული წესის დაცვას შეძლებს, განკითხვის მანკიერი სენისაგან სრულიად გათავისუფლდება. ის კი, ვინც განკითხვის სენისგან სრულიად გათავისუფლდება, უპირობო რეფლექსების მართვას შეძლებს თავის თავში და სქესობრივი ლტოლვის მონობასაც კი დააღწევს თავს. ამრიგად, არ ვიცი რამდენად კარგად, მაგრამ მაინც ჩანს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების და ჩვენთვის, მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისთვის მისი გამოვლინების, უფალი ღმერთის, სულიწმიდის და ღვითს ძის შემდგომ ყველაზე დიდი სიწმინდე უნდა ყოფილიყო, უნდა იყოს და მომავალშიც ალბათ იქნება ყველა და ნებისმიერი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის **ოჯახი**.

ინდივიდუალურ სულთა თანაცხოვრებას, როგორც მატერიალიზირებულ, ისე არამატერიალიზირებულ სულიერ მდგომარეობაში, სადაც მათ შორის გულწრფელობა არ არის და ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გამოვლინების სურვილით არ არიან დამუხტულნი, ოჯახი არ შემდგარი და ბუტაფორიული იქნება. ნამდვილი ოჯახის შექმნის გარეშე ბედნიერების მიღება შეუძლებელია.

თავი III

ვისაც არ აინტერესებს წარსული
მას მომავალი არ გააჩნია

ჭეშმარიტი არაძალადობრივი გამოვლინების რაობა

ემოცია ↓ ამბიცია ↓

გააპე ხე, ასნიე ქვა და შენ შეიგრძნობ
სიყვარულს და აღიქვამ ჭეშმარიტებას.

რატომ უნდა ვიფიქრო ნეგატიურად მასზე, რაც არ ვიცი?! ეს ხომ მხოლოდ ეჭვებს ჰბადებს და წარმოსახვით შიშებად გარდაქმნის. ძალადობა კი სწორედ ამ წარმოსახვითი შიშების დასაძლევად გამოიყენება.

Какую власть тебе дала судьба
Будь честен и придельно верен ей,
Всегда держи открытыми глаза,
Чтоб в них жестокость не открылобь дверь.

На сколько я умею я умен,
На сколько не умею, глуп на столько,
На сколько не умею, а хочу ,
На столько нетерпением заражен.
Насколько захочу узнать, что не умею,
Насколько знанием захочу снабдиться,
На столько страсть прозрением изменится,
И ум мой за ошибки извенится,

И Бога я в себя приму,
И ум мой Божей воле подченится
И сердце со спокойною душой
Дарить всем наслождение устремится.
А коль из за желания свой
Мой ум ответственность не хочет видеть,
То лучше высших сыл мне попросить
Отец и сын и Дух Святой пожалуйста
мне помогите.

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა დაწამალნი მათნი

ეს თავი, ძალიან უხეში ფორმატით თუ მივუდგებით, იმაზეა, თუ რა უნდა აკეთოს ადამიანურმა სხეულმა, როგორც გამოვლენილი ინდივიდუალური სულის ხილულმა, მატერიალიზირებულმა ნაწილმა.

იმისათვის რომ ამ შეკითხვას პასუხი გაეცეს, უნდა ვიცოდე რა არის ჩემი სხეული, საიდან შეიქმნა, რა მიზეზისა და მიზნისათვის.

ჩემი ვარაუდით, სხეული სხვა არაფერია, თუ არა არასწორად შეფასებულ ფასეულობათა შედეგების შედეგად გაჩენილი სურვილების განხორციელების საშუალება, რათა თავად დარწმუნდეს ამ ფასეულობების შეფასების მცდარობაში. სხეული ხვდება ცხოვრების იმ სტილის, იმ მსოფლმხედველობის წარმომადგენელთა გარემოში, რომლებიც მის სურვილებს მიესადაგება. სულ თავიდან ანუ დაბადებიდან, დარწმუნებული საკუთარი მსოფლმხედველობის სრულ ჭეშმარიტებაში, სხეული სურვილების ცხოვრებაში უმტკივნეულოდ (აბსოლუტური ნებაყოფილობითობის პრინციპის დაცვით) გატარებას ცდილობს, ვინაიდან ეს ისე ბუნებრივად ეჩვენება. მართლაც გაუგებარია, თუ რა შეიძლება დაუდგეს მათ განხორციელებას წინ, მაგრამ მისი გულუბრყვილობისა და მიამიტობის გამო სხვა სხეულების მხრიდან დასაცინი ობიექტი ხდება და ნელ-ნელა მისი ფართო დიაპაზონით წარმოჩენილი ***ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები პირველ დარტყმას იღებს.***

ამის შემდეგ, სხეული ცდილობს გაიგოს რა უნდათ ამ სხვა სხეულებს, რომელთა მხრიდანაც გახდა დაცინვის ობიექტი. ის ყველანაირად ცდილობს ასიამოვნოს, რითაც ეს შეუძლია, ანუ მათი სურვილების დაკმაყოფილებით, რამეთუ მასში ურთიერთობების არაძალადობრივი პრინციპი სრულიად ბუნებრივად არის კოდირებული. მაგრამ გარემომცველი სხეულების მხრიდან ეს ინდივიდუალური აზროვნების სისუსტედ აღიქმება და ამ არაანგარებითი განწყობის ბოროტად გამოყენება ხდება „ჭკუასუსტი“ სხეულის დამცირების და საკუთარი ანგარებითი მიზნებისთვის გამოყენების მცდელობით. მაშინ სხეულისთვის კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ყველაფერი. ***ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები მეორე დარტყმას იღებს***, რაც უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი და ზემოთ აღნიშნული პრინციპების გამოჩინებისა და გამოვლინების დაუფასებლობის აზრს ნერგავს.

ამის შემდეგ სხეული თავისი ცნობიერების გარემოცვაში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სხეულის ძებნას იწყებს და ცდილობს გაიგოს და დაინახოს, თუ რატომ გამოსდის მას საკუთარი სურვილების განხორციელება უფრო უკეთესად, ვიდრე დანარჩენებს. იწყებს ისევე მოქცევას, როგორც სხვები იმ გავლენიანთან მიმართებაში და დანარჩენებისადმი კი მათი გაგებისა და თანაგრძნობის ინტერესი ეკარგება, მაგრამ ამ ახლად გამომცხვარი იდეალის შესაცნობად ეს გარე ურთიერთობები არ კმარა და საჭირო ხდება უფრო ახლო დიაპაზონის რადიუსში მოხვედრა, რაც მისი

„მსახურად“ გახდომის შედეგად ხდება. რაც უფრო დიდი სურვილი აქვს სხეულს მატერიალური თვალსაზრისით წარმატების მიღწევისა, მით უფრო დიდია მისი მონური სულისკვეთება და მით უფრო ახლო დიაპაზონში მოხვდება ყველაზე გავლენიან სხეულთან.

ეს მესამე დარტყმაა ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებზე. იგი იმდენად ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე, რომ მთელ ზეციდან ჩამოტანილ მცდარ ფასეულობათა გამას ნოკდაუნში აგდებს.

აი, აქ მთავრდება პირველი ეტაპი ანუ ეტაპი არასწორად, მცდარად შეფასებულ ფასეულობებზე დადებული ვეტოს გაუქმებისა.

ამის შემდგომ იწყება ფასეულობათა გადაფასების პროცესი (მეორე ეტაპი).

ეს უკვე ცალსახად არჩეული კერპის შეხედულებებზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, როგორც კერპთათვის აღიარებული წესი, ისინი საკუთარი სხეულების კარგად ყოფნისთვის ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპების შენიღბულ ან აშკარად შეუნიღბავ დარღვევებზე დამყარებული კანონებით მოქმედებენ და ხელმძღვანელობენ.

რა თქმა უნდა, პირველეტაპდამთავრებული სხეულისთვის ეს პროცესი შინაგანი ბრძოლის, ძალადობასთან ძნელად შეგუების, აშკარა უსამართლობის ზეიმთან დაპირისპირების სურვილის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. მაგრამ დრო, როგორც იტყვიან, ყველაფერს არჩენს და ადამიანიც ყველაფერს ეგუებაო, ამასაც ამბობენ და დროთა განმავლობაში სხეული იმდენად ღებულობს საკუთარი კერპის შეხედულებებს იმ ფასეულობათა შესახებ, რის გამოც მოხდა მოვლინება, რომ ისინი მის საკუთარ შეხედულებებად იქცევიან და ის ზუსტად ისეთივე ხდება, როგორიც მისი კერპია და ძალიან ხშირ შემთხვევაში კი, მასზე უფრო ძლიერად დახელოვნებულიც.

ამის შემდგომ, ახალი რწმენითა და იმ გარემოსთვის შესაბამისი შეხედულებებით, სადაც იმყოფება ფასეულობებგადაფასებული სხეული, უკვე თვითგამოვლინებაზე იწყებს ფიქრს და თვითონ იწყებს სხვებთან მიმართებაში იმის კეთებას, რასაც ერთ დროს მისთვის მიუღწევლად მიჩნეული ვიღაც აკეთებდა. ***აკეთებს კი იმას სხვებთან მიმართებაში, რაც არ უნდა რომ სხვებმა აკეთონ მას-***

თან მიმართებაში. არადა თავის დროზე, როდესაც მას წარსულში ასე ექცეოდნენ სხვები, ძალიან არ მოსწონდა.

აი, ეს არის ნებისმიერი სხეულის სტანდარტული, სტერეოტიპული გზა, უკლებლივ ყველასთვის, რომლებიც სხეულს ცალსახად საკუთარ „მე"-დ აღიქვამენ და სხეულის სურვილების შესრულებას კი ერთადერთ მიზნად.

მაშ ასე... არიან უფრო იღბლიანი სხეულებიც, რომლებიც მიუხედავად პირველი და მეორე ძლიერი დარტყმისა, ნოკდაუნამდე საქმეს არ მიიყვანენ და დაიწყებენ ისეთი იდეალების ძებნას, რომლებიც იცავენ ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებს. ჩვენდა საბედნიეროდ, მინდა გითხრათ, რომ დედამიწაზე კი არა მთელს სამყაროში არსებობენ ეს იდეალები, რომლებიც ფასეულობათა შეფასების ჭეშმარიტი ცოდნითა და ახსნით არიან შეიარაღებულნი. მთავარია, ამის სურვილი გაუჩნდეს სხეულს და ძებნა დაუწყოს და გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ ისინი არ დაახანებენ და საკუთარ თავებს აუცილებლად აპოვნინებენ, რამეთუ სწორედ ისინი არიან ჭეშმარიტად უზენაესი ძალაუფლება. ***ეს იდეალები აკეთებენ სხვებთან მიმართებაში იმას, რაც უნდათ რომ სხვებმა აკეთონ მათთან მიმართებაში.*** ეს არის სწორედ ის, რაზეც ოცნებობდა ნებისმიერი სხეული მატერიალიზაციამდე და, თუ სხეულის მატერიალურ ფორმას ვიგულისხმებთ, მატერიალური დაბადების შემდგომ. მაგრამ როგორ უნდა შეძლოს სხეულმა საკუთარი სურვილები დაძლიოს და ამ სურვილთა მშობლის, არასწორად აღქმული ფასეულობების, გადასხვაფერება ნებაყოფილობით (საკუთარი ნების ყოფით) მოინდომოს ჭეშმარიტი იდეალების ფასეულობების, მსოფლმხედველობრივი შეხედულებების უპირობო მიღებითა და მათით ჩანაცვლებით.

მაგრამ რა ვუყოთ საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას (ინდივიდუალურობის ღირსებად აღიარებულს), რომელიც ილახება, როდესაც ძალმომრეობისა და ძალადობის გარეშე, ნებაყოფილობით უნდა დაიპატარავო, როდესაც უნდა აღიარო, რომ ვიღაცის აზრი და შეხედულება რატომღაც უფრო მართალია, ვიდრე შენი? ჩემის აზრით, ამ წინააღმდეგობის გადასალახავად ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა არსს ჩავწვდომოდი და შემედარებინა ჩემი შეხედულებები შემოთავაზებულთან. და აქ არის კიდევ ერთი მაგრამ... ამის სურვილი რომ გამიჩნდეს, უნდა დავუშვა, რომ მე ეს ჩაწვდომა მართლა მჭირდება. ვინაიდან ამ მომენტში არავი-

თარი პრობლემა არ მაწუხებს და თუ მაწუხებს კიდეც, ის აბსოლუტურად ყოფითია, სურვილის არავითარი ნიშანწყალიც არ მიჩნდება და უფრო მეტიც, სურვილი მიჩნდება იმისა, რომ ამაზე ტვინი არ ვიბურღო (ამას ზოგადად სიზარმაცეს ეძახიან), რბილად რომ ვთქვათ. ვგონებ, ერთადერთ მეგობრად აქ ნებისყოფა თუ იქნება, საკუთარი ნების არასწორი ორიენტაციის მორჯულებისათვის. ისე რომ, ვისაც ნებისყოფა და მოთმინება არა აქვს, ზემოთხსენებულ იდეალებს ვერ დაუკავშირდებიან, ისინი მეტისმეტად ზარმაცები და ჯიუტები არიან ამისთვის. მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, ჩემის აზრით, ბრმა დოგმების, სიკვდილის შემდგომი სასჯელის შიშის შეგრძნების ქვეშ ყოფნა იქნებოდა.

რაც შეეხება სასჯელს სიკვდილის შემდეგ, მოგონილი ზღაპარი სულაც არ არის და მართლა იქნება, მხოლოდ ცოტა უფრო სხვა ფორმით და სხვა გამოვლინებით, ვიდრე დოგმებშია.

მაშ ასე, რა უნდა აკეთოს ადამიანურმა სხეულმა, როგორც გამოვლინებული ინდივიდუალური სულის ხილულმა, მატერიალიზირებულმა ნაწილმა:

1. ძლიოს საკუთარ სიამაყეს და დაიმდაბლოს საკუთარი თავი ჭეშმარიტ იდეალებთან მიმართებაში. **<u>სიმდაბლე.</u>**

2. სხვა სხეულებთან მიმართებაში დაიცვას ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები, ისე როგორც ამას აკეთებენ ჭეშმარიტი იდეალები მის სხეულთან მიმართებაში. **<u>მოწყალება.</u>**

3. ძლიოს საკუთარ სურვილებს, რომლებიც ძალისმიერებისა და სხვათა ნების იგნორირების ხარჯზე განხორციელების მცდელობითაა გაჟღენთილი. **<u>უმანკოება.</u>**

4. ძალადობით არ დაუპირისპირდეს სხვა სხეულთა სურვილებს, რომლებიც ძალმომრეობაზე და საკუთარი ან სხვა სხეულის ნების იგნორირების ხარჯზე განხორციელებაზეა გათვლილი. **<u>სიმშვიდე.</u>**

5. მატერიალიზირებული სხეულის საშუალებად აღიარების შემდგომ, როგორც ინდივიდუალურმა სულმა, ეცადოს, მიიღოს იმდენი ცოდნა ჭეშმარიტი იდეალებისაგან ზოგადი

ცნობიერებისა და მისი შემადგენელი ფასეულობების ჭეშ-მარიტი არსის რაობის შესახებ, რამდენიც შეუძლია. რაც უფრო შემცირდება ინდივიდუალურ სულში მნიშვნელოვ-ნება რაოდენობრივად და ხარისხობრივად, მით უფრო მცირე იქნება მატერიალური სხეულის ინტერესების დაკ-მაყოფილების მცდელობა და მით მეტი იქნება ჭეშმარიტი ცოდნის შეძენის სურვილი და შესაძლებლობა მისი მხრი-დან. **მ ა რ ხ უ ლ ო ბ ა.**

6. სხვა მატერიალურ სხეულებში არსებულ ინდივიდუალურ სულებს უნდა მისცეს იმდენი ცოდნა, რამდენიც საჭიროა მათთვის. ფაქტიურად, ამის კეთება საკუთარი ინიციატი-ვით სასტიკად დაუშვებელია. ცოდნა უნდა მისცეს მაშინ, როცა ეს სხვა სხეულში მოთავსებულ ინდივიდუალურ სულს უნდა და იმდენი (არც ნაკლები და, მით უმეტეს, არც მეტი), რამდენიც უნდა. **ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი.**

7. როგორც ინდივიდუალური სული, უნდა ესწრაფოდეს, შე-იგრძნოს ჭეშმარიტი იდეალები, მოინდომოს ჩაუღრმავ-დეს, შეიგრძნოს ის, თუ რას გრძნობენ ისინი. ეს არის ყვე-ლაზე ღრმა, დიდი და უშუალო კავშირი. ამას მარტო ცოდ-ნის დაგროვებით ვერავინ მიიღებს, მაგრამ ჭეშმარიტი ცოდნის დაგროვების გარეშე ეს აბსოლუტურად შეუძლე-ბელია. ეს ისეთ შეგნება-შეგრძნებაზეა ლაპარაკი, როგო-რიც საკუთარ პირად შეგრძნებებში ხდება, რასაც მხოლოდ ის შეიძლება მიგიხვდეს, ვინც საკუთარი თავივით აღგიქ-ვამს, ე. ი. ჭეშმარიტი იდეალები საკუთარ ნაწილად აღიქ-ვამენ მას (თუ ეს შეძლო). **ს ა ს ო ე ბ ა.**

8. როგორც უმეცრებიდან გამოსულმა „მე“-ს შეცნობილმა ინდივიდუალურმა სულმა, ნებისმიერი და ყველა მიმდინა-რე, თუ უკვე გასული ან ჯერ არ განხორციელებული (კონ-ტაქტური მატერიალური, თუ სულიერი) ურთიერთობები საკუთარი ხედვის და აღქმის დიაპაზონში (თუ მის გარეთ), ანუ ნებისმიერი არსებული რეალობა ობიექტურ რეალო-ბად უნდა მიიღოს და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათა-ვისუფლდეს იდეისაგან შესაძლებელი სუბიექტური რეა-

ლობის, ანუ უსამართლობის არსებობის შესახებ. **თვითკმარობა.**

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა პლიუს ერთი და წამალნი მათნი – აი, რაზეა აგებული ეს რვა ჩამონათვალი, ვისაც ეს დაინტერესებს. მერვე კი არის ერთგვარი ჯამობრივი ცნება, რომელიც შვიდივე მათგანიდან მომდინარეობს და შვიდივე შიდა ემოციური ბუნების არსს გადმოსცემს.

1.	*ამპარტავნება*	*სიმდაბლე*
2.	*ანგარება*	*მონყალეობა*
3.	*სიძვა*	*უმანკოება*
4.	*მრისხანება*	*სიმშვიდე*
5.	*ნაყროვანება*	*მარხულობა*
6.	*შური*	*სიყვარული*
7.	*მიმონვლილობა*	*სასოება*
8.	*დაუკმაყოფილებლობა*	*თვითკმაობა*

ალბათ ყველა დაეთანხმება იმ ფაქტს, რომ ყველა ეს ცნება, რაც ზემოთაა მოყვანილი, ურთიერთობების-და გამო, ურთიერთობების განხორციელების სურვილით ან ურთიერთობების შედეგად წარმოიქმნება, მატერიალურ სამყაროში მაინც, როგორც მინიმუმ. მეც ახლა ამ ურთიერთობათა წარმომშობი ობიექტების, სხეულთა ერთობლივი წარმონაქმნის, საზოგადოების ცნობიერ და უცნობ არსს შევეხები.

საზოგადოება და ურთიერთობები

ადამიანთა ან ნებისმიერ ცოცხალ არსებათა, ინდივიდთა გაერთიანებას, ერთობლიობას საზოგადოებად (კრებად, ეკლესიად, ბრბოდ) მოიხსენიებენ. საზოგადოება თავისი არსით და, თუ გნებავთ, ფუნქციონალურ-არსობრივი დატვირთვითაც კი, ზოგადი ცნობიერების „ჩონჩხზე“ აგებულ „სხეულს“ ნიშნავს. მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული რაღაცა ტიპის სხეულის სახით ახდენს მოვლინებას. უხეშად რომ ვთქვათ, რაიმე ტიპის სხეულში „სახლდება“, რის შემდეგაც მისი მხრიდან საჭირო ხდება ადაპტაცია, როგორც საკუთარი „მე“-სი (ენერგეტიკული პოტენციალის) ახალ „სახლთან“, სხეულთან მიმართებაში, ისე ამ სხეულისა (ანუ უკვე სხეულითურთ) მის რეალურ არსებულ გარე პირობებთან (გარემოსთან) მიმართებაში. სხეულთან ადაპტაციის პერიოდი ძირითად ნაწილში დედის მუცელში ყოფნით შემოისაზღვრება, რამეთუ ორი ასეთი სერიოზული ტიპის ადაპტაციას ინდივიდუალური სული უბრალოდ ვერ შეძლებდა. რაც უფრო დაბალია ინდივიდუალური სულის ეთიკურ-ჰარმონიული პარამეტრი, მით უფრო აგრესიული იქნება „გაცოცხლებული“ სხეულიც და პირიქით, მაგრამ, ვგონებ, ეს სულ სხვა თემაა. ამიტომ მოდით, პირდაპირ ადაპტაციის მეორე ეტაპზე გადავიდეთ. დღიდან დაბადებისა ადამიანი (სხვა არსებებს შევეშვათ) საკუთარი სხეულის გამოკვების, დაზიანებისგან დაცვის, შეძლებისდაგვარად კარგ პირობებში მყოფობის და სურვილების შესრულების მარათონში ებმება, რომელიც გრძელდება სიკვდილამდე. მაგრამ მიუხედავად ამ აშკარა ეგოისტური მიდრეკილებისა ადამიანები, თუნდაც ცალსახა სხეულისეული თვითაღქმის პირობებშიც კი, ერთმანეთის გარეშე უბრალოდ ვერაფერს მოახერხებდნენ, ასე რომ ურთიერთობა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. არც ამას ჩავუღრმავდები – რა, რატომ და როგორ, რამეთუ ეს თემები უძირო ქვევრებივით არიან. მოკლედ, ადამიანთა ურთიერთობებს ოთხ ძირითად ნაწილად დავყოფ:

I საზობადოებრივი მაკეტი

I. 1. რეალურად განხორციელებული ანუ ხორცშესხმული სხეული ინდივიდუალური სულის ბინა ხდება და სხვა, მასზე ადრე მოვლინებულ სხეულებში მყოფი ინდივიდუალური სულების მიერ ფასეულად ცნობილი ცნებების საფუძველზე აგებული ყოფიერების ათვისების აუცილებლობის წინაშე დგება. იწყება საკუთარი

ინდივიდუალიზმის „ჩაქრობის“ მეთოდური და თანამიმდევრული პროცესი. დახვედრილ სხეულებში მყოფთ, ანუ უფროსებს, ძალაცა და უფლებაც აქვთ მინიჭებული შემდგომმოვლინებულებზე, რათა როგორც პლასტელინის გადაკეთება, მათზე დაქვემდებარება მოსთხოვონ, იქამდე, ვიდრე ახლადმოვლენილი თავისი ნებით, ნებაყოფილობითა და მორჩილების სულისკვეთებით (ზრდილობით) არ წაჰყვება ძველებს იქით, საითაც ისინი მიუთითებენ და არ შეითვისებს, შეისწავლის და გაითავისებს იმას, რაც მათ მიაჩნიათ საჭიროდ, ეს ინდივიდუალური სულის აღზრდისთვის კოსმიური გადასახედიდან, ამპარტავნების შემცირებისთვის უდავოდ აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია. ეს პროცესი გრძელდება იქამდე, სადამდეც ინდივიდუალურ სხეულში მყოფ ინდივიდუალურ სულს უფროსებზე დაქვემდებარებულობის სურვილი ექნება, ანუ აბსოლუტურად ინდივიდუალურია. რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის მატერიალური სამყაროს (ჩვენს შემთხვევაში კაცობრიობის), ადამიანების მიერ აღიარებული ყველაფერი საუკეთესოს შესწავლის პერიოდი. ეს არის მატერიალური სამყაროს ცოდნა, რომელიც იმდენად მრავალფეროვნად არის გაშლილი, რომ უსასრულო გზას მოგაგონებს, მაგრამ მთელი ამ ცოდნის დანიშნულება ანუ ის, რასაც იგი ემსახურება და რის გარშემოც ტრიალებს, მაინც მატერია და ინდივიდუალური სხეულებია, სულის რაობა კი თუ რაიმეთი იჩენს თავს, სხეულის მომსახურების საშუალებად იკითხება და იგულისხმება, მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს საოცარი და ლამაზი ცოდნაა ღამეგატეხილი, ცხოვრებაარეული, მაძიებელი, მოუსვენარი და ძლიერი ადამიანების მიერ შექმნილი და შემდგომ, დროისა და გარემოების მიერ შედუღაბებული, გაერთიანებული. ეს არის პოეზია, პროზა, ლიტერატურა, მუსიკა, მეცნიერება, ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ხატვა, პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციოლოგია და ა. შ. ეს ჭეშმარიტად დიდი და ცალკე საკითხია და თუ საჭიროდ ჩაითვლება ამ საკითხის ღრმა ანთოლოგიას მომავალში გავაკეთებ. ეს არის ერთადერთი ღირებული და ფასეული რამ, რაც კი კაცობრიობის მიერ არის შექმნილი.

2. როდესაც ინდივიდუალურ სხეულში მყოფ ინდივიდუალურ სულს უფროსებზე, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის დაქვემდებარებულობის სურვილი ეკარგება, ის უკვე თვლის, რომ თვითონაც უფროსების ერთ-ერთი წარმომადგენელი გახდა, მიაჩნია რა რომ – იმდენი ცოდნა აქვს, რამდენიც მისთვის სრულიად საკმარისია. საკმარისია იმისათვის, რომ არსებულ ყოფიერებაში

ისე ამყოფოს თავისი სხეული, როგორც სურს. ამდენად, ინდივიდუალური სული უკვე საკუთარ არსს ფუნდამენტურად ივიწყებს და საკუთარ არსს ინდივიდუალურ სხეულთან აიგივებს. აქვს ისეთი შეგრძნება, თითქოს დაიღალა ყველაფრით (ეს განთქმული ფრაზაა და ყველას ესტუმრება ხოლმე პერიოდულად), რაც რეალურად იმას ნიშნავს, რომ მასში თვითრეალიზაციის სურვილმა გაიღვიძა. ამ სურვილთან ერთად კი, როგორც ერთგვარი დამამუხრუჭებელი საშუალება, იღვიძებს სქესობრივი ლტოლვის სურვილიც. ვფიქრობ, ყველასათვის საინტერესო იქნება იმის ახსნა, თუ რატომაა სქესობრივი ლტოლვა დამუხრუჭების საშუალება თვითრეალიზაციის პროცესში. ინდივიდუალურ სულს, როგორც მატერიალურობისაგან განყენებულად, განცალკევებულად აღებულს, სქესობრივი ლტოლვა არ გააჩნია, რამეთუ სქესის ცნება სულიერ გარემოში, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს და ინდივიდუალური სულისთვის სიამოვნებაში მყოფობა, მატერიალური აღქმის დონეზე რომ გადმოვცე, ორგაზმში, ნეტარებაში მყოფობაა. ხოლო ინდივიდუალური სულის თვითრეალიზაციის არსი კი – დაკმაყოფილებაში, არშეცნობილი ფასეულობის გაგებაში, აღქმაში გამოიხატება, ანუ ჭეშმარიტი ცოდნის შეძენაში. საკუთარი არსის ცალსახად ინდივიდუალურ სხეულად აღქმის შემთხვევაში კი – ნეტარება ოცნებად არის გარდაქმნილი და სიამოვნების მიღება სხეულისთვის „საჭირო“ ანუ სასურველი ყოფითი მდგომარეობის შექმნაში გამოიხატება, რაც მატერიალურ კეთილდღეობაში აღიქმება და მისი მიღწევის ყველაზე ადვილი საშუალება ძალაუფლების მოპოვება და მისი საშუალებით ნებისმიერი სხეულისეული სურვილის მიღწევაა, მით უმეტეს, რომ ეს ინდივიდუალური სხეული საკუთარ თავს უკვე უფროსებში გულისხმობს ანუ თავის თავს აძლევს იმის უფლებას, რომ სხვა სხეულები თავისი შეხედულებების შესაბამისად პლასტელინივით ძერწოს. აი, ამ სიამოვნების მიღების ნუსხაში შემოდის საკუთარი სხეულის სხვა სხეულთან შეხებით სიამოვნების მიღების სურვილი, რაც რეალურად სქესობრივი აქტია. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც ძალით მიღების შემთხვევაში ყოველგვარი აზრი და გემო ეკარგება და ნებით თუ უნებლიეთ საჭირო ხდება საკუთარი თვითრეალიზაციის პროცესში საკუთარი მოქმედებებისთვის ანგარიშის გაწევა. აი, პასუხი იმაზე, თუ რატომ არის სქესობრივი ლტოლვის სურვილი დამუხრუჭების საშუალება, და კიდევ ერთი ასპექტი სქესობრივ ლტოლვასთან და სქესობრივ აქტთან მიმართებაში – ეს არის ერთგვარი ხიდი საკუთარი

არსდავიწყებული ინდივიდუალური სხეულისა საკუთარ დავიწყებულ არსთან, ანუ ინდივიდუალურ სულთან. კონტაქტის შედეგად მიღებული წამიერი ორგაზმი არის ამ ხიდის რეალური ასახვა. ეს არის ის მდგომარეობა, რაშიც ინდივიდუალური სული იმყოფება თვითრეალიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში. ანუ, ერთი მხრივ, ინდივიდუალური სულისთვის არის იმის გახსენების საშუალება, თუ რას კარგავს და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური სხეულისთვის არის იმის შეხსენების საშუალება, თუ რას უნდა ემსახუროს.

თუ ადამიანს სქესობრივი აქტის დროს ორგაზმის თუნდაც წამიერი შეგრძნება არა აქვს, მას საკუთარ არსთან მთლიანად დაკარგული აქვს კონტაქტი და ის აბსოლუტური უმეცარია.

რაც შეეხება ინდივიდუალური სხეულის მიერ დაკმაყოფილების მიღების რაობას. ეს შეგრძნება ან სურვილის შესრულების შედეგად მყისეული წამიერი გაელვების სახით იქნება, ან არსებული პირადი ყოფითკმარობის შედეგად, რაც საკუთარი არსდაკარგული ინდივიდუალური სხეულის შემთხვევაში (რომელსაც ინდივიდუალური სული იგნორირებული ჰყავს), თავისუფლად შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად გამორიცხულია.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებულობის, გამორჩეულობის, დემონსტრაციულობის სურვილი საკუთარი ინდივიდუალური სულის საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ინტერესებზე დაქვემდებარებით.

მაგრამ, ამ ყველაფრის გულახდილად ამ სახით გამოფენა, საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომ, საჭირო ხდება მასკირება, შენიღბვა, თამაში, მოტყუება, სერიოზულობა თუ ყალბი მხიარულება. ეს არის ეგოცენტრული უგულობის, თავკერძობის, მლიქვნელობისა და მაამებლობის სეგმენტებით შეზავება.

ხდება რაღაც არგუმენტების შემოტანით ზოგადი ცნობიერების ძირითადი ბირთვის მმართავ სისტემასთან დაპირისპირება. სინამდვილეში, ეს არგუმენტები საბაბია, ნამდვილი მიზეზი არის შური მათ მიმართ, ვისაც აქვს ძალაუფლება ანუ თვითრეალიზაციისთვის ყველაზე სერიოზული და ძლიერი საშუალება. მაშასადამე, ამ მიზეზისა, ანუ შურის მიზეზი არის საკუთარი თვითგამოვლინების შეზღუდულობა და თვითგამოვლინების სურვილი. ერთვება და ეკვრება ერთი ასეთი ინდივიდუალური სული სხვა მისნაირებს, შექმნიან რაღაც საზოგადოებას, კავშირს, ორგანიზაციას და ასე უსასრულოდ, ხდება ადამიანთა ერთმანეთთან დაპირისპირება,

დაყოფა, დაშლა იმ თითქოსდა უწყინარი მიზეზის გამო, რასაც საკუთარი არსის ინდივიდუალურ სხეულად აღმქმელი თვითგამოვლინების სურვილი ჰქვია.

3. საზოგადოებაში მიღებული ურთიერთობებიდან აგრეთვე აუცილებლად და საჭიროდ მიჩნეულია ოჯახის შექმნა ყველა ადამიანის მიერ. რეალურად ეს არის ინდივიდუალური სხეულის ინტერესების და სურვილების მოძალების შედეგად წარმოქმნილი სქესობრივი ლტოლვის რეალიზაციის საშუალება, როგორც ზეციური, ისე მიწიერი კანონების დაცვით. ამ შემთხვევაში თვითრეალიზაციის სურვილის დამუხრუჭების საშუალება, ანუ სქესობრივი ლტოლვა, დაჩქარების საშუალება ხდება და სქესობრივი ლტოლვაც, როგორც აბსტრაქტული წარმოსახვითი კატეგორიიდან უკვე კონკრეტულ მატერიალურ, ვიზუალურ კატეგორიაში გადადის. ე. ი. სქესობრივ ვნებად გარდაიქმნება.

თავდაპირველად ურთიერთობების დამყარება ამ დონეზე ვიზუალურად მაქსიმალურად მისაზიდად შენიღბვით იწყება, სადაც მთავარი მოვლენები მლიქვნელობასა და მაამებლობაზეა აგებული. თანმდევი ძალის, ხელგაშლილობის, დათმობითი ხათრიანობისა და საკუთარი მნიშვნელოვნების იგნორირების დემონსტრირებით, რომელიც რეალურად ყალბია და მომავალში (მოვლენებში, რომლებიც მომავალში მოხდება) ამ ქმედების მქმნელი თავისდაუნებურად ნელი მოქმედების ბომბს ამონტაჟებს საკუთარი ხელით და რაც უფრო დიდია სიყალბე, ანუ განსხვავება რეალურ შიდა ბუნებასა და გარეთ გამოფენილ ბუნებას შორის, მით უფრო დიდი, ხანგრძლივი და ძლიერი ძალის იქნება ეს ე. წ. „ნელი მოქმედების ბომბი“. კაცობრიობის მხრიდან ეს პერიოდი აღქმულია ყველაზე ლამაზ პერიოდად ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში და ამ ტყუილების ვიზუალურად ხელოვნურად გაფორმებულ „ბუკეტს“ რომანტიზმი და სიყვარულის სახელი აქვს შერქმეული. ***მე კი ვიტყოდი, რომ არ არსებობს ტყუილი, რომელსაც შეიძლება გამართლება მოეძებნოს იმ გაგებით, რომ ის სიმართლეს ანუ რეალობას ჯობდეს და საერთოდ – ტყუილია ის საწყისი, საიდანაც იზრდებიან ბოროტება, უბედურება, სიბერე, ავადმყოფობა, სიკვდილი და ა. შ. და ა. შ.***

რომანტიზმის დამთავრების შემდგომ, რომელიც სქესობრივი ვნების დაკმაყოფილების, კანონიერი სქესობრივი აქტის შემდგომ დგება, იწყება ბომბის მოქმედება. ოჯახის წევრები, უფრო სწორად – უკვე ოჯახის წევრები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ერთად

მყოფი საზოგადოების სახეობაა, ერთმანეთს შეპირებული „ბუკეტიდან“ მისი სათითაო „ყვავილის“ შესაბამისი მოთხოვნის, ანუ შეპირებული ტყუილების შესრულებას სთხოვენ ერთმანეთს და როცა ვერ ღებულობენ, რამეთუ ამის შესრულება მათ შესაძლებლობებს აღემატება, იწყებენ მდურობას და ყვედრებას ერთურთისა და იმათ შეჰყურებენ შურით, ვისაც შეუძლია და აქვს ის, რასაც მათ შეჰპირდნენ და მოატყუეს. ეს არის საკმაოდ კოშმარული მდგომარეობა და მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულს ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, ეს ასცდეს, რამეთუ სქესობრივი ლტოლვისა და მით უმეტეს, სქესობრივი ვნების კონტროლი იმდენად ძნელია, რომ ვინც შეძლებს ამას, იგი მატერიალური სამყაროდან სულიერში გადაინაცვლებს.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ პერიოდში ხდება საკუთარ ცნობიერებად ჩამოყალიბებული არსობრივი რაობის კარგვა მატერიალურად, ფიზიკურად ყველაზე ახლო მყოფ ინდივიდუალურ სხეულებთან მძაფრი დაპირისპირების საშუალებით. აქ, ნებით თუ უნებლიეთ, მთლიანად ხდება მასკირებულობის, შენიღბულობის მოხსნა და არსებული რეალობის რეალურად გამოჩინება. მეორე პერიოდში თუ კონტაქტორი ინდივიდუალური სულები რეალურად მატყუარათა და მოტყუებულთა ურთიერთობების კლასიფიკაციური საზოგადოებრივი კატეგორიის სახეს ჰქმნიან, მესამე პერიოდში ყველაფერ ამას ფარდა ეხდება. მეორე პერიოდში შესაძლებელია კონტაქტიორ პარტნიორთა ცვლა და მიმოწვლილობის პრინციპით ღობე-ყორეს მოდება, მესამეში პარტნიორის შეცვლა ასეთი ხელწამოსაკრავი საქმე აღარ არის. ეს არის პერიოდი საკუთარი არსის დანახვისა, მაგრამ ჩასწორება რაიმესი აქ უკვე ძალიან სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული და ძალიან იშვიათი შემთხვევების გარდა, რომლებიც ფაქტიურად თითქმის არც ხდება, ერთადერთი ალტერნატიული გზა დაშორიშორებაა, ურთიერთობების დანგრევაა, რასაც დღევანდელობაში ძალიან ხშირად ვხვდებით. თუ ინდივიდუალურ სხეულში მყოფი ინდივიდუალური სული ამ ყოველივეს დანგრევას არსობრივი ორიენტაციის შეცვლის სულისკვეთებით არ ეცდება და მისი ინტერესი თუ მატერიალური ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილის საფუძველზე მოხდება, მაშინ დანგრევა ურთიერთობებისა აბსოლუტური უაზრობაა და, უფრო მეტიც, შედეგი გაცილებით უფრო სავალალო იქნება, ვიდრე ამ ურთიერთობების დროს იყო. საბოლოოდ, არ დანგრევისა და ურთიერთობების შენარჩუნების შედეგად საკუთარი

ცნობიერება რაღაც დონეზე გაჩერდება (რაღაცა ნაწილის დაკლების შემდგომ) და ამ სხეულის არსებობის ბოლომდე ე. წ. კონსტანტურ და აღარ ცვალებად მდგომარეობაში იქნება. ეს არის ის მდგომარეობა, რასაც ყველა და ნებისმიერი ინდივიდუალური სხეული ადრე თუ გვიან ღებულობს და შემდგომ ამისა გადადის საზოგადოებრივი ურთიერთობების მეოთხე ფაზაში.

4. ეს ფაზა რაღაცით ჩამოჰგავს პირველს და ამავე დროს რადიკალურად განსხვავდება მისგან. აქ ყოველგვარი თვითგამოვლინების სურვილი უკვე კვდება, მაგრამ ინერცია ცალსახად იმისკენაა მიდრეკილი, რომ საკუთარი წესრიგის ანუ გათვლილი თანამიმდევრული მატერიალური პროცესების არ დარღვეულობა იქნას დაცული. სურვილი კი იმისაა, რომ მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილთან იქონიოს კონტაქტი, რომელიც ამ წესრიგის მაკეტს აღიარებს და იცავს (არ არღვევს). ამ ფაზაში მყოფი ინდივიდუალური სული მთლიანად ექვმედებარება საკუთარი ნება-სურვილით იმ დოგმატურ სისტემას, რომელიც თავისში ჩამოაყალიბა და გააფთრებით ეომება ყოველგვარ გადახრას მისგან, ანუ რაიმე ნებისმიერ ცვლილებას. ამ ტიპის გამოვლინებებთან სრულ იზოლაციას ახდენს თვითონაც და თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფთაც ყველა შესაძლო საშუალებით იზოლაციას უკეთებს. რამეთუ თვითრეალიზაციის სურვილი აღარ არსებობს, აღარ არსებობს სქესობრივი ლტოლვის პრეცენდენტიც და ავტომატურად, აღარ არსებობს სქესობრივი ვნება ინდივიდში. აქ მყოფისთვის ყველაფერი დათვლილია და კალკულატორზე გათვლილია ყოველი წამი. ის მუშაობს იმის შენარჩუნებაზე, რაც ჯერ კიდევ შერჩა და არ დაკარგა. არა მგონია ძნელად აღსაქმელი იყოს, თუ ვიტყვი, რომ კოსმიური გადასახედიდან მისმა ყოფნა არ ყოფნამ აზრი დაკარგა, ეს რეალურად, სხეულში მამოძრავებელი ძალის ქონის პირობებშიც კი, სიკვდილის – ყოფნაში არ ყოფნის – ტოლფასია.

პირველი კანონია ჩემთვის – ვინც ეძებს ის პოულობს, ვინც აღარ ეძებს, ის შენარჩუნებაზე ფიქრობს. ვინც შენარჩუნებაზე ფიქრობს, ის კარგავს. ანუ შეიძლება ითქვას, სხეულიდან სულის გასვლა ანუ ე. წ. სიკვდილი უზარმაზარი მადლია.

რაღა თქმა უნდა, არის სერიოზული დაპირისპირებები თვითონ ამ ფაზაში მყოფთა შორისაც, რამეთუ ყველა მათგანს, მიუხედავად თანაცხოვრებისა, თავისი წესრიგის მაკეტი მიაჩნია იდეალურად და დაპირისპირება იმდენად უმნიშვნელო და უნივთო რაღაცეებზე ხდება, რომ გვერდიდან მაყურებელი საღად მოაზროვნის მხრიდან

ეს ნამდვილი აბსურდის თეატრია და მეტი არაფერი. აქ აბსოლუტურად ყველაფერი განივთებულია, ანუ ინდივიდუალური სულის აღქმა მთლიანად მკვდარია. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დონეზე მისული ადამიანის „გამოღვიძება“ თითქმის შეუძლებელია.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ მეოთხე პერიოდში ხდება საჭირო ფუნქციონალური დანიშნულების სრულად იგნორირება, რაც დროისა და დროის განმგებლის, მამა ღმერთის თავისში არსობრივ აღქმაში, საკუთარ ცნობიერებაში მოკვლის მცდელობით ხორციელდება, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. ერთადერთი კონცენტრირებული მიზანი საკუთარი წესრიგის მაკეტის დამყარება და აღსრულების, სისრულეში მოყვანის მცდელობაა, რაც ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპების სრული იგნორირებით ხორციელდება, არავის აზრის გათვალისწინება და არავის მდგომარეობაში, არავის შეგრძნებაში არშესვლით. რაც შეეხება ვითომ გაგებასა და დათმობებს, აქაც ეს მხოლოდ გარეგნულად თამაშია და მეტი არაფერი. ეს არის ვაჭრული სულისკვეთებით განმსჭვალული ურთიერთობა, სადაც გული რეალურად მკვდარია და ყველაფერი ტვინის გათვლით და დაანგარიშებით ხდება. ამ პერიოდში ყველაზე თვალში და ყურში საცემი და ადვილად დასანახი და გასაგონი რაცაა, ეს არის განკითხვისკენ, დადანაშაულებისკენ მიდრეკილება, ჩასაფრებულობის პოლიტიკა. ოღონდ შანსი მიეცეს და ხელიდან არ გაუშვებს, რომ არ განიკითხოს, არ დაადანაშაულოს, არ გაკიცხოს, შენიშვნა არ მისცეს, ლაფში არ ამოსვაროს, არ გაუსვას ხაზი საკუთარ უმწიკვლობასა და უპირატესობას. ეს ხალხი ყოველთვის, ყველგან და ყველასთან მართალი და საუკეთესონი არიან საკუთარი შეხედულებით. ეს ის ფაზაა, რომელში მყოფნიც სიძულვილს, მწუხარებას, უღმერთობას, სიმწარეს, დაპირისპირებას, მატერიალურის გაღმერთებასა და უბედურებას ჰქმნიან თავის გარშემო. მე ნამდვილად არ მინდა ვიყო ტენდენციური, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რეალურად მართლა ასეა.

და ბოლოს, ეს არის ის პერიოდი, სადაც, ამ პერიოდში და ამ ფაზაში მყოფთა ინტერესებიდანვე გამომდინარე, საჭირო ხდება ამ არსობრივი ცნობიერების დანგრევა, საზოგადოებისგან მოცილება, გარდაცვალება განგების მიერ (განგება თავად ღმერთია, როგორც სამება) და ეს არის უზარმაზარი მადლი ამ არსდაკარგულ სულზე. მას მიეცემა სხვა შანსი, რათა თავისი ევოლუცია გააგრძელოს.

დ ა ს კ ვ ნ ა

უნდა ეს მატერიალიზებულ ინდივიდუალურ სულს თუ არა, ეს ოთხი ფაზა უნდა გაიაროს. ეს დაკავშირებულია იმ მცდარ ცნობიერებასთან, რაც ინდივიდუალურ სულს ჰქონდა მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში ჩასახლებამდე და ის, რის გამოც მოხდა ეს ჩასახლება სხეულში. მე ამას დავარქმევდი ე. წ. „მე"-ს შემადგენელი ნაწილების ანუ გრძნობის, ამბიციის, გონებისა და ემოციის მუტირებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რასაც მუტაცია (გადაგვარება) მოიცავს თავის არსობრივ რაობაში. და თუ ამ ოთხი ჯგუფის კლასიფიკაციასაც მოვახდენთ, დაახლოებით ასეთი რამ მიიღება:

1. მუტირებული ემოცია; ფსევდოამბიცია. ანუ ემოციური ნაწილი მონათლულია ამბიციურ ნაწილად. ეს არის ზოგადი ცნობიერების (ჭეშმარიტი ღვთიური ცოდნის) ცალსახად მატერიალური ნაწილის შეცნობის მცდელობა.

2. მუტირებული გონება; ფსევდოგრძნობა. ანუ გონებრივი ნაწილის მონათვლა გრძნობისმიერ ნაწილად. ეს არის ზოგადი ცნობიერების გამოვლინებასთან (ობიექტურ რეალობასთან) დაპირისპირების მცდელობის, ***სქესობრივი ლტოლვის*** ფენომენის შემოსვლა.

3. მუტირებული ამბიცია; ფსევდოემოცია. ანუ ამბიციური ნაწილის მონათვლა ემოციისმიერ ნაწილად. ეს არის ალტერნატიული პარალელური ზოგადი ცნობიერების (რომელიც საკუთარ ცნობიერებად არის აღქმული და რეალურადაც საკუთარი ცნობიერებაა) რეალიზაციის მცდელობა და ამ რეალიზაციის შემდგომ მისი გარდაუვლად შემცირების, კლების პროცესი, საკუთარი ცნობიერების კარგვა გზადაგზა, სქესობრივი ლტოლვის რეალიზაციით მისი ***სქესობრივ ვნებად*** გარდაქმნა.

4. მუტირებული გრძნობა; ფსევდოგონება. ანუ გრძნობითი ნაწილის მონათვლა გონებისმიერ ნაწილად. ეს არის საკუთარი ცნობიერების საბოლოო ჩამოყალიბებული (საკუთარი შეხედულებით სრულყოფილებას მიღწეული) არსობრივი ფორმაციით ჭეშმარიტი ზოგადი ცნობიერებისგან (ჭეშმარიტი ღვთიური ცოდნისგან) გამიჯვნა, საკუთარი წესრიგის, წყობის დამყარება და გააფთრებული ომი ამ წესრიგის დასაცავად და შესანარჩუნებლად. ყველანაირი და ნებისმიერი გრძნობითი გამოვლინების მკრეხელობად, სიბინძურედ, სიძვად გამოცხადება, ნებისმიერი მისთვის, ამ წესრიგის ნორმატივებისათვის, არმისაღები მოქმედების ბოროტებად, სა-

ზიზღრობად გამოცხადება, ამ მოქმედების ჩამდენის პირად მტრად და სამკვდრო-სასიცოცხლო დონის დაპირისპირებულ ძალად აღქმა. ***თვითგაკერპების ფენომენის*** შემოსვლა.

1. მუტირებული ემოცია; ფსევდოამბიცია.
2. მუტირებული გონება; ფსევდოგრძნობა.
3. მუტირებული ამბიცია; ფსევდოემოცია.
4. მუტირებული გრძნობა; ფსევდოგონება.

მაგრამ მუტაციის ფორმა შეიძლება როგორც „გაჯანსაღებისკენ“, ისე „უფრო დაავადებისკენ“ წავიდეს. „გაჯანსაღებისკენ“ მიმავალი ღვთის ძის მიერ მოცემული გზაა, რომელიც, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, ვიწრო ბილიკივით არის და აუცილებლად მოიაზრებს თავის თავში ისეთ ცნებას, რაც არის „მეორედ დაბადება“. ვინც მეორედ არ დაიბადება, ის ამ გზაზე ვერ დადგება, ანუ როგორც სხეულში ჩასახლების შემდგომ დაიწყო მატერიალური გარემოს მიერ შემოთავაზებული საარსებოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელი ცოდნის შეთვისება და შესწავლა, გარდაცვალების, ანუ სხეულიდან გასვლის სანაცვლოდ დედამიწაზე არსებული სულიერი ცოდნის დაუფლება უნდა დაიწყოს მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით სულიერ სამყაროსთან მიმართებაში. ეს კი რეალურად შესაძლებელია **ე. წ. სიკვდილით სიცოცხლის განმავლობაში** ანუ მაქსიმალურად განდეგილობით, განზე დგომით მთელ მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაში. ეს არის საკუთარი წესრიგის მაკეტში ჩაკეტილობიდან გასვლის საუკეთესო და ერთადერთი პოზიციური გზა.

რაც შეეხება უფრო მეტად „დაავადებისკენ“ მიმავალ გზას, ეს არის ის, რასაც დედამიწაზე შავ სამყაროს უწოდებენ. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე განიერი გზაა და თავის თავში მოიაზრებს ისეთ ცნებას, რაც არის „მეორედ სიკვდილი“. პირველი სიკვდილი საკუთარი წესრიგის მაკეტის შექმნის დამთავრების დროს მოხდა. ეს არის საკუთარი წესრიგის მაკეტის დანგრევის საშუალება და ამ წესრიგიდან გასვლის ყველაზე უარესი და პრინციპში ერთადერთი ნეგატიური გზა. ამ ფენომენის გამოვლინების დროს ხდება ინდივიდუალურ სულში ჯერ კიდევ არსებული სულიერების (რომლებიც დოგმების დაცვაშია გამოხატული) უსასრულოდ კარგვისაკენ მიდრეკილება ინდივიდუალური სხეულისთვის სიამოვნების მისანიჭებლად. ამასთან, დაპირისპი-

რება ძალიან, უაღრესად ძნელია, რამეთუ ამის მორევა მხოლოდ თეთრი სამყაროს წარმომადგენელთ ძალუძთ, მაგრამ იმ თეთრი სამყაროს წარმომადგენლობის უფლება რომ მიიღოს ინდივიდუალურმა სულმა, ღვთის ძის მიერ ჩამოტანილი მოძღვრება იმდენად უნდა შეიმეცნოს, რომ ღვთის ძემ იგი განწმენდილად, ჭუჭყისაგან გასუფთავებულად აღიაროს და მისცეს უფლება მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან ურთიერთობებისა. თუ შევძლებ, ვეცდები ამ თავში ამის დაწვრილებით გადმოცემას. მუტაციიდან გასვლა მხოლოდ ჭეშმარიტად გასუფთავების შემთხვევაში ხდება.

ახლა კი მოდით შევეცადოთ, უფრო მეტად დაავადებისკენ მიმავალი გზის არსი და რაობა განვსაზღვროთ. უფრო ნაცნობი ტერმინი რომ ვიხმარო, ეს არის გზა, რომელსაც ინდივიდუალური სული იქითკენ მიჰყავს, რასაც კაცობრიობის ენაზე „ჯოჯოხეთი“ ეწოდება, ჟარგონულ ენაზე კი „შავი სამყარო“, აბსოლუტური სიბნელისკენ სწრაფვა, საკუთარ არსში ნათელის სრული დაკარგვის ტენდენციით.

ამ ორიენტაციისკენ მიდრეკვა სამწუხაროდ ძალიან ადვილად და იმდენად შეუმჩნევლად ხდება, რომ ამის დაფიქსირება მყისეულად ძალიან ძნელია. ეს „მე“-ს შემადგენელი ოთხი ნაწილებიდან ემოციის ნაწილიდან ხდება. თუ ინდივიდუალური სულის ინდივიდუალურ სხეულში ჩასახლების დროს ემოციური ნაწილი ამბიციისმიერად აღიქმებოდა, ამ გზაზე დადგომის დროს ის უკვე გრძნობისმიერ ნაწილად აღიქმება, ანუ ინდივიდუალური სხეული, მატერიალური ნაწილი და მთელი მატერია განცალკევებულად სულისგან წმინდა და უზენაეს ნაწილად სახელდება. მოდით, ეს ფენომენიც, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სახეობები, ოთხი კლასიფიცირებული ნაირსახეობით ავხსნათ.

II საზობადოებრივი მაკეტი

II. 1.[4.] ვინაიდან ეს გაგრძელებაა წინა ნაწილსა, უნდა გავაგრძელოთ იქიდან, სადაც გაჩერდა ინდივიდი. ე. ი. მკაცრად დაამყარა თავის არსში საკუთარი სრულყოფილების, წესრიგის მაკეტი, საკუთარი რწმენა. შემდგომ ამისა ინდივიდი საკუთარ ცნობიერებაზე აგებული ყოფიერების დამკვიდრების აუცილებლობის წინაშე დგება, ამისთვის კი იწყებს თავის გარშემო არსებული ინდივიდების ინდივიდუალობის გამოვლინების „მოკვლას“, „ჩაქრობას“. აქ იგულისხმება განგების მიერ მინიჭებული საზღვრების გარეთ გასვლა და საკუთარი თავის განგებად, განმგებლად დამკვიდრების მცდელობა. რა თქმა უნდა, ამ ინდივიდების მხრიდან იწყება წინა-

აღმდეგობის გაწევა, აღდგომა ამ ინტერვენციის წინააღმდეგ. მაგრამ, თუ ამ „ინტერვენტის“ რწმენა (საკუთარ მრწამსში დარწმუნებულობა) უფრო დიდი და მეტია, ვიდრე „დასაპყრობ ტერიტორიაზე მყოფთა“ რწმენა, საკუთარ თავში (მრწამსში დარწმუნებულობა), ეს დაპყრობა არც თუ ისე დიდი ძალისხმევის მეოხებით აღსრულდება. ეს ინდივიდები თავისი კეთილი ნების, ნებაყოფილობითობის იგნორირებით და დაშინების სულისკვეთებით (კომფორმისტულობით) წაჰყვებიან დამპყრობელს იქით, საითაც ის მიუთითებს და შეითვისებენ, შეისწავლიან და გაითავისებენ იმას, რაც მას მიაჩნია საჭიროდ. ეს ღმერთთან და სულიერებასთან კონტაქტის შემცირებისა და დაკარგვის გარდამავალი პროცესია. ეს პროცესი იქამდე გრძელდება, ვიდრე ეს ინდივიდები სრულიად დაქვემდებარებულნი არ გახდებიან დამპყრობელისა საკუთარი ინდივიდუალურობის სრული დაკარგვით.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის მატერიალური სამყაროს მიერ, ჩვენს შემთხვევაში კი კაცობრიობის, ადამიანების მიერ შექმნილი ყველაზე უარყოფითის და უარესის შესწავლის პერიოდი. ეს არის მატერიალური სამყაროს ცოდნის მცდარი ნაწილი, რომელიც იმდენად მწირია, რომ საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ინტერესებით შემოიფარგლება მკაცრად და ცალსახად. ეს საშინელი და მახინჯი ცოდნაა უპასუხისმგებლო, ბოროტი, ეგოისტი ადამიანების მიერ შექმნილი. ეს არის ძალადობა, გაუპატიურება, შეურაცხყოფა, წამება, წართმევა, მოპარვა, დაცინვა, თავხედობა, მოკვლა და ა. შ. ეს არის ყველაზე უღირსი და არაფასეული რამ, რაც კი კაცობრიობის მიერ არის შექმნილი.

2.[1.] როდესაც ინდივიდი თავისი აგრესიულობის გამოვლინების მეოხებით მისთვის არგანკუთვნილი „ტერიტორიების დაპყრობას“ ახერხებს, კაცობრიობის მიერ შექმნილი მანკიერი ცოდნის საშუალებით, შემდგომ ამისა, თვლის რა საკუთარ თავს საკუთარი ქვეშევრდომების ბატონად, ღმერთად, ერთადერთი მიზნით, საკუთარი ინდივიდუალური სხეულისთვის სიამოვნების მინიჭების მცდელობით კავდება. აქვს ისეთი შეგრძნება, თითქოს ყველაფერს მიაღწია, რაც კი შესაძლებელია ადამიანისთვის და ამ შეგრძნებასთან ერთად იღვიძებს სქესობრივი ვნება, როგორც მისთვის, ყველაფერს მიღწეულისთვის, განცხრომის (მასში არსებული აგრესიულობის ენერგიის დახარჯვის) საშუალება. რამდენადაც ის საკუთარ თავს ყველა გარშემო არსებულებზე ზევით აყენებს, თვლის ერთგვარ პატივადაც კი მისი მხრიდან სქესობრივ კონტაქტში შეს-

ვლას იმისთვის, ვისთანაც ის ამ კონტაქტში შევა და ყველა და ნებისმიერი, ვინც თვალში მოუვა, მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოისურვილოს. სქესობრივ პარტნიორთან კონტაქტი მისთვის ცალსახად ხორცთან, სხეულთან ურთიერთობად აღიქმება და ალბათ, არაა ძნელი გასაგები, რომ არ ცდილობს რაიმენაირად სიამოვნება მიანიჭოს მას. ამ კატეგორიის ინდივიდის ერთადერთი მიზანი საკუთარი სხეულისთვის სიამოვნების მინიჭებაა სხვა, მეორე სხეულის საშუალებით, ამდენად, რეალურად არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რაც აიძულებს ამ ტიპის ინდივიდს საკუთარი თვითრეალიზაციის პროცესში საკუთარ ქმედებებს, თუნდაც რაიმენაირი სახით, ანგარიში გაუწიოს. ეს რეალურად საკუთარ თავში ჩაგროვილი ენერგიის გადაყრის საშუალებაა, რომელიც უკვე აღარ იცის რაში დახარჯოს.

რაც შეეხება ამ ინდივიდის მიერ დაკმაყოფილების მიღების რაობას, ეს ამ შემთხვევაში ფაქტიურად შეუძლებელია, რამეთუ დაკმაყოფილება ვინმესთვის რაიმეს გაღებას მოიაზრებს, ეს კი მისთვის ფაქტიურად მიუღებელია. ის თუ ამას მოიმოქმედებს, მსახურს შეიძლება საკუთარი ღირსების შეგრძნება ამოუტივტივდეს მასთან მიმართებაში და ეს კი მისი ცნობიერებისთვის ვერანაირად ვერ იქნება მისაღები. მისთვის, თუნდაც გაელვებით, ნამდვილი სიამოვნების მიღებაც კი ამხელა მსხვერპლის ფასად არ ღირს. მისი პოზიცია გარემოსთან მიმართებაში ცალსახად უნდა იყოს დაფიქსირებული. ის ყოველთვის, ყველგან და ყველასთან აბსოლუტურად ყველაფრით უკმაყოფილო უნდა იყოს, რათა თავისი პირველობა და ძალაუფლება არ შემცირდეს.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის სხვათა ინდივიდუალურობის გამოვლინების არ დაშვების სურვილი საკუთარი ინდივიდუალურობის დამკვიდრებით, სრული ძალაუფლებისა და პირველობის აღებით და ამ ყველაფრის განხორციელება პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვისა და შელამაზების გარეშე.

ხდება რაღაც არგუმენტების შემოტანით საკუთარი ცნობიერების დაცვა, მაგრამ სინამდვილეში ეს არგუმენტები საბაბია, ნამდვილი მიზეზი კი არის საკუთარი ნებისა და შეხედულებების თავზე მოხვევა, მცდელობა იმისა, რომ მისი სიტყვა, აზრი და სურვილი გადიოდეს და ხორციელდებოდეს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში აბსოლუტურად ყველასთან. ეს ინდივიდი ვერავისთან ვერ გაიყოფს თავის ძალაუფლებას, ამიტომ ვერავისთან ვერ რიგდება, სადაც მისი ძალა და გავლენა არ იქნება. ის თავის გარშემო თით-

ქოს ერთიან ბირთვს ქმნის, მაგრამ ეს სინამდვილეში იდეაფიქსური რეჟიმია იმისათვის, რომ პირველი იყოს. ხოლო თავის ძალაუფლების ქვეშ მყოფნი ადვილად რომ მართოს, მათში დაპირისპირების საფუძველს ჰქმნის, შლის მათ, ერთმანეთთან აპირისპირებს, რადგან, ერთმანეთის „ჭამაში“ გართულებს, მისთვის აღარ ეცლებათ, ის კი ყველას თავ-თავის ადგილს მიუჩენს. პრინციპი აქ სრულიად მარტივია, ის, რაც დედამიწაზე სუფევს დღეს: ***დაყავი და იბატონე***.

3.(2.) რაც შეეხება ოჯახის ცნებასა და რაობას ამ გაგების ცნობიერებასა და რაობაში. ამ ტიპის ინდივიდი თავის პირად ოჯახს ისეთივე საზომებით უდგება, როგორც ყოველივეს. მისთვის ვინმესთვის რაიმე საკუთარ სისუსტეში გამოტეხვა ან საკუთარი სისუსტის ჩვენება უზარმაზარი სირცხვილის, დაცემის, თავის დახრის, დათმობის პრეცენდენტად აღიქმება. ოჯახი ამ ტიპაჟისთვის არის თავისი რწმენის, საკუთარი ცნობიერების მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლინებისა და დამყარების ადგილი. ოჯახის შექმნის პროცესშიც კი მთავარია პარტნიორთან თავი არ დაიმციროს და ყველაფერზე მიდის, თითქოს სასურველი სიტუაციის მიღებისთვის წინა მოთელვას ახორციელებს. სერიოზულად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ძალადობით, მოტაცებით ან წინასწარი შეთანხმებით ურჩევნია გაერთიანება, ოჯახის რეალური შექმნა მოახდინოს. „შავ სამყაროში“ ოჯახი წარმოადგენს წესრიგის მაკეტის გამოვლინებას. საერთოდ, სადაც წესრიგის, გაუნძრევლობის დამყარების მცდელობა ხორციელდება, რაღაცა ერთგვარი ვაჭრული სისტემა ეწყობა (წესრიგის გამოვლინებას მხოლოდ ნირვანაში, სულიწმიდაში აქვს თავისი კონსტიტუციური ადგილი და დანიშნულება). ურთიერთობის დამყარებამდე ამ დონეში ურთიერთდაინტერესება გარემოს მიმართ აგრესიულობის გამოვლინებით, თავხედობით, ციინიზმით, ძალადობის გამოვლინებით უშუალოდ მათგან, საკუთარი გავლენიანობისა და მნიშვნელოვნების დემონსტრირებით ხდება, რომლებიც რეალურად ცოტა, ოდნავ შემუქებულია და საკუთარი არსის რეფლექსურ გადმოცემას ახდენს. შემუქებული კი იმ მხრივ არის, რომ, როგორ საშიშადაც თავს აჩენს ინდივიდი, რეალურად ისეთი არ არის, ეს არის ამ დიაპაზონში თამაშის, ნიღბის ფორმა.

მაგრამ მისთვის ეს აღქმის დადების ტოლფასი ხდება, რამეთუ პარტნიორები ერთმანეთს ამ აგრესიულობის ხარისხის მიხედვით ირჩევენ და თუ ისინი ვერ შეძლებენ იმ აგრესიულობის რეალურად

განხორციელებას, რასაც პირდებოდნენ, მაშინ აღიარებულობას და დაშინების უნარს დაკარგავენ. აქ აუცილებლად უნდა შესრულდეს ის, რაც ითქმება. ეს ძალიან საშიში, ჩახლართული, სახიფათო გარემოში ცხოვრების რეალობაა, სადაც ე. წ. მგლური კანონები და წესები მოქმედებენ. შეცდომის დაშვების ფასი აქ სიკვდილია, მაგრამ მოდით, ჯერ აქაური ოჯახის რეალობაში შევიხედოთ. ყველაზე დიდ ბედნიერებად მასში მატერიალური კეთილდღეობა მოიაზრება ფარდობით ჭრილში, ანუ მთავარია ყველა სხვა ოჯახზე მეტი ჰქონდეთ და ამ პარამეტრით პირველები იყვნენ. ნებისმიერი ტყუილი ოჯახის წევრებში ერთმანეთის მიმართ გამოვლენილი სასტიკი და უპრეცენდენტო საშუალებით ისჯება. სამაგიეროს გადახდა, ურთიერთჩასაფრებულობა, შურისძიება, ერთმანეთში პირველობისთვის სწრაფვა არის ამ ოჯახის შიდა სამზარეულო. თუ მამაკაცი გაიმარჯვებს, სასტიკ „პატრიარქატს“ დაამყარებს, ხოლო თუ ქალი გაიმარჯვებს, ცალსახა „მატრიარქატი“ დამყარდება, მაგრამ ეს ე. წ. პატრიარქატიცა და მატრიარქატიც მატერიის, სხეულის აღზევების შედეგად ჩამოყალიბებული ცნობიერების შედეგია და მატერიალიზმის თაყვანისცემას, კერძო საკუთრების უზენაესობას ემსახურება. ეს არის ერთი მონეტა, რომლის ერთ გვერდზე დიქტატურის გამოსახულებაა, ხოლო მეორეზე კი დემოკრატიის. აი, ასეთი რომანტიულობის სახეობა სუფევს ამ ტიპის ოჯახში.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ პერიოდში ხდება საკუთარ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ნეგატიურობის (კოსმოსისა და ღმერთის გადასახედიდან) ზრდა მატერიალურად, ფიზიკურად ყველაზე ახლო მყოფ ინდივიდუალურ სხეულთან მძაფრი დაპირისპირების საშუალებით. აქ, ნებით თუ უნებლიეთ, მთლიანად ხდება მასკირებულობა, შენიღბულობა, გამოუცნობობის სტატუსის მიკერების მცდელობა და არსებული რეალობის დამალვა და არ გამოჩინება არაფრის გულისთვის. წინა, მეორე ფაზაში თუ თავის „აღვირახსნილობას“ (რომელიც ამ დონეზე მდგომისათვის კომპლიმენტად და შექებად აღიქმება) დემონსტრაციულად ახდენდა, ამ ფაზაში მაქსიმალური მცდელობაა ამის საპირისპირო იმიჯი დაიმკვიდროს. იქ პარტნიორადაც კი არ აღიქმებიან კონტაქტში შემოსულნი და წამით გამოჩინებულნი სადღაც იკარგებიან, აი აქ კი, პარტნიორის შეცვლა აკრძალულია და დაშორება მხოლოდ სიკვდილის ფასადაა შესაძლებელი.

4.[3.] ოჯახი არის ვიწრო დიაპაზონის საზოგადოება, სადაც ხდება საკუთარი ცნობიერების ცვალებადობა და ამ ცვლილების საკუ-

თარ არსში განხორციელების შემდგომ ხდება ამ შეცვლილის რეალიზაციის მცდელობა ფართო საზოგადოებაში. ე. ი. გამოდის რომ იმასაც, რასაც ოჯახში ექნება გამოვლინება ინდივიდის მხრიდან რაიმენაირად ჩამოყალიბებული ფორმით, იმის გამოვლინებას ეცდება გარემოშიც. ამ შავი სამყაროს ოჯახურ დიაპაზონში კი საბოლოოდ მკვიდრდება ***დაუსრულებელი სწრაფვა უპირატესობის მიღებისკენ ნებისმიერი საშუალებით***. აი, ეს არის მეოთხე ფაზის მიმმართველი შტრიხი.

აუცილებლად ჩნდება სურვილი იმისა, მთელს არსებულ საზოგადოებაზე მოიპოვოს გავლენა და ძალაუფლება, როგორც უპირატესობის გამოვლინების ატრიბუტები, იქნეს აღიარებული – ეს მანიასავით დასდევს ინდივიდს ამ ფაზაში. ყოველგვარი სხვა მიდრეკილება და ინტერესი, რამე სხვაში ენერგიის დახარჯვა, ინდივიდუალურ სხეულად აღქმული ამ ინდივიდუალური სულისთვის ყოველგვარ აზრს კარგავს.

ამ „ყველაფერს მიღწეული“ ინდივიდისთვის ღმერთი, სული, ბუნების კანონები ჭეშმარიტი მტრები ხდებიან, რამეთუ მას არ ძალუძს დაიმორჩილოს ავადმყოფობა, სიბერის შეჩერება, ამინდის რეგულირება და, რაც მთავარია, სიკვდილთან სრულიად უსუსურია. წარმოიდგინეთ რა საშინელი და შემზარავი რამაა ისეთი არსებისთვის სხეულიდან გასვლა, რომელიც არა მარტო ცალსახად სხეულად აღიქვამს საკუთარ არსს, არამედ სხეულისეულ ასპექტში საკუთარი სტატუსი ყველაფერ შესაძლოს მიღწევის აღქმით აქვს განსაზღვრული. ამიტომ ერთი წამით არ ჩერდება, განუწვყეტლივ ეძებს ისეთ რაღაცას, რომ ამან სრულიად გადაავიწყოს მომავალში გარდაუვლად აღსრულებადი უბედურებანი. გართობა, დროის კვლა, ჭამა-სმა, ფლირტი, დიდებით ტკბობა, საკუთარი ცნობიერების დამკვიდრებულობის მზერა, კიდევ უფრო მძიმესა და აუტანელს ხდის იმ წამებს, როდესაც მარტო რჩება საკუთარ თავთან.

რაღა თქმა უნდა, არის სერიოზული დაპირისპირებები თვითონ ამ ფაზაში მყოფთა შორისაც (მატერიალური სამყაროს ვიზუალურ ნაღებში), რამეთუ თითოეული თავისი ძალაუფლების დამყარებისთვის და სხვათა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევისთვის იბრძვის, მაგრამ ეს ამ ტიპის ინდივიდებისთვის მხოლოდ ხიბლს სძენს მის ცხოვრებას და თავისი ცნობიერების დამკვიდრების პროცესში წვრთნის და აოსტატებს. აქ სულის, ღმერთის, სულიერი სამყაროს აღქმა სრულიად გადაგვარებულია და მათში გაღვიძებული „ეშმაკის დაძინება“ თითქმის შეუძლებელია.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ მეოთხე ფაზაში საჭირო ხდება ფუნქციონალური დანიშნულების (ინდივიდუალური სხეულების) სრული დამახინჯება, რაც საკუთარი თავის გაღმერთების, უპირველესობის, უპირატესობის წოდების მიღების სურვილითაა დამუხტული. აქ ყველაფერი საკუთარ ეგოისტურ ინტერესებზეა აწყობილი და ურთიერთობები, ასე ვთქვათ, „დიპლომატიურ“ დონეზე მყარდება, სადაც ყველა თითქოს ერთმანეთის ახლობელი და მეგობარია, სინამდვილეში კი რეალურად ყველა ერთმანეთისთვის პოტენციური მტერია და არავინ არავის არ ენდობა. ამ პერიოდში ყველაზე ადვილი დასანახი და გასაგონი რაცაა, ეს არის ტყუილი, მაამებლობა, მლიქვნელობა, ზურგსუკან ლაპარაკი, დაბეზღება და ა. შ. ოღონდ შანსი მიეცეს და აქ არავინ გაუშვებს ხელიდან შანსს გულში ჩადებული ბოღმის სამაგიერო არ გადაუხადოს, იპოვოს შური, რომელსაც სულ ეძებს, სხვისი ჩაძირვის ხარჯზე თვითონ არ წაიწიოს წინ, თუნდაც სულ უმნიშვნელოდ. ეს არის ფაზა, რომელშიც ხდება ის, რასაც თავის არსში მოიაზრებს ჯოჯოხეთის ცნება.

და ბოლოს, ეს არის ის პერიოდი, როდესაც ინდივიდმა, თავისი დაუდევრობისა და უმეცრების გამო, შეიძლება საკუთარი ინდივიდუალური სული იმდენად გააბინძუროს, რომ ინვოლუცია, ჩაბნელება განიცადოს და რეალურ შავ სამყაროში, „ჯოჯოხეთში“ მოადინოს ბრახვანი, რომელიც ბიბლიური ენით აღიწერება ***გოგირდის ტბად, სადაც ერთი წამით არ ნელდება მტანჯველი ცეცხლი***.

1.(4.) მუტირებული ემოციის მუტაცია; ფსევდოგრძნობა. ანუ ემოციური ნაწილის გადანათვლა გრძნობად, ეს არის ზოგადი ცნობიერების ცალსახად მატერიალური ნაწილის დამახინჯების მცდელობა (მცდარი ცოდნის შეძენა). ***სექსუალური ლტოლვა***.

2.(1.) მუტირებული გონების მუტაცია; ფსევდოემოცია, ანუ გონებისმიერი ნაწილის გადანათვლა ემოციად. ეს არის თვითგამოვლინებულობის ობიექტურ რეალობად, საკუთარი ცნობიერების ღმერთის გამოვლინებად გასაღების მცდელობა ***სექსუალური ვნების*** ფენომენის შემოსვლა.

3.(2.) მუტირებული ამბიციის მუტაცია; ფსევდოგონება, ანუ ამბიციისმიერი ნაწილის გადანათვლა გონებად. ეს არის საკუთარი ცნობიერების კონტურების გამოკვეთის მცდელობით ვიწრო ტიპის საზოგადოებაში შესვლა, გარდაუვლად სულიერი პოტენციალის კლება და თვითაღზევების მცდელობის მატება.

ფსევდოოჯახის ფენომენის შექმნა.

4.[3.] მუტირებული გრძნობის მუტაცია; ფსევდომუტაცია, ანუ გრძნობითი ნაწილის გადანათვლა ამბიციად. სამყაროსთან, ღმერთთან, სულიერებასთან დაპირისპირება და ომი. დემონად გადაქცევა. ჯოჯოხეთისკენ მიზანმიმართული სწრაფვა.

III საზობადოებრივი მაკეტი

III. ახლა კი მოდით, შევეცადოთ „გაჯანსაღებისკენ“ მიმავალი გზის არსი და რაობა ავხსნათ. აქაც თუ უფრო ნაცნობ ტერმინს გამოვიყენებ, ალბათ მიხვდებით, ეს არის გზა სამოთხეში მოხვედრისაკენ. ეს გზა არის იმათთვის, ვინც საკუთარ არსში არსებულ სქესობრივ ლტოლვას, როგორც თვითრეალიზირების დამუხრუჭების საშუალებასა და როგორც იდეალთან არსებულ ხიდს, ისე გაჰყვება და მასში ჩაღრმავებას ეცდება. მათ იესო ქრისტეს მიერ ქალწულნი ეწოდათ და ეწოდათ საჭურისნი ღვთის ნების აღსრულებისათვის. ეს არის ძაფი, რომლის გაყოლის შემთხვევაში ინდივიდუალურ სულს ნამდვილად აქვს შანსი საკუთარი არსის მუტაციისაგან და არასრულყოფილებისაგან გათავისუფლებისა, მაგრამ ეს ძაფი საკმაოდ ფაქიზია და მისი მკვეთრი მოქაჩვა არ შეიძლება, იგი შეიძლება „გაწყდეს“ და გაგრძელდეს ის, რაც იყო ამ გზაზე დადგომამდე. მაშასადამე, ეს გზა იწყება არმისული იქამდე, სადაც საკუთარი წესრიგის მაკეტი დამყარდა და მისი წინა რგოლის ნაცვლად, ანუ სქესობრივი ლტოლვის რეალიზაციაში მოყვანისთვის ოჯახის შექმნის ნაცვლად მატერიალური ზოგადსაკაცობრიო ცოდნის, ერუდიციის მიღების შემდგომ, ინდივიდუალური სული ცალსახა მატერიალური ყოფითი ინტერესების დაპირისპირებით სულიერი ცოდნისკენ, რეალური განათლებისკენ, მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში ჩასახლებამდე არსებული მცდარი ცოდნის გასწორებისკენ, საკუთარი „მე“-ს რეალურად აღქმისკენ და შემეცნებისკენ, შეცნობისკენ იწყებს სვლას. და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ეს ყველაფერი ინდივიდუალურ სულში არსებული სქესობრივი ლტოლვის საშუალებით, მისი ამ ჩამონათვალად გადაქცევით ხდება. თუ სადმე გაიპარება და სქესობრივ ვნებად გადაიქცევა, იმ ნაწილში არასრულყოფილება ვერ აღმოიფხვრება, ვიდრე ისევ დიდ წრეს არ დაარტყამს ამ ნაწილის არსობრივი ცნობიერება და სქესობრივი ლტოლვის სახით არ გამოვლინდება ინდივიდუალურ სულში. ანუ ეს გზა, ეს ვიწრო ბილიკი იმყოფება სქესობრივ ლტოლვასა და სქესობრივ ვნებას შორის, ამიტომ ამ გზაზე დადგომისთვის პირველ ეტაპად აუცილებელია განდეგილობა, ასკეტიზმი.

1. ეს წინა I საზოგადოებრივ დანაყოფებს თუ შევადარებთ იქაური ნუმერაციის (3.) ნომერს შეესაბამება. სწორედ აქედან იწყება გზა გაჯანსაღებისაკენ. განზე დგომილების, მატერიალურ სამყაროსთან კონტაქტის მაქსიმალურად შემცირების საშუალებით ინდივიდუალური სულის მიერ საკუთარ რეალურ არსში, სულიერებაში ჩაწვდომის ლამაზი პროცესი იწყება. რეალურად მუტირებული „მე"-ს ამბიციური ნაწილი ემოციად არის აღქმული და ერთგვარი მორჩილი და მე ვიტყოდი, ფანატიკური სულისკვეთებითაც კი, მცდელობა იმისა, რომ ეს ემოცია როგორღაც გონებად გარდაიქმნას, ანუ მოხდეს საკუთარი ინდივიდუალური სულის შეგრძნება. ***იწყება საკუთარი ტყუილების, უზნეობების, გზასაცდენილობების, მუტაციურობის ანუ არასრულყოფილების შტრიხების დაფიქსირება, ხოლო საზომი ერთეული კი საკუთარი სურვილებია, რამდენადაც შემცირდება საკუთარ თავში და გულში სქესობრივი ვნების, სიამოვნების მიღების სურვილები, იმდენად შემცირებულა არასრულყოფილება და რამდენადაც არსებობს, იმხელაზე გააჩნია არასრულყოფილება***. მაგრამ ეს ასე დალაგებულად განდგომილმა, რა თქმა უნდა, არ იცის. ის ჯერ კიდევ იმ მნიშვნელოვნების გრძნობითაა (ანუ ემოციით) შეპყრობილი, რომ დიდი მსხვერპლი გაიღო, როდესაც განდგა, თითქოს ეს საკუთარი სულისთვის და მისი ჭეშმარიტად გაჯანსაღებისთვის არ ხდებოდეს.

2. ეს ფაზა უკვე წინა თანამიმდევრულობათა მიმდინარეობის მე-(4.) ნომერს შეესაბამება. ანუ იმას, სადაც მნიშვნელოვნებით დაავადებული ინდივიდუალური სული თანდათან უფრო რწმუნდება საკუთარი არსის არასრულყოფილებაში და საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნება თანდათან უმცირდება. იგი სერიოზულად წყდება ინდივიდუალური სხეულის ცალსახა მსახურების მიდრეკილებას და ინდივიდუალური სხეულისთვის აუცილებლად სასიცოცხლო პირობების მხოლოდ და მხოლოდ შესრულებით ე. ი. საკუთარი სხეულისა და სულის გამძლეობის ზღვარზე დასმით მათ რეალურ აღზრდას ახდენს. რაც უფრო ნაკლებია ინდივიდში არასრულყოფილება, მით უფრო მცირე იქნება მისი სხეულისთვის კვებითი ან ნებისმიერი პირობების შერჩევა. აბსოლუტიზმის, ღმერთის შემთხვევაში საკვები რეალურად საჭიროებას არ წარმოადგენს. განდეგილმა, რომელმაც ზღვარზე დასვა თავისი სული და სხეული, ეს ჯერ არ იცის, მაგრამ მას უკვე ღმერთი უძღვება წინ ყველა მის ქმედებაში, რამეთუ განდეგილი უკვე გულით ცდილობს

მოქმედებას და არა ტვინით. ეს არის მზადება ჭეშმარიტი სულიერი ცოდნის მიღების წინ განგების მხრიდან. რაც უფრო მეტად დაჰ-ყვება განდეგილი ღვთის ნებას, ობიექტურ რეალობას, განგებას, რომელიც მის ყოფას მართავს, მით უფრო დიდი იქნება მასზე ნა-თელის მინიჭება მასში არსებული ბნელის ჩანაცვლებით, შემდგომ კი კურთხევა და შესაბამისი მდგომარეობის შექმნა.

ეს პერიოდი განდეგილისთვის ღვთის მონად აღიარებით (სა-კუთარი თავის სხეულად აღქმით) განისაზღვრება, რამდენადაც შეუძლია, რათა განიწმინდოს ტაძარი მისი და დაინთოს სანთელი იქ და საკმევლის სუნით იყოს გაჯერებული. რამდენადაც მოხდება ტაძრის განწმენდა, ანუ საკუთარი „მე“-ს სხეულად აღქმისგან გა-თავისუფლება, იმდენად შევა ნათელი ტაძარში, რამეთუ ბოროტი ზრახვით შეპყრობილი ტაძრისათვის, მისთვის დაუმსახურებელი ნათელი დიდ უბედურებასა და უსამართლობას დაამკვიდრებდა, როგორც ცაში, ისე მიწაზე. ამიტომაცაა, რომ უსამართლობა ნამ-დვილად არც არსებობს და ვერც იარსებებს, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი განაგებს ყოველივეს და იგი ყოველთვის ობიექტურია. კი-დევ ერთი საკუთარი არასრულყოფილების გათავისუფლების გზა: იმის ჭეშმარიტად დაჯერება, რომ უსამართლობა არ არსებობს, ხოლო რასაც უსამართლობად ვნათლავთ, ეს ის ნაწილი ამბოხობს ჩვენი, რომელსაც სხეული საკუთარ „მე“-დ აქვს აღქმული და რაც მოსწონს და რასაც ეომება ზუსტად ერთნაირია თავისი ჭეშმარიტი ბუნებით. წინააღმდეგობა და მტრები გარეთ არ არიან, ისინი ჩვენს შიგნით არიან, მათ ჩვენ ვქმნით. გარემო კი არ უნდა იცვლებოდეს ჩვენს გარშემო ჩვენი შეხედულებების შესაბამისად, ან კიდევ უფ-რო უარესი, ჩვენ კი არ უნდა ვცვალოთ გარემო იმის შესაბამისად, როგორც საკუთარ სხეულად აღქმულ „მე“-ს სურს, არამედ საკუ-თარი არსი უნდა ვცვალოთ იმ გარემოების შესაბამისად, რასაც განგება გვიქმნის თითოეულს.

3. ეს ფაზა კი წინა განხილულთა ნუმერაციის (1) ნომერს შეე-საბამება. რეალურად განსწავლული და ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე დამდგარი ინდივიდუალური სხეული ინდივიდუალური სუ-ლის სასიცოცხლოდ ფუნქციონალური დანიშნულების ინტერესე-ბის სამსახურში დგება. ინდივიდუალური სულის მხრიდან კი იწყე-ბა საკუთარი ინდივიდუალურობის „ჩაქრობის“ მეთოდური და თა-ნამიმდევრული პროცესი. სულიერი აღმზრდელები, ხილული თუ უხილავი სახით, მაგრამ რადგან აქ მაინც ცოდნის, რეალური, ჭეშ-მარიტი ცოდნის შეძენაზეა ლაპარაკი, წმინდა წიგნებთან ზიარე-

ბით ინდივიდუალურ სულს ანათლებენ. ეს უკანასკნელი კი აუცილებლად მორჩილად და თაყვანისცემის სულისკვეთებით თუ არ მიჰყვება მოძღვარსა და მოძღვრებას, ვერ განათლდება. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჭუჭყისგან განწმენდის პროცესში უმაღლესი მასწავლებელი და მოძღვართა მოძღვარი ღვთის ძე გახლავთ. მხოლოდ მას აქვს მინიჭებული ხელმწიფება მასზე, რომ მამა ღმერთსა და სულიწმიდას წარუდგინოს ინდივიდუალური სული განწმენდილობის, ჭეშმარიტად გასუფთავებულობის წოდების მინიჭებით.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის სულიერი სამყაროს მიერ ყველაფრის დანახვების და ახსნის, (გონებაზე) ნათელის მოფენის პერიოდი. ეს არის მამა ღმერთის ინდივიდუალური სულის ცოდნა, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის გადასახედიდან. მთელი ამ მინიჭებული ცოდნის დანიშნულება კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი საკუთარი იმპროვიზირების გარეშე მიღებული ნათელი მატერიალურ გამოვლინებულობაზე გაეცეს, რაშიც სულიწმიდა ჭეშმარიტად სერიოზულადაა დაინტერესებული და ამის საჭიროდ მქმნელზე მთელ თავის კურთხევას არ დაიშურებს. ეს იმდენად ღრმა, დიდი და უსაზღვრო ცოდნაა, რომ მთელი მატერიალური, ზოგადსაკაცობრიო ცოდნა ჭეშმარიტად პატარა ნამცეცს წარმოადგენს ამ უზარმაზარი სულიერი ცოდნისა. მაგრამ აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, რომ მთელი მატერიალური ცოდნა თავის პოზიტიურ ნაწილში მთლიანად ღვთიურ სულიერ ცოდნაზეა დაფუძნებული. ვინც ამას არ მიიღებს, ვერ შეძლებს საკუთარ ინდივიდუალურობაზე უარის თქმას ღვთის ძის წინაშე და მამა ღმერთს ვერ მიენდობა. ის გააგრძელებს დამოუკიდებლად ძიების გზას ჭეშმარიტი ცოდნის შესაძენად, რაც, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია. ის საკუთარი სპეკულაციური მსჯელობების მსხვერპლი გახდება. „ნეტარ იყვნენ მდაბალნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ – პირველი ნეტარება ცხრათაგან.

4. ეს ფაზა წინაგანხილულის ნუმერაციით (2.)-ს შეესაბამება, როდესაც ინდივიდუალური სხეული ინდივიდუალური სულის ინტერესების მორჩილი ხდება, ინდივიდუალური სული კი, თვითრეალიზაციის მხრივ, საკუთარი ინდივიდუალურ იმპროვიზაციულობაზე უარს ამბობს, მაშინ სულიწმიდისა და მამა ღმერთის წინაშე წარდგომა ხდება ღვთის ძის უშუალო დახმარებით. სულიწმიდასთან წარდგომა იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდი მის გარშემო და

საერთოდ, არსებულ რეალობას ობიექტურ რეალობად აღიქვამს, მამა ღმერთის წინაშე წარდგომა კი იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდი მამა ღმერთის ჭეშმარიტი ***ერთგული*** ხდება და ყველანაირი ჭკუისმიერი სპეკულაციის თავის დანებებას ცდილობს, რათა სრულიად მიენდოს მამა ღმერთს.

ინდივიდს უჩნდება ისეთი შეგრძნება, რასაც ტრანსი და ტრანსცენდენტულობა მოიცავენ. რაც იმას ნიშნავს, რომ მან თვითრეალიზაციის სურვილი ჭეშმარიტად დაძლია. ამ სურვილის დაძლევასთან ერთად კი სქესობრივი ლტოლვაც თანდათან ქრება და საკუთარ „მე"-ში არსებული ყველა პარამეტრის ჰარმონიზირების მცდელობისკენ მიმართულ სურვილად გარდაიქმნება. ავტომატურად იღვიძებს პასუხისმგებლობის აღქმა ჩადენილი არასწორი ქმედებებისა (ცოდვების), მონანიების და აღიარების სურვილი და ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ქონება, ძალაუფლება და სხვა ასეთი რამეები მეორეხარისხოვან ადგილს იკავებენ. შიდა ჰარმონიზაციის პროცესი მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის პირობებში იქამდე უნდა გრძელდებოდეს, სანამ იქნება მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში და შემდგომ უკვე განგება განუსაზღვრავს იმას, თუ საით მიემართება და რა ფუნქცია მიენიჭება. მე აქ ძალიან სერიოზულ მუშაობას ვგულისხმობ საკუთარ არსზე, სერიოზული წარმატებების მიღებით, როგორც სწორედ მიმართულების შედეგობრივობით.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს პერიოდი არის შინაგანად „მე"-ს ნაწილთა – ემოციის, ამბიციის, გონებისა და გრძნობის სერიოზული ურთიერთთანამშრომლობის, ფუნქციონალური ურთიერთგაგების გზითა და მუტაციის მთლიანად მოცილების მცდელობით. დიახ, ეს არის ჰარმონიზაციის პროცესი. ანუ ყველა ნაწილი ცდილობს საკუთარი სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერესები საზოგადო, საერთო სტრატეგიულ და ტაქტიკურ ინტერესებზე ზევით არ დააყენოს. ამ მცდელობის ყველაზე მაღალი დონე და შედეგობრივი საფეხური არის ის, რასაც ბუდიზმისა და ლამაიზმის ცნებები ნირვანაში მოიაზრებენ. ჩემის აზრით, ეს იმდენად ძნელი მისაღწევია, რომ თვით უმკაცრესი ასკეტიზმისა და მცნებების დაწვრილებითი შესრულების მცდელობის პირობებშიც კი, მიუღწეველ მიზნად რჩება. „ადამიანმა ზესული საკუთარ თავში უნდა იპოვოს. ვინც ცოდვილიანი მოქმედებებისგან არ გათავისუფლებულა, ზესულს ვერ დაინახავს" – ეს არის ნაწყვეტი ვედების ტრანსცენდენტული ეპისტოლედან. თუ გული სუფთა არ არის, სერიოზული სახით გან-

დეგილად ბორიალი და რიტუალების ჩატარების თანამიმდევრულობის დაცვა იქ, სადაც ამ პერიოდით განისაზღვრება მოხვედრა, პირდაპირ გეტყვით, შეუძლებელია. ვისშიც მშვიდობა არ დამკვიდრებულა, იმაში დაპირისპირება კიდევ არსებობს. ეს დონე კი, რასაც აქ ვგულისხმობთ, უდიდესი წოდების მინიჭებით გამოირჩევა, ღვთის ძის წოდების მინიჭებით, ანუ მამა ღმერთი თავის ძედ აღიარებს ამის შემძლებელს, თავის მხოლოდშობილი ძის გვერდით მის მეგობრად და ***ძმად*** მოიხსენიებს. ეს ყოველივე კი თავად ღვთის ძის შუამდგომლობითა და დასტურით მოხდება. ამ წიგნში ბევრჯერაა ცხრა ნეტარების პუნქტები მოყვანილი, მაგრამ ნუთუ ახლა აქ არ ითხოვს მის დაწერას ამ ნაწერში გაჩენილი განწყობა?

„ნეტარ იყვნენ წმინდანი გულით, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.“

დასკვნა. როგორც ხედავთ, მთელი ეს აღწერილი გზა ფაქტიურად განდეგილობის, ასკეტიზმის სულისკვეთებითაა განმსჭვალული, ყოველ შემთხვევაში მატერიალური ინდივიდუალური სხეულების, გვერდიდან მაყურებელის გადასახედიდან ეს ძალიან რთული და ძალიან ლამაზი პროცესია. ჭეშმარიტად, ბედნიერია ის, ვინც ეს გზა აირჩია.

1.(3.) მუტირებული ამბიციის განმუტირება. ფსევდოგრძნობა ანუ ამბიციისმიერი ნაწილის გრძნობისმიერად აღქმა. თვითრეალიზაციის სურვილის, კერძოდ, სქესობრივი ლტოლვის სულიერებისკენ ლტოლვად გარდაქმნა და სურვილების უფრო ადვილად დაძლევისათვის (უამისოდ პრინციპში შეუძლებელია) მიწიერ ცხოვრებაში მონაწილეობისგან განზე განდგომა.

2.(4.) მუტირებული გრძნობის განმუტირება. ფსევდოემოცია. ანუ გრძნობისმიერი ნაწილის ემოციისმიერად აღქმა. ინდივიდუალური სხეულის აღზრდა და სიამოვნების მიღების მცდელობისკენ მიდრეკილების გადაჩვევა, ინდივიდუალური სულის ანუ საკუთარი მამოძრავებლის და სხეულისთვის ყველანაირი აზრის მიმცემის სრულიად მორჩილება და თაყვანისცემა.

3.(1.) მუტირებული ემოციის განმუტირება. ფსევდოგონება. ანუ ემოციური ნაწილის გონებისმიერად აღქმა, ნათელის მიღების, რეალური ჭეშმარიტი ცოდნის, შემეცნების ანუ „მე“-ს შეცნობის პროცესი, სადაც ეს ნაწილი აბსოლუტურად მორჩილი და დამყოლია და

საკუთარი აზრის გამოთქმის კი არა, გაფიქრების სურვილიც კი არ გააჩნია.

4.[(2.)] მუტირებული გონების განმუტირება. ფსევდოამბიცია. ანუ გონებისმიერი ნაწილის ამბიციისმიერად აღქმა. საკუთარი „მე"-ს შემადგენელი ნაწილების გამთლიანების, წინააღდეგოებებისა და დაპირისპირებების აღმოფხვრის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. ჰარმონიულობის და მშვიდობის დამყარების მცდელობა საკუთარ არსში („მე"-ში).

IV საზობადოებრივი მაკეტი

IV. როგორც ხედავთ ეს გზა სულ ბოლომდე მიღწევის შემთხვევაში ინდივიდის გაჯანსაღებამდე და არასრულყოფილების ამოძირკვამდე მიიყვანს.

მაგრამ, მე მსურს ახლა შევეხო იმ ცნებას, რასაც შავ სამყაროსთან დაპირისპირების ძალაუფლად მოვიაზრებ. ეს გახლავთ თეთრი სამყარო, რომელსაც შეიძლება ეზიაროს მხოლოდ ის ინდივიდი, რომელიც ამ წინამორბედი გზის ბოლომდე გავლას შეძლებს. ეს არის ისეთი რამ, რაც აუცილებელი ფუნქციონალური დანიშნულების, ანუ საკუთარი ნებით ღვთის ნების რეალიზაციის საშუალებად გადაქცევით, ღვთისთვის სასურველი ქმედების აღსრულების უფლების მიღებაა. მატერიალიზირებულობის პირობებში ინდივიდუალური სულის მიმართ ეს არის უდიადესი პატივი, ნდობა და მადლი მამა ღმერთის მხრიდან.

მოდით, „თეთრი სამყაროსკენ" მიმავალი გზის არსი და რაობა ავხსნათ. უფრო ნაცნობ, კაცობრიობის მიერ მიღებულ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ეს არის გზა ცათა სასუფეველში, უფალი ღმერთის, მამა ღმერთის სასუფეველში მოსახვედრად. ეს გზა იწყება იქ, სადაც მთავრდება საკუთარი ინდივიდუალური იმპროვიზაციული გამოვლინების მცდელობა, სადაც ღმერთი ინდივიდისთვის მართლა ღმერთი ხდება იმ გაგებით, რომ ის მთლიანად დამოკიდებული ხდება ღმერთზე და ცალსახად ღვთის ნების აღსრულებაზე ორიენტირდება. მხოლოდ ასეთ მიდგომას ამ საკითხისადმი შეიძლება დაერქვას ღმერთზე მინდობა. რეალურად ეს რომ მოახერხოს, ინდივიდუალურმა სულმა ფანატიზმს თავი უნდა ანებოს, რამეთუ ეს აზარმაცებს მას და თაყვანისცემის საგანს, ადრესატს სასწაულების მოხდენას სთხოვს, თვითონ კი თავის თავში ნერგავს იმას, რომ მეტისმეტად მცირეა იმისათვის, რომ ფანატიკურად ზებუნებრივად აღქმულისკენ მიახლოვებისთვის ისწრაფვოს. ღმერთს ფანატიზმი არ უყვარს, რამეთუ ეს მაინც სიბეცე, უმეცრება და ში-

შია. მას ურჩევნია როდესაც ინდივიდუალური სული რეალობასთან მიახლოვებისკენ ისწრაფვის შემეცნების გზით. ეს უკვე სინათლისკენ, რეალურობისკენ და სიყვარულისკენ მიმავალი გზაა და ამ გზაზე მამა ღმერთი სიამოვნებით დააკვალიანებს ნებისმიერს, ვინც მასზე ჭეშმარიტად მინდობით დაკავდება და საჭირო სამსახურის გაწევაშიც ჩართავს. რეალურად, ჭეშმარიტად საჭირო სამსახური მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულის მხრიდან მატერიალური სამყაროსთვის კეთილის შობაში, სიკეთის ქმნაში მდგომარეობს. სიკეთის ქმნა არის ის, რომ აკეთო ის, რაც მართლა საკეთებელია. ღვთის ნება არის სწორედ ჭეშმარიტი სიკეთე და ვისაც მართლა სიკეთის ქმნა სურს, ღვთის ნების აღსრულების საშუალებად უნდა გადაიქცეს. რეკომენდაციის სახით კი ერთ ლექსს მივაწერდი, რომელიც ამ თემას კარგად ეხმიანება:

მეუბნებიან: იყავ თვითკმარი
დაკმაყოფილდი მით რაც გეძლევა,
თუ ვერ ვახერხებ, ტრაბახით მთვრალი,
მთელი ნაშენი თავზე მენგრევა.
ყურების სმენა იქითკენ გარბის,
რაც მათ მემბრანებს არ ეკითხებათ,
შეიჭმუხნება შუბლი და წარბი, ვიდრე
შიგნიდან არ მომესმება: იქ ნუ მიძვრები!!!
მცნებები, ღმერთი, ჭეშმარიტება;
გამახსენდება, ვითხოვ შენდობას,
ამნაირ სუსტს და გაორმაგებულს
ღმერთი კი არა, მე ვერ ვენდობი.
ყოველდღე, ყოველ ღამე ძილის წინ,
ჩემს თავს ვასწავლი მსურს გადაჩვევა,
აი ეს თეთრი, ესეც სიკეთე,
ასე მასწავლის ღმერთი გარჩევას.
არ მოინდომო, რაც არ გეკუთვნის
სხვას არ დაუთმო ის, რაც შენია,
არ იძალადო სხვაზე ან თავზე,
ვერ შეძლებ?! შენი განაჩენია.
არ შეგეშინდეს, სცადე განათლდი,
შიშზე ძლიერი სიყვარულია,
და რაშიც ჩემი სრულად არა გწამს
იქ სიყვარული განწირულია.

არ მოინდომო იყო ღმერთკაცი,
ღმერთი ისეთი სიყვარულია,
სიბრძნე, დრო, ძალა, მთელი დიდება
ამ დიდ მცნებასთან უსუსურია.
არ შეედარო და დროა მიხვდე,
რომ ამის ნატვრა უხერხულია,
თუკი შეისმენ, რასაც გასწავლი
კურთხევა ჩემგან მოცემულია,
ჩემი კურთხევით მოსილ არსებას
მანდაც და აქაც გაზაფხული აქვს.
და ეღირსები მიწაზეც, ცაშიც,
იმას, რაც შენთვის სასწაულია.
წარმოუდგენელ ბედნიერებას
რომ მისწვდე, შრომა დასაშურია?!

ღმერთის რწმენა და ღმერთისადმი რწმენა, ჭეშმარიტი რწმენა მართლაც ძალიან დიდი და აუცილებლად საჭიროა რომ ჰქონდეს ნებისმიერი ინდივიდუალური გამოვლინების მქონე არსებას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არსებობს თვით ჭეშმარიტ რწმენაზე უფრო დიდი რამ. ეს არის ის, რამაც და რის საფუძველზეც უნდა იშობოს, გაჩნდეს რწმენა, რის გარეშეც არაფერს არ ექნებოდა აზრი და რისი უქონლობის გამოც ხვდებიან ე. წ. ჯოჯოხეთში, ეს არის ღმერთის ნდობა, მინდობა ღმერთზე მთელი სულით, გულითა და გონებით.

გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

ეს არის უდიდესი ცნება ღვთის ძის მიერ აღიარებული იესო ქრისტედ მოვლინების დროს.

ჭეშმარიტი რწმენა, ღვთის რწმენის მიღება განდეგილობის პერიოდში ხდება და იმ ზოგადი ცნობიერების, ე. ი. ჭეშმარიტი ცოდნის მიღებას გულისხმობს თავის თავში, რაზეც არის ყველაფერი არსებული (მატერიალური თუ სულიერი) დამყარებული. ღვთის ნდობა კი ჭეშმარიტი სიყვარულია, რომელიც ღმერთთან როგორც ინდივიდუალურ სულთან კონტაქტის დამყარებას, პიროვნულად დაახლოებას შეაძლებინებს და აქ განდეგილობა, განზე დგომილობა ნამდვილად აღარ არის საჭირო, რამეთუ შეუმცდარი ღმერთისადმი ნდობის საფუძველზე დამყარებული სიყვარული იქნება გარანტი იმისა, რომ მის გზას არ აცდება და მისი სურვილები გახდე-

ბა საკუთარი სურვილები, მისი მიზნები საკუთარი მიზნები. ადამიანებს ამას ურჩევდა კრშნა სიტვასიტყვით თავისი დედამიწაზე მოვლინების დროს – „ყველაფერს თავი დაანებე და მე მომენდე“. მაგრამ უსამართლობა, უფრო სწორედ უვიცობა გამომივა, რომ არ აღვნიშნო ის, რომ ჭეშმარიტი ცოდნის ანუ რწმენის (ღვთისადმი რწმენის) გარეშე ვერავინ შეძლებს ჭეშმარიტ სიყვარულს ეზიაროს და ჭეშმარიტად მიენდოს ღმერთს.

მოდით, ვეცადოთ აღვწეროთ ეს ურთულესი თავი – თუ როგორ, საიდან დავიწყო და საით წავიდე ამ გზაზე რომ მოვხვდე. ამ გზაზე გადასვლა უნდა მოხდეს ჭეშმარიტი ცოდნის, რწმენის შეძენის იმ რაციონის შემდეგ, როდესაც უკვე ვხვდები, რომ მე ჩემს რწმენას ვეღარაფერს მოვამატებ, ეს კი იმით წარმოჩინდება, რომ განდეგილობაში ყოფნა სასურველი აღარ იქნება ჩემთვის, ანუ გამოჩნდება თვითგამოვლინების სურვილი შეძენილი ცოდნის მხრივ. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, ეს არის ის ადგილი, სადაც რწმენის შეძენაზე გადავედი, აქცენტირებულად სქესობრივი ლტოლვის ამ სახით გარდასაქმნელად.

1.[4.] აქედან კი, როგორც გახსოვთ, უკვე შიგნით ჩემში ფანატიკურობა ვლინდებოდა, რომელმაც მუტაციის პირობებში ჩამოყალიბებული წესრიგის მაკეტი შეცვალა. თუ თვითგამოვლინებას პირდაპირი ხაზით გავაგრძელებ, ფანატიკოსების თაყვანისცემის საგანი გავხდები, რამეთუ ჩემში არსებულ ცოდნას „კონტაქტიორი“ ინდივიდები ვერ გაიგებენ და ბუნებრივად გაუჩნდებათ შიში და ჩემი ხატების გაღმერთებით კიდევ ერთი „იზმის“ ან ერთი განშტოების მიმდევრობას შექმნიან, განსაკუთარებით ფიზიკური სხეულიდან ჩემი გასვლის შემდეგ და ა. შ. და ა. შ. აი, რა მოჰყვება საკუთარ კეთილ სურვილებს, რომლებიც ღმერთთან არ არის შეთანხმებული და დამოუკიდებლად არის წარმართული ჩემს მიერ. ეს რომ არ მოხდეს, თვითგამოვლენის სურვილში არსებულ სულიერ ლტოლვას უნდა მივაყურადო, რომელიც თვითგამოვლინების დამუხრუჭების საშუალებაა. უნდა შევეცადო შევძლო იმის გაკეთება, რომ სულიერი ლტოლვა სულიერ ვნებად არ გადაიქცეს. მაშასადამე, გზა უფალი ღმერთის პიროვნებისკენ, მასთან მიახლოვებისკენ, ცათა სასუფეველში მოხვედრისკენ იმყოფება სულიერ ლტოლვასა და სულიერ ვნებას შორის. ჩემი შეხედულებით აქ იქნება ასეთი დევიზი: „სხვათათვის დახმარების გაწევით, ვეხმარებით საკუთარ სულს“. აქ საერთოდ უნდა გაქრეს საკუთარ აღქმაში სხვა, უცხო, მტერი, ეშმაკი და ასეთი ტიპის დამაინტრიგებელი პროვოკაციები,

რამეთუ აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი გამოვლინებული უფალში განისვენებს. საჭირო ხდება მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით მიდგომა უფალი ღმერთის პიროვნებისადმი, რაც ჩემში ჯერ კიდევ არსებული უნდობლობის აღმოფხვრაში უნდა დამეხმაროს ღმერთთან მიმართებაში. ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ღმერთის აზრი უნდა მაინტერესებდეს ჩემს ნებისმიერ საქციელზე და აბსოლუტურად უნდა გავთავისუფლდე სხვებზე დამოკიდებულებისგან. ეს უკვე არა ჭკუითი ან გონებრივი, არამედ გრძნობითი და ემოციური განდეგილობაა და მაშინ შეძლებს ჩემი გული ღმერთისთვის თავის მიძღვნას, რამეთუ არავითარი გაორებულობა, ორგულობა, ეჭვები ტვინის მხრიდან აღარ წავა მისკენ და ღმერთისკენ მიდრეკილი ჭკუა გულის ჭეშმარიტი მეგობარი გახდება.

ეს ის პერიოდია, რომლის დროსაც ყველანაირი ცოდნითა და რწმენით პარამეტრალურ ფასეულობებზე ზევით ღმერთის პერსონისადმი ნდობის და სიყვარულის პარამეტრალური ფასეულობები დგება ჩემში და შიდა ამინდი აბსოლუტურად იცვლება. თუ ეს კონკრეტული გადასვლა ჩემში ვერ მოხდება, ღმერთს პერსონალისტური აღქმით ვერასოდეს ვერ მივუახლოვდები. ეს შეიძლება ასე რთულად არ ჩანდეს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს არის, ალბათ, ყველაზე რთული გარდამავალი მომენტი ინდივიდის ევოლუციური სვლის პროცესში. ვინც ამას შეძლებს, ჭეშმარიტად დაადგება ცათა სასუფეველში მიმავალ გზას.

2.[1.] წეღან დამავიწყდა აღნიშვნა, რომ ამ ბოლო თავში ვეხებით ისეთ მნიშვნელოვან თემატიკას, რაც მუტაციის საბოლოოდ განკურნებაა, ანუ ყოველგვარი მუტაციების და ფსევდოების გარეშე წინა (1) პერიოდი იყო ჭეშმარიტი, რეალური გრძნობების პერიოდი, სადაც აბსოლუტურად არავისზე და არაფერზე დამოკიდებულება არ არის პერიოდის სრულად ადაპტირების ფაზაში და სადაც არის აბსოლუტური დამოკიდებულება უფალ ღმერთზე, აქაც პერიოდის სრულად ადაპტაციის ფაზაში. ეს არის ნამდვილი ჭეშმარიტი სიყვარული თავისი სუფთა სახით. ეს მეორე პერიოდი კი იქნება რეალური ემოციის პერიოდი.

ამ პერიოდს მე დავარქმევდი ნებაყოფილობითობის დეკლარირების პერიოდს. არავითარი უკმაყოფილება აღარ დევს ჩემში, როდესაც ამ პერიოდს მივაღწევ. ეს ჩემში აისახება თვითკმარობის, მყუდროების სახით. თუ გზას არ გადავუხვევ, მე ღმერთის თანამდები ანუ მისი ნდობით აღჭურვილი პირი გავხდები. თანამდებობა,

სამწუხაროდ, ჩვენს დროში საშინელ ანგარებიანობასთან და უსამართლობასთანაა გაიგივებული, მაგრამ რეალურად თანამდებობა, თანხლებას, ერთიან დიაპაზონში ყოფნას ნიშნავს. თუ ყოველივეს ამ თვალით შეხედვას შევძლებ, მაშინ საკუთარი ნების გამოვლინების სურვილი ღმერთის ნების გამოვლინების სურვილს დაემთხვევა, ღმერთი კი ყველაფერს ერთიანობაში, მთლიანობაში აღიქვამს და რეალურად ცუდად აღიქმება თუ კარგად, ბოროტებად თუ სიკეთედ, ღვთის ნების გამოვლინება ყოველთვის ზრუნვა და გაფრთხილებაა ინდივიდუალური სულებისა, ეს არის უბრალოდ აუცილებელი, რასაც ის ახდენს. მეც კი მატერიალიზირებულობის მდგომარეობაში სრულიად საკმარისია ნებაყოფილობითობის პრინციპი დავიცვა და თვითკმარი მყუდროება არ დამერღვეს საკუთარ „მე“-ში, რომ უფალი ღმერთის თანამდები გავხდე, ეს ძალიან ძნელი ასახსნელია. ვისი გულიც გაცოცხლდება, ის აუცილებლად მიხვდება ამას. ეს პრინციპი წარმოუდგენლად კარგად არის ახსნილი „აიკიდოს“ ფილოსოფიაში, რომელიც მორიხეი უესიბამ შექმნა. ეს თავი მთლიანად წარმოადგენს ჰარმონიის ამსახველ თავს. პირველი პერიოდი თუ ჰარმონიულობის დამყარების მცდელობაა ჩემსა და უზენაეს უფალ ღმერთს შორის, ეს მეორე პერიოდი ჰარმონიულობის განუხრელი დაცვაა საკუთარ რეალურ გარემოსთან მიმართებაში.

მე მინდა მოვიყვანო ერთი ციტატა მორიხეი უესიბას პირადი ჩანაწერებიდან: „თუ შენი გული საკმარისად დიდია იმისთვის, რომ შენში მიიღო შენი მოწინააღმდეგეები, შენ შეძლებ განჭვრიტო ისინი და გაეცალო მათ თავდასხმებს და, როცა მიიღებ მათ შენში, მაშინ შეძლებ მიმართო ისინი იმ გზით, რომელზეც მიგითითებენ ცა და მიწა“. ვგონებ, ეს ციტატა გაცილებით უფრო გასაგებს ხდის იმას, რისი გადმოცემაც მსურდა.

3.[(2.)] ეს პერიოდი არის რეალური გონების არსობრივობის აღწერის პერიოდი. მივყვეთ თავიდან, ჯერ ჩემში არსებული რწმენით მივეჯაჭვე უფალს, რათა რწმენა ნდობად, ცოცხალ ურთიერთობებად გადავაქციო, შემდგომ ღმერთის ნების აღსრულების საშუალებად ვცდილობ გავხდე ჩემს გარშემო არსებული მატერიალური გარემოსთვის და აი, რა იქნება ახლა ამ საფეხურზე. ეს იქნება გონების, ანუ ინდივიდუალური სულის არაინდივიდუალიზმის მიერ ზომიერი თანამიმდევრულობის შესწავლის და დაცვის მცდელობა, რომელიც ყოველგვარი ძალადობის გამოვლინებისაგან გამათავისუფლებს. ეს არის ცოდნა, რომელსაც მამა ღმერთი, როგორც

შვილს, თავის „მე“-ს, ისე მასწავლის დაწვრილებით, ყველაფრის გახსნით. ეს ჰარმონიის ზოგადი ცნობიერების ცოდნაა, არსებულში ჰარმონიის დამყარების საშუალებაა. ამის წინა თავი სრულყოფილებისკენ სწრაფვის ზოგადი ცნობიერების ცოდნა იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაღაც შიდა არეულობის შემთხვევაში იმ ცოდნით შიდა მშვიდობის მიღწევა (ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტური მაჩვენებლით) შეუძლებელია. და თურმე სასტიკად არ შეიძლება ცალსახად სრულყოფილებისკენ სწრაფვა ჰარმონიზირების პროცესთან შეთანხმებულობის გარეშე, დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ობიექტურ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე.

მაგრამ ეს ცოდნაც, ჰარმონიის ზოგადი ცნობიერება, თვისობრივად ტრანსცენდენტულია და ტრანსში, რაღაც ორგაზმში გადაყვანის საშუალებად მოიაზრება ჩემთვის. საერთოდ შეუძლებელია ამის გადმოცემა, რადგან ადამიანური ლოგიკის მიღმა იმყოფება. ვინც ჭეშმარიტად ამ ცოდნის მიღების ღირსი გახდება, მისი ბედნიერი მდგომარეობა აღუწერელია, ეს ნეტარებაა. ხოლო ვისაც ეს ცოდნა ჯერ არა აქვს მიღებული, მისი მხრიდან ღმერთის სერიოზულად და ჭეშმარიტ მსახურებაზე ლაპარაკი, აი, ამ გადასახედიდან, უბრალოდ ღიმილის მომგვრელია. ეს არის პერიოდი, სადაც ინდივიდის ინდივიდუალიზმის არაინდივიდუალიზმად გარდაქმნა ხდება ჰარმონიულობის ზოგადი ცნობიერების ცოდნის შეძენის ხარჯზე და მასში რჩება ინდივიუალურობის ის რაოდენობა, რომელიც უნდა იყოს, „მე“-ს შემადგენელი ნაწილებს შორის იდეალური პროპორციულობის პრინციპის დაცვით. რა თქმა უნდა, ახლა რეალურ ციფრებზე ლაპარაკი აბსურდია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამის გამოთვლაც კი შეიძლება, მაგრამ ეს რომც გამოვთვალოთ და დავიანგარიშოთ, ღმერთის მეტი ვერავინ მოახდენს ჩვენს სერიოზულად ჰარმონიზირებას ბოლო ფაზაში. ამიტომ, ამ ციფრებს ახლა აქ არ მოვიყვან. ვინც ამას გაივლის, ისედაც გაეხსნება ყოველივე.

4.[3.] და ბოლოს, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ინდივიდუალური სული, ანუ რეალური ამბიცია მამა ღმერთის გადასახედიდან და როგორი გავხდები იმ შემთხვევაში, თუ მთელი ამ თავში აღწერილი გზები გავიარე (შავი სამყაროს გზების გარდა). რა არის ეს არსობრივი შეხედულების გადასახედიდან საკუთარ „მე“-ში ჰარმონიულობის დამყარების შემდგომ. თქვენ წარმოიდგინეთ, უფალი ღმერთის მხრიდან ხდება ჩემი წახალისება, რათა საკუთარი არსის გამოვლინება მოვისურვო. ამ დროისთვის უკვე იმ დონეს

ვარ მიღწეული, რომ საკუთარი თავის გამოჩინების, თვითგამოვლინების სურვილი ფაქტიურად გამქრალია და უფალ ღმერთს სერიოზულად ვარ მიჯაჭვული. თვით ბედის ქალღმერთის მხრიდანაც ხდება უკვე ჩემი მატერიალური და ყველა სხვა პრივილეგიებით ავსება, რაც მას გააჩნია. ღვთის ძის მიერ ჩემი, როგორც თანამოაზრის და, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც ძმის მიღება ხდება თავისში. და დარჩენილი ცხოვრების ნაწილი მატერიალური სამყაროს სივრცეში ენითაუწერელი მიწიერი ბედნიერებით ვიქნები უზრუნველყოფილი ყველა მხრიდან, ხოლო მატერიალური ინდივიდუალური სხეულის დატოვების შემდგომ, უფალი ღმერთი თავის საუფლოში, ცათა სასუფეველში მიმიჩენს „ბინას“. და ალბათ, ძალიან საინტერესოა ამხელა პატივში და უზრუნველობაში მყოფმა რა უნდა ვაკეთო ამ დროის განმავლობაში? ჩემი ღრმა რწმენით, მატერიალური კეთილდღეობის, მიწიერი მადლის, დიდი სიხარულის გადატანა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მატერიალური სიდუხჭირის, სიღარიბისა, განდეგილობისა და მწუხარების, მაგრამ რეალურად, ორივე მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი.

დიახ, ვიცი, ეს ძალიან უცნაურად ჟღერს, მაგრამ მთელი ეს მიწიერებისთვის მაქსიმალური საუკეთესო პირობების შექმნა, რეალურად გამოცდა იქნება ჩემი და თუ მივეწებები ამ ყოველივეს ან რაიმეს აქედან, მაშინ ე. წ. გამოცდას ვერ ჩავაბარებ, დავივიწყებ რა მეტერიალური ყოფიერების ილუზიურობასა და მის ჭეშმარიტ ფუნქციონალურ მნიშვნელობას. მაგრამ, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ეს, როგორც გამოცდა, უფრო ფორმალურ მნიშვნელობას ატარებს. იგულისხმება, რომ ამხელა გზის განმვლელი ამ ტიპის წინააღმდეგობის გადალახვას ადვილად შეძლებს. ამ ყველა სიკეთის მიღება უნდა მიხაროდეს არა იმიტომ, რომ მატერიალური უპირატესობა, სიმდიდრე და გავლენა შევიძინე, არამედ იმიტომ, რომ ეს ნიშანია ღმერთთან მიახლოვებისა და ცათა სასუფეველში მოხვედრის სერიოზული შანსისა.

ამ პერიოდში ჩემგან მომდინარე, ანუ ინდივიდისგან მომდინარე ქმედება ორ ძირითად პრინციპზე უნდა იყოს აგებული, **გულწრფელობა** ყველას და ყველაფრის მიმართ, ანუ როგორ უნდა მოხდეს ჩემში ასოცირება და აღქმა აბსოლუტურად ყველაფრის. ჩემგან, როგორც ინდივიდისგან, გამომდინარე ქმედება უნდა ეყრდნობოდეს **სიყვარულის გაცემის** პრინციპს. ამ პრინციპს ამ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა, ისე რომ, აქ დაწვრილებით დაკონკრეტებას აღარ მოვყვები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თვით-

რეალიზაცია, თვით მამა ღმერთის მიერ ჩემთვის ნასწავლი ზოგადი ცნობიერების საფუძველზე, სიყვარულისა და სიკეთის გაცემად, მეტად სხვა ვერაფრად, აღიქმება, ვიდრე ეს ზოგადი ცნობიერება (მარტივად რომ ვთქვათ, არაძალადობა) იქნება დაცული.

დასკვნა

ამ ბოლო გზის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჰარმონიზაციის გზა, რომლის უხეში მიმსგავსების მცდელობაც მუტაციური პერიოდის დროს წესრიგის დამყარების მცდელობით ხდებოდა. განსხვავება კი შემდეგია: წესრიგი არის ერთგვარი კონსტიტუციის, კანონების, წესების შემოღება და მათი დაცვის აუცილებლობის გამო მის არ შემსრულებლებთან დაპირისპირება. ჰარმონია კი არის ყველანაირ კონსტიტუციაზე, კანონზე, წესზე მაღლა მდგომი და ყველაფერს, ნებისმიერ სიტუაციას, არანაირი „სახაზავით“ და „შაბლონით“ არ უდგება და არაერთგვაროვანია აბსოლუტურად ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში. აი, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ მუტაციიდან გათავისუფლებულიყვნენ გონება, ამბიცია, გრძნობა და ემოცია. ვფიქრობ, ეს ნამდვილად უნდა აღელვებდეს ადამიანს, ვიდრე მას რაციონალური აზროვნების უნარი გააჩნია.

1.(4.) მუტირებული გრძნობის განკურნება. გრძნობის გრძნობისმიერ ნაწილად აღქმა. თვითრეალიზაციის სურვილის ყველზე სუფთა ნაწილის, კერძოდ, სულიერი ლტოლვის ღმერთისადმი, როგორც ინდივიდუალური სულისადმი, პერსონისადმი ლტოლვად გარდაქმნა და სულიერი ვნების დაძლევა საკუთარ თავში, რომელიც საკუთარი იმპერსონალური ცოდნის გავრცელების სურვილში გამოიხატება. ვიზუალური ფორმის განდეგილობიდან სულიერი, ფუნქციონალური ფორმის განდეგილობაში გადასვლა.

2.(1) მუტირებული ემოციის განკურნება. ემოციის ემოციისმიერ ნაწილად აღქმა. ინდივიდუალური სხეულის მიერ თვითკმარობისა და მყუდროების შეგრძნება და გარემოსთან, მატერიასთან მიმართებაში სრული ნებაყოფილობითობის დაცვა. ეს არის ერთადერთი დონე და მდგომარეობა, რომელშიც მატერიალური სხეულიც კი ჰარმონიულად არის „მე“-ში ჩართული და სრულიად ბედნიერად გრძნობს თავს.

3.(2.) მუტირებული გონების განკურნება. გონების გონებისმიერ ნაწილად აღქმა. ეს არის ის, საიდანაც რეალურად დაიწყო მუტა-

ცია და ამ დონეზე განკურნება თვითრეალიზაციის უფლებასაც კი აძლევს ანუ ათავისუფლებს ინდივიდს კარმული ჭუჭყისაგან, მამა ღმერთის მიერ ჰარმონიის ზოგადი ცნობიერების ცოდნის მიცემა ხდება და გონება მთლიანად უბრუნდება თავის პირვანდელ სუფთა მდგომარეობას, თავისუფლდება რა დაპირისპირების, შურისძიების, უსამართლობისა და ასეთი რაღაცეების ძიებისაგან. ინდივიდუალური სულის არაინდივიდუალური ნაწილი ანუ გონება უკვე ამ ფაზაში ზომიერი თანამიმდევრულობის პრინციპით იწყებს მოქმედებას, რაც ხელახლა თავის პირვანდელ, ნეტარების, ტრანსისა და მუდმივი ექსტაზის მდგომარეობაში აბრუნებს, ხოლო მეორე, არაძალადობის პრინციპით ხელმძღვანელობს ნებისმიერთან და ყველასთან მიმართებაში და ყოველგვარი აგრესიულობისგან თავისუფლდება. ვგონებ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „მე“-ს ეს ნაწილიც საკმაოდ ბედნიერად გრძნობს თავს.

4.[3.] მუტირებული ამბიციის განკურნება. ამბიციის ამბიციისმიერ ნაწილად აღქმა. ეს არის გათავისუფლება ანუ თავისი ნების, როგორც უფლებრივი ნების, გამოვლინების უფლების მიღება, რომელიც მიენიჭება თავად უფალი ღმერთის მიერ. მოკლედ, აღარ გავაგრძელებ ამის ახსნას, თუ რას ნიშნავს ეს. ვიტყვი ერთს, რომ ამბიციისმიერი ნაწილი, ანუ ინდივიდუალური სულისთვის ინდივიდუალურობა, ჭეშმარიტად ბედნიერება იქნება, რამეთუ მუტაციური მდგომარეობიდან გათავისუფლდა და შეძენილი იმპერსონალური ცოდნის გავრცელების უფლებასაც მიიღებს და ერთგვარ მოვალეობადაც კი დაეკისრება.

ამით მთავრდება მატერიალურ სამყაროსთან, როგორც ფიზიკურ ინდივიდუალურ სხეულთან, დაკავშირებული ზოგადი ცნობიერების განსაზღვრებები, განზოგადებები. ამ საფეხურების გავლის შემდგომ ხდება სულიერ სამყაროში გადანაცვლება, საიდანაც მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირება აღარ ხდება.

საერთოდ, ეს თავი „მე“-ს მუტირებულ ნაწილს ეხება და მას მოიცავს. ამ თავის მნიშვნელობის სერიოზულობაში, ვგონებ, არავის უნდა შეეპაროს ეჭვი, რამეთუ აქ არის ფასეულობების გასწორების გზა, რისთვისაც მატერიალიზირდნენ ინდივიდუალური სულები მატერიალურ სამყაროში.

<u>განკურნებული გონების ძირითადი მატერიალიზირებული საქმიანობა</u>

და როცა შეძლებ შენს გულში წინააღმდეგობებისა და მისი აღმასრულებლების მიღებას, მაშინ ადვილად შეძლებ მათ გადალახვას და დამორჩილებას და შენი გულის (ღმერთის, რომელიც გულით გიკავშირდება) მითითებით ადვილად შეძლებ მიმართო ეს წინააღმდეგობის აღმსრულებლები მათთვის შესაბამის გზაზე.

თავი IV

ნებაყოფილობითობის ჭეშმარიტად დაცვის გამოვლინების რაობა



Чтобы в кого нибудь влюбиться,
Лишь стоит по просту вглубиться,
Но если слепо глубоко заити
Быть может рабство для себя найти.

განკურნებული ემოციის ძირითადი მატერიალიზირებული საქმიანობა

თუკი შენი გული საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ შენს გზაზე წარმოშობილი წინააღმდეგობა და მისი აღმსრულებელი მოწინააღმდეგეები შენს „მე“-ში მიიღო, ობიექტურ რეალობად, განგების ნებად აღიქვა, მაშინ შენ შეძლებ განჭვრიტო ყველა ეს პრობლემა და ადვილად დაიცვა საკუთარი სხეული.

ეს თავი მიეძღვნება იმას, თუ რა არის ე. წ. „ეგო“ ანუ საკუთარი წარმოსახვის მიერ შექმნილი გაუცხოებული ნაწილი, რომლისგანაც თავის დაცვაა საჭირო, რომელსაც (თურმე) უნდა ებრძოლო, რამეთუ მტერია და უნდა გაანადგურო და თუ ხედავ, რომ ის უფრო ძლიერია, ისეთი ძლიერი საზღვრები უნდა შექმნა (თურმე), რომ საიმედოდ იყო დამალული შიგნით და მტრის თავდასხმის შემთხვევაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ეომო, რომ შენი ტერიტორია

ვერ დაიკავოს. აგრეთვე შეეხება ეგოცენტრიზმის პრინციპით მცხოვრები ინდივიდუალური სულების ცხოვრების სტილს, მის შედეგობრივ გამოვლინებებს. ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: სქესობრივი ურთიერთობების ანგარებითი მიზნებისთვის გამოყენების საკითხები, სექსუალური ურთიერთობების სხვადასხვა ანომალიური მოვლენები, ინდივიდუალური მატერიალური სხეულის საკუთარ თავთან გაიგივებით მატერიალური კეთილდღეობის და გართობის და ამით დროის სრულიად მოკვლის მცდელობების ვარიაციები, ლტოლვის, როგორც საკუთარ თავში ჩაგროვილი ნეგატიური ინფორმაციის ენერგეტიკული საშუალებით გადაგდება, სხვისთვის „შეტენვის“ ფენომენი და ა. შ.

ეს თავი, როგორც ამ წიგნის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძნელადგადმოსაცემ და, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთ ყველაზე ძნელად აღქმად (იმიტომ, რომ მისი აღიარება არავის მოუნდება. ვგულისხმობ ადამიანის ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზაციულ გამოვლინებას) ნაწილად მეჩვენება, რამეთუ იგი უამრავ ალტერნატიულ ვარიაციას, რომელიც ადამიანის არსებობის დროიდან შექმნილა, იქმნება და შეიქმნება (როგორც დამოუკიდებელი ოპოზიციური კანონების შექმნის სურვილი სამყაროს პირვანდელ, თავდაპირველ კანონშემომქმედთან და კანონმდებლობასთან მიმართებაში), სთავაზობს უარი თქვან ყოველგვარ ამბიციაზე, ურთიერთდაპირისპირებაზე, უთიერთგაუცხოვებაზე, საკუთარი ***აზრებით ვნების***, ზიანის მოტანაზე, ძალადობის, ზემოქმედების, თავზე რაიმეს მოხვევის ყოველგვარ გამოვლინებაზე.

ალტერნატიული ვარიანტების შექმნის ისტორია კი შემდგომში მდგომარეობს: ცოცხალი არსებები მიდრეკილნი არიან ყველაზე ძლიერისაკენ, ყველაზე გავლენიანი სხვა ცოცხალი არსებისაკენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ისინი საკუთარ თავებს მხოლოდ საკუთარ მატერიალურ ნაწილთან აიგივებენ, მათი სათაყვანებელი არსებაც მატერიალური პარამეტრების მიხედვით შეირჩევა. მაგრამ, მოდით ვნახოთ, როგორ მოიპოვა ამ არსებამ ეს გავლენა, რატომღაც ხომ მიეცა მას ამის უფლება, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზესვლის პროცესში მისი ინტერესების დიდი ნაწილის დამთხვევა ხდება სამყაროს ევოლუციის იმ ეპოქალური მომენტის ინტერესებთან, როდესაც ფარდობითი დონის ზესვლა ხდება. ამ პროცესს აქვს თავისი პიკი, ანუ ის მომენტი, როდესაც ინტერესთა თანხვედრა მთავრდება (ან ევო-

ლუციის ინტერესების შეცვლით ან გაცილებით უფრო ხშირ შემთხვევაში ზეასული ცოცხალი არსების ინტერესების შეცვლით), მაგრამ ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზაციული გამოვლინება უკვე ერთ-ერთ კონკრეტულ ალტერნატივად ჩამოყალიბდება და მისი განდიდება და გაკერპება, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ იწყება, როდესაც მისი ფუნქციონალური მნიშვნელობა მთავრდება. ის უკვე მხოლოდ ჭკუის სპეკულაციურობის ნიმუშია და მეტი ვეღარაფერი, რამეთუ მხოლოდ აწ უკვე გავლილი ევოლუციის რომელიღაცა საფეხურისთვის არის გამოსაყენებელი. ზიანი კი მოაქვს იმიტომ, რომ ეს აშკარად ფრაგმენტალური ჭეშმარიტება მის თაყვანისმცემლებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად უნდათ რომ გაასაღონ. რაოდენ სასარგებლო იქნებოდა, რომ ევოლუციის კვლევის მსურველებს იგი იმ ნაწილის ასახსნელად გამოეყენებინათ, რასაც მართლა მოიცავს და ასე მძივებივით ჩაელაგებინათ მთელი იმპროვიზაციული გამოვლინების ალტერნატიული შეხედულებები, ისე, რომ ერთმანეთისთვის არ ეჯახებინათ. ვგონებ, ეჭვსგარეშე თუ არაა თქვენთვის, იმაში მაინც უნდა დამეთანხმოთ, რომ გაცილებით უფრო მომგებიანი და მიზნობრივად გამართლებული იქნებოდა.

მაგრამ... მაგრამ მოდით რეალობას დავუბრუნდეთ. ამ ყოველივეს დემონსტრირების საუკეთესოდ დანახვის საშუალება დღეისთვის არის ის, რასაც ეგრეთწოდებულ დიდ პოლიტიკას უწოდებენ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო მონარქია, რომელიც შემდგომ შეცვალა „ქვემოდან ზემოთ“ (ბრჭყალებში რა თქმა უნდა) მართვის მცდელობამ სოციალიზმის სახით. შემდეგ აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის გათანაბრების იდეა მოვიდა, ანუ კომუნიზმის დამყარების მცდელობის სახით, შემდგომ შემოვიდა იდეა ყველასთვის ყველანაირი უფლების მინიჭების სურვილი დემოკრატიის დამყარების მცდელობის სახით, რომელიც ჩემი ვარაუდით უახლოეს მომავალში სრულ კრახს განიცდის. მე ამ ცნებებისა თუ წყობების ახსნის და ანალიზის არც სურვილი მაქვს და არც ჩემი წიგნის ფურცლები მემეტება მათზე დასახარჯად და, რაღა თქმა უნდა, არც დრო. ისინი ყველანი უტოპიას და ილუზიას ემსახურებიან, განსაკუთრებით ბოლო ორი, მაგრამ არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმას, რომ ყველაზე ვანდალური იდეა და აბსურდული უტოპია არის სულ ბოლო ანუ ე. წ. დემოკრატია, რომელიც ცდილობს მთლიანად მოსპოს და გაანადგუროს ყველაფერი სულიერი, ყოველივე ღირებული. მაგრამ მიუხედავად ამ საშინელი მისიისა, რომე-

ლიც დაეკისრა დემოკრატიას, თავისი ფუნქციონალური დანიშნულებაც გააჩნია. კერძოდ, მისი მეშვეობით მოხდება დედამიწაზე არსებული ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანთა n რაოდენობების დაქსაქსული დაჯგუფებების გაერთიანება, რამეთუ კულტურები და რელიგიები თუ სხვადასხვა აქვთ, უზნეობები და ბილწი, ბიწიერი სურვილები ყველას ერთნაირი აქვს. ადამიანების მეხსიერების ის ნაწილი, სადაც რაღაც პოზიტიური და სასარგებლოა, ინფორმაციულად დაიკეტება და უსარგებლოსა და ნეგატიურის სარჩულით გამთლიანებული დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების გაჯანსაღება სულიერად გაცილებით უფრო პროდუქტული და მასშტაბური იქნება. დიდება მათ, ვინც შეძლებს ამ მძიმე პერიოდში სულიერების შენარჩუნებასა და გაზრდას. როგორც ხედავთ, მთავარია რამდენად სწორად მოინდომებს ნებისმიერი არსება ნებისმიერი რაღაცის გადანაწილება-დაჯგუფებას.

აი, მაგალითად, დღეს პრეზიდენტად აღიარებული ედუარდ შევარდნაძე. კერპთაყვანისმცემლობის უკეთესი ნიმუში ჩემთვის ალბათ ძნელად მოსაძებნი იქნება. ის ყოველთვის ეძებდა უძლიერესს, რაღა თქმა უნდა, მატერიალური თვალსაზრისით და შემდეგ ცდილობდა მისი მსახურება იმდენად კარგად მოეხერხებინა, რომ ყველა დანარჩენ მსახურებზე უფრო მაღლა დამდგარიყო და ყველაზე ახლოს ყოფილიყო კერპთან. კერპები კი ხშირად იცვლებოდნენ და ისიც იძულებული ხდებოდა ბატონები ეცვალა. ზნეობის მქონე ბატონი მოღალატე მსახურს, რომელმაც თუნდაც თავისივე მტრის სამსახურიდან იყოს გამოქცეული, უბრალოდ არ მიიღებს. მაგრამ უზნეო იყო მსახური და უზნეონი იყვნენ ბატონებიც. მონარქიას არ ვიცი, მაგრამ დანარჩენს ყველას ემსახურა ეს კონფორმიზმის ფორმულას დამსგავსებული ადამიანი და ვგონებ, ეს უკანასკნელი კერპიც მალე დაენგრევა თავზე.

აი, ეს არის ინტელექტუალური ნაწილის იმპროვიზიაციული გამოვლინებების ალტერნატიული ვარიაციების მოკლე ანოტაცია.

მაშ ასე, თუ მართლა სერიოზულად განხილვის სურვილით მივუდგებით „ეგო“-ს რაობას, გაცილებით უფრო ღრმა, ნათელი და ზუსტი სურათი დაიხატება.

დღიდან კაცობრიობის ისტორიული არსებობისა და, თუ გნებავთ, დღიდან მატერიალური არსებობის აღმოცენებისა, არსებობდა ეს ცნება, რამეთუ, რომ არა მისი არსებობა, თვითონ მატერიალური სამყაროც ვერ ჰპოვებდა განსხვავებულ გამოვლინებას, სულიერი სამყაროს პარალელურად. ეს მატერიალური სამყარო არის

ალტერნატიული ვარიანტი სულიერი სამყაროსი. რაში მდგომარეობს განსხვავება? პასუხი ალბათ არც ისე ძნელი იქნება. სულიერ სამყაროში ყველაფერი, რაც გამოვლინებულია, ფაქტიურად, სარწმუნოებისა და სიყვარულის ოკეანეს წარმოადგენს, რამეთუ იქ არავინ ცდილობს რაიმე უცხოს ძიებას და ცხოვრობენ იმით, რაც უკვე მიღწეულია, ათვისებულია და არ არის ჭეშმარიტების დარღვევის მცდელობა. იქ მოქმედებს დაახლოებით ასეთი დევიზი: არ არსებობს ისეთი სიამოვნება, რომლისთვისაც ღირდეს ჭეშმარიტების დარღვევა. რაც შეეხება ევოლუციის პირველ კანონს, როგორც განვითარების, წინსვლის განუხრელ აუცილებლობას, ე. ი. „ეგო“-ს ენაზე რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ შეცნობილი ჭეშმარიტების ანუ „ეგო“-ს ტერიტორიების ათვისებას ახორციელებს ერთი, ყველაზე მაღალი, ღრმა ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსება, რომელსაც ჰქვია უფალი ღმერთი და ამ განხორციელების პროცესში ყველას თავის ფუნქციასაც ის განუსაზღვრავს, რა თქმა უნდა, სრული არაძალადობისა და ნებაყოფილობითობის დაცვით. ეს არის „ეგო“-ს ათვისების უალტერნატივო, ყველაზე ჭეშმარიტი და ყველაზე სრულყოფილი გზა ყველა არსებულ გზას შორის.

აი, ამ პროცესში ნებისმიერი მოვლენის დაჩქარების ან, პირიქით, შენელების მსურველი ცოცხალი არსებები, ნებით თუ უნებლიეთ, სიტუაციის მმართველის ოპოზიციურნი, შეიძლება ითქვას, დაპირისპირებულნი ხდებიან, რის გამოც საჭიროა მათი გადაგზავნა მათი შეხედულებების შესაბამის პირობებში და რეალურად ხდება მატერიალური სამყაროს გამოვლინება. ამ სამყაროში ძირითად ვარიანტს უკვე აღარ უწევენ ანგარიშს, ანუ შეიძლება ითქვას, ღმერთის აზრს უკვე აღარ ითვალისწინებენ, ან იმ დონეზე ითვალისწინებენ, რა დონეზეც ეს აწყობთ, სამაგიეროდ ყველა თავისი ალტერნატიული ვარიანტით არის შეიარაღებული „ეგო“-ს ჭეშმარიტებად გარდაქმნის შესახებ, ყველას უკლებლივ თავისი თავი ჰგონია მართალი და ამ გიჟური კონკურენციის პირობებში, თუ ვის ვარიანტს აღიარებენ უზენაესად, წამყვანად, სახელმძღვანელოდ, რამეთუ რაღაცით უნდა იხელმძღვანელონ, როგორც კანონებით, რომლებსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, დაახლოებით ასეთი ტიპის დევიზი შემოდის: მიზანი ამართლებს საშუალებას.

ამგვარად, ათასგვარი გარიგებებით და საკუთარი პრინციპების არაერთხელ გადაკეთებით მიღწეული მმართველობის უფლების მიღების შემდეგ, ინდივიდუალური სული, რომელმაც ეს შეძლო, საკუთარი „შრომის“ და „მოღვაწეობის“ შემდეგ ცდილობს

მაქსიმალურად მიიღოს სიამოვნება, დაიკმაყოფილოს თავისი სურვილები. და აქ უკვე ახალი დევიზი აქვს ამ ინდივიდუალურ სულს: არ არსებობს ისეთი ჭეშმარიტება, რომლისთვისაც ნებისმიერი სახის სიამოვნებაზე უარის თქმა ღირდეს (რა თქმა უნდა, რაც მისი სურვილებიდან გამომდინარეობს). „ეგო“-ს ენაზე რომ ვთქვათ, ინდივიდუალური სული „ეგო“-ს კონტროლის ქვეშ ექცევა.

ამიტომაც, უფალი ღმერთი ყოველთვის იჩენდა მართლაცდა უმიზეზო წყალობას და მატერიალურ სამყაროებში (ნაგულისხმევია სხვადასხვა გალაქტიკები და ამ გალაქტიკებში არსებული სხვადასხვა პლანეტები) თავად, პირადად ევლინებოდა, ბევრ რიგ შემთხვევაში თავის წარმომადგენლებსაც აგზავნიდა, რათა მატერიალურ სამყაროებში დამკვიდრებული გამრუდებული ზოგადი ცნობიერებებისთვის სწორი მიმართულება და არსი დაებრუნებინა. შემდეგ ეს შეხედულებები ნელ-ნელა მკვიდრდებოდა და იზრდებოდა, ვიდრე ჩამოტანილი ცოდნის ათვისება ბოლომდე არ მოხდებოდა და ა. შ. და ა. შ. ამისდა შესაბამისად იქმნებოდა რელიგიები, რომელთა მიხედვითაც ვითარდებოდა კულტურები, ცივილიზაციები, ხელოვნება, მეცნიერებები და ა. შ. ხოლო „ეგო“-ს ის ნაწილი, რომლის აღსაქმელადაც მატერიალიზებული ცოცხალი არსებები (მოაზროვნენი) ჯერ მზად არ იყვნენ, სინდისისა და სირცხვილის შეგრძნების მექანიზმით კონტროლირდებოდნენ. ეს არის ერთგვარი შინაგანი ცენზურა, რომელიც ინდივიდს არ აძლევს უფლებას შინაგანად აღქმულ „აკრძალულ ტერიატორიზე“ შევიდეს.

მაგრამ სხვადასხვა რელიგიების ურთიერთცვალებადობის შემდეგ, დროთა განმავლობაში ხდება ინდივიდუალურ სულთა დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირება სწორედ ამ რელიგიური ფანატიზმის საბაბით, რამეთუ სათითაოდ ყველა მათგანის წარმომადგენელი იჩემებს თავისი რელიგიის უპირატესობას დანარჩენებზე, ნაცვლად იმისა, რომ ყველამ ყველა რელიგიის ჭეშმარიტება და თავ-თავისი დანიშნულება აღიარონ და აღიქვან. მატერიალიზებული ინდივიდუალური სულები აქაც მოუთმენლობასა და გაუტანლობას იჩენენ. ეს მაშინ ხდება, როდესაც ყველა რელიგია უკვე ზრდასრულია. მხოლოდ მაშინ ხდება ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა. აი, სწორედ ამ ურთიერთდაპირისპირების დროს იწყებს აყვავებას ისეთი შეხედულებების დამკვიდრება, რომლებიც რადიკალურად არიან დაპირისპირებულნი ყველაზე სარწმუნო და ყველაზე სრულყოფილ გზასთან. რელიგიური შუღლის ფონზე ღვთიური ცნობიერება ადვილად სუსტდება და ეს ალტერნატიული, ოპო-

ზიციური ცნობიერება ადვილად ძლიერდება, რამეთუ სარწმუნოში ეჭვის შეპარვის შემდეგ, რომელიც რელიგიურმა დაპირისპირებამ გამოიწვია, ნდობას ეს ახალი არაღვთიური იღებს. დგება „ეგო“-ს აყვავების, დამკვიდრების ხანა, რომელიც იპყრობს ყველასა და ყველაფერს, რომელიც ღვთიურ, ჭეშმარიტ ცნობიერებას უარყოფს. მიდის გამალებული მცდელობა სირცხვილისა და სინდისის შეგრძნებების ნელ-ნელა და მეთოდურად ამპუტირებისა და ცოცხალ არსებებში ხდება ღმერთის უარყოფა, სულიერი სამყაროს უარყოფა, სულის იგნორირება. ფაქტიურად, ეს არის „ეგო“-სთან გაშინაურების მცდელობა „მე“-სთან გაუცხოვების ხარჯზე. ეს არის ალბათ, ყველაზე მძიმე პერიოდები მატერიუალურ სამყაროებში, მაგრამ მასთან შინაგანად დაპირისპირების მცდლობაც არასწორი იქნებოდა. მე ვიტყოდი, რომ ეს არის ობიექტური რეალობა, ევოლუცირების ერთ-ერთი საფეხური, როდესაც საკუთარი ნებით მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები ვეღარ გაერთიანდებიან, როცა ლაპარაკია მაგალითად, პლანეტარულ დონეზე. „ეგო“ ხომ გაუცხოვებას, დაპირისპირებას, უნდობლობასა და სუბიექტურობას მოიცავს რეალურად. ამ პროცესით კი, ნებით თუ უნებლიეთ, ხდება ყველა ცოცხალი არსების გაერთიანება თავისი „ეგო“-ს ქვეშ. „მე“-ს აღქმა თუ ყველას სხვადასხვა აქვს, „ეგო“, პრინციპში, ყველას ერთი აქვს. მაგრამ ეს ერთგვარი შოკური თერაპიაც არის მათთვის, ვინც მოისურვებს თავისი დაუდგრომელი სურვილები აიხდინოს „ეგო“-ს ჭეშმარიტად შეცნობის საკითხებში ე.ი. „მე“-ს გამთლიანების საკითხებში. კარგით, მათზე არ შევჩერდები, ისინი ერთეულები არიან და ეს უკვე სხვა საკითხია. ასე და ამგვარად, უკვე გაეგოისტებული და გაუღმერთოებული დონის მიღწევის შემდეგ, მაგალითად, მთელს პლანეტაზე ხდება უკვე უფალი ღმერთის მოვლინება და ის მთელი პლანეტის მასშტაბით ამკვიდრებს სწორ მიმართულებას, რაც, ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, მართლაც უფრო ეფექტურია, ვიდრე ნაწილ-ნაწილ შემოტანა.

ეს არც არავისი ჭირვეულობაა და არც რაიმე დაგეგმარებული პროცესი. ეს არის ევოლუციის თანამიმდევრული ციკლი, რომელიც ისევე ცოცხალი სახით, ბუნებრივად ხდება, როგორც ბუნების ნებისმიერი ბუნებრივი გამოვლინება. თუ ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, ისინი არასოდეს ირღვევა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და აბსოლუტური სიყვარულის ანუ აბსოლუტური ჰარმონიულობის დონეზე. თუ ისინი სადმე ირღვევა, ეს ხდება მატერიალური სამყაროს სხვადასხვა

ნაწილებში, სადაც ინდივიდუალური სულები მატერიალიზირდებიან. აბსურდული ბრალდებები მხოლოდ ბრალმდებლებს დააზიანებს.

ზოგადცნობიერულ დონეზე მოკლე და ლოგიკური დასკვნა შემდეგი სახის იქნება: როგორც სულიერ ისე მატერიალურ სამყაროში თავისდაუნებურად შეუცნობლად საკუთარი თავის მთავარ მიზანს განვითარება, სრულყოფილებისკენ სწრაფვა, ევოლუცირება, წინსვლა ანუ „ეგო“-ს (გაუცხოებულობის, უნდობლობის) მაქსიმალურად შემცირება წარმოადგენს. მაგრამ სულიერ სამყაროში არჩეულ გზა არ ემთხვევა მატერიალურ სამყაროში არჩეულ გზას. სულიერ სამყაროში ხდება ჯერ თეორიულად (წარმოსახვაში) ყველაფრის მაქსიმალურად აწონვა და გაზომვა და ამ თეორიულ დოქტრინამდე არსებული ყველა დამკვიდრებული და შესისხლხორცებული, ანუ წარსულში არსებული, მიღებული და ცხოვრებაში რეალიზებული შეხედულებების განუხრელი გათვალისწინებით (და არაფრის არ იგნორირებით), იწყება ამ თეორიული ცოდნის ზომიერი და თანამიმდევრული რეალიზაცია, რამეთუ ჩვევა „ეგო“-ს „მე“-დ აღქმული ფორმირებული გამოხატულებაა და მისი უცაბედი მკვეთრი მოცილების, მოშლის მცდელობა, აკრძალვით ან რაიმეს თავზე მოხვევით, იმ შედეგებს მოიტანდა, რაც ხდება მატერიალურ სამყაროში.

რაც შეეხება მატერიალურ სამყაროს, სულიერში თუ ერთი არსების მხრიდან მოდის სტრატეგიული ცვლილებების თეორიული ცოდნაც და მის რეალიზაციასაც თუ ის უძღვება სტრატეგიული პორციალური თვალსაზრისით, მატერიალურში ყველა (ძირითადად მამრი სქესის) ინდივიდუალური სული თავისი კონკრეტული სტრატეგიული თეორიის გატარების მცდელობითაა დაკავებული. ასე ვთქვათ, ყველას უნდა დირიჟორობა, ინსტრუმენტებზე დაკვრა კი – არავის, და რისთვისაც ეს კეთდება, ანუ მუსიკის შექმნა, უკვე მეორეხარისხოვანი ხდება. სადირიჟორო ადგილი კი თვითმიზნად გადაიქცევა და რა შეიძლება ამას დაერქვას, მე ნამდვილად არ ვიცი. ალბათ, მაინც მგონია, რომ აქედან უნდა ჩანდეს „ეგო“, შემცირებისა და ახსნის მაგივრად, რატომ იზრდება და მრავლდება „მე“-ს (არსებული სიყვარულის, ნდობის, ერთიანობის შეგრძნების) შემცირების ხარჯზე.

შეიძლება ვინმეს ეს სენტიმენტალურ ფანატიზმად მოეჩვენოს, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ციტატა, რომელიც ჩემი

სუბიექტური შეხედულებით სამოთხის არსის რაობას აღწერს. „მეუღლე“ მიმართავს უფალ ღმერთს შემდეგი სიტყვებით:

„შენ ბრძანდები ღმერთების უზენაესი პიროვნება. ვერავინ დადგება შენზე მაღლა, ვერც შენი სწორი გახდება ვინმე. სოციალური სისტემა მაშინაა სრულყოფილი, როცა შენ დგახარ მის ცენტრში, როცა შენ გემსახურებიან როგორც უზენაესს და ყველა სხვა შენი მსახურებითაა დაკავებული. ასე სრულყოფილად ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში ყველას შეუძლია მარადიული ბედნიერებისა და ნეტარების განცდა“.

სამოთხე არის იქ, სადაც არ არის „ეგო“.

ამ ყოველივე ზემოთქმულის (რაც ამ თავში მთლიანად არის) ორი სიტყვის ცნობიერი აღქმით გამოხატვა შეიძლება და ახლა ამ სიტყვების შემოტანით ამ თავის მეორე, თვისობრივად ახალი ნაწილი იქნება დაწყებული და მოცული. ეს სიტყვებია:

შესაძლებლობები და მოთხოვნილებები

შესაძლებლობები ემოციური პარამეტრის გონებისმიერ პარამეტრად გარდაქმნის შედეგია. ისინი „მე“-ს შეცნობის ანუ ზოგადი არაინდივიდუალური ცნობიერების რეალიზაციის უნარს ნიშნავს. ზოგადი არაინდივიდუალური ცნობიერების ძირეულად შესისხლხორცების შემთხვევაში, როდესაც ეს ცნობიერება მთლიანად ისე გაჯდება და გამყარდება „ძვალ-რბილში“, ინდივიდუალურ სულში, რომ მათი გათვალისწინების გარეშე ინდივიდუალურ სულს არაფრის კეთება აღარც სურს და აღარც შეუძლია, ეს არაინდივიდუალური ზოგადი ცნობიერება უკვე ინდივიდუალური ზოგადი ცნობიერება ხდება ინდივიდუალური სულისათვის. მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო ის, რომ ვიდრე ეს გაჯერება არ მოხდება ანუ „მე“-ს შეცნობა, შემეცნება ზოგადი ცნობიერების შეგრძნებაში, ანუ ამბიციის გრძნობად გარდასახვა არ მოხდება, ემოციური პარამეტრის გონებისმიერ პარამეტრად გარდაქმნილი ნაწილი ჭეშმარიტი ცოდნის მომცველი ვერ იქნება და ვერც ჭეშმარიტების, ეთიკურობის სამსახურში ვერ ჩადგება. ინდივიდუალური სული შეიძენს რაღაც შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაციის შედეგები მისთვის მეორეხარისხოვანი თემა იქნება. ის დაბრმავებული იქნება თავისი უნარით და ერთადერთი, რაც მისთვის იქნება მთავარი, ეს ამ უნარის რეალიზაცია, თვითგამოვლინება, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინებით ტკბობა იქნება და ის, თუ ვის რას მოუტანს ეს თვითგამოვლინება, მისთვის ყველანაირ მნიშვნელო-

ბას დაკარგავს. სხვათა შორის, ეს ძალიან მაღალი იერარქიის ინდივიდუალურ სულებსაც შეიძლება დაემართოთ, ამიტომ მიმაჩნია, არავის აწყენდა საკუთარ თავში გადაეხედა ამ სერიოზული პრობლემისთვის, რომლისკენაც ინდივიდუალურ სულს მიდრეკილება გააჩნია და რომლის თვითკონტროლიც მუდმივად საჭიროა. ***<u>რა მექანიზმით შეიძლება შესაძლებლობების გაკონტროლება</u>***? ამ შეკითხვის პასუხს მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სულებისთვის, ჩვენს შემთხვევაში ადამიანებისთვის, საჭირო რეკომენდაციებით შემოვფარგლავ, შემოვსაზღვრავ. გავაკეთებ ჩამონათვალს, რომელიც განსაზღვრავს ამ მიდრეკილების მქონეთა კლასიფიკაციას და თუ თქვენ რომელიმეში იმყოფებით, უნდა აღიაროთ, რომ ეს მიდრეკილება გაგაჩნიათ. ეს არის უბრალოდ გასაღები საკუთარ თავში ამ მიდრეკილების ნაირსახეობის პოვნისა.

1) სქესობრივი ლტოლვის წარმოშობის მექანიზმი. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების ემოციურ ფონზე შექმნილი მიმართულებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან სირცხვილის შეგრძნებით იბლოკება.

2) გამორჩეულობის, გარემოს მხრიდან ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილის წარმოშობის მექანიზმი. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების ამბიციურ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან სინდისის შეგრძნებით იბლოკება.

3) საკუთარი წესრიგის მაკეტის დამყარების მცდელობის მექანიზმი. საკუთარი ზოგადი ცნობიერების მაკეტის იდეალიზაცია, მისი სრულყოფილების ილუზიაში ყოფნა. ეს შესაძლებლობების არაეთიკური მიდრეკილებების გონებისმიერ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან დოგმატიზმის, კონსერვატიზმის, შეუცვლელობის შეგრძნებით იბლოკება.

4) ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მიერ ინდივიდუალური სულისთვის განსაზღვრული კოსმიური ადგილმდებარეობისთვის შესაბამისი ობიექტური რეალობის სრულყოფის, ევოლუცირების მცდელობის მექანიზმი, ინდივიდუალური სულის უფრო მაღალ იერარქიულ ორბიტებზე გადასვლის სულისკვეთება, როდესაც ის რეალურად უფრო დაბალ ორბიტალურ გრძნობისმიერ ფონზე შექმნილი მიდრეკილებაა და ზოგადი ცნობიერების „მე“-ს მხრიდან ასკეტობის, განზე დგომის (განდეგილობის), მარტოობის შეგრძნებით იბლოკება.

რაც შეეხება იმ კითხვას, გაქვთ თუ არა საკუთარი შესაძლებლობების არაეთიკურობისკენ რეალიზაციის სურვილები, პასუხი იქნება კატეგორიულად ცალსახა, რამეთუ არ არსებობს მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული, რომელსაც ასეთი ტიპის სურვილები არ გააჩნია და უფრო მეტსაც გეტყვით, სწორედ ისინი ბრძანდებიან თქვენი მატერიალურ სამყაროში მატერიალურ სხეულებში ჩასახლების მიზეზნი.

<u>რაც შეეხება მოთხოვნილებებს</u>, ეს უფრო ნაცნობ ენაზე რომ ვთქვა, სურვილები, ან სურვილების შესრულების აუცილებლობაში დაჯერებულობის შედეგებია. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნილების მშობელი სურვილია, რომლის შესრულებასაც ისე შევეჩვიეთ, რომ სურვილად აღარ მიგვაჩნია, მაგრამ ცოტა უფრო ღრმადაც თუ ჩავიხედავთ, სურვილის მშობლებსაც აღმოვაჩენთ. ნებისმიერი სურვილის „დედა“ ანუ მშობელი, ვინც უშუალოდ შობს სურვილს, არის სიამოვნება, ხოლო „მამა“, ანუ ვინც სურვილის წარმოსახვას და მონდომების პროვოცირებასა და ჩასახვას ახდენს, არის კმაყოფილება.

მოთხოვნილებებთან მიმართებაშიც ოთხმხრივი ხედვაა აუცილებლად გასათვალისწინებელი: 1) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს მთელს კოსმიურ გამოვლინებასთან, დროსთან, სივრცესთან, ღმერთთან და ა. შ. მიმართებაში. 2) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს იმ ინდვიდუალურ სულებთან, ადამიანებთან მიმართებაში, რომლებისგანაც გაჩენის დღიდან ურთიერთობებითაა დაკავშირებული. მშობლები, და-ძმები, ნათესავები, მეგობრები, რა თქმა უნდა, პირადი ოჯახი, ანუ ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი და ა. შ. 3) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს ყველა მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულთან მიმართებაში, ადამიანები, ცხოველები, ფრინველები და ა. შ. და ა. შ. 4) მოთხოვნილება, რომელიც მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულზე ძევს საკუთარ მატერიალურ სხეულთან და მის ინტერესებთან მიმართებაში. კვება, დაზიანებისგან დაცვა, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, ანუ საერთო ჯამში მატერიასთან, კოსმიური გამოვლინების მატერიალურ ნაწილთან მიმართებაში.

მოკლედ და უფრო კონკრეტულადაც, ვიდრე ზემოთაა გაშლილი, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების ცნობიერი ცნებები ერთურთში მჭიდროდ გადაფსკვნილნი და ერთურთში გარდამა-

ვალნი არიან, მთელი თავისი სიღრმისეული თუ უმცირესად ზედაპირული აღქმითა და გაგებით და ისეთი „ვექტორული“ მიმართულებისკენ მიყავთ აღქმისა და გაგების დონე, რასაც სიტყვა **საკუთრება** მოიცავს და მოიაზრებს თავის არსობრივ აღქმაში.

უფლება და მოვალეობა

საკუთრებასთან მიმართებაში კი პირველი, რაც ასოცირდება, არის კუთვნილებითი ფორმის ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, იმისი და ა. შ. ვფიქრობ, ფრიად საინტერესო იქნება საკუთრების ნაირსახეობის გადახედვა. აქვე, აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობა და საკუთრება (კუთვნილება) იმდენად მჭიდროდ გადაჯაჭვულნი არიან არსობრივად, რომ მათი ერთურთის გარეშე განხილვა უშინაარსო იქნებოდა.

პასუხისმგებლობა უფლებისა და მოვალეობის თანაბრობას ნიშნავს და მოვალეობრივი კუთხიდან იზომება.

საკუთრებაც უფლებისა და მოვალეობის თანაბარობას ნიშნავს და უფლებრივი კუთხიდან იზომება (უფლებამოსილება).

ანუ კიდევ ორი ცნების ფასეული გაშიფვრა-ჩამოყალიბება ხდება საჭირო, რათა ნათელი მოეფინოს ამ საკითხს, როგორც აბსტრაქტულ, ისე კონკრეტულ ნიუანსებში (უფლებისა და მოვალეობის ცნებებს ვგულისხმობ). უფლება კოსმოსის, ღმერთის მხრიდან იმხელა აქვს მინიჭებული მატერიალურ ინდივიდუალურ სულს, რამხელაც შესაძლებლობები დაჰყვა მატერიალიზირების შემდგომ და შერჩა მატერიალიზირებულობის პროცესში. შერჩენა კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ეთიკურად მოახდენს თავისსავე დამსახურებულ უფლებათა, შესაძლებლობათა რეალიზაციას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ მატერიალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი, თუმც შედეგობრივი ხარისხის მიზეზი, სიამოვნების მიღებაა, ვნებაა (რომელიც ბრაზის, საკუთარი „მე“-ს უკონტროლობის, უსამართლობის შეგრძნებასა და მასთან ბრძოლის იდეის შედეგად მიიღება). მაშინ არც ისე ძნელი და მიუღწევადია იმ ერთადერთი სწორი გამოსავლის პოვნა, რომ შესაძლებლობების ეთიკურად, ჭეშმარიტად სწორად გამოყენების საშუალება საკუთარი სიამოვნების მიღების სამსახურში კი არა, არამედ გარემოსთვის სიამოვნების მინიჭების სამსახურში ჩაყენებაა. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, ფაქიზად, შეუმჩნევლად

უფლების ცნება მოვალეობის ცნებასთან დანათესავდა. სადაც არის „რა მინდა“, ალბათ, იქვე უნდა იყოს ის, თუ „როგორ უნდა მივიღო ის, რაც მინდა“.

რაც შეეხება მოვალეობებს: რაც მეტია ინდივიდუალურ სულში მოვალეობები, მით მეტი ცოდნის ნათელის შეძენის საშუალება ეძლევა მას, რაც ავტომატურად შესაძლებლობებად გარდაიქმნებიან, ანუ უფლებრივად უფრო მაღალ სტატუსს ანიჭებენ, ვიდრე ამ ცოდნის მიღებამდე იყო. მაგრამ, თუ ინდივიდუალური სული მოვალეობებს ჭარბად იღებს და მათ ცოდნად, თვითშემეცნებად არ გარდაქმნის, მონურ-მსახურებრივ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს იმდენ ხანს, რა ხანსაც ასეთი ტიპის ცხოვრებით იქნება დაკავებული.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, ამ თეორიული ცოდნაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ურთულესი თემის, „მე“-ს შემადგენელ ნაწილთა ფუნქციონალური ინტერესების განსაზღვრა, ანუ იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა აკეთო ის, რაც უნდა კეთდებოდეს აბსოლუტური ჭეშმარიტების შეხედულებიდან გამომდინარე, რაც, ადამიანურ ენაზე გადათარგმნით, ასე გამოითქმის: ეს არის ის, თუ როგორ უნდა აკეთო ჭეშმარიტად, ღმერთისთვის მოსაწონი, ჭეშმარიტი სიკეთე.

შევეცდები ავაწყო ჯაჭვი, სადაც ეს ურთიერთგარდამავალი ქმედებები ხდება, მაგრამ აქაც ავიღებ ვარიანტს, რომელიც სასურველ-საძირკვლისეულს წარმოადგენს და წარმოაჩენს.

უფლება, რეალურად საჭირო და სასურველი უნარისა და შესაძლებლობების ქონის მიხედვით ეძლევა ინდივიდუალურ სულს, მაშასადამე, მოვალეობა არ ქონის მიხედვით იდება ინდივიდუალურ სულზე. ამ დიაპაზონში ხდება სურვილების, ნატვრების, ოცნებების გაჩენა, რომლებიც საკუთარ უნარსა და შესაძლებლობებს ვერ ეყრდნობა, რამეთუ ეს შესაძლებლობები ინდივიდუალურ სულს უბრალოდ არ გააჩნია და მათ შესასრულებლად აუცილებელ პირობასავით საჭირო ხდება მათი განხორციელებისთვის საჭირო უნარ-შესაძლებლობათა გამომუშავება. ფაქტიურად, არაგაცნობიერებულ დონეზე ჩნდება რაღაცის ასე ვთქვათ დასაკუთრების, რაღაცით (ან ვიღაცით) სიამოვნების მიღების სურვილი. ჭეშმარიტად სწორი, თანამიმდევრული მიყოლის ვარიანტში ინდივიდუალური სული, იძენს რა ამ სურვილისთვის ეთიკურად შესაბამის უნარს, ამ რაღაცით (ან ვიღაცით) სიამოვნების მიღების სურვილი უბრალოდ უქრება. ასეთი ტიპის ერთგვარი პროვოცირების საშუალებით ხდება შემეცნების დონის აწევა, პასუხისმგებლობა სერიოზული დო-

ნით იზრდება და ის, რაც უნდოდა ინდივიდუალურ სულს საკუთრებრივი სურვილით აღარ უნდება, სამაგიეროდ ის, რაც უნდოდა, თვითონ ხდება მისი ასე ვთქვათ საკუთრება თავისივე ნებით და თავისივე დაბეჯითებითი თხოვნით. ამ რაღაცისთვის (ან ვიღაცისთვის) ზემოთ ხსენებულ ინდივიდუალურ სულთან უშუალო კონტაქტი უსაზღვრო სიამოვნების მომტანია, ყველანაირი გზებითა და საშუალებებით ცდილობს როგორმე დააკმაყოფილოს იგი. თვითონ ინდივიდუალური სულისთვის კი ამ რაღაცისთვის (ან ვიღაცისთვის) სიამოვნების გაცემა თავადვე ანიჭებს უზარმაზარ სიამოვნებას, მაგრამ იგი ავტომატურად მასწავლებელიც, დამკვალიანებელიც, განმანათლებელიც ხდება მისი და მისი დაკმაყოფილებისთვის მხოლოდ იმ რაოდენობას გასცემს ამ სიამოვნებისა, რომელიც ეთიკის ნორმებს შეესაბამებიან და ყველანაირ შეღავათებსა და შებრალებებს სრულიად გამორიცხავს, რაც, თავის მხრივ, ხდება გარანტი მისი მხრიდან შემეცნების ჭეშმარიტად სწორ გზაზე დაყენებისა ამ რაღაცის (ან ვიღაცის) და მასში საჭირო და სასურველი უნარისა და შესაძლებლობისკენ სწრაფვის წახალისებისა. დასკვნასავით გამოდის, რომ ინდივიდუალურ სულში წარმოქმნილი სურვილის შესრულებაში დახმარება მასში ამ სურვილის შესაბამისი უნარ-შესაძლებლობებისკენ სწრაფვაში ხელის შეშლაა და ადამიანური ტერმინოლოგიით ბოროტებაა, თანაც ყველაზე დიდი ბოროტება, რამეთუ ფუნქციონალური ასპექტი იკვლება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ დახმარების სურვილით აღგზნებული ბრმა სიკეთე შეგნებულ ბოროტებაზე უარესიც კია.

მაშასადამე ზოგადად, უფლებამოსილება გრძნობას უნდა მიენიჭოს და არა რომელიმე სხვა „მე“-ს შემადგენელ ნაწილს; მოვალეობა, ვალდებულების საკითხის გადაწყვეტა ემოციას უნდა დაეკისროს; პასუხისმგებლობა, როგორც უფლებისა და მოვალეობის ჯამობრივი მაჩვენებელი, გონებას უნდა ჰქონდეს გათავისებული; ხოლო საკუთრება, მატერიალური კუთვნილების ნებისმიერი გამოვლინება, ამბიციის პრეროგატივაში უნდა შედიოდეს და ის მეტს არაფერს უნდა გადასწვდეს. ხოლო რა ფორმით უნდა ქნან ამ ოთხმა შემადგენელმა ნაწილმა ეს, ვგონებ, უკვე სხვა საკითხად აიკინძება და ნაწილობრივ ზევით უკვე ნახსენებიც კია. მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად მიბმულნი არიან ერთმანეთთან და იმდენად ერთმანეთისაგან გამომდინარენი არიან, რომ ერთი მათგანის იგნორირებაც კი დიდად სახარბიელო შედეგთან ვერ მიიყვანს სერიოზული წარმატების მსურველს. თუ შედეგობრივზე ვილაპარაკებთ,

მიზეზი ყოველივე არსებულისა გახლავთ გრძნობა; საშუალება ყოველივე არსებულის გამოვლინებულობისა გახლავთ გონება; მიზანი ყოველივე არსებულში წარმოიქმნება ამბიციაში; შედეგი ყოველივე არსებულის გამოვლინებისა განისაზღვრება ემოციაში.

მიზეზი, მიზანი, საშუალება, შედეგი

მიზეზი – გრძნობა; მიზანი – ამბიცია;
საშუალება – გონება; შედეგი – ემოცია.

უფრო დაწვრილებით გავშიფროთ ეს. ვფიქრობ, ეს ღირსი არის ამისა.

♦ **მიზეზი** თავისთავად მოიაზრებს თავის ცნობიერ აღქმაში საწყისობის ჭეშმარიტად დამსახურებულ პრეტენზიას, თავდაპირველობას, ქვაკუთხედს, რომელზედაც ყველაფერი იგება. მისი ჯეროვნად არ შეფასების შემთხვევაში გარდაუვლად მოხდება რეალობიდან, ჭეშმარიტებასთან კონტაქტიდან გადავარდნა არარეალობაში, ილუზიაში, მცდარობასთან კონტაქტში შესვლა. ეს არის ის საფუძველი, საძირკველი, ურომლისოდაც აბსოლუტურად ყველაფერი უინტერესო, უაზრო, უსაშველო და უშედეგო ხდება.

♦ **მიზანი** თავისთავად მოიაზრებს თავის ცნობიერ აღქმაში საჭიროებისკენ, ჭეშმარიტად ღირსეულისკენ და ამ ღირსეულის ღირსებების საკუთარ „მე“-ში შეცნობასა და გამისნაირებას. თავისი ჭეშმარიტი ფუნქციონალური გაგებით მიზანი უკვე ნიშნავს თავდაპირველისკენ, ჭეშმარიტად უპირატესობის მქონისკენ სწრაფვას. არც ისე ძნელი გასაგები და მისახვედრი ხდება, რომ თუკი ამბიცია თავისზე უპირატესსა და პირველად გრძნობას არ დაემორჩილება, საკუთარი შემუშავებული გეგმითა და არადამოკიდებულობრივი სულისკვეთებით, ვერანაირად ვერ მოახერხებს სასურველ რამეს. ეს არის ის მამოძრავებელი, ევოლუციის წინ გამწევი ძალა, ურომლისოდაც აბსოლუტურად ყველაფერი უღიმღამო, უსიცოცხლო, ხელოვნური, დაგეგმილ-გათვლილი, პროვოცირებული და ამბიციური ხდება.

♦ **საშუალება** თავის ცნობიერ აღქმაში მოიაზრებს პროცესის მიმდინარეობის, მოქმედებაში მოყვანის უნარის მქონეობის ცნებას, შესაძლებლობებს. აქაც ფრიად ადვილი მისახვედრი ხდება, რომ თუკი საშუალება მიზანს არ მოემსახურება საკუთარი შესაძლო გამოვლინების პოტენციალით, თვითკმაყოფილებაზე გა-

დართვით, არასასურველის მეტს ვერაფერს იქმს. ეს არის ის პოტენციური ენერგია, რომლის საშუალებად (მიზნის საშუალებად) არ გამოყენების შემთხვევაში აბსოლუტურად ყველაფერი უკონტროლო, პროვოკაციული, ძალმომრეობითი, მავნებლური, არაპროგნოზირებადი და სპონტანური ხდება.

♦ **შედეგი** თავის ცნობიერ აღქმაში მოიაზრებს დასკვნილობას, რაღაცის დასრულებულობას, ჩადენილი ქმედების სიტუაციურად, ხილულად დანახვასა და გაგებას ქმედების შემდგომ მიღებული სტატიკური მდგომარეობისა. აქ კი თვალნათლივ ჩანს, რომ თუკი შედეგი ჩადენილი მოქმედების ანალიზისთვის არ გამოიყენება, საშუალების სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას, კორექტირებას არ ემსახურება, აბსოლუტურად ყველაფერი უმიზნო, უსამართლო, უიმედო, მტკივნეული, პრობლემატური და მტრული ხდება.

მაშასადამე, მიზეზი გამოდის ერთადერთი ცნება, რომელსაც აქვს უფლებაც და თუ გნებავთ, ვალდებულებაც იმისა, რომ პირველი, წამყვანი იყოს ამ ოთხ ცნებათა შორის. სხვა ნებისმიერი სამი ცნებიდან პირველობისა და წამყვანობის თავის თავზე აღების, უფრო სწორად, დაბრალების შემთხვევაში კარგი ვერაფერი გამოვა.

მიზნის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ბრაზი. რამეთუ მიზანს უჩნდება პრეტენზია ერთადერთ სწორ ვარიაციად მონათლოს თავი და უკლებლივ ყველასა და ყველაფერს აი, ეს ვარიაცია მოსთხოვოს. რა თქმა უნდა, ის ამას ვერ ღებულობს და ყველა ალტერნატივაზე უკიდურესი გაღიზიანება და გაბრაზება იპყრობს. **ფაქტიურად, აქ არის განკითხვის მექანიზმის ფესვი**.

საშუალების (შესაძლებლობების) მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ვნება, რამეთუ საშუალებას უჩნდება პრეტენზია, რაც მოეპრიანება ის აკეთოს და ყველა და ყველაფერი ამის საშუალებად გამოიყენოს. **ფაქტიურად აქ არის სქესობრივი ლტოლვის ფესვი.**

შედეგის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს შენარჩუნების სურვილი, ანუ სიხარბე. რამეთუ შედეგს უჩნდება პრეტენზია რაღაც მოქმედებათა შედეგად მიღებული სტატიკური მდგომარეობა აღარანაირად აღარ შეაცვლევინოს არავისა და არაფერს. გარდაუვლად საჭირო საარსებო აუცილებლობითა და არაარსებითით საკუთარი სიამოვნების მინიჭების მიღებას კი შედეგი მისაკუთრებით, ძალადობით,

ძალმომრეობით ცდილობს. **ფაქტიურად აქ არის კერძო (მატერიალური) საკუთრების და სექსუალური ვნების, როგორც მატერიალურობის გამოვლინებულობისა და ეგოცენტრულობის ფესვები**.

„ბრაზი, ვნება და სიხარბე გვერდიგვერდ იკავებს ადგილს გულში და აფერხებს სულიერების გზაზე წინსვლას“ – ღმერთების უზენაესი პიროვნების, კრშნას რჩევა არჯუნასადმი („ბჰაგავად-გიტა“).

მიზეზის მიერ საკუთარი თავის მიზეზად წარმოსახვის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენს თავს ობიექტურობა. რამეთუ მიზეზს უჩნდება პრეტენზია ერთადერთ სწორ მართებულ გზად მიიღოს რეალობა და ყველას და ყველაფერს ამის შესაბამისად მიუდგეს. რა თქმა უნდა, ყოველივეს ობიექტური რეალობა განაგებს და განსაზღვრავს და მიზეზიც უსაზღვროდ გაწონასწორებული და ნათელით ავსებული ავსებს და მოიცავს (მატერიალური ენით რომ ვთქვათ – იპყრობს) ყველას და ყველაფერს. **ფაქტიურად აქ არის განათლების მექანიზმის ფესვი**, რაც თავად ხდება გარანტი ჭეშმარიტი საკეთებლის, ანუ სიკეთის ქმნისა ე. ი. კეთილშობილებისა; ღმერთის ერთგულებისა და სიწმინდის დაცვისა; სულის აღარ გაბინძურებისა და განწმენდა-გასპეტაკებისა. ვფიქრობ, სწორედ ამ ყოველივეს მიღწევა არის ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ნამდვილად ჭეშმარიტად მისაღწევი, მოსაპოვებელი აბსოლუტურად ნებისმიერი და ყველა ცოცხალი არსებისთვის, რომელიც საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას და რეალიზაციას რაიმეში ეძებს.

ჭეშმარიტად სწორ, მართებულ გზაზე დადგომის შემთხვევაში და ამ გზის მიყოლის შემთხვევაშიც კი, ადრე თუ გვიან „მე“-ში დგება ერთგვარი ბალანსის, შიდა ჰარმონიულობის მდგომარეობის მიღწევის პერიოდი. რის შემდეგაც ბალანსირებული სული ისეთი შეგრძნებით იმუხტება თითქოს უმიზნოდ, უსაქმოდ დარჩა. სწორედ აქედან, ჰარმონიულობის მდგომარეობიდან, ხდება ხოლმე სიწმინდის დაცემა, რამეთუ ევოლუცირების მუდმივობის კანონი ძლიერი მამოძრავებელი ძალით აიძულებს სულს რაიმე მოიმოქმედოს, თითქოს სულ ერთია რა. ამ დროს ხდება მიზეზ-შედეგობრივი თანამიმდევრულობის დარღვევა და ეთიკის ნორმების უცერემონიო ღალატი. ამას ადამიანურ ენაზე ცოდვა ეწოდება. საინტერსოა, რა არის ის ფასეულობა, „მე“-ს ის ნაწილი, საიდანაც ეს ცოდვა, ეს დარღვევა იღებს სათავეს? რაღაც დონეს მიღწეულ სულს უჩნდება

სურვილი – გადახედოს იმას, რასაც მიაღწია. დიახ, ცოდვა დანახვის სურვილით ხორციელდება და შემდგომ უკვე ხორციელ მატერიალურ სახესაც ღებულობს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ ავხორცობა. რა თქმა უნდა, ყველა ინდივიდს ამ სიტყვის ინდივიდუალური აღქმა ექნება. ამიტომ მოდით, რეალურად განვმარტოთ, რას წარმოადგენს ეს ცნება. ავხორცობა საკუთარ გონებაში წარმოსახული ცნობიერების განხორციელების, მატერიალიზირების სურვილებია, ეს სურვილები კი სულში წარმოქმნილი ემოციებია. საშუალებები, რომლებიც შეიძინა სულმა (შესაძლებლობები), სურს რეალურ პრაქტიკულ დონეზე გამოსცადოს. ავტომატურად, უზენაესი მიზეზი ყოველივესი დავიწყებას ეძლევა და გონებას თვითონ სურს იყოს მიზეზი იმისა, რასაც მოიმოქმედებს. ეს მაინც, შეიძლება ითქვას, სიამოვნების მიღების ვირუსით დაავადების სიმპტომებია და სული საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებით ავადმყოფდება. ამბიცია ამ სურვილის (ემოციათა) აღსრულების სამსახურში დგება და სული საკუთარი სურვილების მონა ხდება. ასე კარგავს ინდივიდუალური სული აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ, ღმერთისკენ მიმავალ გზაზე ორიენტაციას და ჭეშმარიტ გრძნობებთან კონტაქტს. ამასთანავე, ის კარგავს თავის უფლებას საკუთარი ნების რეალიზაციაზე და სულიერი ჭუჭყისგან გასუფთავებისთვის განკუთვნილ გარემოში, სანსარაში ხვდება, სადაც იგი იქამდე იქნება მართული ამ გარემოს მაკონტროლებელთა, ეთიკის არ დარღვევის მეთვალყურეთა მიერ, ვიდრე ამ ჭუჭყის (კარმის) შესაბამის ევოლუცირებას ვერ შეძლებს და არ გასუფთავდება საკუთარ „მე“-ში ჰარმონიულობის მდგომარეობის აღდგენით.

საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებით დაავადებულობის უტყუარი გარეგანი და შინაგანი სიმპტომები შემდეგში მდგომარეობს:

1. ხელოვნური სერიოზულობის ნიღბის ტარება, ხელოვნურობა.
2. სხვათა შეხედულებებზე დამოკიდებულობა. ფარისევლობა.
3. ნეგატიურის დაფიქსირების მცდელობა, ჩასაფრებულობა, რაც საკუთარი უპირატესობის შეგრძნების აწევას თუ არა დაწევას არ გამოიწვევს.
4. შეშინებულობა. შიში სინამდვილის, ნიღბის ქვეშ არსებულის გამოჩინებისა.

სერიოზულობის ნიღაბი რატომ ჩამოიცვა ინდივიდუალურმა სულმა პრინციპში უკვე ითქვა, ისიც მეტნაკლებად ნათქვამია სხვათა შეხედულებებზე დამოკიდებულება რამ გამოიწვია. ვისაც არ აინტერესებს რას ფიქრობს მასზე ის, ვინც უფრო მაღალია ეთიკური და ესთეტიკური ხარისხით, მაშინ მას უნდა აინტერესებდეს რას იფიქრებენ მასზე მის დაბლა მდგომნი ან მისი ტოლნი ეთიკურად, რათა ამან პირველობაში ხელი არ შეუშალოს, ავტორიტეტი არ შეელახოს და საკუთარი სურვილების რეალიზაცია უპრობლემოდ შეძლოს. ვგონებ, ნეგატიურის ძიების მცდელობაც აბსოლუტურად გასაგებია, რამეთუ უკეთესი რომ ეძებოს, საკუთარი „მე"-ს გადახედვა მოუწევს, მას კი ჯერ ამისთვის არ სცალია, რამეთუ ჯერ საკუთარი სურვილები აქვს განსახორციელებელი.

მაშასადამე, რჩება ერთი საკითხი **შიში.**

შიში

<u>შიში როგორც სრულყოფილების არ ქონის ანუ არასრულყოფილების რაოდენობისა და ხარისხის მაჩვენებლობრივი ფასეულობა და მისი ძირითადი ფორმები და გამოვლინებები. შიშის ანატომია და გენიოლოგია.</u>

რატომ არ შეიძლება რომ მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულს მიეცეს საკუთარი სურვილების შესრულების საშუალება სრული 100%-ით?

მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულში (ადამიანში მაგალითად) თვითგადარჩენის ინსტინქტი მეტისმეტად დიდ, გადამწყვეტ როლს თამაშობს. ის, რაც მატერიალური სხეულის არსებობას საფრთხეს უქმნის, მასში პანიკურ შიშს იწვევს. სწორედ ეს შიში აიძულებს მატერიალური სხეულის მქონე ცოცხალ არსებას ისწრაფოს სიტუაციის კონტროლირებისაკენ. ეს კი, ეთიკის დარღვევის პირველი აქსიომატური მიზეზია. სინამდვილეში კი, რეალურად ის გარემოს კი არა, საკუთარი „მე"-ს კონტროლირებას უნდა ცდილობდეს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში. შიშის მოხსნის ორი გზა არსებობს: 1. საკუთარი თავის გარშემო ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც ამ შიშს დაავიწყებინებს და შეამცირებინებს. 2. შემეცნების გზით იმის აღქმა, თუ რა არის მისი შიშის მიზეზი და ახსნა ამისი ღმერთის სამყაროს, ჭეშმარიტების კანონებით, თუ რატომ უნდა ეშინოდეს, რამეთუ ღმერთი (სამება) და სამყარო საკმა-

რისად ზრუნავენ მის უსაფრთხოებაზე და ეს შიში, უბრალოდ, ღმერთისადმი უნდობლობის შედეგია და მეტი არაფერი.

პირველი გზა ალბათ იქითკენ წაგვიყვანს, რომ ინდივიდუალური სული უნდა დაემსგავსოს ისეთს, როგორისაც ეშინია ან უნდა შეიძინოს, ის რისიც ეშინია. ეს დაცვის სისტემა მიიყვანს რაღაც დონის კონტროლირებამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ რადგანაც არ იცის რატომ ეშინია, ეს შიში რაღაც დოზით ყოველთვის იარსებებს და თავდაცვის ეს საშუალება ნელ-ნელა თავდასხმის სურვილში გადავა. ამოქმედდება ფორმულა: „ყველაზე კარგი თავდაცვა არის თავდასხმა“. რამდენადაც შეძლებს იმით შეაშინოს სხვები, რისიც ეშინია, მით მეტი იქნება თვითდაჯერებულობა. ესე იგი გამოდის, რომ ყველანაირი ძალადობის სათავე უბრალოდ შიშია და მეტი არაფერი. ერთი ფრაზა მუდმივად თან მდევდა და, ვგონებ, თეორემის დონეზეც მტკიცდება. იგი შემდეგში მდგომარეობს: „რისიც გეშინია, სწორედ ის დაგემართება და არ აგცდება“. ვგონებ, უდავოა ის, რომ ადამიანის არსებობის ფუნქცია შემეცნება, სამყაროს აღქმა, საკუთარი არასრულყოფილების აღქმა უნდა იყოს და თუ შიში ამ არასრულყოფილების შედეგია, მაშინ ადვილად აიხსნება ის, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ის, რისიც ეშინია ინდივიდუალურ სულს. ეს ბარიერის გადალახვასავით არის და თან ეს აბსოლუტურად ზუსტი დოზით ეძლევა ადამიანს. არავის ეძლევა ისეთი წინააღმდეგობა, რისი დაძლევის უნარიც არ გააჩნია. ძალიან მომწონს სერგეი ნიკოლოზის ძე ლაზარევის გამოთქმა ამასთან დაკავშირებით: „Бог не по силам препятствия не дает“.

ე. ი. რაც უფრო მეტი და დიდი სურვილების ახდენა მომინდება, მით მეტად იქნება ჩემზე გამოყოფილი წინააღმდეგობები, ასე ვთქვათ, ბედისწერის მიერ. თუ მინდა მივიღო ის, რაც მინდა და მსურს (ე. ი ჯერ კიდევ არა მაქვს), უნდა დავძლიო ის წინააღმდეგობები, რაც ამ სურვილებს შეესაბამება, გავიარო ის, რაც არ მინდა (ის რისიც მეშინია), ხოლო სურვილები, რომლებიც ამიხდა, რაც გამაჩნია და მომეცა, იმის ტოლფასი წინააღმდეგობები ანუ შიშები, გამოდის, უკვე დაძლეული მაქვს.

<u>სურვილს რაც შეეხება: სურვილით კი მინდება ის ვაკეთო სხვებთან მიმართებაში, რაც არ მინდა გააკეთონ სხვებმა ჩემთან მიმართებაში</u>.

მეორე გზა უფრო სერიოზულია, თემატურია, მაგრამ ძნელია და მაღალშედეგობრივი. პირველი გზაც აკეთებს ამას, მაგრამ გა-

ცილებით უფრო დიდი ხანი სჭირდება და აღქმის სიღრმისეული ხარისხი, შეგნების დონე ძალიან განსხვავებულია. არადა, საბოლოო ჯამში, მაინც უნდა მივიდეს ადამიანი იქამდე, თუ რისი ეშინია შეგნებული ცოდნის აღქმის დონეზე (კონკრეტული სიტუაციებიდან ძირეულ ფასეულობებამდე). ერთი თუ ტეხილებით სიარულს ჰგავს, მეორე ვექტორული პირდაპირი სვლის ანალოგიურია. უფრო გასაგებად რომ ვთქვა – მეშინია რაღაცის ამ რაღაცის შესაბამის ფასეულობის არასწორად შეფასებულობის გამო და უნდა შევისწავლო ეს ფასეულობა, ჩემი შეხედულება ამ ფასეულობის გარშემო და შეხედულებათა ცდომილება უნდა შევასწორო. შიში თუ ჰარმონიასთან ვერშერწყმის, ჰარმონიის დარღვევის შედეგია, მაშინ ალბათ დამეთანხმება ყველა, რომ ინდივიდუალურ მატერიალიზირებულ სულთა სურვილებიც ვერ იქნება ჰარმონიისთვის, სამყაროსთვის, ღმერთისთვის მისაღები. მათი მიმართულების შეცვლის ერთადერთი საშუალება ისევ და ისევ იმის მიცემაა ინდივიდუალურ სულთათვის, რაც მათ სწორ ორიენტაციას ხელს უშლის, რათა აქამდე ცნობიერებაში უპრაქტიკოდ თუ ვერ აღიქვა, ახლა, პრაქტიკულად მათთან შეხვედრის შემდეგ, მაინც იძულებული გახდეს და გადახედოს.

გამოდის, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ცხოვრება გვასწავლიან იმას, რაც ჩვენ ამ შიშისგან გაგვათავისუფლებს და ამ შიშებს ჭეშმარიტ სიყვარულად გადაგვიქცევს. თუ ამის შინაგანად ჭკუისმიერ დონეზე გააზრება მოხდება, ინდივიდუალური სული შემეცნების გზას დაადგება, მაგრამ... აქაც არის მაგრამ. თუ შემეცნება თვითმიზანში (შემეცნებულობით ტრაბახში და მისით ამპარტავნებაში და პატივმოყვარეობაში გადავა) რეალური შემეცნების, საკუთარი „მე“-ს შეცნობის უნარი შესუსტება, შეფერხდება, შემდეგ გაჩერდება და ბოლოს შეწყდება და ისევ პირველ გზაში, სიტუაციების შესაბამისად შიშებთან ბრძოლაში გადავარდნა მოხდება და თუ აქაც იგივე ამპარტავნებაში და პატივმოყვარეობაში გადავა, აქაც ამუშავდება ზემოთ აღწერილი პრინციპი, ინდივიდუალური სული გადავარდება გაბოროტებულ სისასტიკეში. ავტომატურად გაიზრდება შიშიც. რაც მეტია ინდივიდუალური სულის მიერ გამოვლენილი ძალადობა, მით მეტია შიში. სადაც არაა ძალადობა, იქ შიშიც ვერ იარსებებს.

მაშასადამე, აბსოლუტური ჰარმონია, ეს არის აბსოლუტური სიყვარული და თუ ჰარმონიამდე შიში და მისით გამოწვეული ძალადობა უშლის მისვლას, სიყვარულის საპირისპირო ცნება შიში

და ძალადობა ყოფილა და არა სიძულვილი. სიძულვილი ხომ მხოლოდ შედეგია შიშისა და ძალადობისა.

<u>მაშასადამე, მეორე გზის თანახმად, ჯერ უნდა ვიპოვოთ რისი მეშინია და შემდეგ გავასწორო ჩემი შეხედულებები იმ ფასეულობის შესახებ, რომელიც მოიცავს იმ რაღაცას, რისიც მეშინია</u>.

თუ სქემატურად მოკლედ ჩამოვაყალიბებთ შიშების რაობას, შემდეგი სახის განშტოებებს მივიღებთ:

ა) შიში მატერიალური ნაწილის დაზიანებისა და დაკარგვისა; შიში მატერიალური სხეულისა და მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვისა, გარდაცვალებისა, რომელიც სიკვდილად, დასასრულად აღიქმება; ავადმყოფობებისა; მატერიალური გაჭირვებებისა და ა. შ. და ა. შ.

ბ) შიში სულიერი ნაწილის დაზიანებისა და დაკარგვისა, ე. ი. შიში სულიერი სხეულის და სულიერი კეთილდღეობის დაკარგვისა, სულიერების გაჭუჭყიანებისა, კარმული ჭუჭყის გაზრდისა.

სირცხვილი, სინდისი, ღირსება, თავისუფლება

მოდით იდეალურობიდან, ეტალონურობიდან მატერიალურ რეალობას დავუბრუნდეთ. ზემოთ აღნიშნული განშტოებებიდან გამომდინარეობს, რომ სირცხვილი და სინდისი შიშის ერთგვარ გამოვლინებას წარმოადგენს. ვნახოთ, რა შინაგან არსს მოიცავენ ეს ცნებები.

სირცხვილი მაშინ ჩნდება თავისთავად ინდივიდუალურ სულში, როდესაც ღმერთთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიმართებაში მორჩილების და თაყვანისცემის აუცილებლობას ივიწყებს და მათ მსახურებაზე, მათი ინტერესების გათვალისწინებაზე წინ საკუთარი ინტერესების და სურვილების დაყენებას იწყებს. ეს ძირითადად რაღაცის დასაკუთრების, მითვისების სურვილებია ხოლმე, რომლებიც ავხორცობიდან მომდინარეობს, ხანდახან კი ეს ღმერთისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების შეხედულებებთან არ დათანხმების, მათ მიერ მართულ ინდივიდუალურ სულთა მიმართ უფრო ლოიალური მიდგომის (შეცოდების) შედეგად ხდება ხოლმე. ფაქტიურად, ხდება ღმერთის დადანაშაულება არალმობიერებაში და ხდება დაპირისპირება მასთან ე. წ. კეთილი სურვილებით. რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, უკვე განათლებული, განსწავლული

სულები ისევ ეცემიან საკუთარი უადგილო აქტიურობის გამო. პირველ ნაწილს თუ სირცხვილის იგნორირებისკენ უცერემონიო მიდრეკილება აქვთ და უსირცხვილობას ადვილად სჩადიან, მეორენი სასირცხვილოს არ ჩადენას ცდილობენ და მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირების შემდგომ ისინი სრულიად გარიყულნი არიან მათი მხრიდან, ვისი შეცოდების გამოც მოხვდნენ მატერიალიზირებულ მდგომარეობაში. მაგრამ აუცილებლად მინდა აღინიშნოს, რომ სირცხვილის ფენომენი არის უდიდესი მეგობარი და არა მტერი, რომელსაც გამალებით უნდა ეომო. სირცხვილი არის გარემოში არასასურველი მოქმედების ბლოკირების, შეფერხების მექანიზმი კოდირებული ინდივიდუალურ სულში. საბოლოო ჯამში სირცხვილის აღქმა უნდა მოხდეს ღმერთთან მიმართებაში საკუთარ თავში. ვინც სასირცხვილოს არ ჩაიდენს, მას სირცხვილის შეგრძნებაც არ ექნება, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია მატერიალიზირებული არსებებიდან, რომ მას არაფერი აქვს სასირცხვილო, ის უკვე უსირცხვილოა, რამეთუ, რომ არა ამ სასირცხვილოს არსებობა, არავინ მოხვდებოდა მატერიალურ სამყაროში.

სინდისი უდიდესი მეგობარია ცოცხალი არსებისა და ვინც მას დაკარგავს, ის სულიერი სიბინძურის გაზრდით დაჯილდოვდება თავისი უდიდესი უგუნურებისთვისა და უმეცრებისთვის. სირცხვილი თუ ღმერთთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან ჩადენილი ცდომილების, ცოდვის აღიარების საშუალებაა, სინდისი ამ ჩადენილი ცოდვის თავისში აღქმის საშუალებაა. წარმოიდგინეთ რამხელა მადლის მატარებელია ეს ცნება.

სირცხვილი თუ მატერიალური სხეულის საჭირო მიმართულების წარმართვაში გამოყენების საშუალებაა. სინდისი სულის, ინდივიდუალური სულის საჭირო მიმართულებით წარმართვაში გამოყენების საშუალებაა. ვისაც შიში ღვთის წინაშე თავის არასრულოფილ ნაწილში პირველ ადგილზე აქვს დაყენებული, ის არც უსირცხვილობას ჩაიდენს და არც უსინდისობას. სინდისი გახლავთ საკუთარ „მე“-ში ღვთიური დოგმატური კანონების, რელიგიური პრინციპების დაცვის ხარისხის მოკარნახე მექანიზმი კოდირებული ინდივიდუალურ სულში.

იქ, სადაც მთავრდება (არასრულყოფილების ნაწილში, რა თქმა უნდა) შიში ღვთის წინაშე თავისი უარესი ნეგატიური ნიშნით ანუ უსირცხვილობისა და უსინდისობის შეტანით საკუთარ მატერიალურ ცხოვრებაში, იწყება შიში გარემოს წინაშე, რაც შიშების თემის დასაწყისში შეძლებისდაგვარად არის განხილული. ჩვენდა სა-

ბედნიერად უნდა ითქვას, რომ არსებობს ღვთის შიშის დასასრული დადებითი პოზიტიური ნიშნით, ანუ სირცხვილი გადადის ღვთის მსახურებაში, ღვთისნიერებაში, უშუალობაში, ხოლო სინდისი გადადის სრულყოფილებისკენ სწრაფვაში, თანამიმდევრულ მოწაფეობრივობაში, ზომიერებაში, სიყვარულის გამოვლინებაში. აქ შიშები ამ კონკრეტული ინდივიდისთვის შეწყვეტენ არსებობას, ისინი მასში სახეს იცვლიან და სიყვარულად გადაიქცევიან. იგი გათავისუფლდება თავისი არასრულყოფილებისაგან და მატერიალური სხეულიდან გასვლის შემდგომ აღარ მატერიალიზირდება, სულიერ სამყაროში, მამა ღმერთის სასუფეველში, მის გარემოცვაში ყოფნის უფლებას მიიღებს.

ეს არის შიშებთან დაკავშირებული მოკლე ანოტაცია, რომელსაც ამ წიგნში აქვს დათმობილი ადგილი. მათ გარშემო უსაშველოდ ბევრი ასპექტია, რომელთა განხილვაც, ვგონებ, ცალკე თემაა და ალბათ, ცალკე წიგნად უნდა ჩამოყალიბდეს.

ასევე საჭიროდ მიმაჩნია ერთი სერიოზული ფასეულობის ცნების შემოტანა, რომელიც თითქოს არაპირდაპირ, მაგრამ ერთგვარად გაკვრით, ირიბულად (косвенно) დაკავშირებულია შიშების თემასთან, მაგრამ უფრო აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, ღმერთთან, სიყვარულთან არის დაკავშირებული. ეს უფრო გონების პროგატივას განეკუთვნება და გონების არ დაცემის, უგუნურების არ შემოსვლის პროფილაქტიკის, კატალიზატორული ფორმაა, რომელსაც ამავდროულად ობიექტურ რეალობასთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებისკენ მიდრეკილება გააჩნია და უსამართლობის შეგრძნების დამკვიდრებაში ლომის წილი მიუძღვის. **ეს ფასეულობა გახლავთ ღირსება**. იგი ორიენტირებულია საკუთარი თავის არ ღალატზე, არაკომფორმიზმზე. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში იგი ობიექტურ რეალობასთან უკომპრომისობაში გადაიზრდება ხოლმე. უდიდეს აღმოჩენად მიმაჩნია ის, რომ არსებობს ფასეულობა, რომელიც ღირსებაზე ერთი თავით მაღლა დგას, ეს არის **თავისუფლება**. თუკი სირცხვილი უმეცრებისგან თავის დაზღვევის, უმეცრებისგან პროფილაქტიკის საშუალებაა, სინდისი ვნებისგან თავშეკავების და პროფილაქტიკის საშუალებაა, ასევე ღირსებაც სათნოებისგან (ამ შემთხვევაში ბრმა სიკეთისაგან), ბოროტების ხელის არ შეწყობის, შეცოდების პროფილაქტიკის საშუალება გახლავთ. ღირსება, ძირითადად, საკუთარი „მე“-ს გარემოსთან მიმართების და გარემოს მხრიდან ჩემს „მე“-ზე არსებულ შეხედულებას განიხილავს და განსაზღვრავს.

ღირსების ცნებაზე დამოკიდებული ადამიანები საკუთარ ქმედებებში ჩადენილ უღირს საქციელებს (იმას, რასაც თავად მიიჩნევენ უღირსად) საშინლად მტკივნეულად განიცდიან საკუთარ აღქმაში. როდესაც ვინმეს მხრიდან დამსახურებულად იღებენ შეურაცხყოფას, ეს მათთვის სიკვდილის ტოლფასია, ხოლო როდესაც ვინმეს მათთვის დაუმსახურებლად სურს შეურაცხყოფის მიყენება (როგორც ისინი მას თვლიან, რაც თავისთავად ნონსენსია და შეუძლებელია), ისინი მზად არიან საკუთარი კეთილი, ღირსეული სახელის დასაცავად მოიმოქმედონ ყველაფერი, რაც კი შეიძლება და რაც კი არასასურველია. ანუ თითქოს ასე არ სჩანს, მაგრამ ისინი იმდენად არიან დამოკიდებულნი იმაზე, თუ რას იფიქრებს მათზე გარემო, რომ ამ შეხედულებათა სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის მზად არიან ჭეშმარიტების კანონებიც კი დაარღვიონ, რომლებიც მათთვის იმ წამამდე ესოდენ წმინდა და ძვირფასი იყო. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ღირსება, რომელიც პატიოსნებაზე ბაზირდება, კრიტიკულ მომენტებში პატივმოყვარეობაში უცერემონიოდ გადაიზრდება. ვისაც უნდა ღირსების ავადმყოფური ფორმიდან განიკურნოს, არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ის, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ღვთის ნება ვლინდება. რომ მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ რას ფიქრობს ჩვენზე, არამედ ის, თუ რეალურად რანი ვართ და პიროვნულ ასპექტში არ უნდა გვაწუხებდეს ეთიკურად დაბლა მდგომნი რას ფიქრობენ. ეს პატივმოყვარეობით დაავადების პირდაპირი გზაა. უმჯობესია გსურდეს გაიგო ეთიკურად უფრო მაღლა მდგომნი შენზე რას ფიქრობენ და ავტომატურად ორიენტაცია საკუთარ „მე“-ზე დადის, მაღალის, საბოლოო ჯამში კი ღმერთის ძიებისკენ იქნება მიმართული და არა პატივის მიღებისა და შენარჩუნებისკენ. ვინც გარემოს მხრიდან მის მიმართ არსებულ შეხედულებებზე დამოკიდებული არ არის, ის შინაგანად თავისუფალია და ბედნიერებისაგან არ არის შორს. ვინც ამას შეძლებს, ის ავტომატურად დამოკიდებული გახდება თავის ჭეშმარიტ დონეში ჩაღრმავებაზე, ღმერთზე, როგორც მისი რეალური მდგომარეობის ერთადერთ ჭეშმარიტად ობიექტურ შემფასებელზე. მას აღარ აღაფრთოვანებს ვინმეს დაუმსახურებელი ან თუნდაც დამსახურებული შექება (მზე ყოველგვარი შექების გარეშე მოძრაობს და აცოცხლებს მატერიალურ სამყაროს) და აღარ აღაშფოთებს ვინმეს მიერ მისი დამსახურებული ან თუნდაც დაუმსახურებელი ძაგება (პირველ შემთხვევას თუ თვითაღზრდისთვის გამოიყენებს, მეორეს

ადამიანთა განსაზღვრისთვის მოიხმარს). შინაგანი ბალანსისა და წონასწორობის მდგომარეობის შენარჩუნების უნარი ნებისმიერ მდგომარეობაში, როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით ენითგამოუთქმელი, უზარმაზარი ბედნიერების მიღწევას ნიშნავს. ეს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ბედნიერებისა და ბუნებრივობის უმაღლეს გამოხატულებას ნიშნავს.

აგრეთვე, ფრიად საინტერესოა ის, თუ რა მოხდება ამ „ბარიერის“ გადალახვის შემდეგ. მე ვიტყოდი, შემოდის ძალიან უცნაური ტიპის „ბარიერი“, რომელიც მატერიალურ სამყაროში როგორც ასეთად არანაირად არ აღიქმება. ამ პერიოდამდე თუ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას ადამიანად მოვლინებულს, ასე ვთქვათ, მწუხარებასთან ანუ საკუთარ არასრულყოფილებასთან გამკლავებისთვის შესაბამისი სიტუაციები და ყოფითი პრობლემები ეძლეოდა, ამის შემდეგ მიღწეული ჰარმონიის შესაბამისად, რეალურ ცოცხალ სიტუაციაში განხორციელების, თვითრეალიზაციის უფლების, გადატანის უნარის შემოწმების პერიოდი დგება. ეძლევა რა მიწიერი თუ სულიერი კეთილდღეობა მატერიალურ სამყაროს პირობებში არსებული მაქსიმალური ფორმით. ამაში ძალიან დიდი აზრია ჩადებული. ადამიანს მწუხარების გადატანა ძალიან უჭირს, იქნება ეს მატერიალური გასაჭირი, სულიერი დისკომფორტი, თუ უპატივცემულობა გარემოს მხრიდან, მაგრამ მე ვიტყოდი ადამიანის ყურისთვის მეტად უცნაურად აღსაქმელ რაიმეს – სიხარულის გადატანა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მწუხარებისა. ის, ვინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მწუხარება, რომელიც მას შეხვედრია მატერიალური ცხოვრების პირობებში, მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი, მისთვის სიხარულის მინიჭება უკვე შეიძლება. თუკი სიხარულით მიღებულ სიამოვნებას ის არ მიეჯაჭვება და იმის აღქმის უნარს არ დაჰკარგავს, რომ ეს ისეთივე ილუზიაა, როგორც მწუხარების შეგრძნება, რომლებსაც ის ცხოვრების მანძილზე შეხვედრია, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამ ადამიანმა სიხარულის გადატანა შეძლო. ანუ მიაღწია იმას, რომ საკუთარი პირობითი და უპირობო რეფლექსების მონობისაგან გათავისუფლდა, რა თქმა უნდა, ეს ცალმხრივი და ზედაპირული მიდგომაა და კომპლექსური გაშლა აშკარად აკლია, მაგრამ ემოციური ხედვითი გადასახედიდან ეს ყოველივე ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც არის აღწერილი. ვფიქრობ, სასურველია და საჭირო სირცხვილის, სინდისისა და ღირსების ცნებების შემდგომ მომავალ საფეხურებ-

რივ თანმიმდევრობით ცნებასაც კონკრეტული ფასეულობრივი სახელწოდება მიეცეს, რომელიც ესოდენ დიდი წონადობისაა ადამიანის შემთხვევაში. ჩემი განსაზღვრებით, ეს ცნება გახლავთ ყველაზე უფრო მაღალი ეთიკური დონის მქონისთვის დამახასიათებელი – ღმერთის ერთგულება. მე მსურს მისი აღქმა გავათავისუფლო ყოველგვარი ფანატიკური დატვირთვებისაგან და გონებრივ-ჭკუით-გრძნობითი დატვირთვა მივცე, თუმცა რეალურად ემოციური განყოფილების სისტემებში ვიმყოფებით და თვითონაც, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფასეულობა ემოციურ დონეს გადმოსცემს, წიგნის IV ნაწილში მოყვანილი მასალა თითქოსდა ერთგვარ უთანხმოებაში მოდის III ნაწილში მოყვანილ მასალასთან, მაგრამ აუცილებელია განისაზღვროს ეს გაურკვეველი, თითქოს ურთიერთგამომრიცხაობა (მათთვის, რა თქმა უნდა, ვინც ჭეშმარიტად გულდასმით წაიკითხავს ამ წიგნს). აღრევის შთაბეჭდილების მიზეზი ინდივიდუალური სულის რეალური მდგომარეობაა, ანუ ის, თუ რას ეძახის ის სიტყვა „მე“-ს ანუ თავისი „მე“-ს რა ნაწილად აღიქვამს თავის თავს. ისე რომ, რაიმე გაურკვევლობის მიზეზი სჯობს საკუთარ „მე“-ში ეძებოს ნებისმიერმა. ეს ჩემი დაბეჯითებითი თხოვნა იქნებოდა. ახლა უკვე თქვენი ნებაა, როგორც გსურთ ისე მოიქეცით. ის, ვინც ცას წითელს დაარქმევს, მზეს კი – შავს, ამით არც ცა გაწითლდება და ვერც მზე გაშავდება, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ იქნება უაზრო ილუზიაში და მეტი არაფერი.

განსაკუთრებულად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ეს IV ნაწილი ემოციური განყოფილების დამახასიათებელი და განმსაზღვრელია, რაც მატერიალიზაციის შედეგობრივ ასპექტებს უფრო მოიცავს, ვიდრე დანარჩენ სხვა რამეს. მაგრამ ღრმად, არაზედაპირულად შეხედვის შემდეგ ადვილი დასანახი გახდება, რომ უთანხმოება წიგნის არც ნაწილებს შორის და არც ნაწილებში თვითონ არ არსებობს, რამეთუ ის მთლიანად „მე“-ს ოთხი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრაზე და მათთვის შესაბამისად განსაზღვრულ ოთხ ძირითად პრინციპზეა აგებული, რომლებიც წიგნის დაწყებამდე, სარჩევამდე არის მოყვანილი.

მაშ ასე, გავაგრძელებ თემატიკას იქიდან, სადაც გავჩერდი, ანუ ღვთის ერთგულების ფენომენის არსს. ერთგვარ ლირიულ გადახვევას გავაკეთებ და ამ ცნების არაფანატიკური ახსნისთვის ჩემსავე მონანიებისა და აღსარებისმაგვარ რაღაცას გამოვიყენებ, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ იქნა ამოსული ჩემი „მე“-დან და ფურცელზე გადმოღვრილი. სიტყვა სიტყვით ვციტირებ საკუ-

თარ „მე“-ს წარსულიდან: ***„ეს არის ცოცხალი არსების „აქილევ-სის ქუსლი“***. თავისი სიყვარულის ფრქვევისას და სიამოვნების გა-ცემისას ცოცხალი არსება ვიზუალურმა ფარდობითობამ არ უნდა „დააბრმავოს“ და სიყვარულის სახელითა და გულწრფელობის სა-ხელით სუბიექტურობა არ უნდა გამოიჩინოს, მავნებლობაში არ უნდა გადავიდეს და ღმერთს თავი არ უნდა გაუთანასწოროს, გასა-მართლება არ დაიწყოს და თუ ჩარევა აუცილებელია, გარჩევის, განსჯის დროს დაიცვას ობიექტურობის, ნებაყოფილობითობის, არაძალადობისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის აუცილებლო-ბის წმინდათაწმინდა პრინციპები. ე. ი. ეს არის „ეგო“-ს არ გაზ-რდის გზა გრძნობისმიერი საშუალებით. ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი რაოდენობით ზრდის „ეგო“-ს და სამწუხაროდ, ყველაზე ხში-რია ცოცხალი არსებების ცხოვრებაში და საერთოდ, მის გამო მოხ-და პირველი დაცემა. მე ძალიან ძნელად წარმომიდგენია როგორ მოხდება ე. წ. „რეაბილიტაცია“ ანუ ცათა სასუფეველში დაბრუნე-ბა, თუ ამის აღქმა სრულად არ მოხდება ცოცხალ არსებებში. მე პი-რადად ჩემს მთელს არსებას ვუსურვებდი ამაში ჩაწვდომას. „ეგო“-ს „მე“-დ გადაქცევას ცდილობს ადამიანი, თუ „მე“-ს „ეგო“-დ არ გადაქცევას, ორივე შემთხვევაში ერთი რამ არ უნდა დაავიწყდეს და უნდა ახსოვდეს, რომ არავითარმა ფარდობითობებმა არ უნდა ჩაითრიოს და ღმერთის რეალობით, ე. ი. აბსოლუტური ჭეშმარი-ტების ცნებებით უნდა ხელმძღვანელობდეს და თავის შეზღუდულ ფრაგმენტალურ ჭეშმარიტებას მისით ავსებდეს. სთხოვდეს ღმერთს, რომ მან ურჩიოს თუ როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუა-ციაში და დახმარებას რჩევის სახითაც და სხვა ნებისმიერი სახი-თაც ყოველთვის მიიღებს.

„გთხოვ, უფალო ღმერთო, მამაო, მუდამ ჩემთან იყო და რამე-თუ ამისთვის ჩემი რწმენით არ უნდა მავიწყდებოდე არასოდეს, გთხოვ, ისე მოაწყვე, რომ არასოდეს მავიწყდებოდე, რაც არ უნდა მოხდეს. მე მსურს ისე მიყვარდე, როგორც ეს საერთოდ შესაძლე-ბელია ცოცხალი არსების მხრიდან შენდამი. ამაზე დიდი სურვი-ლის ქონა, ჩემი აზრით, უბრალოდ შეუძლებელია. მე მსურს, რომ ჩემი გული ერთი მთლიანი გახდეს და მას გაორება, გასამება და ა. შ. არ დასჭირდეს, რომ მისი ნაწილი კერპებმა არ წარიტაცონ, მა-შინ „მე“-ც გამთლიანებული იქნება და მე სამყაროს უზენაესი გან-მგებლის, ყოვლადძლიერი და ყოვლისმცოდნე ერთი ღმერთის, ყვე-ლასი და ყველაფრის მამის ერთგული და შვილი გავხდები და რო-გორც პინოქიო, ხის ბიჭიდან ნამდვილ ბიჭად გადავიქცევი.

უფალს, ღმერთს ვთხოვ პატიებას, თუ ჩემი უმეცრებით რაიმე მკრეხელობა დაიწერა, ჩემი გულის კარნახითა და ჭკუის გადმოცემით“.

აი, ასეთი სახით აღვიქვამ მე ღვთის ერთგულების ცნებას და მის ფუქნციონალურ თუ ფასეულობრივ არსს. ღვთის ერთგულება გახლავთ ავტომატური გარანტი სირცხვილის არ არსებობისა საკუთარ ემოციებში, რამეთუ სასირცხვილოს ჩადენა ვერანაირად ვეღარ მოხდება ინდივიდის მიერ, რამეთუ ღვთის ნება, ღვთის სიტყვა, ღვთისადმი დაკისრებული მოვალეობა აღარ დაირღვევა. გავიხსენოთ თუნდაც ძველი აღქმიდან პირველქმნილი ცოდვა ადამის მიერ რა სიტყვით იქნა გამომჟღავნებული. მან თქვა – „მრცხვენიაო“ და დაიფარა ფოთლებით ის ადგილი, რითაც შესცოდა ანუ ღვთისაგან დამალულად მისი დანაბარები დაარღვია. ღვთის ერთგულება გახლავთ ასევე გარანტი სინდისის გამრთელებისა შინაგანი დისკომფორტის ყველანაირი ფორმისა გონებაში, რამეთუ შიში ვერანაირი ფორმით ვეღარ დაიმკვიდრებს ინდივიდში და ამ შიშების ნაცვლად სიყვარული დაივანებს, ჩაუღრმავდება რა იმას, ვისი სიღრმეც უნაკლოა. სინდისი ხომ მაშინ აწუხებს ინდივიდის გონებას, როდესაც მნიშვნელოვნების გრძნობით დაავადებული საკუთარ მიზნებს მიწებებული ჭეშმარიტების არსს ამახინჯებს. თუ ჭეშმარიტების განუხრელად დამცველს მიეჯაჭვება, აბა ჭეშმარიტების დარღვევას როგორღა მოინდომებს და თუ ჭეშმარიტებას არ დაარღვევს, არც ამ დარღვევის კარნახის „ინსტრუმენტი“ სინდისი შესძახებს შიგნიდან – „ეი, რა ქენიო?“ შინაგანი ცენზურა ქების მეტს სხვას არაფერს ეტყვის შიგნიდან. და ბოლოს, ღვთის ერთგულება გახლავთ გარანტი ღირსების და, თუ გსურთ, პატივისა და დიდების მიღებისა, რამეთუ ღირსება სხვა არაფერია თუ არა გახდე ღირსი დაიმსახურო ის, რაც დასამსახურებელია და რაც მთელს სამყაროში უნდა ფასდებოდეს და ამ ყოველივეს საუკეთესო განმსაზღვრელი კი გახლავთ სხვა არავინ, თუ არა სამყაროს უზენაესი პიროვნება, უფალი ღმერთი. რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს აღარ დასჭირდება იმაზე ფიქრი, თუ რას ფიქრობენ მასზე მის გარშემო მყოფნი და პატივის ხელოვნური გზით მისაღწევად არ დაიწყებს ათასგვარი უცნაური ხრიკებისა და წინასწარ განსაზღვრული იმიჯის შექმნას სხვადასხვა ხერხების გამოყენებით. ის მას ბუნებრივად ექნება დამსახურებული, თუ ღვთის სამსახურს ღირსეულად და პატიოსნად შეასრულებს და თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა არაფრით, გარდა ღვთის ერთგულებისა.

მხოლოდ ამ ყოველივეს შემდეგ, როდესაც ღვთის ჭეშმარიტ ერთგულებაში ჭეშმარიტად მტკიცე და ურყევი გახდება, ინდივიდს მიენიჭება ახალი ფუნქცია თავად უფალი ღმერთის მიერ, რომელსაც ასეთი სულსწრაფობით ცდილობს ყოველი მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული – თვითრეალიზაციის უფლება. მაგრამ ეს მაშინ მიეცემა ინდივიდუალურ სულს, როდესაც მას თვითრეალიზაციის სურვილი სრულიად გაუქრება ღვთის ერთგულებაში გაწვრთნილს. ეს იქნება ნიშანი მისი ჰარმონიის დონის მიღწევისა და თვითრეალიზაციის უფლების მიღების შემდეგაც კი, იგი ეცდება ღვთის ნების რეალიზაციის საშუალება იყოს და ყოველგვარი პირადი იმპროვიზაციები მასში ფაქტიურად აღარ იქნება. რა თქმა უნდა, დღევანდელი მოსახლეობის თითქმის ას პროცენტს ეს მონობად მოეჩვენება, რამეთუ მათ დღეს, დემოკრატიის ცნების შხამით მოწამლულებს, ღვთის მსახურების სიტკბო და ბედნიერება უჟმურობად, მუდოობად, უაზრობად, შუასაკუნებრივ ველურობად და სიბრმავედ, გაუნათლებლობად, არაკაცთმოყვარეობად და მოკლედ, ყველაფერ საზიზღრობად აქვთ მონათლული, თუ რაიმე არასასიამოვნო შეიძლება ითქვას საერთოდ. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია დაწვრილმანებით ფორმატში განხილვა ისეთი თემისა, როგორიც გახლავთ, ვფიქრობ, ურთულესი ცნება.

თვითრეალიზაციის ცნობიერი არსი

ამ ფრიად საჭირბოროტო თემისთვის იძულებული ვარ შესავალი გავაკეთო, რათა მასში გარკვევის პრაქტიკული თუ ვერა, თეორიული შანსი მაინც მიეცეს ამის მსურველს. ყველაზე რთული ასახსნელი და რაღაცნაირად დასაფიქსირებელი ნებისმიერი ადამიანისთვის გახლავთ ის, რომ ამ ქვეყნად მოვლინება მატერიალიზირებული სხეულის სახით, როგორც ეს ადამიანთა მიერ აღიქმება, მისივე სურვილების-და შესაბამისად მოხდა. თვითრეალიზაციის ორიენტირებული მიმართულება და საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ინერცია მასში უკვე იდო, ვიდრე იგი ამ სხეულში შევიდოდა ან სხეულს შეიძენდა ან, ძალიან მატერიალისტი ადამიანების აღქმით, სხეული გახდებოდა. ანუ მატერიალიზაცია გახლავთ საკუთარი ცნობიერების ნაირსახეობის შედეგი, რომელ ცნობიერებაშიც მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში რაღაცაში დარწმუნების მცდელობა უნდა ხდებოდეს. საკუთარ ცნობიერებას თუ

კრიტიკული თვალით ვერ შეხედავს, მისი მატერიალიზაცია უაზროდ ფუჭად ჩაივლის, ხოლო დარწმუნების საშუალებად კი მისი შეზღუდვა, შევიწროვება, თვითრეალიზაციის მცდელობებში ხელმოცარვა, უსიამოვნება, ავადმყოფობა და ათასი წვრილი რამ საბოლოო სიკვდილის, სხეულის დაკარგვის დაფიქსირება გამოიყენება. ალბათ ამ გადასახედიდან ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ არის ასე. ადამიანს აქვს ორი უდიდესი ნიჭი, ეს არის შინაგანად შეგრძნების (არა შეხებით შეგრძნების) უნარი და გაგონების, ჩაღრმავების (არა ზედაპირული მოსმენის) უნარი. როდესაც ადამიანი ამ ორ უძვირფასეს ნიჭს ვერ ივითარებს და რაც მათში განვითარებული ჰქონდა, მათაც კარგავს იგი, ავტომატურად კარგავს იმ უპირატესობას, რაც გააჩნია ცოცხალ არსებას, საკუთარი ნების გამოვლინების უფლების ანუ თვითრეალიზაციის უფლების სახით. ასეთი ადამიანის სურვილები ე. წ. ყოფითი პრობლემების მოგვარების, ანუ მატერიალური სხეულის ინტერესების მსახურების იქით, ვეღარ გადის. ე. ი. მატერიალურ სამყაროში მოსვლის მიზეზიც, მიზანიც და საშუალებაც სრულიად დავიწყებას ეძლევა და შედეგს მიჯაჭვული როგორც სამყაროსა და ღმერთის, ისე ჭეშმარიტი „მე“-ს ინტერესების იგნორირებას ახდენს. მე გეტყვით ამ შესავლის აზრი რაში მდგომარეობს. ვისაც ეს აქსიომატურად მიაჩნია, მისთვის ამის კითხვას აზრი აქვს. ვისაც ეს თეორიულად მისაღებად მიაჩნია, მაგრამ დამტკიცებას ითხოვს, მისთვის მით უმეტეს აქვს აზრი ამის კითხვას, რამეთუ I ნაწილი, ვინც აქსიომად მიიღო შესავალი, შინაგან ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებს, რამეთუ მასში უკვე დამკვიდრებულის გახსენება იქნება რაღაცა ტიპად „გადამღერებული“ სახით. II ნაწილი ვინც თეორემად მიიღო, შესავალი შინაგან ეთიკურ კორექტირებას მოახდენს საკუთარ „მე“-ში განურჩევლად იმისა, მიიღებს ნაწერში მოყვანილ არგუმენტაციას, თუ არა, რამეთუ მასში ჯერ არ დამკვიდრებულის, ახალი საძიებელი მასალის მიწოდება მოხდება, შეხება მოხდება რაღაც ახალთან, რაც შიდა კომფლიქტს გამოიწვევს გონებაში წესრიგად ჩამოყალიბებულ შტამპდადებულ დამტკიცებულ ფასეულობრივ შეფასებებთან. შემდგომში ამ II ნაწილის წარმომადგენლებში ეს პროცესი არაერთგვაროვნად საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებით გამოირჩევა ხოლმე, მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას, ამ ტიპის ადამიანს ძალიან გაუჭირდება ძიებას დაანებოს თავი, ვიდრე რამე ღირებულს არ ჩამოაყალიბებს თავის აფორიაქებულ, აბურდულ, ურთიერთდაპირისპირებულ, გაღიზიანებულ და დაბნეულ „მე“-ში.

ხოლო III ნაწილს, ვინც არათუ აქსიომატურად არ მიიღებს ამ შესავალს, თეორიულადაც არ დაინტერესდება, მისთვის აბსოლუტური სისულელეა არა თუ ამ შესავლის შემდეგ რაიმეს კითხვა, არამედ, საერთოდ, რაიმეს კითხვა, რაც სხეულს გარდა რაიმეს შეეხება. ეს ნაწილი თავისი რეალიზაციის ერთადერთ მიზნად საკუთარი სხეულისა და ამ სხეულიდან გამომდინარე სხეულების და მათი პირობების ცალსახად და განუხრელად უზრუნველყოფით არის დაკავებული. მათ სხეულის გაჩენისა და მისი ფუნქციონალური რაობის მიზეზით ვეღარავინ ვერ დააინტერესებს მინიმუმ იქამდე, ვიდრე სხეულის არა პირველადობაში, უმნიშვნელობაში, შედეგობრივობის სტატუსში არ დარწმუნდებიან, რაც მხოლოდ და მხოლოდ სხეულის დაკარგვის შემდეგ მოხდება და ისიც მეტად საკამათო საკითხია, ამის შემდეგ მოხდება ეს, თუ ვერა. მაშასადამე, საკუთარი ცნობიერებისა და ცნობიერების შესაბამისად ჩადენილი ქმედებების შედეგს მიჯაჭვა ყველაზე არასასურველ შედეგებს იწვევს.

სიტყვა თვითრეალიზაცია თავად მიუთითებს იმ ცნობიერ აზრზე, რომ ადამიანი იმის რეალიზაციას ახდენს, რასაც საკუთარ აღქმაში გათავისებულ „მე“-ს ეძახის. მაშასადამე, ინდივიდი „მე“-ს გრძნობად აღიქვამს, გონებად, ამბიციად, თუ ემოციად, რეალიზაციის სახე და მიმართულებაც შესაბამისი იქნება. ის, ვინც მხოლოდ სხეულს ეძახის თავის „მე“-ს, ამ „მე“-ს ემოციად აღიქვამს და გრძნობას, გონებასა და ამბიციას იგნორირებას უკეთებს. ის, ვინც არაინდივიდუალური ცნობიერების აღქმულ ნაწილს ეძახის თავის „მე“-ს, ამ „მე“-ს გონებად აღიქვამს და სხეულსაც აღიარებს, მაგრამ გრძნობასა და ამბიციას იგნორერებას უკეთებს. ის, ვინც ინდივიდუალურ სულს ეძახის თავის „მე“-ს, ის გონებასაც აღიარებს და აღიქვამს და სხეულსაც. ხოლო ის, ვინც არაინდივიდუალური ცნობიერების ავტორად და შემოქმედად კონკრეტულ ინდივიდუალურ სულს აღიარებს და აღიქვამს, რომელსაც ადამიანურ ენაზე სამყაროს უზენაესი პიროვნება, ღმერთი ეწოდება, ის გრძნობასაც აღიარებს და აღიქვამს, ამბიციასაც, გონებასაც და ემოციასაც (სხეულსაც). ის კი, ვინც შეძლებს სრულყოფილად მიენდოს ყოველივე მისთვის არსებულის და მისთვის ვერ აღქმულის (არ არსებულის) ავტორს, აღიარებს ამით რა იმას, რომ ეს მისი (ღმერთის) თვითრეალიზაციის შედეგია, მას მიენიჭება უფლება უკვე არსებულ გამოვლინებულობაში, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, საკუთარი შეხედულებების რეალიზაცია ანუ თვითრეალიზაცია მოახდინოს. ის ავტომატურად თავისივე სურვილით დაექვემდებარება

უზენაესი პიროვნების ნებას და მისი ნების რეალიზაციის საშუალებად გადაიქცევა, რაც, ვგონებ, ერთადერთი საშუალებაა ჭეშმარიტად საჭიროებისა და აუცილებლობის რეალიზაციისა. ის ავტომატურად ჩადგება აბსოლუტური ჭეშმარიტების სამსახურში, იმ სამსახურში, რომელშიც თავად უზენაესი პიროვნებაც, ღმერთიც კი დგას. მაგრამ ეს ცნობიერება, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების სამსახურში ხარ მიღებული, ძალიან ხშირად ღმერთთან დაპირისპირების, პირველობისკენ სწრაფვის მიზეზი ხდება ხოლმე. ასე რომ, ვიდრე ინდივიდი სიღრმისეულად ძალიან გამყარებული ვერ არის ღმერთთან საკუთარი „მე"-ს გათანაბრების საკითხში, ვფიქრობ, აბსოლუტური ჭეშმარიტების თემატიკასთან მისი მიკარება არ იქნებოდა სასურველი. სამყაროს, ისევე როგორც ყველაფერს, ერთი მმართველი სჭირდება. მმართველად კი ღმერთი აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ დაადგინა. ემსახურო ღმერთს, ნიშნავს ემსახურო აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ვინც ამას ვერ აღიქვამს, ის ვერც პასუხისმგებლობას (უფლებისა და მოვალეობის თანასწორობის ბალანსს) ვერ დაიცავს. ვინ არის უზენაესი პიროვნება? ის არის თავდაპირველი ანუ ყველაფრის შემომქმედი, შეუმცდარი, ანუ ვიდრე ჩვენ, ინდივიდუალური სულები, საკუთარი სიამოვნების მისაღებად ვეცემოდით და შემდეგ, მის მიერვე გაკვალული გზით, ისევ ზემოთ მივემართებოდით, ღმერთი არ მიჯაჭვებია საკუთარი ქმედებების შედეგებს და რომც მიჯაჭვებოდა რამეს, აბსოლუტური ჭეშმარიტება იმ წამსვე დააყენებდა სხვა მმართველს, თუ მისი მიჯაჭვულობის შედეგად მიღებული ეთიკურ-ჰარმონიული ხარისხი უფრო დაბალი იქნებოდა, ვიდრე სხვა ნებისმიერი პიროვნებისა, რომლის ეთიკურ-ჰარმონიულობის ხარისხი მასთან რაიმე სიახლოვეში იმყოფება, ანუ ის არის ჭეშმარიტად ღირსეული და არა ავტორიტარული დიქტატორი, ის არის ერთადერთი, ვისაც ეკუთვნის ის, რაც აქვს, ის არის ჭეშმარიტად უზენაესი პიროვნება, ის არის ჭეშმარიტად ღმერთი და მეორეც, თუ ვინმეს ჰგონია რომ ღმერთის არ მსახურებით, ამ მსახურებაზე უარის თქმით, თავისი ნებისმერი რეალიზაციის მცდელობით, ვინმეს ან რაიმე სხვას არ ემსახურება, უბრალოდ ღიმილის მომგვრელია გონიერი ადამიანისთვის. ისე რომ, ვინც არ ემსახურება ღმერთს თავისი სურვილით, თავისდა უნებურად ემსახურება რაიმეს ან ვინმე სხვას ე. წ. კერპს, რომელიც, მაამებლობის პოლიტიკით შეიარაღებული, ამ ინდივიდს მნიშვნელოვნების გრძნობას უკმაყოფილებს ერთადერთი შიშით, რომ მისმა მსახურმა (კერპთაყვანისმცემელმა) გონების თვალი არ

გახსნას, ჭეშმარიტი რეალობა არ დაინახოს, ამ სიბნელეში მოქცეულ სიყალბეს ნათელი არ მოეფინოს და მისი ლამაზად შენიღბული თვალთმაქცობა და ფარისევლობა არ გამომჟღავნდეს. ასეთივე მიდგომა სუფევს კერპთაყვანისმცემლის მხრიდან. ამყოფებს რა საკუთარ თავს იმის ილუზიაში, თითქოს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში აკეთებს იმას, რაც მოეპრიანება ან ისეა თითქოს ყველაფერი, როგორც თვითონ უნდოდა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის დასაკმაყოფილებლად იმ შეზღუდვებზე მიდის, რომლებიც საკუთარი სურვილების სარეალიზაციოდ მიიღო. ჭეშმარიტი სიმართლე კი ძალიან მარტივ თეზისზე დაიყვანება, ყველა და ნებისმიერ უფლებას თავისი შესაბამისი მოვალეობა გააჩნია. **მან, ვინც უფლება აიღო რაიმეზე ან ვინმეზე და ამ უფლების შესაბამისი მოვალეობა არ გაითავისა, თვითგაკერპება მოახდინა, ხოლო მან კი, ვინც მოვალეობა აიღო რაიმეზე ან ვინმეზე და ამ მოვალეობის შესაბამისი უფლება არ მოითხოვა, თავისდაუნებურად კერპის თაყვანისმცემელი გახდა.**

ფარდობითობის შედეგად წარმოქმნილ სისტემათა მწვერვალი

ჭეშმარიტი ღმერთის გარემოცვაში და მისი ჭეშმარიტი მსახურების მსურველებში კი უფლება-მოვალეობრივი დისბალანსი მაქსიმალურად მცირე მაჩვენებლებამდეა დაყვანილი და ე. წ. კერპები და კერპთაყვანისმცემლები ფაქტიურად არც არსებობენ და ვერც იარსებებენ. და აი, ვგონებ, მოვიდა იმისი დრო, რომ ამ თავში მოხსენიებული წინა თავთან მიმართებაში ერთგვარი უთანხმოების საკითხი ავხსნა და აღმოვფხვრა კიდეც, რამეთუ ვინც აქამდე წამომყვა და ხელი არ ჩაიქნია კითხვაზე ფრაზით „რა აბდაუბდაა“ ან „ძალიან ძნელი გასაგებია“ ან „დავიღალეო“, რაც, ადამიანურ ენაზე თუ გადავთარგმნით, ასე გამოიყურება: „რაც საჭიროა ჩემთვის ყველაფერი უკვე ვიცი და შესწავლილიც მაქვს, თუ გინდა იქით გასწავლიო“. მაშასადამე, ვინც კიდევ მოდის მათ მინდა ვაუწყო, რომ მათი მეორედ დაბადება, გაზრდა და სიმწიფის ასაკში შესვლა უკვე მოხდა და ახლა სიმწიფის შედეგების გამოვლინების უფლებაც შეუძლიათ მიიღონ. აი, ამისთვის კი ერთი ფარდობითობის სისტემიდან, სადაც აქამდე ვიმყოფებოდით, სხვა ფარდობითობის სისტემაში გადასვლაა საჭირო. რა თქმა უნდა, ესეც ფრიად დამა-

ინტრიგებელი ინფორმაციაა. კერძოდ, მატერიალური ნაწილის თემატიკა სულ სხვა რაკურსში გადავა. ამ ფარდობითობის სისტემაში, რომელსაც ახლა გთავაზობთ, მთელი მატერიალიზირებული ხილული სამყარო მხოლოდ და მხოლოდ საბაბია და მეტი არაფერი. რისი? ინდივიდუალური სულის თვითრეალიზაციის გამოვლინებისა, რომელიც რეალურად ინსტინქტებზე, ჩვევებზე, მიჯაჭვულობებზე, უპირობო და მატერიალიზაციის შემდეგ პირობით რეფლექსებზე დამყარებული, დაფუძნებული და აწყობილი მთლიანად, სრულ თავის გამოვლინებულობაში. ე. ი. მთელი მატერიალური სამყაროს არსობრივი ფუნქციონალური მრწამსი ინდივიდუალურ ილუზიურობის ბაზისზე დგას. მოდით, განზოგადება მოვახდინოთ – რას ნიშნავს ეს ყოველივე. აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი ხდება, ან მოხდა ან მოხდება ერთ პრინციპს, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის, მიცემა-აღების პრინციპს ემსახურება, რაც, დამეთანხმებით ალბათ, მატერიალურ სამყაროში მისაღებ პლატფორმად არ ითვლება. ანუ აბსოლუტურად ყველაფერი ინფორმაციის წვრილი ან მსხვილი ერთეულობრივი ფორმაა. თვითონ ამ ფაქტის არ მიმღები ამ კონკრეტულ ფარდობითობის სისტემაში ვერასგზით ვერ შევა. ჭამა-სმა, სუნთქვა, ხედვა, სმენა, მეტყველება, ფიქრი, შეხება, სქესობრივი სიამოვნება და ა. შ. ეს ყველაფერი ინფორმაციის გადასვლა-გადმოსვლის საშუალებებია და მეტი არაფერი. წინასწარ ვიტყვი, ვინც ყველაფრის ამ ჭრილში ხედვას შეძლებს, ყოველთვის, ყველგან და ყველაფრისგან, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისაგან გათავისუფლდება, რამეთუ ყველა ის მოქმედება, რაც სიამოვნების მიღების საშუალებად აღიქმება, ინფორმაციის აღქმის საშუალებად გადაიქცევიან მისთვის. მიჯაჭვულობას სწორედ სიამოვნების მიღების სურვილი იწვევს. მე ახლა ვეცდები ადამიანური არსებობის პროცესში გარდაუვალი რეფლექსების ნუსხა ჩამოვწერო და რაღაც კანონზომიერებაში მოვიყვანო, რომელთა მსახურებასაც ახდენს ცოცხალი არსება ადამიანად ყოფნის პერიოდში.

რეფლექსების ემოციური სპექტრი

	ემოცია	გონება	ამბიცია	გრძნობა
გრძნობა	დანახვა	გაგონება	ფიქრი	თვითრეალი-ზაცია
ამბიცია	ხედვა	სმენა	ლაპარაკი	ქმედების უნარი
გონება	სმა	ჭამა	სუნთქვა	ორგანიზმის ნარჩენებისგან გათავისუფლე-ბა ორგანული გზით
ამბიცია	დანახულის შე-ხების ნდომის შეგრძნება	აღქმულის მოს-მენის ნდომის სურვილი	ყნოსვა	სქესობრივი ლტოლვა

მაშასადამე, გამოდის, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი სჩადის ფიზიოლოგიური თუ არაფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მთლიანად რეფლექსებზეა დაყრდნობილი. ეს, რაც ჩამოვთვალე ძირითადად მაინც ემოციური სპექტრია. არადა რეალურად რეფლექსებისგან გათავისუფლება უნდა იყოს დედამიწაზე არსებობისას განმსაზღვრელი ფაქტორი. ვნახოთ, არის თუ არა ადამიანში ამის მცდელობა, ანუ გადავიდეთ გონებრივ სპექტრში, რომელმაც ფაქტიურად განაპირობა ამ მიჯაჭვულ-რეფლექსურ მდგომარეობაში ჩავარდნა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამის მცდელობა ხდება და თანაც ყოველდღე, უფრო სწორად კი, ყოველ ღამე. ვნახოთ როგორ. ის, რომ ძილის გარეშე ვერც ერთი მატერიალიზირებული ცოცხალი არსება ვერ გაძლებს, ეს, ვფიქრობ, აქსიომაა (აღმოსავლეთში წამების ყველაზე სასტიკ მეთოდად ძილის საშუალების არ მიცემა ითვლებოდა). სწორედ ძილის დროს ხდება მატერიალიზირებულ ინდივიდში საკუთარ „მე“-ში არსებული მუტირებული, არაეთიკური ნაწილის არსისა და რაობის გახსენება და აღდგენა. მას ეძლევა საჭიროების, აუცილებლობის შეხსენების საშუალება და ნებით თუ უნებლიეთ საკუთარი მატერიალიზირების მიზეზს უბრუნდება ინფორმაციულ დონეზე. ეს შეიძლება იყოს სიზმრით, შეიძლება უსიზმროდ, მაგრამ ძილის ფენომენის უმთავრესი არსი და ფუნქციონალური დანიშნულება სწორედ ეს გახლავთ. გამოღვიძების, ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდგომ საკუთარ „მე“-ში მუტირებული ნაწილის შესაბამისი თვითრეალიზაციის სურვილით დამუხტული იღვიძებს, მაგრამ ამ დამუხტულობის განმუხტვას მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებაში დამყარებული აუცილე-

ბელი საჭირო ქმედებები, რომლებიც საზოგადოებაში ცხოვრების განუხრელი ატრიბუტია, ამის საშუალება მხოლოდ განდეგილს, განზე მდგომ ადამიანს თუ მიეცემა საზოგადოებიდან შორს ყოფნის პირობებში. ანუ უპირობო რეფლექსების ანალიზის უზარმაზარი სურვილითაც რომ იყოს დამუხტული ადამიანი, პირობითი რეფლექსები მას ამის საშუალებას უბრალოდ არ მისცემს. ვინც საკუთარ თავში ჩაღრმავებას მოინდომებს, ის საზოგადოებაში დამკვიდრებულ ადგილს უბრალოდ დაჰკარგავს. აი, რატომ არის განდეგილობა ღმერთთან და ჭეშმარიტებასთან დაახლოვების ერთ-ერთი უსერიოზულესი პირობა. შემდეგ, დღის განმავლობაში პირობით რეფლექსებზე დამყარებული საქმიანობით დაკავებული ადამიანი სრულიად ივიწყებს უპირობო რეფლექსების არსებობას და უკვე ჩვეული ან განწესებული დღის განრიგით ცხოვრობს მთელი ცხოვრება დღე-ღამის ამ კონკრეტულ პერიოდში. ამის შემდეგ, დღის ბოლოსკენ, ანუ საღამოსკენ ადამიანი ამ პირობითი რეფლექსების მიერ განწესებული საქმიანობიდან თავისუფლდება. თავისუფალი დროის ერთგვარი ვაკუუმის გაჩენასთან ერთად უპირობო რეფლექსების გამოღვიძება ხდება და უკვე არა პროგრამული, არამედ სპონტანური სახით ხდება მათი ჩახშობა. ადამიანი დღის მანძილზე ჩადენილი საქმიანობის შემდეგ უკვე, ამ საქმიანობათა შედეგებს მიეჯაჭვა და მასში ამოტივტივდა სიტყვა „დავიღალე“. მას ახალი, თან ამდენად სერიოზული საქმიანობით დაკავება სულაც არ ხიბლავს. რაც შეეხება იმას, თუ რითი ხდება ეს ე. წ. სპონტანური ჩახშობა არის ის, რასაც დღეს ასე ეტრფის მთელი პლანეტა. ეს გახლავთ „გართობა“ ანუ დროის კვლა, ცალსახად სიამოვნების მიღების მიზანდასახული მცდელობა. ვინაიდან ცოტა ფურცლები მაქვს დარჩენილი გართობის სახეობებზე არ დავკონკრეტდები. ეს, ვგონებ, ყველასთვის ხელმისაწვდომი თემაა მისი ნუსხის თვალსაზრისით. აი, ასე გრძელდება ეს 24 საათიანი მარათონი, დაძინებამე. შემდეგ კი, ახალი წრებრუნვა იწყება და ასე გრძელდება, ვიდრე ადამიანის უპირობო რეფლექსებზე კონცენტრირების შანსები ნულზე არ დაიყვანება, შემდეგ კი, მოდის ის, რაც ადამიანებს არ უყვართ – „სიკვდილი“.

მაშ ასე, თუ მატერიალური სამყარო უბრალოდ საბაბად გადაიქცევა ამ კონკრეტულ ფარდობითობის სისტემაში, მაშინ რა იქნება მიზეზი? ამ სისტემის გადასახედიდან მიზეზი ყოველივესი გახლავთ – აბსოლუტური ჭეშმარიტება. ამ ფარდობითობის სისტემას აქვს უფლება თქვას, რომ მასზე მაღალი ხარისხის სისტემა არ არ-

სებობს. ის ზემოთ რაიმესთან ფარდობითობაში არ იმყოფება, ანუ ეს არის არსებული რეალობის ამსახველი სისტემა. აბსოლუტური ჭეშმარიტება კი გახლავთ ეთერი. ის ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში იყო, არის და იქნება. მისთვის არ არსებობს ორმაგოვნების ცნებები. ბოროტი ან კეთილი, ცუდი ან კარგი, ლამაზი ან მახინჯი. ის არის ის, რაზეც ეყრდნობა, ბაზირდება აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი სამყაროს უზენაესი პიროვნების, მამა ღმერთის ჩათვლით. ალბათ გაჩნდება კითხვა – მაშინ ვინ იქნება მამა ღმერთი? მამა ღმერთი ამ სისტემის გადასახედიდან არის აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსებისათვის, ვისაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშან-წყალი გააჩნია, მიზანი. დიახ, ის უკლებლივ ყველასთვის უნდა იყოს უალტერნატივო, ვერავისთან ვერ შესადარი ავტორიტეტი და მასთან ვინმეს შედარებაც კი შინაგანი მკრეხელობის გრძნობას უნდა იწვევდეს ნებისმიერში, ვინც ამას მოიმოქმედებს. კიდევ მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ ჩემი შეხედულებით, ეს სისტემა, ახლა რითაც ხდება ხელმძღვანელობა, უმაღლესია და მასზე უფრო მაღალი სისტემა უბრალოდ არ არსებობს.

ამ საკითხის შემდეგ ჩნდება კითხვა: ვინ არიან ინდივიდუალური სულები, რომლებიც მამა ღმერთის კომპეტენციის, ძალაუფლების ქვეშ იმყოფებიან? აქ ერთგვაროვნად ძალიან ძნელია რაიმეს თქმა. ისინი მინიმუმ ორ ნაწილად უნდა გაიყვნენ: მატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებად და გათავისუფლებულ განმატერიალიზირებულ ინდივიდუალურ სულებად ე. წ. ნახევარღმერთებად, მაგრამ, საერთო ჯამში, ამჯერად მე უფრო განზოგადებას ვეცდები. ამ კონკრეტული სისტემის გადასახედიდან, უკლებლივ ყველა ინდივიდუალურ სულს შეიძლება ერთი ზოგადი გრაფა მოვუძებნოთ, ისინი არიან საშუალებები, როგორც ჭკუის, კოსმიური ჭკუის განბნეული იმპროვიზაციული ვარიაცები, რომლებიც ათასგვარი სახის წინადადებებით, ნოვაციებით, რეფორმირებით იდეებით (და რა ვიცი კიდევ რა შეიძლება ეწოდოს) არიან სავსენი. ისინი საშუალებები არიან ერთმანეთისთვისაც და ძალიან, ძალიან იშვიათად ალბათ, მაგრამ იქნებ თვით მამამ ღმერთისთვისაც კი შეიძლება გახდნენ საინტერესონი, როგორც რაღაც ახალის საშუალებები, აბსოლუტური ჭეშმარიტებისთვისაც საშუალებები არიან, მაგრამ ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას რაიმე სამსახური გაუწიონ. ინდივიდუალურ სულთა საშუალებად ყოფნის ყველაზე დიდი, უზარმაზარი სპექტრი მოდის იმ შედეგებზე, რასაც ისინი თავისი ქმედების შედეგად ტოვებენ.

სწორედ ეს საკითხია ინდივიდუალურ სულთა საკითხის შემდეგ. როგორ განიხილავს ეს კონკრეტული სისტემა აბსოლუტურად ყველაფერს, რაც კი არსებობს ჩვენი აღქმით გამოვლენილ და ჩვენი აღქმისთვის მიუწვდენელ გამოვლენილ მდგომარეობაში, ან თუნდაც, რაც იყო გამოვლენილი და განადგურდა და რაც ჯერ არ არის და გამოვლინდება. ეს სისტემა ამ კონკრეტულ კოსმიურ გამოვლინებებს აღიქვამს **შედეგად**.

აი, ამ სახით, შეიძლება ითქვას, შეიცვლება ე. წ. ფარდობითობის სისტემა, თუკი მატერიალიზირებულ სამყაროს, თუნდაც საკუთარი მატერიალური სხეულის მაგალითზე, გაცილებით უფრო რეალისტურად მოვინდომებთ ჩაღრმავებას.

ერთმა ადამიანმა მითხრა, რომ ამ ცნობიერების ჩამოყალიბებით მე თურმე, ყველანაირ მატერიალურ ხიბლს ვაკნინებ და ყველანაირ გემოს ვაცლი, რომ თუ ამ სიღრმეში ჩავალთ, მაშინ იმ არარაობას დავინახავთ, თურმე, რაზეც ჩვენი ყოფიერება ყოფილა აწყობილი და დაფუძნებული. თან, ეს ისე მითხრა, თითქოს მსაყვედურობდა – რატომ გინდა დამანახო, რომ რაც ვაშენე მთელი ცხოვრება, უაზრობა ყოფილა, მე ხომ ამას უკვე ვეღარ შეველევი და ახალს ვეღარ ავაშენებო. მე კი ვუპასუხე – ვისაც სურს ილუზიაში იყოს, ნება მისია, მე კი ილუზიაში ყოფნას რეალობა მირჩევნია.

თავი V

ადამიანად მოვლინების მიზეზი

თუ გსურს მაქსიმალურ ბედნიერებას, ნეტარებას მიაღწიო, სიკეთე უნდა ჰქმნა. იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიკეთე ჰქმნა (კეთილისმშობელი გახდე) საჭიროა ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება შეძლო. ამისათვის კი, ჭეშმარიტი ცოდნა უნდა მიიღო. იმისათვის, რომ ეს ცოდნა მიიღო, უზენაესი ცოცხალი არსების, უფალი ღმერთის მიერ განჭვრეტილი მომავალი უნდა დაინახო. იმისათვის, რომ ეს მომავალი დაინახო, საჭიროა შენი საკუთარი წარსული დაინახო ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ ეს წარსული დაინახო, საჭიროა შეიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება. იმისათვის, რომ ეს შეძლო, საჭიროა მიიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა.

Коль нужна воля, действие твое,
Чтобы добру какому-то свершиться
То сделай это и если правильно ты сделал,
В твоей душе весь мир в радужных цветах
изменится.

ყოველივეს ურთიერთშეთავსების მცდელობისას რაღაც ნაწილით, მთლიანის ფრაგმენტით ხელმძღვანელობა ფუჭი და უაზრო ქმედება იქნებოდა.

დავიწყებ იქედან, რა სურვილით ხდება დღესდღეობით ინდივიდუალური სულის ადამიანად მატერიალიზება. ამისთვის, ალბათ, ცოტა ვრცელი შესავლის გაკეთება მომიხდება, რათა მთელის, სრულის მოკლე მონახაზი გავაკეთო. აუცილებლად მიმაჩნია ოთხი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ფასეულობის მოკლე განხილვა. ესენია: <u>სიამოვნება</u>, <u>კმაყოფილება</u>, <u>წესრიგი</u> და <u>ჰარმონია</u>.

სიამოვნება და კმაყოფილება ცოცხალი არსების სიცოცხლის ტაქტიკური ნაწილის განმსაზღვრელი ასპექტებია. ერთი შეხედვით, ისინი თითქოს ერთი და იგივე არსის ცნებებს ჩამოჰგავს, მაგრამ, უკეთ დაკვირვების შემთხვევაში, ადვილი აღმოსაჩენია ძალიან დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება. სიამოვნება, თავისი ბუნებით, მაინც ვნების ნაირსახეობას წარმოადგენს და სიტკბოებას, სიამეს მოიაზრებს თავის არსობრივ რაობაში უფლებამოვალეობრივი კონტექსტით, როგორც საუკეთესო ნაწილი ემო-

ციისა, უნდა გაიცეს ე. ი. ბუნებრივ მოვალეობას წარმოადგენს. კმაყოფილება კი მაინც უფრო კონკრეტულის, შეცნობადობის შეგრძნებას წარმოადგენს თავისი ბუნებით. თუ ამბიციის თვალთახედვით შევხედავთ, ეს არის ყოფითკმარობა, ანუ ის მდგომარეობა, რაც ჰქონდა ცოცხალ არსებას საკუთარი ნების გამოვლინებამდე (ე. ი. ნარაიანაში, ნირვანაში), იქ საითაც არის მიმართული იოგების, ბუდიზმის მიზნები.

ყოფითკმარობა პირდაპირ მიუთითებს სურვილის შესრულების მდგომარეობას, უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით, როგორც საუკეთესო ნაწილი ამბიციის პროდუქციისა, უნდა მიენიჭოს ე. ი. ბუნებრივ უფლებას წარმოადგენს.

წესრიგი და ჰარმონია ცოცხალი არსების სიცოცხლის სტრატეგიული ნაწილის გამსაზღვრელი ასპექტებია.

წესრიგი არის სრულყოფილების გამოვლინების რეალიზაციის მცდელობა სტატიკაში, უმოქმედობაში გადასვლა საკუთარი ინდივიდუალიზმის გადასახედიდან. უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით წესრიგი (წესი და რიგი) გონების პრეროგატივაში შედის და ერთგვარი კონსტიტუციაა, რომელსაც ინდივიდუალური სული ამკვიდრებს. ჰარმონია არის სრულყოფილების გამოვლინების რეალიზაციის მცდელობა, კინემატიკაში ანუ მოქმედებაში გადასვლა საკუთარი ინდივიდუალიზმის გადასახედიდან. უფლება-მოვალეობრივი კონტექსტით, ჰარმონია გრძნობების პრეროგატივაა და ყველანაირ კონსტიტუციაზე მაღლა მდებარეობს და ყველას და ყველაფერს, ნებისმიერ სიტუაციას უდგება არა „სახაზავით“ და „შაბლონით“, არამედ ინდივიდუალურია აბსოლუტურად ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში.

სიამოვნება, ნებაყოფილობითობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის განმაპირობებელი საბაბი და მიზეზია.

კმაყოფილება, უშუალობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის დამთავრების საბაბი და მიზეზია.

ჰარმონია, გულწრფელობის პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის არსებობის საბაბი და მიზეზია.

წესრიგი, სრულყოფილების პრინციპის გამოვლინებაა და გამოვლენილი ნაწილის <u>ყოფიერების</u> საბაბი და მიზეზია.

სწორედ წესრიგის პარამეტრი განაპირობებს, რაიმე სახით მოწესრიგების შემდეგ, ასეთად მისი დატოვების, „გაყინვის“, „გაუნძრევლობის“, შენარჩუნების სურვილს, რომელსაც საკუთარი ნების გამოვლინების რეალიზაციით, კმაყოფილების მიღებით მიაღ-

წია, ხოლო ჰარმონიის პარამეტრი ახდენს ამ მოწესრიგებულის ხარისხის შეფასებას ფარდობითობის ფარდის მოხსნით, მისი რეალური სრულყოფილების ხარისხის შეფასებით „ქვადქცეულში“ ადვილად გამოჰყავს სტატიკიდან. თუ წესრიგი მართლა სრულყოფილია, მყუდროება არანაირი ძალისხმევით არ უნდა დაირღვეს.

ცოცხალ არსებას ეძლევა პროვოცირება, რაიმე სიამოვნების რაიმე სახეობის, რაიმენაირი სახით. თუ ცოცხალი არსება მოინდომებს ამ სიამოვნების მიღებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მის მიერ აღქმული საკუთარი სრულყოფილება ბუტაფორიულია და ისე მიისწრაფვის მისკენ, როგორც თევზი ანკესზე წამოცმული ჭიაყელასკენ. ვინაიდან საკუთარი წესრიგის არასრულყოფილად აღიარება, საკუთარი ნებით დაშლა და გადაწყობა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება, იწყება სიამოვნების საგნის ძიება, რომელსაც შეუძლია მისცეს მას სიამოვნება, რომელიც თავად არ გააჩნია. შემდეგ ცდილობს ამ ობიექტის დაკმაყოფილებას, რათა მისგან მიიღოს ის, რაც სურს და ა. შ. როგორ ლამაზადაც არ უნდა იყოს შეფუთული ეს პროცესი, არსი ეს არის და ამას ვერავინ ვერ გაექცევა. უბრალოდ, სასურველი იქნებოდა ცოცხალი არსება მისულიყო იმის გაგებამდე, რომ მისი სრულყოფილების მაკეტი ყოველთვის არასრულყოფილი იქნება აბსოლუტურ ჭეშმარიტ სრულყოფილებასთან შედარებით.

რატომ არ გააჩნია ცოცხალ არსებას ეს კონკრეტული სიამოვნება? იმიტომ, რომ მასში ამ სიამოვნების შედეგის ჭეშმარიტი ფუნქციონალური რაობა აღქმული არ არის, იმიტომ, რომ ეს მისი წესრიგის მაკეტის, მისი „მე“-ს საზღვრებს იქით იმყოფება და მისთვის ეს უკვე „ეგო“-ს ე. ი. უცხო ტერიტორიაა. გამოდის რომ ცოცხალ არსებას მის საზღვრებს გარეთ არსებულის შეგრძნება უნდა, საკუთარი საზღვრების გახსნა კი (საკუთარი მსოფლმხედველობის შეცვლა) არ სურს. მაგრამ ეს სურვილი იმდენად ძლიერია, რომ საზღვარს გარეთთან კონტაქტზე უარის თქმა შეუძლებელი ხდება და ამისათვის ცოცხალი არსება ყველაფერზე მიდის. რა შედის ამ ყველაფერში: 1) საკუთარ საზღვრებში შეტყუების მცდელობა სიმართლით, თუ ტყუილით; 2) დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, ანუ ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ვაჭრობა-გარიგება – მე შენ ამას მოგცემ, რაც შენ გინდა, შენ კი იმას, რაც მე მსურს; 3) საკუთარი საზღვრების არეალში დადარაჯება და მოახლოებული სასურველი ობიექტის შეთრევა უკვე ძალისმიერი მეთოდების ჩარევითა და გამოყენებით; 4) საკუთარი საზღვრების გა-

ფართოება იმ ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე, სადაც სიამოვნების ობიექტები იმყოფებიან.

ეს ყოველივე კი იმიტომ მიიღება ამ სახით, რომ ყველა ამ ქმედების სათავე საზღვრების ასეთად შენარჩუნების უზენაესობიდან გამომდინარეობს. ამისდა შესაბამისად, ყველა და ნებისმიერი, ვინც ამ საზღვრებს შიგნით არ მდებარეობს, პოტენციურ დაპირისპირებულ ძალად, ანუ მტრად, უცხოდ მოიაზრება და აი, მივიღეთ ე. წ. „ეგო“. ამ მტრად აღქმულ ნაწილს კი აღმოჩნდა, რომ აქვს ის, რაც საზღვრებს შიგნით არ არსებობს და ამის საშოვნელად და ასაღებად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით ხდება ხელმძღვანელობა, რამეთუ უცხოსთან ეს გამართლებულად არის ჩათვლილი და აღქმული.

მეორე მხარეს ამ ურთიერთობებისა, ანუ მათ, ვისგანაც, ან ვისი მეშვეობითაც, ცდილობენ სიამოვნება მიიღონ, ამ ოთხ ვარიაციულ შემთხვევაში ასეთი პოზიციები ექნებათ.

1) საკუთარ საზღვრებს გარეთ გასვლის მცდელობა, საკუთარ თავში არსებული უპირატესობის შეგრძნების რეალიზებისთვის; 2) საკუთარ საზღვრებში არსებული იმ ფასეულობების ჩალის ფასად „გაყიდვა“, რომელიც აღარ ფასდება, რამეთუ ისინი იმპროვიზაციულად, ინდივიდუალური აზროვნებით შექმნილი ფასეულობებით ჩანაცვლდა და ვგონებ, ისიც კი გასაკვირად აქვს ამ მხარეს, რაში სჭირდება მისთვის საოცნებო საზღვარს გარეთის წარმომადგენელს ეს „ძველი ნაგავი“, მაშინ, როცა ჭეშმარიტად ღირებული სწორედ ის არის. 3) საკუთარ საზღვრებში შექმნილი ურთიერთგაუგებრობის გამო საკუთარი თავის ვიღაცისთვის შეცოდების, უდანაშაულო მსხვერპლად თავის ჩვენების მცდელობა და საბოლოო ჯამში, მართლა მსხვერპლად გადაქცევა დაინტერესებული მხარისა. 4) საკუთარ საზღვრებში სრული ქაოსის და დაპირისპირების დამკვიდრების შემდეგ, ფაქტიურად, თვითმკვლელობა, თვითლიკვიდაცია და საზღვარს გარეთის ნაწილად ქცევა, ანუ საზღვრების, საკუთარი „მე“-ს სრულიად დაკარგვა და „ეგო“-დ გადაქცევა.

საინტერესოა, ეს რაღატომღა მიიღება ამ სახით? აშკარად ჩანს, აქ საზღვრების შენარჩუნებაზე ლაპარაკი არ არის, პირიქით, „საზღვარს გარეთასთან“ გაერთიანების, უცხოს, მტრის, „ეგო“-ს ხატის „მე“-დ მონათვლის მცდელობაა. თითქოს რა შეიძლება იყოს ამაში არასწორი და ცუდი? ყველაფერი მშვენივრად იქნებოდა, ალბათ, რომ არა „ეგო“-სთან გათავისების მცდელობა „მე“-სთან გაუცხოვების, „მე“-ში „ეგო“-ს გაჩენის, შექმნის ფასად.

<u>და მაშინ როგორ ვიპოვო გზა ჭეშმარიტი</u>?

ერთი რამე უნდა გაიგოს ყველა ცოცხალმა არსებამ, რომ მან უკვე გამოხატა თავისი უმეცრება თავისი აღქმის იმ ნაწილში, სადაც თავისი წარმოსახვით „ეგო“ შექმნა. იგი, უხეშად რომ ვთქვათ, უკვე დამნაშავეა სამყაროს იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც უცხოდ, ხშირ შემთხვევაში კი, მტრად მონათლა და სასურველი იქნებოდა ის მაინც ეცადა, რომ ზიანის მიყენებაზე, ხელაღებით განკითხვაზე, შეურაცხყოფაზე აეღო ხელი, ერთი სიტყვით ნეიტრალიტეტი დაეცვა. უკვე ვიცი რასაც იტყვით, ისინი რომ არ იღებენ ხელს? ჯერ ერთი, რასაც გასცემთ, იმას მოიმკით. მოდით, ყველამ თავის თავზე აგოს პასუხი. ჯერ სცადეთ და მერე თქვით – „არ ღირს“. ეს პირველი, ვისაც გამოადგება, თქვენ თვითონ ბრძანდებით. მეორეც, თუ თქვენი ძაღლი ან კატა სახლში გაზარდეთ, საკვები და მზრუნველობა, სითბო და სიყვარული არ მოაკელით, თქვენს ეზოში შემთხვევით მოხვედრილი ძაღლი რომ სცემეთ, ჩანგრეულ ფერდებში წიხლი უთავაზეთ და ისე გააგდეთ, რატომ გიკვირთ, რომ მას ქუჩაში თქვენი დანახვისას თქვენი დაკბენა მოუნდება, ანდა ქუჩაში შეხვედრისას, უცბად, „სიკეთის ჭია“ რომ შეგიჯდეთ და მის დასაპურებლად საუკეთესო ხარისხის ძეხვი ამოიღოთ ჩანთიდან და მან ღრენით გიპასუხოთ, ეს გაგიკვირდებათ? ის ხომ თქვენ <u>აღარ გენდობათ</u>!!!

როცა „ეგო“ ვუწოდეთ მთლიანის ნაწილს, მაშინ დავთესეთ სწორედ უნდობლობის მარცვალი. მე რომ მკითხოთ, ყველაზე დიდი შეურაცხყოფა უსაფუძვლო უნდობლობაა (უსაფუძვლოც იმისათვის ვიხმარე, რომ შემერბილებინა) და ამ უნდობლობის აღმოფხვრა და ამოძირკვა მხოლოდ ნდობის აღდგენით შეიძლება. ეს ძალიან ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესის განმავლობაში თუ რაიმე უნდობლობა დაუთესია ცოცხალ არსებას, უკლებლივ ყველა უკან უბრუნდება რეალურ ცხოვრებაში რეალიზაციით, იმის აღქმაში – დასახმარებლად, თუ რეალურად რას სჩადიოდა.

თვითონ როცა ჩხვლეტდა ქინძისთავით სხვას, ვერ გრძნობდა, მაგრამ თვითონვე როცა ჩხვლეტენ იმავე ქინძისთავით, იმავე ადგილზე, იმავე ძალით, უკვე სტკივა და აღარ უნდა მოუნდეს სხვას უჩხვლიტოს. ***<u>ვინც შურისძიების იდეას თავს დააღწევს, სწორ, ჭეშმარიტ გ ზას დაადგება</u>***.

უფრო მოკლე დროში ამის გაკეთება გულახდილი მონანიებით შეიძლება, წარსულის შეცდომების, ცოდვების აღიარებით. უფრო მოკლე დროში ეს შესაძლებელია იმ ფასეულობების გადაფასებით,

რომელთა გამრუდებული ხედვის გამო მოხდა შეცდომების დაშვება.

ხოლო ყველაზე მოკლე დროში, ეს შესაძლებელია გულწრფელი სიყვარულის, სიამოვნების უანგარო გაცემით „ეგო“-ს კატეგორიის „მე“-ს კატეგორიაში გადაყვანით.

მაგრამ, სანამ ასეთ სასწაულებს მოახდენთ, მე გთავაზობთ, საკუთარ თავში ნეიტრალიტეტის დაცვას, ანუ თავი დაანებეთ უკმაყოფილების ფრქვევას, დაიცავით ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის წმინდა პრინციპი.

მაშასადამე, უკვე შეიძლება დავკონკრეტდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა სურვილის შესაბამისად ხდება დღეს დღეობით ინდივიდუალური სულის ადამიანად მატერიალიზირება. ინდურ ფილოსოფიაში ეს მოხსენიებულია როგორც მაؤას (ილუზიის) უკანასკნელი ხაფანგი, ანუ ღმერთის (სრულყოფილი ინდივიდუალური სულის) მხრიდან წაქეზება, მის გარშემო მყოფმა ჭეშმარიტების ცოდნის და სიყვარულის შეგრძნების მაღალი კოეფიციენტის მქონე ინდივიდუალურმა სულებმა თავი გაუთანასწორონ თავად ღმერთს. დედამიწაზე კი ამ ილუზიაში შესულთ საკუთარი შეხედულებების რეალიზაციის დემონსტრირების საშუალება ეძლევათ. ამ პატარა პლანეტაზე ხომ ადამიანი ისევეა, როგორც ღმერთი სხვა უამრავი სახეობის ცოცხალი არსებებისთვის, მაგრამ ვინც ამ ილუზიას ვერ გადალახავს და უფრო მეტიც, თავისი შეხედულებების შეცვლას არ შეეცდება, მისი მატერიალიზაცია უაზრო იქნება. ვინც შეეცდება ილუზიიდან გასვლას, წარმატებას მიაღწევს დედამიწაზე არსებობის პერიოდში, ხოლო ვინც შეძლებს ილუზიიდან სრულიად გასვლას, დედამიწაზეც უბედნიერესი იქნება ადამიანთა შორის და დედამიწის დატოვების შემდეგაც, რამეთუ აღარასოდეს მოუწევს მატერიალურ სამყაროში დაბრუნება და სამუდამოდ გადაინაცვლებს სულიერ სამყაროში.

ასე რომ, მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ადამიანად მოსვლა უკვე უზარმაზარი წარმატებაა ცოცხალი არსებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი შუალედური (ბოლოსთან ძალიან მიახლოებული) რგოლია მთავარი მიზნისკენ სვლის პროცესში.

ამ საკმაოდ რთული პროცესის გაგებისთვის და გონებით ჩაწვდომის შემდგომ მისი შეგრძნებისთვის, არაემოციური, გრძნობისმიერი შეგრძნებისათვის შევეცდები შევაერთო წინამდებარე ოთხივე თავის არსობრივი, სიღრმისეული წვდომის შედეგები, რომლებიც ამ წიგნში ასე თუ ისე უკვე გავლილია. ისინი ერთგვარი ოთხი

ვექტორული, კოორდინაციული შემადგენელი ნაწილები არიან ერთი მთლიანისა, სრულისა. ეს ისეთი ნაზავი იქნება, რომელიც დაამზადებს ნეტარების ნექტარს, შემოიტანს ტრანსის შეგრძნების საშუალებას, რასაც ადამიანები ჩვენს ეპოქაში „კაიფს“ ეძახიან, რისთვისაც დაკავებულები არიან ამორალური სექსუალური ურთიერთობებით, ბრუვდებიან ჭკუის გამაბრუებელი ნარკოტიკებით, ან იხარჯებიან ძალაუფლების მოპოვებისთვის შრომით, ან სპეკულაციური ცოდნის შეძენის და შემდომ მისი თავზე მოხვევის მცდელობით.

მთავარი მიზნისკენ სვლის პროცესი

თუ მტრის ცნებაზე, საფრთხის ცნებაზე და მის არსებობაზეა ლაპარაკი, რომელიც შინაგანი სიმყუდროვის დარღვევასა და ტრანსში მოხვედრის ხელისშემშლელი მდგომარეობის დამკვიდრებას იწვევს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ხორცშესხმული ცოცხალი არსების, ამ შემთხვევაში, ადამიანის შიგნით არის და იქ უნდა ეძებოს პირად, ინდივიდუალურ „მე“-ში. რაც შეეხება გარემოს, იგი, უბრალოდ ასე ვთქვათ, ახმოვანებს, თვალისთვის დასანახს, ყურისთვის გასაგებს ხდის მას, რაც აღქმული არ არის გონების მიერ. ის, ვინც ვერ შეძლებს ამის ასე დანახვას, გარემოში დაიწყებს მტრების ძიებას, მასთან ომს (რეალურ დაპირისპირებას) და ამით ილუზიაში იქნება, ვიდრე არ გაასწორებს ამ მიდგომას. ე. წ. მტერს შიგნით, საკუთარ „მე“-ში უნდა ებრძოლო გონებისმიერი ცოდნის, განათლების გაზრდის იარაღით და გრძნობადობის, გრძნობისმიერი ობიექტურობის გაღრმავების უნარის (გულწრფელობის) აწევით.

როდესაც ადამიანი სარკეში იყურება, ხედავს თავისი დროებითი სხეულის ანარეკლს აბსოლუტურად ზუსტი კოპირებულობის ხარისხით. აი, სწორედ ასევეა გარემო, მთელი მატერიალიზირებული სამყარო და რაღა თქმა უნდა, უდავოდ, საკუთარი მატერიალური სხეულიც მხოლოდ და მხოლოდ ანარეკლია, სარკეში დანახული გამოსახულებაა საკუთარი შინაგანი სულიერი მდგომარეობისა. ყველაზე რთულია ამ ანარეკლს, დანახულ გამოსახულებას არ მიეჯაჭვო, არ ჩაეთრევინო (ჩაგითრიოს) და არ დაგავიწყდეს, რომ ის მხოლოდ საშუალებაა არ დანახულის, არ აღქმულის, არ შესმენილის და არ შეგრძნებულის აღქმისა. ის მხოლოდ საბაბია, რომ საკუთარ სულიერ შედეგს სერიოზულად გადახედო. არ უნდა მოინ-

დომო მართო, აკონტროლო გარემო ან გახდე მართული, კონტროლირებული გარემოს მიერ. უმჯობესია შეძლო საკუთარი „ეგო“, ანუ შინაგანი ქაოსი დაიყვანო საკუთარი „მე“-ს, ანუ მყუდროების კონტროლის დონეზე. მაშინ „სარკეში არეკლილი გამოსახულება“ მეგობრად, დამხმარედ გადაიქცევა იმის დანახვაში, თუ როგორ მოახერხო საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ში არსებული დისჰარმონიის კორექტირება. სამწუხაროდ, ჩემთვის ეს ჯერ კიდევ ძალიან რთულ საკეთებელ საქმეს წარმოადგენს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს შესაძლებელია. უმთავრესი ამ საქმიანობაში არის ის, რომ ანარეკლში მიღებულ არანაირ შედეგს არანაირი სახით არ მიეჯაჭვო. ნებისმიერი სახის მიჯაჭვა საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობით (ემოციებით), დაავადების გამოვლინება იქნება და მეტი არაფერი. ანუ პრობლემა, როგორც ასეთი, ყოველთვის უნდა ეძებო შენს შიგნით და არა შენს გარეთ, მატერიალურ გარემოში. ვინც ამას შეძლებს, ის ადრე თუ გვიან ბოლომდე განიკურნება და ილუზიებისაგან გათავისუფლებული უბედნიერესი არსება გახდება. ვინც გარემოს მართვის სურვილზე ან გარემოს მიერ მართულობის სურვილზე უარს ვერ იტყვის, ის საკუთარი ილუზიების მუდმივ ტყვედ დარჩება.

ვფიქრობ, აქვე სჯობს განზოგადდეს, გაიშიფროს ეს ფენომენი, რომელიც სულიერი მდგომარეობის ანარეკლში შესვლის შედეგად ხდება. იმათ მიერ, ვინც გარემოს მართვის, მისი კორექტირების, საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევის სურვილით აღიგზნებიან ე. წ. მამაკაცური საწყისის აქტივიზირებას ახდენენ ფრაგმენტალური ჭეშმარიტების შეცვლის სულისკვეთებით განმსჭვალულნი. ის, რაც ამ ინდივიდში ამ დროს ჩნდება, არის ცნება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ამბიცია“. მასში ჭარბად ჩნდება თვითდაჯერებულობა და მიმართულია მთელი მისი მეცადინეობა იქითკენ, რომ რაღაცა განვითარების დონეზე მისულ გარემოს (მატერიალურს ან თუნდაც სულიერს) მოსთხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს ძალუძს ამ გარემოს, ამ კონკრეტულ ეპოქალურ მომენტში, მაშინ როცა, გარემოს ამისთვის ჯერ არც საკმარისი ცოდნა (განათლება) გააჩნია და შესაბამისად, არც საკმარისი ობიექტური შეფასების, სიღრმისეული შეგრძნების დონე. ძალიან მარტივი ენით რომ გამოვთქვათ, თუ რაში გამოიხატება ამბიციის არათანხვედრა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მისი განუხრელად შემსრულებელთა წარმომადგენლების ინტერესებთან, არის ის, რომ თავად ადამიანად ხორცშესხმულობის პირობებში უჩნდება ბრაზისა და აგრესი-

ულობის შეგრძნების გამოვლინების სურვილი იმის გამო, რომ ძაღლად ხორცშესხმულ ცოცხალ არსებას ადამიანურ ენაზე ლაპარაკი არ შეუძლია და მხოლოდ ყეფს და უფრო მეტიც, ყველანაირი მეთოდებით (ძალისმიერის ჩათვლით) იწყებს ძაღლის ევოლუციირების დაჩქარებისთვის მეცადინეობას, რომ გახადოს ისეთი, როგორიც თვითონაა, მაგალითად, ლაპარაკი ასწავლოს და ა. შ. რეალურად კი ევოლუციის ამგვარი ხელოვნური მეთოდებით დაჩქარების მცდელობა რევოლუციას უფრო ჰგავს და უკუსვლის მექანიზმი ხდება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი „მე“-ს გაღმერთების, გარემოს სრულუფლებიან მმართველად გამოცხადების, თვითგაკერპების მცდელობა, სადაც იდეოლოგიად გამოიყენება მის მიერ განსაზღვრული მოვალეობათა დომინანტური პირველადობის ტენდენცია უფლებებთან შედარებით. ადამიანურ ენაზე, უახლოეს წარსულში ეს კომუნიზმად მოიაზრებოდა, ხოლო წმინდა მატერიალურ დონეზე კი, ეს კერძო საკუთრების, ნივთიერი ქონების, ერთმანეთს შორის განსხვავებულობის ამოძირკვის დონეზე მოიაზრებოდა, რაც სოციალიზმად იწოდებოდა. მაშასადამე, ამბიციას თავისი სამი ე. წ. საყრდენი გააჩნია, რომლებიც სხვა ეპოქაში არ ვიცი რა სახელწოდებებით იქნებიან ან იყვნენ შესულნი, მაგრამ ამ ეპოქაში ისინი ასე იწოდებიან:

გრძნობითი დონე – შეუნიღბავი ერთპიროვნული ტოტალიტარული დიქტატურა.

გონებრივი დონე – მოვალეობათა დომინანტური პირველადობა უფლებებთან შედარებით, იდეოლოგიური ერთიანობა, კომუნა – კომუნიზმი.

ამბიციური დონე – ერთნაირი სოციალური პირობების შექმნა, საერთო საკუთრების დომინანტური პირველობა კერძო საკუთრებასთან შედარებით. ქონებრივი განსხვავებულობის ამოძირკვა.

ემოციისმიერი დონე – ყოველგვარი განსხვავებული აზრისა და შეხედულების ცენზურით შეკავება. იმპროვიზაციული ინტერპრეტაციების არდაშვება. კონტროლირებული ანარქია.

აი, ეს არის ძალიან მოკლე განხილვა იმის, თუ რას იწვევს შინაგან სულიერ ანარეკლში თვალით დანახულსა და ყურით გაგონილზე მიჯაჭვულობა, საკუთარი „მე“-ს ჩარევით რაიმეს შეცვლის მცდელობა, სტრატეგიული კურსის თვალსაზრისით, გარემოს ბუნებრივი სვლის დაჩქარების მცდელობით, ფაქტიურად საკუთარი „ეგო“-ს ანუ ქაოსის თავზე ძალადობრივი მოხვევით.

ხოლო მათ მიერ კი, ვინც გარემოში არსებულ უსამართლობასთან (ფაქტიურად გარემოში არსებულ ხორცშესხმულ ობიექტებზე ჩამოკიდებულობით, მიწებებით) დაპირისპირების სურვილით აღიგზნებიან ე. წ. ქალური საწყისის აქტივიზირებას ახდენენ ფრაგმენტალური ჭეშმარიტების აღდგენის სულისკვეთებით განმსჭვალულნი. ის, რაც ამ ინდივიდში ამ დროს ჩნდება, არის ცნება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ემოცია. მასში ჭარბად ჩნდება უკმაყოფილების, არსებულთან დაპირისპირების ტენდენცია და მთელი მისი მეცადინეობა მიმართულია იქითკენ, რომ რაღაცა პირობებში მყოფი გარემოს (მატერიალურის ან სულიერის) ინტერესები დაიცვას, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ეს გარემოს რეალურად ეკუთვნის და იმაზე მეტის, ვიდრე გარემო ამას იმსახურებს. ეს ერთგვარი ადვოკატური სულისკვეთებაა, სადაც მთავარი ის კი არ არის – ობიექტი, რომელსაც იცავს, მართლა დასაცავია თუ არა, მთავარი მიზანი გარემოზე ზემოქმედის მომხდენთან დაპირისპირებაა. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, როგორც პირველ, ისე ამ შემთხვევაშიც, ეს სულისკვეთებები ერთგვარად ქრება და კონკრეტულ მატერიალურ ობიექტზე მიჯაჭვულობით ნეიტრალდება (ძირითადად ერთმანეთზე მიჯაჭვულობით), მაგრამ საწყისი ფაზა მატერიალიზირებისა განუხრელად ეს გახლავთ. ხოლო ის, თუ რაში გამოიხატება ემოციურობის არათანხვედრა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მისი განუხრელად შემსრულებელთა წარმომადგენლების ინტერესებთან არის ის, რომ მაგალითად, ადამიანად ხორცშესხმულობის პირობებში, ემოციებით მოქმედს უჩნდება სუბიექტურობისა და ინდიფერენტული კომფორმიზმის გამოვლინების სურვილი. იგი ფაქტიურად სრულიად უწევს იგნორირებას ინდივიდუალური სულის ფუნქციონალურ ასპექტს, ანუ უგულვებელყოფს ევოლუციერების აუცილებლობის ცნებას და მთელ თავის შრომასა და მეცადინეობას სულიერი უძრაობისა და უმოქმედობის დასამკვიდრებლად ხარჯავს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი „ეგო“-ს გაღმერთების, გარემოს მსახურად საკუთარი „მე“-ს გამოცხადების, კერპთაყვანისმცემლობის მცდელობა, სადაც იდეოლოგიად გამოიყენება მის მიერ განსაზღვრულ უფლებათა დომინანტური პირველადობის ტენდენცია მოვალეობებთან შედარებით. ადამიანურ ენაზე, ჩვენ ეპოქაში, ჩვენ არსებულ დროში ამას დემოკრატია ჰქვია, ხოლო წმინდა მატერიალისტურ დონეზე კი, ეს არის კერძო საკუთრების, ნივთიერი ქონების, ურთიერთგანსხვავებულობის აღზევების მცდელობა. სახელწოდებით კი, იგი კაპიტა-

ლიზმად იწოდება. მაშასადამე, როგორც ამბიციას, ემოციასაც სამი ძირითადი საყრდენი ძალა განსაზღვრავს და ფაქტიურად ამბიციის საპირისპირო ცნობიერებას მოიაზრებს მთელი თავის სიგრძე-სიგანით.

გრძნობითი დონე – შენიღბული კოლექტიური მმართველობა, ათეიზმი.

გონებრივი დონე – უფლებათა დომინანტური პირველადობა მოვალეობებთან შედარებით, იდეოლოგიური სპონტანური მრავალფეროვნება. დემოკრატია.

ამბიციისმიერი დონე – სოციალური პირობების ინდივიდუალურად შექმნა, კერძო საკუთრების დომინანტური პირველადობა საერთო საკუთრებასთან შედარებით, ქონებრივი განსხვავებულობის დამკვიდრება მიზანდასახულად. კაპიტალიზმი.

ემოციისმიერი დონე – ყოველგვარი აზრისა და შეხედულებისთვის სრული თავისუფლების მინიჭება. იმპროვიზაციული ინტერპრეტაციების წახალისება და რეკლამირება. უკონტროლო ანარქია.

აი, ეს კი არის ძალიან მოკლე განხილვა იმისა, თუ რას იწვევს შინაგან სულიერ ანარეკლში თვალით დანახულსა და ყურით მოსმენილზე მიჯაჭვულობა, საკუთარი „მე“-ს ჩარევით რაიმეს შეცვლის მცდელობა, ტაქტიკური კურსის თვალსაზრისით, გარემოში არსებული უსამართლობის აღმოფხვრის მცდელობით. ფაქტიურად, ეს არის გარემოში არსებული „ეგო“-ს ანუ ქაოსის აღზევების გზა.

ვფიქრობ, უკვე შესაძლებელია გავყვეთ იმ გზას, რომელიც შინაგანი მდგომარეობის ანარეკლზე არანაირი მიჯაჭვის გამომხატველი და ძირეული ამხსნელი და დამკვალიანებელი იქნება.

ევოლუცირებისკენ, ჰარმონიზირებისკენ, ტრანსის მდგომარეობაში მოხვედრისკენ სვლის პროცესი

ის, ვინც საკუთარი შინაგანი მდგომარეობის ანარეკლის აღქმას შეძლებს იმად, რასაც ეს რეალურად წარმოადგენს და აღარ მიეჯაჭვება ამ დანახულსა და გაგონილს, ძალიან სერიოზული შანსები აქვს იმისა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ ცოცხალ არსებაზე დაკისრებული მისიის შესრულების გზას დაადგეს. ემოციას თავისთავად იწვევს ამბიცია და რაც არ უნდა ვეომო ჩემში არსებულ ემოციებს, ფუჭი დროის ხარჯვა იქნება, ვიდრე საკუთარ არსში ჩასახულ ამბიციებს არ ვიპოვი და მათ კორექტირებას არ მოვახდენ. ამბიციებს კი თავისთავად იწვევს სწორედ ჩემზე დაკისრებული მისიის იგნორირება. მხოლოდ საკუთარ ინდივიდუალურ „მე"-ზე დაკისრებული მისიის განუხრელად შესრულების გზით არის შესაძლებელი ჭეშმარიტად იმის კეთება, რაც უნდა ვაკეთო. ის საკმაოდ ფართო სპექტრის ცოდნისა და განათლების ქონის აუცილებლობას მოითხოვს. მე მსურს შევეცადო ამის გადმოცემა მოვახდინო. ნამდვილად არ მინდა გავართულო, უბრალოდ, აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამისათვის საჭიროცაა და აუცილებელიც ორი რეჟიმი გამოვიყენო. ესენია: ა) იმპერსონალური, ანუ აბსტრაქტული, არაპერსონიფიცირებული, სრულიად თავისუფალი კონკრეტული მატერიალური და სულიერი ობიექტებისაგან, ერთგვარი აბსოლუტური არაინდივიდუალიზმი და ბ) პერსონალური, ანუ კონკრეტული, პერსონიფიცირებული, სრულიად დამოკიდებული კონკრეტულ მატერიალურ და განსაკუთრებით სულიერ ობიექტებზე, ერთგვარი აბსოლუტური ინდივიდუალიზმი.

იმპერსონალიზმი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ფარდობითობებისა და შედარებითობებისაგან, ანუ უნდა იყოს აბსოლუტურად არაფარდობითი; პერსონალიზმი მთლიანად აწყობილი უნდა იყოს ფარდობითობებსა და შედარებითობებზე, ანუ უნდა იყოს აბსოლუტურად ფარდობითი.

იმპერსონალიზმის უმაღლეს, უზენაეს ე. წ. წარმომადგენლად შეგვიძლია მივიღოთ აბსოლუტური ჭეშმარიტება.

პერსონალიზმის უმაღლეს, უზენაეს წარმომადენლებად კი –

ა) აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ აღიარებული სამყაროს უზენაესი პიროვნება მამა ღმერთი, როგორც ე. წ. მამაკაცური საწყისის საუკეთესო მმართველი; ბ) აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მამა ღმერთის მიერ აღიარებული სამყაროს უწმინდესი პიროვნება,

სულიწმიდა, როგორც ე. წ. ქალური საწყისის საუკეთესო მმართველი; და გ) აბსოლუტური ჭეშმარიტების, მამა ღმერთისა და სულიწმიდის მიერ აღიარებული სამყაროს უერთგულესი პიროვნება ძე ღვთისა, როგორც ე. წ. მამაკაცური და ქალური საწყისების თანკვეთის საუკეთესო მმართველი, შეგვიძლია მივიღოთ.

შინაგანი სულიერი მდგომარეობის ანარეკლის წარმოშობის ისტორია კი მატერიალური რეალობის სახით შემდგომში მდგომარეობს: სულიერ სამყაროში არსებული რეალობის არსებულობის ერთადერთი მიზეზი (არაპერსონიფიცირებულობის საზომით) გახლავთ აბსოლუტური ჭეშმარიტება და ვიდრე ამ რეალობაში მყოფ ინდივიდუალურობის მქონე ნებისმიერ ცოცხალ არსებას ამ დამკვიდრებულ რეალობასთან არანაირ დაპირისპირებაში შესვლის სურვილი არ გააჩნია, აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ ამ რეალობის მმართველად დანიშნული ცოცხალი არსების (სამყაროს უზენაესი პიროვნების) ნებაყოფილობით და მორჩილებით მიყოლით თავისდაშეუმჩნევლადაც კი, განვითარებას (არახაზგასმულ ევოლუცირებას) გადის, ამ პროცესში შინაგანი ტრანსცენდენტული, ნეტარი მდგომარეობის შეგრძნებითა და გარეგანი გარემოს ჰარმონიულობის აღქმით. სადაც შინაგანი ტრანსცენდენტული, ნეტარი მდგომარეობის განმაპირობებელი, აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და სამყაროს უზენაესი პიროვნების მიერ ამ განყოფილების მმართველად დანიშნული ცოცხალი არსება გახლავთ სულიწმიდა, ხოლო გარეგანი გარემოს ჰარმონიულობის მდგომარეობის განმაპირობებელი, აბსოლუტური ჭეშმარიტების, სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და სულიწმიდის მიერ ამ განყოფილების მმართველად დანიშნული ცოცხალი არსება გახლავთ ღვთის ძე.

სულიერ სამყაროში არსებულ რეალობაში შინაგანი სულიერი ილუზია, ანუ ნეტარებიდან ამოვარდნის მდგომარეობა (ნატვრულობის, ოცნებების, ალტერნატიული მართვის ძიებების, თვითგამოვლინების სურვილები) არ არსებობს და როგორც კი ეს ტენდენცია ცოცხალ არსებაში იწყებს გამოვლინებას, ის ავტომატურად ექცევა საკუთარი სულიერი ილუზიების ზეგავლენის ქვეშ. ამ ილუზიების მქონეთათვის უკვე აუცილებელი ხდება, მათი სულიერი სამყაროდან საკუთარი ნებით გასვლის შემდგომ, ამ სულიერი სამყაროს პარალელურ სამყაროთა შექმნა და ამ ცოცხალ არსებათა მათთვის შესაბამის სამყაროებში გადანაწილება.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პარალელურ სამყაროთა რიცხვს განეკუთვნება მატერიალური სამყარო, რომლის მცხოვრებნიც, ძი-

რითადად, სამი მიზეზის გამო ხვდებიან იქ. მათგან ზოგს სამყაროს უზენაესი პიროვნების პირველობა შურდა და თავად სწყუროდა პირველობა, ზოგს სულიწმიდის განსაკუთრებული სიახლოვე შურდა სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან და თავად სურდა თვითონ ყოფილიყო უახლოესი მისთვის, ზოგს კი ღვთის ძის შურდა, რადგან სულიერ სამყაროში ის განსაკუთრებულად უყვართ და თვითონ სურდა ყველაზე საყვარელი ყოფილიყო ყველა ცოცხალ არსებათა შორის, რომლებიც სულიერ სამყაროში იმყოფებიან. რა თქმა უნდა, ამის აღიარება არც ერთ მატერიალიზირებულ ხორცშესხმულ ცოცხალ არსებას არ უნდა დიდი ხალისით, მაგრამ ამის აღიარების გარეშე სულიერ სამყაროში დაბრუნების გზა, უბრალოდ, ჩაკეტილი ექნება და თანაც, თავად მას, ვინც ამ ბარიერს გადალახავს თავის თავში, უჩნდება შანსი იმისა, რომ ყოველივე ჭეშმარიტების ჭრილში დაინახოს, ანუ მთელი მატერიალური გარემო, საკუთარი სხეულის ჩათვლით, საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის (კარმის) ანარეკლად აღიქვას.

თუ ადამიანი ამ სიღრმეში შევა, ის ავტომატურად აღიარებს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობას და, ვგონებ, იმის ინტერესიც უნდა გაუჩნდეს, თუ ამ უზენაესი იმპერსონალიზმის გადასახედიდან ცოცხალი არსების არსი და მისია რაში მდგომარეობს. თავად აბსოლუტური ჭეშმარიტება ობიექტურობის სრულყოფილი დამცველია და სრულიად აქვს უფლება, ჰქონდეს ამბიცია, იყოს აღიარებული ყოველივე გამოვლინებულობის მიზეზად აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მიერ, რაც კი შესაძლოა მოიაზროს, ან საერთოდ ვერასოდეს ვერ მოიაზროს, ნებისმიერმა ინდივიდმა. ანუ ჭეშმარიტად მისიის შესასრულებლად სრულიად საკმარისი იქნებოდა (1) აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოველივეს მიზეზად მიეღო, რაც სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან დაპირისპირებაში შესვლისგან დაიცავდა, რამეთუ გრძნობას სპეკულაციურ ჭკუად გადაქცევა აღარ მოუნდებოდა, ამბიციები აღარ გაჩნდებოდა, (2) აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ სამყაროს უზენაეს პიროვნებად დადგენილი ცოცხალი არსება მამა ღმერთად და აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მიზნად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელ ნაწილთაგან ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი გრძნობითი ნაწილი ამ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეეძლებოდა საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობა სამუდამოდ გაეკონტროლებინა და გაექრო. (3) აბსოლუტური ჭეშმარიტების და სამყაროს უზენაესი პიროვნების მიერ უწმინდესად და უსპეტაკესად

აღიარებული სულიწმიდა დედა ღმერთად და აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრის საბოლოო, სასურველ, სამაგალითო შედეგად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი გონებრივი ნაწილი ამ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა ობიექტურ რეალობასთან დაპირისპირებისაგან სამუდამოდ გათავისუფლებას. (4) აბსოლუტური ჭეშმარიტების, სამყაროს უზენაესი პირონებისა და სულიწმიდის მიერ უსაყვარლეს და უერთგულეს პიროვნებად აღიარებული ცოცხალი არსება მამა ღმერთისა და დედა ღმერთის ძე-დ, ღვთის ძედ და აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის მისაბაძად, სამაგალითო საშუალებად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი ჭკუისმიერი ნაწილი ამ დავალებით, ღვთისძისნაირობით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა დანახვას საკუთარი ამბიციებისა თავისი ნამდვილი პირველქმნილი სახით, იმ მავნე გავლენისა, რომელიც გარემოს მიმართ ჩაუდენია და გზისა – როგორ შეეცვალა ეს ყოველივე, თანაც მატერიალური რეალობის დახმარებით. (5) მთელი მატერიალური რეალობა საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლად, საკუთარი კარმის (სულიერი ჭუჭყის) დანახვისა და გაგების საბაბად მიეღო. საკუთარი „მე“-ს შემადგენელი ნაწილებიდან კი ემოციისმიერი ნაწილი იმ დავალებით დაეკავებინა, რითაც შეძლებდა ყოველგვარი ხელოვნური განდგომილობისა და ასკეტიზმის გარეშე მიეღწია იმისთვის, რომ აღარ მიჯაჭვებოდა აღარც მატერიალურ სამყაროსა და აღარც ამ მატერიალურ სამყაროში საკუთარი ნებისმიერი ჩადენილი ქმედების შედეგებს.

მაშასადამე, მოკლედ, მობილიზებული სახით, მისიის შესრულების გზათა ნაირსახეობა აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან ასეთია:

1. **მისიის მიზეზი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის მართვაში მდგომარეობს, მისი სულიერ რეალობად გადაქცევამდე.
2. **მისიის მიზანი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის აღმოფხვრაში მდგომარეობს სულიერი რეალობის აღქმამდე.
3. **მისიის შედეგი** საკუთარი შინაგანი რეალობის (ილუზიის აღმოფხვრილი ნაწილის) განუხრელ დაცვაში მდგომარეობს.
4. **მისიის აღსრულების საშუალება** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილი მატერიალური რეალობის საშუალებით დანახვაში და გაგებაში მდგომარეობს.
5. **მისიის აღსრულების საბაბი** საკუთარი შინაგანი სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილი მატერიალური რეალობის მარ-

თვაში მდგომარეობს, ძალაუფლებასა და საკუთრების შეგრძნებაზე უარის თქმით, შინაგანი ცენზურის (სინდისისა და სირცხვილის კარნახით) ხელმძღვანელობით.

ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, შესაძლოა უფრო დაწვრილებით იქნას განხილული, მაგრამ ამ წიგნის დასკვნით ეტაპში მინდა შევეხო მისიის აღსრულების ცნებას თავად სულიერი ილუზიის ანარეკლში არეკლილ მატერიალურ რეალობაში, რამეთუ ეს ნაწერი მატერიალური ხელებით იწერება მატერიალური კალმის საშუალებით და მსურველის მხრიდან მატერიალური თვალებით წაიკითხება და გონებამდე მიტანის მსურველის მხრიდან ურთიერთკამათის დროს მატერიალური ყურებით მოისმინება. მე ვაღიარებ, ჩემთვის არცთუ ძალიან სასურველია და არცთუ სასიამოვნოა მატერიალურ რეალობაში დაბრუნება, რამეთუ კარგად ვიცი რა დიდია ალბათობა ჩემი „მე“-ს გზისაბნევისა და მიჯაჭვებისა ამ ილუზიურ გარემოზე, მაგრამ, ვფიქრობ, მე თუ ოდნავ მაინც შემიძლია რაიმეს სასარგებლოს შეტანა მატერიალური სამყაროს ამ ეპოქალური მომენტის ზოგად ცნობიერებაში იმის საფუძველზე, რაც მომეცა განგების მიერ, მორალური, ეთიკური უფლება არ გამაჩნია ეს არ გავაკეთო და უბრალოდ მოვალე ვარ, ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო. თუნდაც იმიტომ, რომ მე ჯერ კიდევ მატერიალიზირებულ, ხორციელ სხეულში ვარ და ამ სხეულის სახით ვარ კონტაქტში, ნებით თუ უნებლიეთ, თუნდაც სულ უმცირესი, მინიმალური კონტაქტიც რომ ვიგულისხმო ამაში. იმასაც ვაღიარებ გულწრფელად, რომ ეს ჩემთვის ურთულესი გამოცდა იქნება, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი ნება-სურვილით მოხდება, რამეთუ სრულიად შესაძლებელი იქნებოდა სხეულის არსებობის ბოლომდე უბრალოდ სრულ იზოლაციაში გადავსულიყავი ადამიანებისგან, მაგრამ მე ეს არ მსურს.

ყველაფერი, რაც ახლა დაიწერება არ დაიჩემებს პრეტენზიას აბსოლუტურად იდეალური და ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტი გზის ამბიციისა, ეს იქნება ჩემეული ხედვა მატერიალიზირებული სამყაროს ფუნქციონალური და ვიზუალური დანიშნულების, აქ მოხვედრილთა მისიის შესრულების რაობაზე ყველაზე კორექტული და კომპეტენტური ფასეულობების მქონეთა გადასახედიდან, აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და წმინდა სამების გადასახედიდან და, კიდევ ერთი, შევეცდები ეს დაიწეროს მატერიალური სამყა-

როსთვის მიღებულ ენაზე. აი, ასეთი საპასუხისმგებლო რამ არის პირადად ჩემი „მე“-სთვის ეს გარდამავალი პერიოდი.

ფილოსოფია და ფსიქოლოგია

ფსიქოლოგია არსებულის, იდეის მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიის ანალიზის, განხილვის კვლევა-ძიებაა.

ფილოსოფია ობიექტურ რეალობაში, არსებულში ჯერ არარსებულის, იდეის შემოტანა გახლავთ.

ამ წიგნის I თავიდან, ინტერესების სფეროს განშტოებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ის იყოფა ოთხ ნაწილად. კერძოდ: ორიენტაცია, ადაპტაცია, ინერცია და იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია. ფილოსოფიური სუბსტანცია დგას ორიენტაციასა და ინერციაზე. ფილოსოფიას ენიჭება წამყვანის როლი და ფუნქცია. ის არის მიმმართველი ძალა ზოგადი ცნობიერებისა, იმისა, რომელზეც არის აგებული ნებისმიერი საზოგადოება. ხოლო ფსიქოლოგიური სუბსტანცია დგას ადაპტაციასა და იმპროვიზაციულ ინტერპრეტაციაზე. ფსიქოლოგიას ენიჭება წარმართვის, სამართავის როლი და ფუნქცია, ის არის მიმყოლი, მიყოლის ძალა ზოგადი ცნობიერებისა, არსებული საზოგადოების ღირსეულ წევრად გახდომისა.

როდესაც ორიენტაცია და ინერცია არსებულ რეალობაში ხდება დომინანტი, შედეგად ვღებულობთ მატერიალური განვითარების მდგომარეობას, საზოგადოების ერთგვარი ტიპის „კლინიკურ სიკვდილს“. ეს თვალნათლივ რომ გადმოვცე, ამ საზოგადოების მაგალითად მოვიყვანდი ამერიკელი ინდიელების მენტალურ ცნობიერ აღქმას იმ შედარებითობის, ფარდობითობის ფონზე, როდესაც ევროპელების შესვლა მოხდა მათ ყოფით რეალობაში. ანუ ობიექტური რეალობის ევოლუციის აუცილებლობის უზენაესი პრინციპი ამ მდგომარეობაში აყენებს ადაპტაციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის პროპორციულ გაზრდას დომინანტურ მაჩვენებლებთან, ანუ ორიენტაციასთან და ინერციასთან. მკვეთრად გამოიკვეთება იდეათა სიჭარბე, მაშინ როცა მათი ხორცშესხმა ჯერ არ მომხდარა. ფაქტიურად ხდება იდეათა დაგროვება და ისინი უბრალოდ უსარგებლონი არიან, რამეთუ მატერიალურ სამყაროში იდეის განხორციელება თუ არ მოხდება, სხვა იდეის შექმნაზე ზრუნვას აზრი არ აქვს მთელი საზოგადოების მხრიდან. ეს შესანიშნავი იქნებოდა თუ საზოგადოების ერთი ნაწილი შექმნიდა იდეას, მეორე

ნაწილი კი მათ განახორციელებდა. ეს იქნებოდა ჭეშმარიტად დიდად ამაღლებული, სულიერების დიდი პოტენციალის მქონე საზოგადოება, რომელთაც მატერიალური სამყაროსთვის შესაბამისი მატერიალური ფუნქციის შესრულების აუცილებლობა დაივიწყეს. მე მათ ვუწოდებდი ასე: სულიერი გიგანტები და ამავდროულად მატერიალური ჯუჯები. ერთადერთი რაშიც ამ მიდგომას შეიძლება არ დავეთანხმო გახლავთ ის, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების ბუნებრივი სვლის, ევოლუცირების დაჩქარების ტენდენციაა გამოკვეთილი, მისი რეალურად არ აღქმით. ამის შინაგანად აღიარების და აღქმის შემთხვევაში, მე ვიტყოდი, რომ ეს არის მატერიალურ სამყაროში შესაძლო თვითრეალიზაციის უმაღლესი ფორმა.

სამაგიეროდ, ამ პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების ინტერესი ბუნებრივად უჩნდებათ მათ, რომელთა ზოგადი ცნობიერება ადაპტაციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის დომინაციაზე დგას ორიენტაციასა და ინერციასთან შედარებით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება ახალ იდეათა ქრონიკულ შიმშილს განიცდის. ის მკვეთრად მიდრეკილია იდეის მატერიალიზაციისკენ და ძალიან მალე ჩნდება იდეის დეფიციტი, ანუ იდეოლოგიის არსის ამოწურულობის ტენდენცია. აქ იკვეთება სულერებასთან დაპირისპირების, მატერიალურის უპირატესობის დამტკიცების მცდელობა. ამის შედეგად ხდება სულიერი დაცემა. მე მათ ვუწოდებდი შემდეგნაირად: მატერიალური გიგანტები და ამავდროულად სულიერი ჯუჯები. ნამდვილად გამიჭირდება ამ მიმართულებას არ ვუწოდო ნეგატიური მიმართულების სახელი. ისინი, ვინც ამ მიმდინარეობას მიჰყვებიან აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ გათვალისწინებული ბუნებრივი სვლის, ევოლუცირების შენელებას ცდილობენ მატერიალური განვითარების, ხელოვნური განვითარების ჩანაცვლებით. ვფიქრობ, საკმაოდ ფუჭი მცდელობაა ამ მიდგომის მიმდევრებისთვის რეალობის დანახვება სცადო. არაგააზრებულად, ინტუიციურად ისინი ცდილობენ ახალი იდეების პოვნას, რისთვისაც თავის ე. წ. უპირატესობას, მატერიალური განვითარებულობის ძალას იყენებენ მატერიალურად ნაკლებად, მაგრამ სულიერად დიდად განვითარებულთა დასაპყრობად დიპლომატიური თუ ძალისმიერი საშუალებით. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ ამერიკის კონტინენტზე მომხდარ მოვლენებს შეგვიძლია დავუბრუნდეთ არცთუ შორეულ წარსულში. სხვა ყველა დანარჩენი მიზეზი კი, რომელიც ითქმება და აფიშირდება, უბრალოდ საბაბია და ვიზუალური ფონია და მეტი არაფერი. აი, ამ ყველაფრის უკან

კი დგანან ისეთი სუბსტანციები, როგორებიცაა ფილოსოფია, გონების სიღრმეში წვდომის მეცნიერება. ის, რაც ევროპელი, დასავლეთის მეცნიერებისათვის შეუძლებლად (ქვეცნობიერის შეცვლას ვგულისხმობ) არის მიჩნეული, აღმოსავლეთის მეცნიერებისათვის, ბრაჰმანებისთვის, ლამებისთვის, ბუდისტებისთვის ეს სრულიად შესაძლებელია, უფრო მეტიც, აუცილებელია და უფრო მეტიც, ერთადერთი საჭირო საკეთებელია მატერიალურ სამყაროში ადამიანად, სხეულად არსებობის პერიოდში.

დასკვნის სახით მინდა დავწერო, რომ **აგრესორი, მოძალადე, ზემოქმედების მოსურნე, დამპყრობელი ყოველთვის უფრო მცირეა სულიერად აგრესიის ობიექტზე, შემოქმედების მოსურნეზე, დაპყრობილზე და სწორედ იმიტომ სჩადის ძალადობას, რომ სურს ეს სულიერი უპირატესობა მიითვისოს, რამეთუ საკუთარი სულიერი სიმცირის აღიარების უნარი არ გააჩნია და ვიზუალურად მატერიალური უპირატესობის დემონსტრირების სურვილს აღტაცებაში მოჰყავს ის თავად, რითიც კიდევ ერთხელ სურს ხაზი გაუსვას მატერიალურის უპირატესობას სულიერებასთან შედარებით.**

როგორც ფილოსოფიაში ისე ფსიქოლოგიაში არის საფეხურები, რომლებიც ორივეს ერთი და იგივე აქვს, მაგრამ რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა აღქმით წარმოჩენილები საკუთარ არსში. ეს არის საკმაოდ მკვიდრი და ყველას მიერ აღიარებული საფეხურები, თანამიმდევრულად არიან განლაგებულნი და მთლიანად საზღვრავენ და აწესრიგებენ ადამიანთა ყოფისა და ცხოვრების ყოველ უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი არიან უკლებლივ ყველგან და ყველაფერში და შემდგომი განშტოება ამ თავში ამ ნაწილებს, ამ საფეხურებს დაეთმობათ.

ევოლუცია; მეცნიერება; სარწმუნოება; კულტურა; ცივილიზაცია და ჰარმონია

ამ განყოფილებაში შესაძლებელი გახდება თვალნათლივ დანახვა უპირობო და პირობითი რეფლექსების ბუნებისა მატერიალური სამყაროს თვალთახედვით, რაც ავტომატურად დაანახვებს მათი მოცილების გზას ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში. ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, კარმის, სულიერი ჭუჭყის, სიბინძურის მოცილებას ნიშნავს.

იმისათვის, რომ ზემოთჩამოთვლილ ცნებებში გარკვევა მოხდეს, მათი არსის შეცნობის გაადვილებისათვის პირველ საფეხურად მათ დაჯგუფებას მოვახდენ. დავყოფ მათ ორ ჯგუფად, კერძოდ: უფრო აბსტრაქტულ, იმპერსონალისტურ და უფრო კონკრეტულ, პერსონალისტურ ნაწილებად.

იმპერსონალისტური ჯგუფის წამომადგენლები გახლავთ:

ა) ევოლუცია, ბ) ჰარმონია და გ) მეცნიერება (შემეცნება)

პერსონალისტური ჯგუფის წარმომადგენლები გახლავთ:

ა) ცივილიზაცია ბ) ტრანსცენდენცია და გ) კულტურა.

ფილოსოფიური თვალთახედვითაც და ფსიქოლოგიური თვალთახედვითაც მათ როგორც საერთო, ისე განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ, მე მხოლოდ საერთო თვალთახედვით ვიხელმძღვანელებ, რამეთუ განსხვავებული თვალთახედვით თითქმის მთელი დანარჩენი მატერიალური სამყარო ხელმძღვანელობს და ამას, საბოლოო ჯამში, რომელიმე მხარეს მიკერძოებით სუბიექტივიზმისკენ მიჰყავს ხოლმე მოძღვრებათა მიმდევრები. იმპერსონალისტური ნაწილის წარმოჩინების უფლებას მე მივანიჭებდი ფილოსოფიას, ხოლო პერსონალისტური ნაწილის მიმართ მასვე დავაკისრებდი მოვალეობას. ამგვარად, მისი მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება იმპერსონალისტურ ნაწილში მოღვაწეობა უცილობლად და განუხრელად პერსონალისტური ნაწილის რეალობის გათვალისწინებით.

ხოლო ფსიქოლოგიას, პირიქით, პერსონალისტური ნაწილის მიმართ მივანიჭებდი უფლებას, ხოლო ინპერსონალისტური ნაწილის მიმართ მოვალეობას, რითაც მისი მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება პერსონალისტურ ნაწილში მოღვაწეობა უპირობოდ და განუხრელად იმპერსონალისტური ნაწილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

თუ ყოველივეს სინქრონიზაციას მოვახდენთ, მიიღება:

ევოლუცია – ორიენტაციის საჭირო და სასურველი ფასეული მამართულება;

ცივილიზაცია – ადაპტაციის შედეგად მიღებული ფორმაციული ცნობიერება;

ჰარმონია – ინერციით მოქმედებისას სასურველი გამოვლინების რაობა;

სარწმუნოება, ტრანსცენდენცია – იმპროვიზაციული ინტერპრეტაციისას სასურველი ცნობიერი ფასეულობის საზღვრებში თვითგამოვლინება;

მეცნიერება – ბუნებრივი სვლის პროცესის მიერ დამკვიდრებული განვითარების სიჩქარეზე უფრო სწრაფი სვლის მცდელობა, რომელიც შეიძლება მიდრეკილი იყოს როგორც საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის მატების კუთხით, ისევე საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის მატების კუთხით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ აქ არის პირობითი რეფლექსების არსებული რეალური რაობის განყოფილება;

კულტურა – ბუნებრივი სვლის პროცესში ამ სვლის არათანხვედრილი სვლის შედეგად წარმოქმნილი, მიღებული რეალობის გაიდეალიზების მცდელობა, მისი ერთადერთ აბსოლუტურ რეალურ ჭეშმარიტებად გამოცხადებით. იგი შეიძლება მიდრეკილი იყოს როგორც საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის სრულყოფილად გამოცხადებისკენ (ე. ი. ძიებაზე უარის თქმისკენ) ასევე ინდივიდუალური სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის სრულყოფილად გამოცხადებისკენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ არის უპირობო რეფლექსების არსებულობის რეალური რაობის განყოფილება მთელი სიგრძე-სიგანით.

უდაოდ ღირს მეცნიერებისა და კულტურის ცნებების უფრო დაწვრილებით განხილვა, რამეთუ მათში აშკარად გაორების ტენდენცია იგრძნობა. ზოგად აღქმაში კი მათ შემდეგნაირად შევაფასებდი:

<u>მეცნიერება</u> ცალსახად ძიებისკენ მიდრეკილებას ნიშნავს. ეს ის სუბსტანცია გახლავთ, რომელიც მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და ყოველთვის რაიმე ახალზე კონცენტრირებისკენ არის მიმართული. ის განუწყვეტლივ რაიმეს პოვნას ცდილობს, რაღაცნაირად მუდმივად მომავალში გადავარდნილობის შეგრძნებას ტოვებს და აწმყოს აშკარად არ სწყალობს, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, იმდენად არ აფასებს მას, როგორსაც აწმყო იმსახურებს.

<u>კულტურა</u> კი ცალსახად არაფრის შეცვლისკენ, შენარჩუნებისკენ, ყველაფრის ისეთად დატოვებისკენ მიდრეკილებას ნიშნავს, როგორიც წარსულში იყო. დიახ, ის რაღაცნაირ ტიპად მუდმივად წარსულში ყოფნის შეგრძნებას ტოვებს და აწმყოს არც ის სწყალობს. მას განუწყვეტლივ იმის შიში აქვს, რომ ნებისმიერი წამი, რომელიც ჯერ არ დამდგარა, რაიმე ახლის შემომტანი არ გახდეს და უკვე დამკვიდრებული შეჩვეული გარემო არ გაართულოს, რაიმე უჩვეულო, ჯერ არ ნაცადი არ შემოიტანოს. დამყარებული წეს-

რიგი, სტაბილური განრიგი არ გაარღვიოს. ჩემს აღქმაში კულტურა მძივს ჰგავს, რომლის ძაფზეც მძივის შემადგენელი უამრავი პატარა ნაწილი, მძივის მარცვლებია ასხმული და თითოეული ეს პატარა ნაწილაკი (მარცვალი) გარკვეული სახის კულტს, ხელშეუხებელ, გაიდეალიზირებულ კერპს შეესაბამება, ხოლო ძაფი, რომელზეც ეს კულტებია ასხმული, ჩაკეტილ წრეს, დამკვიდრებულ ცხოვრების სტილს, გათვლილ, გაანგარიშებულ წესრიგს ასახავს.

მეცნიერება ცალსახად შეიძლება იწოდოს პრაგმატიზმის გამოვლინებად, ხოლო კულტურა კი, თავის მხრივ აშკარად ფანატიზმის გამოვლინებაა.

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მეცნიერება და პრაგმატიზმი ის განყოფილებაა, სადაც ამბიციები ბუდობენ. ხოლო კულტურა და ფანატიზმი კი ის, სადაც ემოციები მძვინვარებენ. ამბიციების ჩასაქრობად და სარეგულირებლად მოვლენების ბუნებრივი ანუ საჭირო სვლის განმგებლის აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ პირობითი რეფლექსების შეყვანის მექანიზმია ჩადებული ინდივიდუალურ სულებში, რათა ამ რეფლექსებზე აქცენტირებით არასაჭირო კვლევების ჩანაცვლება მოხდეს. რაც შეეხება ემოციებს, მათ გადასალახად და უძრაობიდან გამოსაყვანად მოვლენების ბუნებრივი ანუ საჭირო სვლის განმგებლის აბსოლუტური ჭეშმარიტების გაპიროვნებული წარმომადგენლის მიერ უპირობო რეფლექსების მექანიზმია გამოყენებული, რათა ამ რეფლექსებზე აქცენტირებით გაუნძრევლობის, უძრაობის მცდელობის ჩანაცვლება მოხდეს. აი, ასეთი გახლავთ მატერიალური სამყაროს რეალური სინამდვილე ზეადამიანური გადასახედიდან.

მეცნიერება, როგორც მის პირვანდელ განმარტებაში იკითხება, ორ მიმართულებაზეა ორიენტირებული. ესენია: ა) საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის მატების ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „მე“-ს უკეთესად შეცნობის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე შემეცნებად, „მე“-ს შეცნობის მცდელობად, განათლებად მოიაზრება. ბ) საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ან მატერიალური ცოდნის მატების ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „ეგო“-ს უკეთესად შეცნობის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე იდეალისტურ მატერიალიზმად, გარემოს შეცნობის მცდელობად, განსწავლად მოიაზრება („ეგო“-ს ზუსტი თარგმნით თუ „უცხო“-დ ავიღებთ მაშინ გარემოს „ეგო“-დ მოაზრებით, ალბათ, საპროტესტო შეგრძნება გაბათილდება).

კულტურა, როგორც მის პირვანდელ განმარტებაში იკითხება, ისიც ორ განშტოებას იძლევა: ა) საკუთარი ინდივიდუალური სულის ანუ სულიერი ცოდნის კონსერვაციის ტენდენცია, რაც ფაქტიურად საკუთარი „მე“-ს სრულყოფილად მიჩნევის განმარტებაა და ადამიანურ ენაზე რელიგიად, ზოგადი ცნობიერების დოგმირების უზენაესობად მოიაზრება და ბ) საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ანუ მატერიალური ცოდნის კონსერვაციის ტენდენცია, რაც, ფაქტიურად, საკუთარი „ეგო“-ს ანუ გარემოს სრულყოფილად მიჩნევის გამნარტებაა და ადამიანურ ენაზე ხელოვნებად, აზროვნების სპეკულაციად, არსებული მდგომარეობის პოზიტიურობის დემონსტრაციად მოიაზრება.

თუმც, არ შემიძლია არ შევეხო იმ მესამე განყოფილებას ამ ცნებისა, რომელიც რეალურად საჩინოდ ხდის ხოლმე ჩიხს მატერიალური სამყაროს ტენდენციალიზმისა და რომელშიც დღესდღეისობით იმყოფება დედამიწის მსოფლმხედველობა და დღესდღეისობით იგი დემოკრატიის სახელით არის ცნობილი. ეს გახლავთ მეცნიერების თვალთახედვით ყველანაირი ტიპის ძიებაზე უარის თქმა და ცალსახად, პირობითი რეფლექსებით, კარმული მოქმედებებით, სულიერი ჭუჭყის წახალისებით ხელმძღვანელობა, რაც, ფაქტიურად, ყველანაირ ძიებაზე უარის თქმის, ინდივიდუალური სულისთვის ნებისმიერ ფასად სიამოვნების მიღების განმარტებაა და ადამიანურ ენაზე პრიმიტივიზმად, უვიცობად, ინდიფერენტულობად (გულგრილობად, კომფორმიზმად), გარყვნილებად მოიაზრება, ხოლო კულტურის თვალთახედვით ყველანაირი ტიპის არსებული რეალობის ფაქტიურ სინამდვილესთან დაპირისპირება და ცალსახად უპირობო რეფლექსებით, კარმული შედეგებით, მატერიალური ჭუჭყის წახალისებით ხელმძღვენალობა, რაც ფაქტიურად, ობიექტური რეალობის უარყოფის, ინდივიდუალური სხეულის ნებისმიერ ფასად დაკმაყოფილების განმარტებაა და ადამიანურ ენაზე უზნეობად, უღმერთობად, გართობად მოიაზრება.

<u>მოდით, მთელი ეს ნაწერი მოკლე მონახაზით გავამარტივოთ.</u>

თვალნათელი შედარებისთვის მოვიყვან ამ ტიპის მონახაზში სულიერი სამყაროს, ე. წ. წყობის მაკეტსაც.

ვფიქრობ, ამ ჩამოყალიბებულ ცნობიერებაზე შესაძლო ხდება მატერიალურ სამყაროში მისიის აღსრულების გზაზე ვიმსჯელო. ფაქტიურად, ეს იქნება მეცნიერების (თუნდაც როგორც ფილოსოფიური ანუ მამაკაცური საწყისის) თანამშრომლობის სურვილი და მცდელობა კულტურასთან (როგორც ფსიქოლოგიურ ანუ ქალურ

საწყისთან). ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეხედულებით და ღრმა რწმენით, ასეთი თანამშრომლობის გარეშე მატერიალურ სამყაროში ადამიანების მხრიდან ე. წ. მისიის ანუ სასურველად საჭიროს ქმნა ფაქტიურად შეუძლებელია. ცალსახად რეფლექსურ დონეზე დასული ადამიანები კი, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, ადამიანების ღირსებას ანუ ადამიანად წოდების უფლებას კარგავენ და ცხოველებად გარდაიქმნებიან ფაქტიურად იმავე ცხოვრებაში, თუმც, გარეგნულად ორ ფეხზე დადიან და განსხვავდებიან ოთხფეხა არსებებისაგან. ეს ყველაზე უარესი შედეგების შესახებ. ახლა კი მოდით, ყველაზე უკეთესი შედეგების შესახებ. როგორ უნდა მოხდეს ეს თანამშრომლობა, რომ სისტემატურად იყოს აწყობილი, როგორც მუდმივობის ძრავა ისე, რომ ამაზე კონცენტრირებამ უმნიშვნელო ენერგია დაწვას ან დროთა განმავლობაში ისე გაჯდეს „ძვალ-რბილში“, რომ საერთოდაც არ დასჭირდეს არავითარი შინაგანი ენერგიის ძალისხმევა თვითონ კონტროლირდებოდეს და კორექტირდებოდეს სტრატეგიული თვალსაზრისით. უდავოდ, ძალიან რთულად, ალბათ შეუძლებლადაც კი ჩანს ამის გაკეთება, მაგრამ, დამერწმუნეთ, რომ ეს მართლა შესაძლებელია.

ამგზიცია-ემოციათა სამეფო			
მამაკაცური საწყისი მეცნიერება	ორიენტაცია შემეცნება განათლება „მე“-ს შეცნობა	ინერცია გარემოს შეცნობა განსწავლა „ეგო“-ს შეცნობა	უძრაობა, კონსერვაცია ძიებაზე უარის თქმა; გარყვნილება, პირობითი რეფლექსები, სულიერი ნეგატიურობა
ქალური საწყისი კულტურა	ადაპტაცია რელიგია. სულიერი პოზიტიურობა	იმპროვიზაცია ხელოვნება მატერიალური პოზიტიურობა	პროვოკაცია უძრაობასთან დაპირისპირება; გართობა მატერიალური ნეგატიურობა უპირობო რეფლექსები
	სათნოების მოდუსი	ვნების მოდუსი	უგუნურების უმეცრების მოდუსი
მატერიალური სამყარო			

გრძნობათა სამეფო				
ფილოსოფია მამაკაცური საწყისი	**ორიენტაცია** ევოლუცირება მა-მა ღმერთის გან-ყოფილება	ტრანსცენდენცია	**ინერცია** ჰარმონიზირება ღვთის ძის გან-ყოფილება	ცივილიზაცია	**მეცნიერება** სულიერება
ფსიქოლოგია ქალური საწყისი	**ადაპტაცია** ცივილიზირება დედა ღმერთის განყოფილება	ევოლუცია	**იმპროვიზაცია** სარწმუნო(ვნ)ება ტრანსცენდენ-ცია ღვთის ასუ-ლის განყოფილე-ბა	ჰარმონია	**კულტურა** მატერიალუ-რობა
სულიერი სამყარო				

პირველ რიგში ნებისმიერმა ადამიანმა უნდა აღიქვას ის, რომ იგი მამაკაცური და ქალური საწყისების მატარებელია თავის არსობრივ „მე“-ში. უბრალოდ ერთი საწყისი მეორეზე მეტი როდესაცაა, ამით მისი სქესი განისაზღვრება და არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცს ქალური საწყისი არ გააჩნია და ქალს მამაკაცური საწყისი არა აქვს. თუ ამის აღქმამდე მართლა მივა ნებისმიერი ადამიანი, მაშინ რეალურად საკუთარ „მე“-ში წვდომის სიღრმისეული ხარისხი მკვეთრად გაიზრდება, ის უფრო ლოიალური, ეთიკური ბუნების გახდება და მომხმარებლური კუთხით მიდგომა თანდათან შემცირდება, რაც ავტომატურად უპირობო და პირობითი რეფლექსების სერიოზულად შემცირების გარანტი გახდება. აი, უკვე ამის შემდეგ საჭიროა ამ ორი საწყისისა და მათი თანკვეთილი ნაწილის ანალიზი და სწორედ ამის საფუძველზე აიწყობა ე. წ. მუდმივობის ძრავის მექანიზმი. ეს ანალიზი იქნება საუკეთესო და სასურველი პოზიტიურის ჩამონათვალზე აწყობილი, რაც საწყისებში ძევს.

მამაკაცური საწყისის მოკლე ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

გრძნობა

1) გარემოში ჩაღრმავების უნარი.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
2) გარემოს შეგრძნების უნარი.
გაუცხოვების აღმოფხვრის ანუ გარემოს „მე“-დ გადაქცევის უნარი.

ქალური საწყისის მოკლე ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

გონება

3) გარემოს ისეთად მიღების უნარი, როგორიც ის არის.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
4) გარემოს მოსმენის უნარი. გარემოსთან გაზიარების უნარი.

მამაკაცური და ქალური საწყისების თანკვეთილი ნაწილის ანალიზი

იმპერსონალისტური ანუ გარემოსთან მიმართებაში მიდგომა

ჭკუა

5) გარემოს კონტროლზე უარის თქმის უნარი.
პერსონალისტური ანუ საკუთარ „მე“-სთან მიმართებაში მიდგომა.
6) საკუთარი „მე“-ს კონტროლის, ფლობის, მართვის უნარი.

აი, ასე გამოიყურება სისტემა, რომელიც მუდმივად სრულყოფილებისკენ ატარებს ადამიანს, ვიდრე ის მატერიალურ სამყაროში იარსებებს.



სახელმწიფო

წინამდებარე ნაწილში აღწერილი ე. წ. მუდმივი ძრავის მექანიზმი ცოცხალი არსების (ჩვენს შემთხვევაში ადამიანის) ინდივიდუალური სულის მისიის რაობას შეეხებოდა მატერიალიზირების შემდგომ მატერიალურ სამყაროში (ჩვენს შემთხვევაში დედამიწაზე). ეს მეტაფორულად დაახლოებით იმას მომაგონებს, როგორ იკვებება მცენარე მიწაში არსებული მარილებით, სიმლაშით, რის შემდგომაც ისხამს ყვავილს, რომლებსაც შემდგომ ნაყოფის აღმოცენება მოსდევს ხოლმე, მაგრამ ვიდრე ნაყოფი მკვახეა მას მწარე გემო აქვს. როდესაც იგი სიმწიფეში გადადის ტკბილი და საამო ხდება მისთვის ვინც მიირთმევს. მაგრამ თუ ხეზე დარჩება, არავინ მიირთმევს, თუ კი ის ძირს, მიწაზე არ ჩამოვარდება და ისეთივე ხეს არ დაუდებს სათავეს, როგორი ნაყოფიდანაც აღმოცენდა, მაშინ ხეზევე დამჟავებას დაიწყებს, დალპება და, უბრალოდ, უვარგისი გახდება როგორც ნაყოფის მირთმევის მოყვარულისათვის, ისე ახალი სიცოცხლის აღმოცენების დასაბამის მიცემისათვის. ანუ ცოცხალი არსების ინდივიდუალური სულის მხრიდან, მისთვის განკუთვნილი მისიის შესრულების გზაზე დადგომის შემდგომ, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ორი გზა აქვს ინდივიდუალურ სხეულთან ანუ მატერიალურ გარემოსთან მიმართებაში. ერთი პასიურია და უფრო მარტივია, რაც სრულ განდგომილებაში და ფიზიკურ განმარტოებაში გამოიხატება, ანუ გარდაცვალება სხეულში არსებობის პერიოდში. რის საუკეთესო ნიმუშიც ღვთისმშობელი მარიამია, რომელზეც გამოითქმის არა – მოკვდა ან გარდაიცვალა, არამედ ითქმის სიტყვა – მიიძინა. მეორე გზა აქტიურია და, შესაბამისად, უფრო რთულიც. ბრბოს ხალხად გადაქცევის, ხალხის საზოგადოებად ჩამოყალიბების, საზოგადოების სახელმწიფოდ გადაქცევის და ა. შ. ანუ მატერიალურ სამყაროში მის გარშემო განსხეულებულად არსებული ცოცხალი არსებებისთვის სიმწიფეში გადაყვანის, მათში არსებული შეცნობილი ზოგადი ცნობიერების უფრო განვითარებისა და ჩამოყალიბების საშუალებად გადაქცევაში გამოიხატება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინების კი არა, ამის ქონის უფლებაც კი არა აქვს ამ გზაზე მდგარს (იგულისხმება ინდივიდუალიზმის ის რაოდენობა, რომელიც ჰარმონიულ პროპორციულ თანაფარდობაზე მეტია), ეს შესავლის სახით. ფაქტიურად, ეს ცოცხალი არსება გახლავთ ხელმწიფე ანუ ის, ვინც ჭეშმარიტად სიმწიფის ცნებას

აკმაყოფილებს, თვით აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან. ხოლო ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებას, რომლებიც მისკენ არიან მიდრეკილნი და მისი, როგორც ზოგადი ცნობიერების გარშემო მკვიდრდებიან, შეგვიძლია ვუწოდოთ – სახელმწიფო. ანუ მათ სურთ ის ზოგადი ცნობიერება, რომლის ჩონჩხზეც არიან ერთად შეკავშირებულნი, უფრო მაღალ საფერხურზე აიყვანონ, ევოლუციის კანონებით განავითარონ, სიმწიფისკენ მიმავალ გზაზე დადგნენ. მე ვფიქრობ, მატერიალური სამყაროსთვის ეს არის ჭეშმარიტი მისიის ერთადერთი სწორი გზა და ამავდრულად ყველაზე რთული.

თავად სახელმწიფოსთვის ეს არის ურთულესი გამოცდა, რამეთუ იგი ვალდებულია ერთდროულად ხუთი ფარდობითობის სისტემაში იყოს კომპეტენტური და თანმიმდევრული.

ახლა კი მსურს ჩემი შეხედულებით ჩამოვაყალიბო სახელმწიფოს მოწყობის სისტემა, რაც სასურველია ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინებით, რომლებიც დააკმაყოფილებს ყველასა და ყველაფრის უფლება-მოვალეობრივ სპექტრს.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო რა წარმოადგენს მატერიალურ სამყაროში აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოვლინებას მატერიალურ სამყაროში წარმოადგენს კანონი და ის, რაც კანონს წარმოადგენს. ჩვენს ეპოქაში, დღესდღეისობით, ეს გახლავთ კონსტიტუცია. ის არის უზენაესი (უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში) ყველა და ნებისმიერი მატერიალიზირებული სხეულისთვის, რომელიც კონსტიტუციის მოქმედების ფიზიკურ საზღვრებში იმყოფება, ანუ იმ საზოგადოების გეოგრაფიული ნაწილია, რომელმაც სახელმწიფოდ გამოაცხადა საკუთარი ერთიანობა. ყველა და ნებისმიერი, ვინც კონსტიტუციის მიერ დადგენილი კანონების დარღვევის ფასად ცდილობს საკუთარი მიზნის მიღწევას, ის ჭეშმარიტებასთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ აღიარებულ უზენაეს პიროვნებასთან და საერთოდ, სამებასთან წინააღმდეგობაში მოხვდება. ანუ ადამიანურ ენაზე – ის დანაშაულს სჩადის, ხოლო ზეადამიანურ ენაზე – სულს იბინძურებს. ეს გახლავთ სახელმწიფოს სისტემაში ხედვის პირველი უმაღლესი ფარდობითობის საფეხური. ამის რეალურად შესრულების უნარი მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს, რომელსაც სრულყოფილად აქვს მოცული ის ზოგადი ცნობიერება, რასაც უნდა მიაღწიოს სახელმწიფოს მიმდინარე ზოგადმა ცნობიერებამ,

ანუ საზოგადოებამ და თითოეულმა მისმა წევრმა, ანუ ეს ადამიანი უკვე სიმწიფის მდგომარეობამდეა მისული. ასეთი კი თავად ხელმწიფეა, ანუ ის, ვინც იყო მიზეზი სახელმწიფოს შექმნისა. თუ მოხდება ისე, რომ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანი მიაღწევს ამ დონეს, იგი ან ხელმწიფის თანამდებარე მდგომარეობას დაიკავებს, რასაც ხელმწიფე განუსაზღვრავს და თანამდებობით (ხელმწიფის უახლოეს წრეში მდებარეობის უფლებით) დაჯილდოვდება ან სხვა საფეხურებრივად მაღალ სახელმწიფოში გადავა ზოგადი ცნობიერების აღქმის უფრო გასაღრმავებლად. ამ არჩევანს ადამიანი თვითონ აკეთებს დამოუკიდებლად.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ფარდობით საფეხურს, მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა არასასურველია და ისინი კომპლექსურად იქნებიან განხილულნი. სახელმწიფოს უზენაესი ცნებიდან, კანონმდებლობიდან გამომდინარე ამ ოთხ პერსონიფიცირებულ ნაწილს შემდეგნაირად დავყოფდი: 1) კანონშემოქმედება და კანონშემომქმედნი. ისინი რაოდენობრივად ამ ოთხიდან ყველაზე ცოტანი უნდა იყვნენ, მაგრამ ეთიკურად, ხარისხობრივად ყველაზე დიდნი და მაღალნი საზოგადოებაში. 2) კანონდამცველობა და კანონდამცველნი. ისინი ზედმიწევნით ობიექტურნი უნდა იყვნენ და მსაჯულება, სამართლის დადგენა უნდა ჰქონდეთ მინდობილი, როდესაც საზოგადოებაში რაიმე ტიპის უთანხმოება დაისადგურებს. 3) კანონაღსრულებლობა და კანონის აღსრულების სამსახურში მყოფნი. მათი რაოდენობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ზედა ორი განყოფილების წარმომადგენელნი იქნებიან. მათ საზოგადოების მიმართვის, მითითების უფლება უნდა გააჩნდეთ, როდესაც არსებული კანონების ჩარჩოებიდან გასვლის მცდელობას შეამჩნევენ და ყველა, ვინც მათ მიმართავს რაიმე საკითხის გასარკვევად, მოვალეობრივი სულისკვეთებით უნდა დააკმაყოფილონ ის. ფაქტიურად, ისინი უნდა იყვნენ კანონით გათვალისწინებულ უფლებათა არ დარღვევისა და კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა აღსრულების გარანტი. 4) კანონმორჩილება და კანონმორჩილნი. ეს გახლავთ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა რაოდენობრივი თვალთახედვით. ისინი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ და დაიცვან კანონები, რაც თვითონ აქვთ აღქმული და არ უპირისპირდებოდნენ მათ და ის ნაწილი კანონებისა, რაც არა აქვთ აღქმული, იმ ადამიანებზე მორჩილებით უნდა მიიღონ, რომლებმაც ეს იციან, რომელთაც მათი ქცევების კონტროლისა და კორექტირების უფლება აქვთ მინიჭებული. სხვანაირად, ისინი სა-

ხელმწიფოს ინტერესების დაცვას ვერ შეძლებენ და დაპირისპირებაში მოხვდებიან მასთან.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო: 1) კანონშემომქმედნი – მამაკაცური საწყისის სტრატეგიის განგების სამსახურში დგანან; 2) კანონდამცველნი – ქალური საწყისის სტრატეგიის განგებას ემსახურებიან; 3) კანონაღმსრულებელნი – მამაკაცური საწყისის ტაქტიკური ნაწილის განგებას ემსახურებიან; 4) კანონმორჩილნი – ქალური საწყისის ტაქტიკური ნაწილის განგებას მსახურობენ.

მე მსურს ერთმანეთისაგან საფეხურებრივად განსხვავებული ოთხი ტიპის სახელმწიფოს სტრუქტურული განხილვა შემოგთავაზოთ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩვენ, დღესდღეობით, ყველაზე დაბალი საფეხურის წარმომადგენლობით სახელმწიფოებრივ სისტემაში ვიმყოფებით (მე არ ვგულისხმობ საქართველოს, რომელიც ახლა ყალიბდება – „რას მიბაძოს“). ანუ ვგულისხმობ მთელ დღევანდელ დედამიწას, თავისი ზესახელმწიფოებით და ქვესახელმწიფოებით. თან საგულისხმო ფაქტი ის გახლავთ, რომ რაც უფრო მაღალგანვითარებულად არის მიჩნეული რომელიმე სახელმწიფო, რეალურად მით უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოებრივობის ჭეშმარიტი არსობრივი გაგებიდან და აღქმიდან.

I საფერხურზე იმყოფება (იგულისხმება მაღალ საფეხურზე) სახელმწიფოებრივი მოწყობის ის სისტემა, რომელშიც მამაკაცური საწყისის სტრატეგიულ ინტერესებს საზოგადოების მხრიდან პრიორიტეტული, წამყვანი ადგილი უკავია. ამ ტიპის სახელმწიფო სულიერების სრულყოფისკენ მიდრეკილებით შეიძლება გამოვყო, როგორც განსხვავებული ფენომენი სახელმწიფოებრივობისა და, ფაქტიურად, ყველანაირი ტიპის მოდუსებზე, მიჯაჭვულობებზე, შეძენილ კარმულობაზე ან რაიმეს შენარჩუნების სურვილზე, ამბიციურობებზე ან ემოციურობებზე მაღლა დგას და პირადად ჩემთვის იგი უფრო ციურია და არა მიწიერი. აი, ასეთია ამ ტიპის სახელმწიფოში ფასეულობა, ხედვის დიაპაზონური სპექტრი და ასეთი თანაცხოვრების პრინციპით მოქმედებენ სახელმწიფოს ოთხი შტოს შემადგენელი ნაწილები, როგორც ერთმანეთთან, ისე კანონებთან და კონსტიტუციასთან. ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, რაც აქ მინდა აღვნიშნო, არის ის, რომ ამ ტიპის სახელმწიფოს დახასიათება ნათლად უჩვენებს, რომ ოჯახი არის სახელმწიფოს ტიპი, რომელ ფორმაზე ზევითაც დგას ერთადერთი ფორმა სახელმწიფოს ფორმირება „მე“-ში სხვა ინდივიდუალურ სულებთან ყოველგვარი

კონტაქტის გარეშე, თუმც ეს მდგომარეობა ადრე თუ გვიან ალბათ მაინც გადავა და უნდა გადავიდეს კიდეც ობიექტური ბუნებრივი სვლის მიყოლით ოჯახური ტიპის სახელმწიფოებრივ გამოვლინებაში. ყველა სხვა ტიპის სახელმწიფოებრივი ფორმირება ამ განხილულ ვარიაციაზე ეთიკურად ყოველთვის დაბლა იმყოფება და იქნება.

მამაკაცური და ქალური საწყისების ერთიანობა აბსოლუტური ჯეშმარიტებაში

კანონების კონსტიტუციური ნორმების საძირკველი	მამაკაცური საწყისის სტრატეგიული ეთიკური ნაწილი	მამაკაცური საწყისის ტაქტიკური ესთეტიკური ნაწილი	ქალური საწყისის ტაქტიკური ესთეტიკური ნაწილი	ქალური საწყისის სტრატეგიული ეთიკური ნაწილი
კანონშემოქმედების საძირკველი	მამა ღმერთი, სამყაროს უზენაესი პიროვნება	ღვთის ძე, სამყაროს უერთგულესი პიროვნება	ღვთის ასული, სამყაროს უსაყვარლესი პიროვნება	დედა ღმერთი, სამყაროს უწმინდესი პიროვნება
კანონების კონსტიტუციური ნორმების საძირკველი	სრულყოფილებისკენ სწრაფვა	გულწრფელობა	მორჩილი თაყვანისცემა	მოწყალებრივი თანამიმდევრულობა
კანონაღმსრულებლობის საძირკველი	ორიენტაცია	ინერცია	იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია	ადაპტაცია
კანონმორჩილების საძირკველი	ევოლუცია	ჰარმონია	სარწმუნოება	ცივილიზაცია
	მამაკაცური საწყისის სტრატეგია	მამაკაცური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის სტრატეგია

II საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოებრივი მოწყობის ის სისტემა, რომელშიც ქალური საწყისის სტრატეგიულ ინტერესებს საზოგადოების მხრიდან პრიორიტეტული ადგილი უკავიათ. ამ ტიპის სახელმწიფო, მატერიალური სამყაროს შეფასებით, ოქროს ხანაა. ჩემი გადასახედიდან ეს სათნოების, სიკეთის ქმნის მოდუსზე მდგარი სისტემაა და წინა საფეხურზე მყოფ სახელმწიფოს თუ ახასიათებდა საკუთარ თავზე ძალაუფლების ქონა + ბუნებრივობა, როგორც ძალიან მოკლე დახასიათება და ერთგვარად ერთი სიტყვით უშუალობით გამოიხატება. II საფეხურის მოკლე დახასიათება ამ ტიპისა იქნება: „ოქროს შუალედი“ = ძალაუფლებაზე უარის თქმა + თვითკონტროლი. რამეთუ კიდევ II სახელმწიფო წყობაა ჩამოსაყალიბებელი ცხრილით შემოვიფარგლები.

მამაკაცური და ქალური საწყისების საერთო ზოგადი ფასეულობები აბსოლუტური ჭეშმარიტების შეხედულებით

კონსტიტუციის საძირკველი	ცოდნა	მცოდნე	უცოდინარი	ცოდნის საგანი
კანონშემოქმედების საძირკველი	განათლება, მე-ს შეცნობა	განსწავლა გარემოს შეცნობა	ხელოვნება	რელიგია
კანონდამცველობის საძირკველი	ნებაყოფილობითობა	სიყვარულის გაცემა	არაძალმომრეობა	თვითკმარი მყუდროება
კანონაღმსრულებლობის საძირკველი	სახელმძღვანელო ზოგადი ცნობიერების ავტორიტეტი	მასწავლებელი ზოგადი ცნობიერების მსახურება	მოსწავლე საზოგადოება	ზოგადი ცნობიერება სასწავლებელი (სასწავლო მასალა)
კანონმორჩილების საძირკველი	გრძნობა სასიცოცხლო ძალა	ამბიცია სიცოცხლე	ემოცია ცხოვრება (ცხოველური ნება)	გონება, საცხოვნებელი ცხოველური ნების მართვა
	მამაკაცური საწყისის სტრატეგია	მამაკაცური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის სტრატეგია

III საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოებრივი მოწყობის ის სისტემა, რომელშიც მამაკაცური საწყისის ტაქტიკურ ინტერესებს საზოგადოების მხრიდან პრიორიტეტული ადგილი უკავია. ამ ტიპის სახელმწიფო სულიერი სამყაროს შეფასებით უღმერთობის, ღმერთის იგნორირების ხანაა, ხოლო მატერიალური სამყაროს შეფასებით დიქტატის, დიქტატურის ხანაა, ხოლო აბსოლუტური ჭეშმარიტების შეფასებით ევოლუციის თვითნებური დაჩქარების, ე. წ. ვნების მოდუსის აქტივიზირების ხანაა. III საფეხურის მოკლე დახასიათება ამ ტიპისა იქნება: <u>დიქტატურა = შეუნიღბავი, აშკარა ძალაუფლება გარემოზე + კონტროლირებადი, ცენზურირებული ანარქია საზოგადოებაში.</u>

ამ ტიპის სახელმწიფოს მოკლე ცხრილური დახასიათება.

მამაკაცური და ქალური საწყისების თანაკვეთილ ნაწილში მამაკაცური საწყისის თვითნებობა (ამბიციურობა) აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან

კონსტიტუციის საძირკველი	დრო	მატერია	ინტერესები	სივრცე
კანონშემოქმედების საძირკველი	ღმერთის იდეალიზირება მსხვერპლშეწირვა	ინდივიდუალური სული, განდეგილობა	ინდივიდუალური სხეული, კვება	კოსმიური გამოვლინება, ქველმოქმედება
კანონდამცველობის საძირკველი	იდეოლოგია მოძღვრება	იდეალისტური ოცნებები „მოძღვარი“	მატერიალური ოცნებები, მრევლი	ფანატიზმი თეოლოგია
კანონაღმსრულებლობის საძირკველი	ძალაუფლება სამეფო	ძალაუფალი მეფე	მოსახლეობა ხალხი	შემოსაზღვრული ტერიტორია, ზოგადი, საერთო საკუთრება
კანონმორჩილების საძირკველი	ინტელექტუალური შაბლონური კრიტერიუმი	ინტელექტი იდეალისტური ცნობიერება	ყოფიერება მატერიალისტური ცნობიერება	საყოფაცხოვრებო შაბლონური კრიტერიუმი
	მამაკაცური საწყისის სტრატეგია	მამაკაცური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის სტრატეგია

მოკლე შეფასების სახით ვიტყვი, რომ ამ ტიპის სახელმწიფო დგას სულიერი ჭუჭყისგან ერთი ინდივიდუალური სულის მიერ დანარჩენ ინდივიდუალურ სულთა იძულებითი გასუფთავებისკენ მიმავალ გზაზე და ეს ხანა მატერიალური სამყაროს მხრივ სატანისა და ეშმაკის ხანად მოიაზრება. რას ვიზამთ, ასეთია უცოდინრობის, ცოდნის დეფიციტის შედეგი.

IV საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოებრივი მოწყობის ის სისტემა, რომელშიც ქალური საწყისის ტაქტიკურ ინტერესებს საზოგადოების მხრიდან პრიორიტეტული ადგილი უკავია. ამ ტიპის სახელმწიფო სულიერი სამყაროს შეფასებით აგრეთვე უღმერთობის, ღმერთის იგნორირების ხანაა. მატერიალური სამყაროს შეფასებით სტანდარტიზაციის, დემოკრატიის ხანაა. ხოლო აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან ცივილიზირების თვითნებური დაჩქარების, ე. წ. უმეცრების მოდუსის აქტივიზირების ხანაა. IV საფეხურის მოკლე დახასიათება ამ ტიპისა იქნება: <u>დემოკრატია = შენიღბული ფარული ძალაუფლება გარემოზე + უკონტროლო ანარქია საზოგადოებაში</u>.

ამ ტიპის სახელმწიფოს მოკლე ცხრილური დახასიათება.

მამაკაცური და ქალური საწყისების თანკვეთილ ნაწილში მამაკაცური საწყისის თვითნებობასთან (ამბიციურობასთან) დაპირისპირება ქალური საწყისის მიერ გამოვლენილი თვითნებობით (ემოციურობით) თავის მხრივ. ეს არის შეფასება აბსოლუტური ჭეშმარიტების გადასახედიდან

კონსტიტუციის საძირკველი	მატერიალური სხეულის არსებობის პერიოდი	მატერიალური სხეულის ფიზიკური ჯანმრთელობა	ხელოვნური ინტერესები ინტრიგები	მატერიალური სხეულის უზრუნველყოფა
კანონშემოქმედების საძირკველი	ადამიანის გამოცხადება ევოლუციის მაქსიმუმად, ღმერთად	ევოლუციაზე უარის თქმა, პირობითი რეფლექსებით ხელმძღვანელობა	ცივილიზაციის დაჩქარება უპირობო რეფლექსებით ხელმძღვანელობა	მატერიალური სხეულის უზენაესობა
კანონდამცველობის საძირკველი	პრიმიტივიზმი კონსერვატიზმი	უიდეობა, უმიზნობა, ეგოცენტიზმი კომფორმიზმი	ცინიზმი უკომპრომისობა	პრაგმატიზმი ათეიზმი
კანონაღმსრულებლობის საძირკველი	შენიღბული ძალაუფლება	ყოფიერების გაუმჯობესების საშსახური	კერძო საკუთრება	ზოგადი საერთო ძალაუფლება
კანონმორჩილების საძირკველი	ყალბი კეთილგანწყობა, ფსევდოლოიალიზმი	იდეური, სულიერი სიახლე. გარყვნა	მატერიალური სიახლე გართობა	მიღებული ფასეულობების ბრმად ამოტრიალება პროვოკაცია
	მამაკაცური საწყისის სტრატეგია	მამაკაცური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის ტაქტიკა	ქალური საწყისის სტრატეგია

ეს სახელმწიფო დგას სულიერი ჭუჭყის გაზრდისკენ მიმავალ გზაზე, რამეთუ „აღმზრდელი“ „აღსაზრდელის“ მიერ არის მართული, მაგრამ ეს აუცილებელი საფეხურია ევოლუციის გზაზე და ამ ტიპის სახელმწიფო შემდგომში აუცილებლად შეიცვლება I ტიპის სახელმწიფოთი და ა. შ.

ობიექტური თამამიმდევრულობა

მამაკაცური საწყისი + ქალური საწყისი

გამჭვირვალე

მამაკაცური საწყისის სტრატეგია
აქტიურობა
ფილოსოფია + ევოლუცია
თეთრი

ქალური საწყისის ტაქტიკა
პასიურობა
ფსიქოლოგია + ცივილიზაცია
ვარდისფერი

ტრანსცენდენტულობა

ქალური საწყისის სტრატეგია
დიდაქტიკა
ჰარმონია + შემეცნება
მწვანე



მამაკაცური საწყისის ტაქტიკა
მოწაფეობრივობა
სარწმუნოება + რელიგია
ცისფერი

ევოლუცირება

მამაკაცური საწყისის ტაქტიკა
დიქტატი
განსწავლა, შეუნიღბავი ძალაუფლება + პროტესტანტული ხელოვნება, ევოლუციის დაჩქარება, კონტროლირებადი ანარქია
წითელი

ქალური საწყისის ტაქტიკა
ლოიალურობა
ხელოვნება
ხელოვნურობისკენ იმპროვიზაცია შენიღბული ძალაუფლება გარყვნილება + ცივილიზაციის დაჩქარება უკონტროლო ანარქია, გართობა
ყვითელი

ცივილიზირება

ქალური საწყისის ტაქტიკა
გულწრფელობა – „ოქროს შუალედი“
ფიზიკური განდეგილობა + ყოფით კმარობა
ლურჯი (იისფერი)

მამაკაცური საწყისის სტრატეგია
უშუალობა – „ოქროს შუალედის“ მომცემი
სულიერი განდეგილობა + ბუნებრივობა ძალაუფლება
საკუთარ თავზე
ყვითელი

ჰარმონიზირება





ეპოქა სატ.ა ხასიათდება პატიოსნებით, სიბრძნითა და რელიგიურობით. მასში თითქმის არ არსებობს უგუნურება და მანკიერება. სატ.ა .უგა მთელი ციკლის დროითი ხანგრძლივობის 40%-ს მოიცავს.

ეპოქა ტრეტაში მანკიერება შემოდის და მთელი ციკლის დროითი ხანგრძლივობის 30%-ს მოიცავს.

ეპოქა დვაპარაში უფრო მეტად ეცემა პატიოსნება და რელიგიურობა, მანკიერება უფრო იზრდება და მთელი ციკლის დროითი ხანგრძლივობის 20%-ს მოიცავს.

ეპოქა კალი-.უგაში უაღრესად მატულობს უთანხმოება, უგუნურება, არარელიგიურობა და მანკიერება, ჭეშმარიტი ზნეობა პრაქტიკულად არ არსებობს. კალი-.უგა მთელი დროითი ციკლის ხანგრძლივობის 10%-ს მოიცავს. კალი-.უგაში ბილწიერება იმდენად იზრდება, რომ ეპოქის ბოლოს თავად უზენაესი უფალი ევლინება და იწყებს ახალ სატ.ა-.უგას.

კომპიუტერული აწყობა და
ყდის დიზაინი ***ნანა ყანდაშვილი***

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge